

ა მ ს ა გ ი

თ გ ი უ რ ი ქ უ ნ დ ი

წელიწადი შეოქროშეტი

№ VIII

ა გ ვ ი ს ტ მ, 1904



ს ა გ ვ ი ს ტ მ ი ს ტ მ
3 1 9 5 1 8 0 0 6 5 0 6
1 9 0 4 3 6 7 3 0 0
8 0 8 3 0 3 0 0 8 8 8

ც ფ ი რ ი ს

ს ა გ ვ ი ს ტ მ ი ს ტ მ, 1904, T. 8A.

1904

F10/94
3246448

Հ Յ Ո Յ Ո Յ Ո Յ

Օ Ր Ե Լ Ե Ր Ա Ր Ե Ր

Հ Յ Ո Յ Ո Յ Ո Յ

Дозволено цензурою. 6 сентября. 1903 г. Тифлисъ.

Խ Յ Ո Յ Ո Յ Ո Յ

Հ Յ Ո Յ Ո Յ Ո Յ

Հ Յ Ո Յ Ո Յ Ո Յ

Հ Յ Ո Յ Ո Յ Ո Յ

მინამ სი

	88.
I—„შემთხვევა“.—ამბავი ანტ. ჩეხოვისა, თარგმანი ივ. შ—გისა	1
II—მოჩვენებანი.—დრამა სამ-მოქმედებად ჭენრის აძსე- ნისა, თარგმანი ია ექალაძისა (დასასრული)	17
III—გლეი კაცი.—წიგნი მესამე, თავი IV—V. რომანი გაღჭედმ ფონ ბოლენცისა.—თარგმანი ივ. ბოლუმარ- დეინოვისა.	76
IV—ცეოვრება და ლიაზლი თაღის გრიგოლ ორბე- ლიანისა.—თავი XVII. ი. მეუნარგიასი	1
V—ახალი ჰელადია—ინგლისის ახალშენი, თავი—XI შ. ბ. მეუკეგისა.—თარგმანი ნ. ადნიაშვილისა . .	15
VI—ბიპლიოგრაფია.—ილ. აღსაჩენებისა	35
VII—ნარიზი.—1. ახალი თხზულება სენკევიჩისა —2. ზოლას ხელ- ნაწერები.—3. უკანასკნელი დრამა შნიცლერისა.—4. ებრაულე- ბის თეატრი. — 5. ბურთი და გიმჩასტიკა.—6. ლუდისა და სიდრის გავლენა აღმისნევე.—7. შესაყარია თუ არა კუ.—8. აღა- მიანის სისალი.—9. ბარგის მზიდავი ცხვრი.—10. ჭიანჭველის მიერგანენილი სოკო.—11. მწირი მიწის გაპატივება.—12. ბამ- ბის მცველი ჭიანჭველა.—13. ლამბროზოს და მოიბიუსის აზრი დედაკაცის შესახებ —იაპონელის ტვინი	53

VIII—შინაური მიმოხილვა	ასალი კანონი სამრეწველო წარმოქებაში დაზიანებულ მუშათა შესახებ, ფ. გოგიჩაძ- შვილისა	59
IX—უცხოეთის მიმოხილვა	1. ლიაოიანის ბრძოლა („Русь“ და „Гражданинъ“): იაპონელი ქალი, — 2. ირლანდიის საქმეები	79

„შ ე მ თ ხ ვ ი ს“

ა მ ბ ა კ ი

ან. ჩეხოვისა

პროფესორმა ლიალიკოვების ქარხნიდან დეპეშა მიიღო:
 ეხვეწებოდნენ, რაც შეიძლება მალე მოგვხედეთ. ვიღაც ლია-
 ლიკოვის ქალი უნდა ყოფილიყო ავათ, უაზროდ შედგენილ
 დეპეშიდან სხვას ვერაფერს გაიგებდა აღამიანი. პროფესორმა
 თავის მაგიერ საავადმყოფოს ორდინატორი კოროლიევი
 გაგზავნა.

მოსკოვიდან ორი სადგური ჩარის გზათ უნდა გაევლო
 კოროლიევს და მერე ოთხი ვერსი კიდევ ცხენით სასიარულო
 გზა დარჩებოდა. კოროლევისთვის სადგურზე ეტლი გამოეგ-
 ზავნათ; მეეტლეს ფარშავანგის ფრთით მორთული ქუდი ეხუ-
 რა და ყოველ კითხვაზე ხმა ვალლა, სალდათურათ აძლევდა
 პასუხს: „დიალ!“ „არა ბატონო!“ კვირაძალი იყო და ის იყო
 მზე ჩადიოდა, როცა კოროლიევი შარა გზას გაუდგა. ქარხ-
 ნიდან მოყოლებული სადგურამდის ყოველ ნაბიჯზე მუშები
 ხდებოდნენ და კოროლიევის ცხენებს თავს უკრავდნენ. კორო-
 ლიევი აღტაცებაში მოჰყავდა მშვენიერ საღამოს, შენობებს,
 საავარაკო აღგილებს, არყის ხეებს და საერთო სიჩუმეს, როცა
 კვირაძალზე თითქოს მინდორიც, ტყეც და მზეც მუშებთან
 ერთად დასვენებას და იქნება ლოცვასც აპირებდნენ...

კოროლიევი მოსკოვში იყო დაბადებულ-აღზრდილი, სო-
 ფელს არ იცნობდა და ქარხნები არც აინტერესებდნენ. მხო-

ლოდ წიგნებში თუ ჰქონდა ქარხნების შესახებ რამე წაკითხული, ან მექარხნეებთან ყოფნის დროს თუ გაუკონია იმათ-ზედ ლაპარაკი, თორებ სხვაფრივ ქარხნებს მეტად ნაკლებად იცნობდა; თუ როდისმე მოჰკრავდა ქარხანას თვალსა, ყოველთვის ერთი და იგივე აზრი გაუკლებდა ხოლმე თავში გარედან რა დინჯად და მშვიდად გამოიყურება ეს უხარ-მახარი შენობა და შიგნიდან კი, მგონი, უვიცობა, უმეტესობა, პატრიონების ეგიზმი, უმსგავსი, უდროოდ მომკვლელი და დამკლექებელი შრომა, სისაძაგლე, არაყი და ათასი სიბინძურეა გამეფებულით. აგერ ეხლაც მუშები კრძალვით რომ ერიდებოდნენ ეტლსა და პატივისცემით თავს უკრავდნენ, იმათ სახის გამომეტყველებაში, ტანთსაცმელში თუ ქცევაში სიბინძურის, ლოთობის და გამორჩეტიანების მეტს ვერასა ჰქედავდა.

აგერ ეტლი საქარხნო ეზოშიც შეგორდა. ორთავე მხრით მუშების სახლები, დედაკაცები, გამოფერილი სარეცხი თუ საბნები ჰყართოდნენ. „ხაბარდა!“ ჰყვიროდა შეეტლე და ცხენებს ძლიერს-და უმაგრებდა თავსა. აგერ ვეებერთელა, მოწმენდილ-მოტვლებილი ეზოც, შიგ ერთმანეთზე ხუთი უხარ-მახარი საკამლიანი ღიღი შენობა, აქა-იქ საწყობები და სხვა შენობებია. ყველა ამას რაღაც არაჩვეულებრივი ფერი დაჲკრავს, თითქოს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დადგნილი მტვერი ბოლოს რაღაც საოცარ ქერქად გადაჭცეულა. აქა-იქ კ-ნძულებსავით პატარ-პატარა ბაღები და წითელ სახურავინი შენობები მოსჩანან. ამ სახლებში ქარხნის ადმინისტრაცია სცხოვრობს. მეეტლებ უცბათ გააჩერა ცხენები და ეტლი ახლად შეკეთებულ და ლეგა ფერად შელებილ სახლის კარგბთან გააჩერა; სახლთან პატარა ბაღი იყო გაშენებული, მაგრამ იასამანსა და სხვა ყვავილებს მეტას-მეტად სქლად დასდებოდათ მტვერი და შესავალ კარებს ახალი, ჯერედ გაუმშრალი სალებავის სუნი ასდიოდა.

— მობრძანდით, ბ. ექიმო,— ფილაც ამბობდა კარებში და დერქფანში ქალების ოხერა და ჩურჩული ისმოდა. — მობრძანდით, რამდენს გიცდით... აი აქეთ. .

ლიალიკოვის ქვრივი სრული, ჰალარა შერეული დედა-
კაცი იყო და თუმცა უკანასკნელ გემოვნებაზედ შეკერილი
აბრეშუმის კაბა ეცვა, სახეზედ მაინც ნათლად ეტყობოდა,
რომ გაუნათლებელი ქალი უნდა ყოფილიყო. მასპინძელი თუმ-
ცა სიხარულით მიეგება, ექიმს მაინც ხელის ჩამორთმევას ვერ
უბედავდა. იქვე იმისს გვერდით აჭრელებულ ზედატანში გა-
მოწყობილი, თმა შეკრეპილი და სათვალებიანი, შუაბნის, გამ-
ხდარი დედაკაცი იღვა. მოსამსახურები ხრისტინა დიმიტრიე-
ვნას უძახდნენ. ექ. კოროლიევი მიხვდა, რომ ეს უც-
ნობი პირი გუვერნანტკა უნდა ყოფილიყო. ხრისტინა დი-
მიტრიევნას, როგორც ოჯახში ყველაზედ მეტად განათლე-
ბულ ადამიანს, ექიმის მიღება და გამასპინძლება უნდა ჰქო-
ნოდა მინდობილი, რადგან დაინახა თუ არა ექიმი, აჩარებით
მოუყვა ავადმყოფობის მაჩეზების და სხვა წვრილ ამების
განხილვას, თუმცა ვინ იყო ავადმყოფი და რაში მდგომარე-
ობდა ეს ავადმყოფობა, ჯერ არც ეთქვა და, როგორც ეტყო-
ბოდა, არც მალე აპირებდა ამის თქმას.

ექიმი და გუვერნანტკა ისხდნენ და ლაპარაკობდნენ,
ქალბატონი კი კარებში გაჩერებულიყო და მოთმინებით ლა-
პარაკის გათავებას ელოდა. ამ ლაპარაკიდამ ექიმმა გაიგო,
რომ ავათ ლიალიკოვის ერთად-ერთი ასული და ღიღი სიმ-
დიდრის მემკვიდრე, ოცი წლის ქალი, ლიზა ყოფილიყო. ავად-
მყოფს ბევრი ექიმი თურმე სწამლობდა, მაგრამ წინაღმამეს
გულის საშინელი ფრიალი მოსვლოდა, მთელი სახლი ფეხ-
ზედ დამდგარიყო და ღამის განმავლობაში თვალი არავის მოე-
ხუქნა; ეშინოდათ, უკანა არ მოგვიკვდეს უექიმოთაო...

— ლიზა თითქმის სიყმაწვილითვე სუსტი და ზერქ-ქვე-
რეთ ავადმყოფი იყო, — ამბობდა გაჭიანურებული ხმით
ხრისტინა დიმიტრიევნა და მალი-მალ ტუჩებს იწმენდავდა ხე-
ლით. — ექიმები ამბობენ, ძარღვების სისუსტე აქვსო, მაგრამ ყმა-
წვილობაში ელქუმი ჰქონდა და, მგონი, ექიმებმა ჯანში დაუ-
ბნიეს.

მაღე ავადმყოფის სანახავადაც წავიდნენ. მომწიფებულ, კაი ტანისა, მაგრამ ულამაზო და დედასავით წვრილ თვალება და განიერ ნიკაპა ქალმა პირველად მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ექიმზედ. კაცს ეგონებოდა თმა ეს დაუვარცხნელი ქალი ლარიბ-ლ-ტაკი და სიბრალულით სახლში შემოყვანილი ადამიანია და არა ამოდენა სიმდიდრის ერთად-ერთი მემკვიდრეო.

— აი თქვენ სანახავად მოვედით, უნდა მოგარჩინოთ,— დაიწყო კოროლიერმა.

— გამარჯობათ!

ექიმმა თავისი გვარი უთხრა და ქალს დიდი, ცივი და უხეში ხელი ჩამოართვა. ქალი წამოჯდა და ექიმებს შეჩვეულმა, გადადელილი გული და ტიტველა მკლავები სრულიად გულ-გრილიად გაასინჯა ექიმს.

— გულის ფრიალი მაქვს,— დაიწყო ქალმა. — წუხელისაც მთელი ღამე ვიტანჯე... კინაღამ შიშით სული დავლიე!.. მიწამლეთ რამე.

— გიწამლებთ, მაშ, გიწამლებთ! თქვენ მხოლოდ დამშვიდდით პატარას.

კოროლიერმა გასინჯა და მხრები მაღლა აიწია.

— გულს არა უშავს-რა — წაილაპარაკა ექიმმა, — ყველაფერი თავის დონეზეა, ღვთის მაღლით. უსათუოდ ძარღვები აგეშლებოდნენ, მაგრამ ეს ისეთი ჩვეულებრივი სენია, რომ... უსათუოდ ავადმყოფობამ გაგიარათ კიდეც, ახლა დაწეჭით და დინჯათ იყვით.

ამ დროს ოთახში სანათი შემოიტანეს. ავადმყოფმა თვალები მობუტა, უცბად ხელები წაივლო თავში და ქვითინი მორთო. საბრალო, ულამაზო ქალის შთაბეჭდილება ეხლა გაჰქრა ექიმის თვალში. ის ეხლა აღარც პატარა თვალებს ჰერდავდა და აღარც განიერ ნიკაპს, ამის მაგიერ დაჩაგრულის და წამებულ ადამიანის გამომეტყველებას ჰერდავდა, სახის იმ გამომეტყველებას, რომელიც იმდენად გონიერ და გულის დამწველი იყო, რომ ქალი კაი ტანისაც და ლამაზი სხეულის

პატრიონადაც დასიხა. ექიმს უნდოდა ეშველა რითიმე, მხო-
ლოდ წიმლებით კი არა—უბრალო, ალერსიანი სიტყვით. დე-
დამ გულში ჩაიკრა შვილის თავი და სახეზე იმოდენი ტანჯვა,
ნალველი და ვარამი გამოეხატა, რომ კაცს შესზარავდა მისი
ცქერა. იმან, როგორც დედამ, გაზარდა ქალი, არაფერი არ შურ-
და მისთვის, მთელი თავისი სიცუცხლე ქალს შესწირა, ასწავლე-
ბინა ფრანგული, ასწავლებინა ცეკვა, მუსიკა, საუკეთესო მას-
წავლებლები მოუწვია, მუდამ გუვერნანტე ჰყივდა სახლში,
მთელი ქვეყანა შესძრა, საუკეთესო ექიმებსა და პროფესორებს
იწვევდა და ეხლა არ ესმოდა საიდან მომდინარეობდა ამოდენი
ნალველი და ვარამი, არ ესმოდა და თავი და ტანი ეკარგე-
ბოდა. საცოდავს სახეზედ ეტყობოდა, რომ თავის თავი
რაღაცაში ამტყუუნებდა, თითქო რაღაც შეეძლო ექნა, ვიღა-
ცისთვის უნდა მიემართნა კედევ, მაგრამ ვისთვის—თითონაც არ
იცოდა სწორედ და ეს არ ცოდნა სტანჯავდა.

— ლიზაჯან, კიდევ იწყებ... კიდევ, — ეუბნებოდა აცახ-
ცახებულის ხმით დედა და მხურვალედ იკრავდა გულში. —
ჩემო კარგო, ძეირფასო, მითხარი რა გემართება, რა უბედუ-
რებაა ჩემს თავსა? შემიბრალე, გენაცვალოს შენი დედა.

დედაც და ქალიც მწარედ სტირილნენ. კორილიევი ჩა-
მოჯდა ლოგინზე და ივადმყოფს მაჯა დაუჭირა.

— გეყოფათ, აბა რა გაქვთ სატირალი? — ალერსიანად
უთხრა ექიმმა. — ქვეყნათ მაგისტანა ცხარე ცრემლების ღირსი
არაფერია, მერწმუნეთ!.. აბა, ნუდარ ვიტირებთ, ნუ...

ეუბნებოდა და გულში კი ჭიქერობდა:

„ღვთის წინაშე, გათხოვების ღრო კი მოსვლია“.

— ჩენი საქარხნო ექიმი „კალი ბრომატის“ აძლევდა, —
ჩაურთო სიტყვა გუვერნანტეამ, — მაგრამ მე შეენიშნე, რომ ეს
წამალი უფრო უნდა სწყენდეს, მგონი... ჩემის აზრით, თუ გუ-
ლის ფრიალის წინააღმდეგ არის რამე საჭირო, მაშინ ისევ აის...
ღმერთო, დამავიწყდა სახელი, ზარბახის წვენი თუ არგებს.

ამას კვლავ მოჰყევა თავმომაბეზრებელი წერილმანი ამბე-
ბი. გუვერნანტე სიტყვის აწყვეტილებდა ექიმს, ლაპარაკს უშ-

ლიდა. როგორც ყველაზე განათლებული და ნასწავლი აღამიანი ოჯახში, ის მოვალეთა თვლიდა თავის თავს ექიმი საეჭიმ საგნებზე ლაპარაკით შეეჭირა.

კოროლევს ყურის გდება მობეზრდა და კარში გავიდა.

— მე საშიში არაფერს ვხედავ აქა, — ეუბნებოდა ექიმი ლიალიკოვის ქვრივს დერეფანში. — თუ საქარხნო ექიმი სწამლობდა თქვენ ქალსა, ისევ იმან განაგრძოს წამლობა. როგორც ვატყობ ექიმს კარგად შეუგნია ავადმყოფობა და ექიმის გამოცვლის საკიროებას მე სრულიად ვერა ვხედავ. რად უნდა გამოსცვალოთ? ჩვეულებრივი ავადმყოფობაა და საშიში არა არის-რა.

კოროლიევი აუჩქარებდნენ ლაპარაკობდა და დინჯათ ხელთათმანებს იცვამდა, დიასახლისი კი იდგა უნძრევლივ და თვალ-ცრემლიანი ღმერთსავით შესცემეროდა ექიმს.

— ათი საათას მატარებლამდის ნახევარი საათი კიდევ არის, — სთქვა ექიმა, — იმედი მაქვს კიდევ მიცუსწრებ

— არ შეგიძლიანთ ჩვენსა დარჩეთ? — დაეკითხა ქალი და ცრემლები ლაპა-ღუპით გადმოსცვიდა ლოკებზედ. — ღმერთმანი, მრცხვენიან ასე რომ გაწუხებთ, მაგრამ შემიბრალეთ, თუ ღმერთი გრწამთ... — განაგრძობდა ქალი და შიშით კარებს უყურებდა. — ჩვენსა გაათიქო ეს ღამე, ერთად ერთი მყავს. წუხელისაც გულები დაგვიხეთქა, ჯერ ეხლაც გონს ვერ მოვსულვარ, ნუ წახვალთ, თუ ღმერთი გწამთ...

ექიმს უნდოდა ეთქვა, რომ მოსკოვში აუარებელი საქმე მაქვს და შინ ოჯახი მოუთმენელად მდელისო, რაღაც მეტად ეძნელებოდა სხვის სახლში უაზროთ ღამის გათვეა, მაგრამ გადახედა თუ არა საბრალო დედის სახეს, ხმა ამოუღებლივ დაემორჩილა და ხელთათმანების გახდა დაიწყო.

სასტუმრო ოთახი და დარბაზში ყველა სანაცები და სანთლები დაანთხეს. ექიმი როიალს მიუჯდა და უაზროდ ნოტებს დაუწყო სინჯვა, მერე წამოდგა, კედლებზედ დაკიდული სურათები დაათვალიერა. ოქროთი დავარაყებულ ჩარჩოებში ღია ფერებით დახატული სურათები ეკიდა. მათ შორის ყირიმის ადვი-

ლებს შეამჩნევდა ადამიანი, აღელვებულ-აზვიროებულ ზღვას, კა-
თოლიკების პაპისაც ნახავდა და ჭიქით ხელში ბერსაცა,
მაგრამ ყველა ამათ უნიკობა და უგემობა ეტყობოდა. პორტრე-
ტებში ერთ ლამაზ სახეს ვერა ნახავდა ადამიანი, ყველას განიერი
სახე და დაჭიუტილი, გაკვირვებული თვალები ჰქონდა; ლიზას მა-
მას მოკლე შუბლი და კმაყოფილი სახე ჰქონდა, მუნდირი
ტომარასავით განიერათ ადგა და გულზედ რაღაც მედალი და
წითელი ჯვრების ნიშანი ეკიდა. სახლის მოწყობილებაშიც,
როგორც სურათების ამორჩევტში, უგემობა და ესტესტიური
გრძნობის გაუნვითარებლობა ეტყობოდა. იატაკი, თავისი არა
ჩვეულებრივი ბრჭყვიალით, აჯავრებდა კაცს და ყელში ბრაზ-
სა ჰგვრიდა, აჯავრებდა კაცს აგრეთვე ჭალი და ყველა ამის
მაცერალს ნება-უნებურათ იმ ვაკრის ამბავი აგონდებოდა,
რომელიც აბანოშიც კი მედლით შედიოდა თურმე...

დერეფნიდან ვიღაცის ჩურჩული და ხერინვა ისხვიდა. უფა-
რათ ეზოში რაღაც საოცარი ხმაურობა გაისმა. ამგვარი ხმაუ-
რობა კოროლიეს, კვლავ არასოდეს არ გაეგონა და ეხლა, რა-
საკვირველია, ვერ გაიგო მათი მნიშვნელობა. მხოლოდ ეს იყო,
რომ მათ გაემნებაზე გულში რაღაცამ უსიამოვნოდ ლრლნა და
ქენჯნა დაუწყო.

„არა მგონია, რომ აქ ცხოვრება გამებედნა როდისმე“—
გაიფიქრა გულში და ისევ ნოტებს დაუწყო სინჯვა.

— გ. ექიმო, ვახშამს არ ინებებთ? — დაბალის ხმით გა-
მოელაპარაკა გუვერნანტია.

ექიმი გაჟყვა. სასაღლო თოახში დიდი მავიდა გაეშალათ
და მთლად საუზმებათა და სასმელებით გაეჭედნათ, თუმცა სა-
ვახშმოდ კი მარტო ექიმი და ხრისტინა დიშიტრიევნა დასხდ-
ნენ. ვუვერნანტკა მაღერასა სვამდა, შლაპა-შლუპითა სქამდა,
ის განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და სათვალეების ზეიდამ უყუ-
რებდა მობასეს.

— მუშები ძალიან მაღლიერნი არიან ჩვენი. ყოველ ზამ-
თარს წარმოდგენები იმართება, სცენაზედ თითონ მუშები თა-
მაშობენ ხოლმე; ლექციებს უკითხავენ, ჩინებულად მოწყო-

ბილი ჩაის სასმელი სახლიცა აქვთ, მეტი რაღა უნდა უნდოდეთ. მუშებს ძალიან ვუყვარვართ და, ასე ვასინჯეთ, ლიზას ავადმყოფობა რომ გაიგეს, პარაკლისაც კი გადაახდეინეს მღვდელსა. გაუნათლებელნი არიან, მაგრამ მაინც გრძნობენ, ჰედავთ?

— მეონი ვაუკაცი არავინ უნდა იყვეს ამ ოჯახში, — გამოეხმაურა კოროლიევი.

— არც ერთი. პეტრ ნიკანორისი წელიწად ნახევარია, რაც გარდაიცვალა და მარტონი დავრჩით. ასე ვსცხოვრობთ სამნი. ზაფხულობით აქა და ზამთრობით მოსკოვში. აგრე თერთმეტი წელიწადი იქნება, რაც ამ ოჯახში ვცხოვრობ შინაურსავით.

ვახშმათ ქათმის კატლეტები და თაფლში მოხარული ვაშლი მოიტანეს, სასმელები სულ ძვირფასი, საფრანგეთიდამ მოტანილი ჰქონდათ.

— თუ ღმერთი გწამთ, ნუ მოგვერიდებით, ბ. ექიმო, — ეუბნებოდა ხრისტინა დიმიტრიევნა და თან მუშტით იწმენდდა ტუჩებს; როგორც ეტყობოდა, გუვერნანტეას არა აკლდა რა ამ ოჯახში. — მიირთვით, თუ ღმერთი გწამთ.

ვახშმის შემდეგ ექიმი მეორე ოთახში გაიყვანეს, სადაც ლოგინი უკვე გაშლილი დაუხვდა, მაგრამ ძილი როგორლაც არ ეყარებოდა, მით უცეტეს იმიტომ, რომ ოთახში სიცხის ბუღი და საღებავის სუნი იდგა. კოროლიევმა პალტო ჩაიცვა და კარში გავიდა.

კარში გრილოდა, განთიადის რიერაჟი მოახლოვებული იყო უკვე და ნესტიან ჰაერში ხუთივე შენობა და საწყობები მოსხანდნენ. დღესასწაულის გამო მუშაობა შეჩერებული იყო, ფანჯრებში სინათლე არსად მოსხანდა, გარდა ერთი სახლისა, სადაც ცეცხლს ჯერ ისევ გიზგიზი გაუდიოდა და საკომლედან ბოლთან ერთად ალის წითელი ენაც გამოჩნდებოდა ხოლმე. შორს, ეზოს იქით, ბაყაყების ყიყინი და ბულბულის სტვენა-გალობა ისმოდა.

ამ შენობებს და მუშების დასაძინებელ სახლებს რომ უყურებდა ექიმი, ჯიუტად ისევ იმას ჰფიქრობდა, რასაც ყოველ-თვის ქარხნის მაყურებელი გაივლებდა ხოლმე გულში.

ვსთქვათ წარმოდგენებს უმართავენ მუშებს, ლექციებს უკითხავენ, ექიმები ჰყავთ იმათთვის მოწვევული. ყველა ეს ძალიან კარგია, მაგრამ დღეს რომ მუშები შეხვდნენ გზაში, ისინიც ისეთები იყვნენ, როგორებიც სიყმაწვილეში უნახავს, იმ დროს, როცა არც წარმოდგენებს უმართავდნენ და არც ექიმები სწამლობდნენ. კოროლიევი, როგორც ექიმი, ქარხანასაც იმ მოურჩენელ სენათ სთვლიდა, რომელთა მიზეზი მედიცინას ჯერ თუმცა ვერ გამოუკვლევია, მაინც სწამლობს კი ამ სენით შეპყრობილთ. იო, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ლექციების კითხვას, წარმოდგენებს, და სხვა გონიერ გასართობებს ისე უყურებდა ექიმი, როგორც უიმედო ავადმყოფის წამლობას.

„აქ რაღაცა საიდუმლობაა დაფარული — ჰფიქრობდა ექიმი, გაჩირალდნებულ ფანჯრებს რომ უყურებდა. — ათასი და ათას ხუთასი მუშა შეუსვენებლივ, დაუღალავათ მუშაობს საძაგლ ჰაერსა და უსუფთაობაში იმიტომ, რომ უვარვისი ჩითი გააკეთონ და ნახევარზედ მშიერები მხოლოდ სამიკიტნოში გამოფხილდნენ ხოლმე ამ თავბრუდამხვევ ვაი-ვაგლახისაგან; ასი თუ ორასი კაცი თვალყურს ადევნებს ამ მუშაობას, მაგრამ მოელი იმათი დრო და ძალა მხოლოდ იმაში მიდის, რომ ჯარიმები სწერონ, იგინონ, ილანძლონ და უსამართლობა ჩაიღინონ, იმ დროს, როცა ყველა ამითი ორი თუ სამი ადამიანი სარგებლობს და თავიანთ ქარხნებშივე გაკეთებულ ჩითეულობას არა კადრულობს და, რასაკვირველია, არც როდისა ხმარობს. მაგრამ რაშე მდგომარეობს ეს სარგებლობა, რას ჰპოულობენ ისინი ამ მუშაობაში? ლიალიკოვის ქვრივი და იმისი ასული ლიზა ყოვლად უბედურნი და საბრალონი არიან და თუ ვინმე სარგებლობს ამოდენი სიკეთით, ისევ ნახევარზედ გამოტარალანებული, სათვალეიბიანი ქალი ხრისტინა დიმიტრიევნა თუ. ბოლოს კი გამოდის სისულელე — ათას ხუთასი კაცი იმიტომ მუშაობს განუწყვეტლივ და ნახევარზედ დამპალი ჩითი იმიტომ იყიდება აღმოსავლეთის ბაზრებში, რომ ხრისტინა დიმიტრიევნამ ძვირფასი თევზეულობა მიირთვას და ზედ მადერა დააყოლოს“.

ჰერში უცბათ ისევ ის საოცარი ხმა გაისმა, რომელიც ვახშის წინ გაიგონა კოროლიევმა. ერთ შენობასთან ვიღაცა ლითონის ფიცარს ჩაჭრისა სცემდა. მაგრამ იმ წუთშივე რაღაცას მიადებდა ხოლმე, რომ ხმა შეეჩერებინა. საძაგელი და უსიამოვნო „დერ... დერ... დერ“-ი ისმოდა. შემდევ ნახევარი წუთი სიჩუმე და მეორე შენობასთანაც გაისმა იმ ნაირივე მოკლე და შეეჩერებული ხმები, მთოლოდ ეხლა უფრო დაბალი და უფრო ცუდი და უსიამოვნო, თითქოს ლითონის ფიცარი „დრინ... დრინ... დრინ“-ს იძახისო. თერთმეტი. ალბათ ყარაულები თერთმეტს საათს აუწყებდნენ მუშებს.

მესამე შენობასთ ნ „უაკ... უაკ... უაკ...“ გაისმა. ასე ყველა შენობასთან გაიმეორეს, კაცს ეგონებოდა ღამის წყველიადში თითონ ეს წითელ თვალება საკვირველება, თითონ სატანა არღვევს ღამის სიჩუმეს, სატანა, რომელიც ასე უწყალოდ დაპირისებია მუშებსაცა და ბატონებსაც და ერთსაც და მეორესაც ატყუილებს უსინიდისოთაო.

კოროლევი ეზოდამ მინდორში გავიდა.

— ვინ არის? — შეეხმაურა ვიღაც უხეში და უზრდელი ხმით.

„თითქოს სატუსალოაო...“ — გაიფიქრა ექიმმა და უცნობს არა უპასუხა რა.

ბულბულთა სტვენა-გალობა და ბაყაყთა ყიყინი აქ უფრო გვაფილდ ისმოდა, ვიდრე შიგ ეზოში, და ყველა ნაბიჯზედ მაისის სუნნელება ტრიალებდა. სადგურიდამ მატარებლის ხმა მოდიოდა; სადღაც ნამძინარევი მამლები ყიოდნენ, მაგრამ ღამე მაინც მიყვეჩებული იყო და ქვეყანას დინჯათ ეძინა. მინდორში ერთ ალგას ხე-ტყე ელაგა, კოროლიევი ფიცრებზედ ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა.

„მარტო ერთი გუვერნანტკა ჰერძნობს აქ თავის თავს კარგათა და ეს ამოდენა ქარხანა მარტო იმისთვის ჰმუშაობს. მაგრამ ეს შემცდარი აზრია, გუვერნანტკა ისე ტყუილად, თვალების ასახვევად არის ბეჭნიერად დასახული. უმთავრესი კი, ვისთვისაც ამოდენა ოშტრიალი და ვარ-ვაგლახია ატეხილი, განხლავთ სატანა, დიალ სატანა.“

და თუმცა სატანისა და ეშმაკებისა ექიმს არა სჯეროდა-რა, მაინც ჯიუტად ჰყიქრობდა მათზედ და ორ გაჩირალდნებულ ფანჯარას უყურებდა. იმას ეკონა, ამ ცეცხლის თვალებით ის სატანა მიყურებს, რომელმაც ძლიერთა და სუსტის დამოკიდებულება შეჰქმნა, შეჰქმნა ის შეცდომა, რომლის გასწორება ყოვლად შეუძლებელია ეხლაო. საჭიროა, რომ ძლიერი სუსტის ხელს უშლიდეს, ცხოვრებას უფუკებდეს და უმწარებდეს, ეს ბუნების კანონია, მაგრამ ეს აზრი გასაგებია მხოლოდ გაზრდის წერილში, რომელისამე სახელმძღვანელო წიგნში, მაგრამ იმ დომხალში კი, რომელსაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება წარმოადგენს, ეს კანონი კი არა, ლოლიკურ შეცდომას, უსაბამობას შეადგენს. როდესაც ძლიერიცა და სუსტიც ერთად ეკვემდინ, როგორც ურთ-ერთის დამოკიდულების მსხვერპლი, როდესაც ორთავენი ერთნაირად ექვემდებარებიან რაღაც უხილავ, ცხოვრების გარეშე მდგარ, მაგრამ ყოვლად მძლავრ და შეძლებულ ძალის, მაშინ კაცს თავბრულ ესხმის და მათი შეგნება შეუძლებელი ხდება მისთვის. ასე ჰყიქრობდა კოროლიევი და ეგონა, ეს უხილავი და იდუმალი ძალა აქ სადღაც ახლოა და ჩუმად მეცა მწვერავს ამ უამაღაო. ამასობაში აღმოსავლეთი ჰყითრდებოდა, დრო ჩქარის ნაბიჯით გარბოდა წინა. საქართველო შენობები განთიადის მკრთალ სინათლეზე, როდესაც ჰაქანებად არავინ მოსჩანდა, თითქოს ცხოვრება თავის მსვლელობაში უცბათ შეჩერებულა და გაყინულაო, ისე არ მოსჩანდნენ, როგორც დღისით. ექიმს სულ დაავიწყდა თუ ამ შენობებში ორთქლით მომუშავე მანქანები, ელექტრონი და ტელეფონები იყო გამართული, იმას სულ დაბალი თაღები და ქვის საუკუნე იგონდებოდა და ყველგან უხეში, უგონო და მარტო ფიზიკური ძალის და ღონის სიახლოესა ჰერძნობდა...

ისევ გაისმა დერ... დერ... დერ...

თორმეტჯერ. მერე სიჩუმე, ნახევარი წუთის სიჩუმე და ეზოს მეორე კუნკულში გაისმა:

— დრინ, დრინ, დრინ...

— უჰ, რა საძაგლობა! — გაიფიქრა კოროლიევმა.



— უაკ... უაკ... — გაისმა მესამე მხარეს, თითქოს გვიშვილი რებითაო — უაკ... უაკ!..

და მარტო იმისთვის, რომ თორმეტი საათი ეცნობებინათ, ოთხი წუთი მოანდომეს. მერე კვლავ მიყრუვდა ხმაურობა, თითქოს ყველაფერი სიკვდილშა შთანთქა და სიცოცხლე ყველან მოისპოო.

კოროლიევი ცოტა ხანს კიდევ დარჩა და თუმცა სახლში დაბრუნდა, ლოგინში მაინც არა წვებოდა. მეზობელ ოთახში ჩურჩული, ფეხსაცმლის და ტიტველა ფეხების ბარტყუნი იმოდა.

— იქნება კიდევ მოუარა? — გაიფიქრა კოროლიევმა და ავადმყოფის სანახვად გავიდა. ოთახებში სინათლე შემოსულიყო კიდეც და დარბაზში კედლებსა და იატაკზე დილის მზის სუსტი სხივები დაკროხოდნენ. ლიზას ოთახის კარები ყურამდის ღია იყო, თითონ ლიზა შალში გამოხვეული დაუგარცხნელი თავით სავარძელში იჯდა. ფანჯრებზედ ფარდები ჩამოეშვათ.

— როგორა ჰერძნობთ თავსა? — დაეკითხა კოროლიევი.

— გმადლობთ.

ექიმმა ჯერ მაჯა გაუსინჯა და მერე თმა გაუსწორა შებლზედ.

— თქვენ კიდევ არა გძინავთ, — უთხრა ექიმმა. — კარში ჩინებული ამინდია, გაზაფხული კარებზე მოგვდგომია, ბულბულნი და სხვა ფრინველნი სასიამოდ ჭიკჭიკებენ და თქვენ კი ჩამობნელებულ ოთახში დამჯდარხართ და რაღაცაზედ ჭიიქრობთ.

ქალი ყურს უგდებდა და სახეში შესკეროდა ექიმს, თვალები ნაღველით ჰქონდა სავსე და ეტყობოდა რიღაცის თქმა უნდოდა.

— ხშირად მოგდით ხოლმე ეგრე? — დაეკითხა ექიმი.

ლიზამ ძლივს გაანძრია ტუჩები და მიუგო:

— ხშირად. მე თითქმის ყოველ ღამეს ასე საძაგლად ვატარებ.

ამ დროს ყარაულებმა ორი დაპკრეს ლითონის ფიცარს, გაისმა — „დერ... დერ“ და ლიზა შეკრთა, ეტყობოდა, მთელ სხეულში ურუანტელმა დაურბინა.

— გაწუხებთ ეს ჩმაურობა? — დაეკითხა ექიმი.

— არ ვიცი. მე ყველაფერი მაწუხებს აქა, — მიუგო ქალმა და დაპტიქტრდა. — ყველაფერი მაწუხებს. მე თქვენ ხმაში თანაგრძნობა მესმის და გნახეთ თუ არა, იმ წუთშივე მივხვდი, რომ თქვენთან ყველაფერზე უნდა შეიძლებოდეს ლაპარაკი.

— ილაპარაკეთ, მე გთხოვთ.

— მე მინდა ჩემი აზრი გაგიზიაროთ. მე მგონია, რომ მე აფად კი არა ვარ, ვწუხეარ მხოლოდ და მეშინიან, რადგან ვიცი, რომ ასე უნდა იყვეს და სხვაფრივ არ იქნება არასგზით. რაც უნდა სალი აღამიანი იყოს, ისიც კი ვერ იპოვნის მოსვენებას, თუ ეცოდინება, რომ იმის ფანჯრის წინ ყაჩაღი დადის და ყაველ წუთს შემთხვევას ეძებს, რომ გაპარცვოს. მე ხშირად მწამლობენ, — განაგრძობდა დარცხვენით ქალი და ძირს იყურებოდა, — მე, რასაკვირველია, დიდი მადლობელი ვარ და წამლების სარგებლობას არც უარსა ვყოფ, მაგრამ მე ექიმი კი არა, მეგობარი მეჭირვება, მეგობარი, რომელიც ჩემ აზრსა და მსჯელობას მოისმენს და მეტყვის, მართალი ვარ თუ მტყუანი.

— განა მეგობრები არა გყავთ, მერე? — დაეკითხა კოროლიევი.

— მარტოთ მარტო ვარ. მართალია, დედა მყავს და ძალიანაც მიყვარს, მაგრამ მე მაინც მარტოთ მარტო ვარ. ასე მოეწყო ჩემი ცხოვრება... ჩემსავით მარტოდ მარტო დარჩომილნი ბევრსა კითხულობენ, მაგრამ ცოტას ლაპარაკობენ; მათი ცხოვრება იღუმალობით არის ხოლმე სავსე; ისინი მისტიკები არიან და ხშირად იქა ჰედავენ ეშმაკებს, სადაც მათი სხენებაც კი არ შეიძლება. ლერმონტოვის თამარაც მარტოთ მარტო იყო დარჩომილი და იმიტომ ჰედავდა დემონს.

— თქვენ ბევრსა კითხულობთ?

— ძალიან. არც საკვირველია, რადგან სულ თავისუფალი ვარ, დილიდან საღამომდის მოყოლებული. დღე ვკითხუ-



ლობ და ლამ-ლამობით კი თავი ცალიერი მაქვს, აზრების ნჩცლა
ლად რაღაც აჩრდილნი დაბინავდებიან ხოლმე მასში.

— ხომ არაფერსა ჰქედავთ ხოლმე ლამ-ლამობით? — და-
ეკითხა კოროლიევი.

— არა, მაგრამ ვგრძნობ კი...

ქალმა კვლავ გაიღიმა და ჭკუთა და ნაღველით სავსე
თვალები ექიმს მიაპყრო; ექიმი ჰქედავდა, რომ ლიზას რწმენა
ჰქონდა მისი, უნდოდა წრფელად მოჰლაპარაკებოდა და ეგონა
უსათუოდ ექიმიც ჩემსავით ჰფიქრობსო, მაგრამ მაინც ჩემთ
იყო და ვინ იყის იქნება უცდიდა, რომ თითონ ექიმს და-
ეწყო ლაპარაკი.

ექიმმა კარგად იცოდა, რაც უნდა ეთქვა; იმისთვის ნა-
თელი და აშეარა იყო, რომ ლიზას რაც შეიძლება, ამ ქარ-
ხნისა და მილიონისთვის, თუ კი ჰქონდა ეს მილიონი, მალე
უნდა დაენებებინა თავი. იმისთვის ისიც ცხადი იყო, რომ
ქალიც ამას ჰფიქრობდა, თუ ჯერ არაფერ ზომებს რეგბდა
ამ აზრის განხორციელებისათვის, არ იღებდა მხოლოდ იმი-
ტომ, რომ ვისმეს რჩევას ელოდა, მხოლოდ სანდო და საიმედო
კაცის რჩევას კი.

ექიმმა არ იცოდა როგორ დაეწყო და სათქმელი როგორ
ეთქვა. როგორ? როცა დამნაშავეს რამე სასჯელს მიაყენე-
ბენ, როგორლაც მოუხერხებელია ჰქითხო, რა დანაშაულისა-
თვის დაგსაჯესო; აგრეთვე მდიდარსაც ვერ ჰქითხავ — რად
გინდა მაგოდენა ფული, რისგან არის, რომ ასე ცუდათ იხმა-
რებ მაგოდენა სიმდიდრეს და რატომ თავს არ ანებებ, როცა
ჰქედავ, რომ შენ უბედურების საგანს სწორედ ეგ სიმდიდრე
შეაღევნსო? თუ ვინმე გაჰქედავს და მაინც დაიწყებს ამ საგან-
ზედ ლაპარაკს, როგორლაც დარცხვენილი და გრძელი გამო-
დის ხოლმე ეს ლაპარაკი.

როგორ ვუთხრა? — ჰფიქრობდა კოროლიევი. ან კი საჭი-
როა ამის თქმა? და პირდაპირ არა, მაგრამ მაინც სკადა ის,
რის თქმასაც აპირებდა:

— როგორც პატრონი ამ ქარხნებისა და დიდი სიმღრის მემკვიდრე, ოქვენ უმაყოფილო ხართ, არა გჯერათ, რომ ამ-დენი უფლებები თქვენ გეკუთხნდეთ და ამიტომ არა გძნავთ. რასაკვირველია, ეგ უძილობა ბევრით სჯობია მშვიდათ და ქმაყოფილებით ცხოვრებას. ასე რომ ვსთქვათ, თქვენ პატრიგსადები უძილობა გაქვთ; რაც უნდა იყენე, ეს კარგი ნიშანია. მართლადაც და ჩვენი მამა-პაპა ხომ არასოდეს არ ილაპარაკებდა ამ საგნებზედ; დამ-ღამობით ისინი ბასობის ნაცვლად თბილ ლოგინში გორაობდნენ და ტებილად, უშფოთველად ეძინათ; ჩვენ კი არ გვძინავს, ვიტანჯვით, ბევრსა ვლაპარაკობთ და სულ იმის კითხვაში ვართ — მართლები ვართ თუ არაო. ჩვენი შვილები და შვილი-შვილები ამ კითხვაზედ თავებს აღარ დაიმტვრევენ, ეს კითხვა გადაწყვეტილი იქნება მათთვის. ისინი ჩვენზედ კარგათ მთაწყობენ თავიანთ ცხოვრებას. კარგი იქნება ორმოცდაათი წლის შემდეგ ცხოვრება, მე ის მენანება მხოლოდ, რომ ჩვენ აღარ ვიქნებით მაშინ ქვეყანაზედ. კარგი კი იქნებოდა, რომ შორიდამ მაინც მოგვეკრა თვალი მისთვის.

— მაშ რას იზამენ ჩვენი შვილები და შვილი-შვილები? — დაეკითხა ლიზა.

— რა ვიცი... ალბად, ყველაფერს თავს მიანებებენ და წავლენ.

— სად წავლენ?

— სადა?... საცა უნდათ, — სთქვა კოროლიევმა და გაიცინა. — განა პატიოსან აღამიანს ცოტა გზა აქვს ცხოვრებაში? ექიმმა საათს დახედა.

— მზე ამოვიდა კიდეც, — სთქვა ექიმმა. — დროა დაიძინოთ. გაიხადეთ და დაიძინეთ მშვიდათ. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ გავიცანით, — ეუბნებოდა ექიმი და ხელს ართმევდა ლიზას. — თქვენ მეტად და მეტად საინტერესო აღამიანი ყოფილ-ხართ. ლამე მშვიდობისა.

ამ სიტყვებით გავიდა თავის ოთახში და დაწვა დასაძინებლად.

მეორე ღღეს, ეტლი რომ მოიყვანეს და ექიმმა წასვლა დააპირა, ყველანი ეზოში გამოვიდნენ გასაცილებლად. ლიზა დღესასწაულებრივ, თეთრ კაბაში მორთულიყო, თმაში ვარდი გაეკეთებინა, მაგრამ სახე მაინც დაღვრებილი და გადაფიორებული ჰქონდა. ის გუშინდელსავით სევდიანი და ჭკვიანი ოვალებით ისე შესცემოდა ექიმს და ისე ელაპარაკებოდა, თითქოს რიღაცის თქმას უპირებს, მაგრამ ჯერ ვერ გაუბედნიაო, ისეთი რიღაცის თქმას, რასაც მხოლოდ იმას და სხვას კი არავის გაუზიარებსო. ჰაერში ტოროლას სიმღერა და ეკკლესიის ზარის ჩეკვა ისმოდა. საქართვო შენობის ფანჯრები მხიარულად ბრჭყვიალებდნენ დილის მზის სხივებზედ და გზოში რომ მიღიოდა კოროლიევი, აღარც მუშებზედ, აღარც თაღებზედ და აღარც სატანაზედ აღარ ჰფიქრობდა. მას ებლა ის ბედნიერი დრო ელანდებოდა, როცა ცხოვრება დღევანდელ მშვიდ და კვირა დღესავით ნათელი და მხიარული შეიქმნებოდა, ჰფიქრობდა რა კარგია და სასიამოვნო გაზაფხულის თბილ დილას ეტლში იჯდე, ცხენები მიგაქროლებდნენ და მზის სხივები ნაზათ გათბობდნენ.

ი. ბ—გი.



მოჩვენებანი

დრამა სამ. მოქმედებად

ჭერის იბსენისა

(თარგმანი)

(დასატრული *)

მოქმედება მიორე

(ისევ ის თახი. ისევ მოქურუშებული დანდჟაფრი. პატო-
რი მ.ნდერისი და ქ-ნი ალინგისა გამოდიან სასადილო თა-
ხიდან)

აღგანგ. (კარებშივე) გაამოთ სადილი, ბ-ნო პასტორო! (მერე
სასადილო თახისი შესძახებს) ოსვალდ! შენ კი არ გა-
მოხვალ ჩვენთან?

ასებად. (სასადილო თახიდან) გმადლობთ, ცოტას გავისეირ-
ნებ.

აღგანგ. ძალიან კარგს იზამ; ცოტა გამოიდარა კიდეც. (სა-
სადილო თახის კარებს მაგრა გამოიხურავს. მერე მივა
დერეფნის კარებთან და გასძახებს) რეგინა!

რებ. (დერეფნიდან) რა გნებავთ?

აგლეგანგ. ჩადი ძირს სამოახლოში და სხვებს ყვავილების შე-
კონვა უშველე.

რებ. ამ საათში გიახლებით!

*) იბ. „მოამბე“ № VII, 1904 წ.

- აღგინგ.** (დარწმუნდება, რომ რეგინა წავიდა და კარებს დახურავს).
- პასტ.** ოსვალდი ხომ უურს არ დაგვიგდებს?
- აღგინგ.** კარები მაგრადაა მოხურული, ოსვალდი კი სასეირნოდ წავიდა.
- პასტ.** თავი მირატრატებს... ან კი პირში ლუკმა როგორ ჩაეიდე.
- აღგინგ.** (თავ-დაჭერით ბოლთასა სცემს) მეც კი კრიქა მქონდა შეკრული, მაგრამ რა შავი ქვა მექნა!
- პასტ.** მართლა და რაუნდა ჰქნათ. მე სრულებით გამოუყდელი ვარ ამ გვარ შემთხვევებში.
- აღგინგ.** დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის ჯერ არაფერი უბედურება არ მომხდარა.
- პასტ.** რასაკვირველია. ღმერთმაც დაიფაროს, მაგრამ ამ გვარი დამოკიდებულება დიდი უზნეობა-კი-ა!
- აღგინგ.** დამერწმუნე, ეს უბრალო თავხედობა იყო ოსვალდის მხრივ.
- პასტ.** ეკი მოგახსენეთ, მაგ გვარ საქმეებში არა მესმის რამეთქი, მაგრამ მაინც მგონია, რომ...
- აღგინგ.** დიახ, რეგინა უნდა ახლავე დაიკარგოს ჩემის სახლიდან, უნდა როგორმე თავიდან მოვიშორო.
- პასტ.** უცილობლათ.
- აღგინგ.** მაგრამ საით გავისტუმრო. ხომ არ შეიძლება უმიზეზოდ სახლიდან გავაგდო.
- პასტ.** საით გაისტუმრო? რასაკვირველია, თავისს სახლისკენ... თავისს მამასთან.
- აღგანგ.** ვისთან? რა სთქვით?
- პასტ.** თავისს მამასთან მეთქი, მაგრამ... დალახვროს ღმერმა ეშმაკი, ენგსტრანდი ხომ... ღმერთო დამიტარე მე ცოდვილი. ქნო ელენე, ხომ არ სცდებით, ნუ თუ მართლა რეგინა შენი ქმრის უკანონო შეილია?
- აღგინგ.** სამწუხაროდ, არა ესცდები. რეგინას დედა იოჰანნა ყველაფერში გამომიტყდა და არც ალვინგი ამბობ-

და უარს. ამიტომ ყოველი ღონე ვიხმარე, რომ მათი ურთიერთობა მომესპონ და მათი გარყვნილება მაღლ მიმეფანიერებინა.

პასტ. სხვა გზა არა გქონდათ-რა?

ალგინგ. მოახლე დაუყოვნებლივ დავითხოვე და, რომ ხმა-ჩაწყვეტილი ყოფილიყო, საქმაო თანხაც მივეცი, დანარჩენი თვითონვე მოახერხა. ქალაქში რომ ჩა-ვიდა, მონახა თავისი ძველი ნაცნობი ენგსტრანდ-დურგალი, უამბო რამდენი ფულიცა ჰქონდა, და-არწმუნა, რომ მისი შემცდენელი ამერიკიდან მო-სული მეზღვაური იყო და—ახლა დაკარგულაო. ცოტა ხნის შემდეგ ჯვარიც გადაიწერეს... თვითონ თქვენ არ დასწერეთ ჯვარი?

პასტ. დიახ, მახსოვეს, ძალიან კარგათ მახსოვეს, როდესაც ენგსტრანდი მოვიდა ჩემთან ჯვარის დასაწერად. ღმერთო ჩემო, როგორი შეწუხებული იყო იმის გამო, რომ ჯვრის წერამდის ისა და მისი საცოლო უკვე შემცდარიყვნებო.

ალგინგ. ენგსტრანდს თავისს თავზე უნდა მიეღო ჟველაუე-რი, ასეთი პირობა ჰქონდათ.

პასტ. მერე ასეთი უსირცხვილო მოტყუება განა იქნება? მერე ვის ატყუებდა ის საძაგელი ენგსტრანდი, მე? არა, ახლა კი საშინაოთ გავლანდავ იმ საზიზლარ-სა... განა ფულის გულისათვის შეიძლება კაცმა ასეთი უზნეო ქორწინება იყისროს? დიდი თანხა ჰქონდა თქვენს მოახლეს?

ალგინგ. სამასი დალერი.

პასტ. წარმოსადგენია, რომ სამასი დალერისათვის კაცი დაცემულ დედაკაცს დაემეულლოს?

ალგინგ. ჩემზე რას იტყვი? მეც ხომ დაცემულ კაცს გავყე ცოლად!

პასტ. მამავ ზეციერო, შენ დაგვიფარე! რას ამბობთ, დაცე-მული კაციო?

- აღვინგ.** იქნება თქვენა გვონიათ, რომ ალვინგი გვირგვინ-
ქვეშ უფრო წმინდა იყო, ვიდრე იოპანნა, როდესაც
იგი ენგსტრანდთან ერთათ წარსდგა საკურთხევლის
წინაშე?
- პასტ.** რას ბრძანებთ, ბატონო, განა შედარება კი შეი-
ლება?
- აღვინგ.** რასა კვირველია, არ შეიძლება! ჩეგინას რაღაც სამის-
ოთხასი მანეთი ჰქონდა, ხოლო ილვინგის კი აუ-
რებელი სიმდიდრე.
- პასტ.** შედარებაც არ შეიძლება მეოქი! თქვენ ალვინგს
სიყვარულისა და თქვენის მახლობელთა რჩევით. —
(ჰასტროს დაცუქერდება) ა, თქვენ კარგად იცით, მაშინ
მე ვინც მიყვარდა!...
- პასტ.** (გახდეთ რებით). მე რომ მგონებოდა მაგისთანა რამ,
თქვენის ქმრის სახლში ფეხსაც არ დავადგამდი.
- აღვინგ.** ასეა თუ ისე, ესლა ხომ გჯერათ, რომ მე ჩემ გუ-
ლის თქმას არ ავყოლივარ.
- პასტ.** სამაგიეროდ თქვენ აჰყევით თქვენის ნათესავების
რჩევას და ისეც მოიქეცით, როგორც მოვალე იყა-
ვით. თქვენ დაუჯერეთ თქვენის დედისა და ორის
დეიდის რჩევას.
- აღვინგ.** დიახ, საუბედუროთ ჩემდა, ჩემ ჩაგიერ ისინი სჯიდ-
ნენ და ჰავირობდნენ. იმათ ეგონათ, მდიდარის სა-
ქმროს ხელში ბედნიერი ვიქნებოდი. ოხ! ნეტა ახ-
ლა დედა ჩემი წამოახედა და დაანახეა, როგორი
ბედნიერიცა ვარ!
- პასტ.** განა ვინ არ-ს დამნაშავე, მომავალში რომ რაიმე
უბედურება მოუხდეს კაცსა? თქვენი ქორწინება
სრულ კანონიერებაზე მაინც იყო დამყარებული.
(ფასხვანისთან შავა) დიახ. ჩვენი ქორწინება კანო-
ნიერობაზე იყო დამყარებული! მაგრამ მე მგონია,
რომ ხშირათ სწორეთ ეს კანონიერობაა ხოლმე
ქვეყნის დამლუპველი.

- პასტ.** ღმერთს ნუ სკოდავთ, ქალბატონო!
- აღვინგ.** დევ ვცოდავდე, მაგრამ მე მსურს ამიერიდგან ყოველივე კავშირი გავსწიოტო ამ წესიერებასთან. მე აღარა მსურს ხელ-ფეხ შეკრული ვიყო რაღაც ჩვეულებებითა და პირობებით. მე მსურს სრულიად თავისუფლათ ვიმოქმედო.
- პასტ.** მაგით რა გინდა სთქვათ?
- აღვინგ.** (ფანჯრის მიწებზე თათებს ათაშაშებს) მე არ უნდა დამემალა ალვინგის ყოფა-ცხოვრება. მაგრამ იმ დროს ვერა ვძელავდი მისს საზიზღარის ყყოფა-ქცევის გამომჟანებას. მეშინოდა იმიტომ, რომ მხდალი ვარ.
- პასტ.** მხდალი ხართ?
- აღვინგ.** დიახ, მხდალი! ქვეყნის ყბის მეშინოდა. მე რომ მაშინ ალვინგის ყოფა-ქცევა გამომემულავნებინა, ისევ მე გამამტყუნებდნენ, მან რა უნდა ჰქნას საბრალომ, ცოლი გაურბისო.
- პასტ.** განა ეს ტყუილია?
- აღვინგ.** (თვალს თვალში გაუერის) მე რომ მაგარი ხასიათის დედაკაცი ვიყო, მოვიხმობდი ჩემს შეიოს და ვეტყოდი—ოსვალდ, იცი შენ, რომ მამაშენი ყოვლად გარყყნილი, ზენ წამხდარი კაცი იყო მეთქი!..
- პასტ.** ღმერთო ძლიერო!
- აღვინგ.** დაწვრილებით, გულ ახდილად ვუამბობდი ყველა იმას, რაც თქვენ გიამბეთ.
- პასტ.** ლამის გული მომაყვანიოთ, ბატონო ელენე!
- აღვინგ.** მე ძლიერ კარგათა ვხედავ. მე თითონ გული მომდის, მაგრამ ვერა ხედავთ რა მხდალი ვარ?
- პასტ.** განა იმიტომ ეძახით თქვენ თავს მხდალს, რომ დედის მოვალეობას ასრულებთ? განა თქვენ არ იცით, რომ შეილებმა თავის დედმამას პატივი უნდა სცენ?
- აღვინგ.** სიტყვებს ტყუილათ ნუ ვეჭიდებით, გადაჭრით მითხარი, განა ოსვალდი მოვალეა, რომ ალვინგს პატივი სცენ?

- შასტ.** ნუ თუ ასეთი გულ-ქვა ხართ, რომ გინდათ ოქვენ
შვილს იდეალები შეელიანს?
- აღვინგ.** სიმართლეს, სიმართლეს რაღა პასუხს იძლევთ?
- შასტ.** რა ეშველება იდეალებს!
- აღვინგ.** აგიხირებიათ იდეალები, იდეალებიო. ოხ, ნეტა კი
ასეთი მხდალი არ ვიყო, თორებ...
- შასტ.** აგრე აბუჩათ ნუ იგდებ იდეალებს, ბატონო ელე-
ნე, თორებ განანებენ. მით უმეტესს, რომ საქმე
შენ ოსვალდს შეეხება. რამდენათაც მე ვიცი,
ოსვალდს დიდი იდეალებიც არ აქვს, მაგრამ მამა
მისის სახელი კი მისი იდეალია.
- აღვინგ.** თქვენ მართალი ხართ.
- შასტ.** თქვენისა და ჩვენი წერილების მეოხებით ოსვალდს
თავისი მამა განხორციელებულ პატიოსნებად ჰყავს
წარმოდგენილი.
- აღვინგ.** დიახ... მე მაშინ ჩემის მოვალეობათა ზე გავლე-
ნის ქვეშ ვმოქმედებდი. მაშინ ასე მესმოდა და
ამიტომ მე წლითი-წლობამდე ვატყუვებდი ჩემს
პაწიას. ოხ, რა მხდალი ვიყავ, რა მხდალი!
- შასტ.** თქვენ შთაუნერგეთ ოქვენ შვილს ტკბილი ოცნე-
ბანი, ბატონო ელენე, და აგრე ზიზლით არ უნდა
იხსენიებდეთ ოქვენ საქციელს.
- აღვინგ.** მერე კარგათ კი მოვიქეცი? მეტი გზა არ არის,
დავიწყებას უნდა მივცე ოსვალდისაგან რებინასთან
გახუმრება. ოსვალდს უფლება არ აქვს უმანკო ქა-
ლი გააუბედუროს.
- შასტ.** ოხ, ღმერთო ჩემო, ეგ ხომ საშინელება იქნება!
- აღვინგ.** ნეტა დარწმუნებული ვიყო, რომ ოსვალდს ძალუ-
მად უყვარს რეგინა და რეგინას შერთვით ბედნიე-
რი იქნება...
- შასტ.** რა სთქვით? რაო?
- აღვინგ.** მაგრამ არა, რეგინა იმ გვარ ქალთაგანი არ არის,
როგორი ქალიც ოსვალდს შეჰვერის.

- შასტ.** მე ვერა გამიგია-რა. რას ამბობთ, ქალო?
- ალგინგ.** მე რომ საძაგელი, მხდალი არ ვიყო, პირდაპირ ვეტყოფი: ოსვალდ, შეირთე რევინა, ან როგორც გინდათ, ისე იცხოვრეთ, ოღონც კი თქვენ შორის დალატი ნუ იქნება-მეთქი!
- შასტ.** ღმერთო შენ დამიფარე. მათ შორის კანონიერი ქორწინება? თქმულა, გაგონილა ასეთი ამბავი?!... ალგინგ. აბა სულ-ქვეშა სთქვით, ცოტაა განა ჩვენ გარშემო ისეთი შეყვარებულნი, რომელნიც ერთმანეთის ისე მახლობელნი არიან, როგორც ოსვალდი და რევინა?
- შასტ.** მე თქვენი არა მესმის-რა!..
- ალგინგ.** უკაცრიათ, ძალიან კარგათაც გესმით.
- შასტ.** შეიძლება იშვიათი უბედურებანი გქონდეთ სახეში. სამწუხაროთ, ოჯახური ცხოვრება ისეთი წმინდა არ არის, როგორიც უნდა იყოს. მაინც დანამდვილებით, გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, რომ ძლიერ მახლობელთა შორის ხშირათ ხდებოდეს უბედურება, მაგრამ თქვენ, დედას, რომელმაც იცის ოსვალდის და რევინას ნათესავობა, თქვენ გინდათ, რომ... არა, არაფრის გულისათვის ქვეყანაზე მათი შეულოებები არა მსურს და არც ნებას მივცემ.
- შასტ.** თქვენ რომ მხდალი არ იყოთ, როგორც წელანა ბრძანეთ, მაშინ ხომ მოინდომებდით... მაცხოვარო ჩემო დამიფარე! გაგონილა ასეთი საზიზორობა, ასეთი მომაკვდინებელი ცოდვის ჩადენა?..
- ალგინგ.** ნურც აგრე გააზიადებთ, განა კაცობრიობა ამგვარი კავშირისაგან არ გაჩნდა? მერე ვინ განაწესა ასე? მაგგვარ საკითხავების განსამარტებლათ ახლა სრულიადაც არა მცალია და არც თქვენა ხართ ისეთ გუნებაზე, რომ შეისმინოთ რამე. თქვენ ეს მითხარით, განა სათქმელი, პირიდგან ამოსაშვები-კია: მხდალი ვარ, თორებაო!..

აღგანგ. მაშ ახლა კი მომისმინეთ, რის თქმაც მინდუდა. მე მხდალი და ლაჩარი იმიტომა ვარ, რომ ჩემის გულის სილრმეში მარადის დამარხულია შიში მოჩენებისა, რომელსაც თავი ვერას გზით ვერ დავახ-წიე.

შასტ. რა სთქვით, რა არის ო ქვენ გულში დამარხული?

აღგანგ. შიში მოჩენებისა მეთქი. წელან, როდესაც სასა-დილო ოთახიდან ოსვალდის და რეგინას ხმა შე-მოესმა, ასე მეგონა: ჩემ წინ მოჩენებანი აღსდგნენ მეთქი. ხან-და-ხან იმასაც კი ვფიქრობ, რომ ჩენ ყველანი მოჩენებანი ვართ. ხშირათ ჩენს გულში იღვიძებენ არამც თუ დედ-მამისაგან გადმონაცემი თვისებანი, არამედ ჩენზე ბატონობენ ძველის-ძვე-ლის ადამის ღროსი აზრები, დახავსებული, ცრუ-მორწმუნოება - შეხედულებანი. და ეს ძველთაგან გადმონაცემი სულთა-სწრაფუანი ისე ღრმათ არიან დამარხული ჩენის გულის სილრმეში, რომ ვერას გზით თავი ვერ დაგვილწევია. ხშირათ, უბრალო გაზეთის კითხვის ღროსაც კი, ასე მგონია სტრი-ქონებსა და სტრიქონებ შორის მოჩენებანი დახე-ტიალობენ მეთქი, ასე მგონია, თვით მთელი ქვეყა-ნა მოჩენებებით არის სავსე და მათი რიცხვი უდ-რის ზღვაში ქვიშას. ჩენ ტყვილათ კი არ ვუფრთ-ხით სინათლეს!

შასტ. აჲ! აი, სადამდის მიგიყვანეს ამ წიგნებმა. ოხ, ეს საშინელი თავისუფალის აზროვნების წიგნები!..

აღგანგ. უკაცრავად, ჩემი ბატონო, თქვენა ხართ ის კაცი, რომელმაც პირველმა დამატიქრეთ, რისთვისაც უგუ-ლითადესს მაღლობას გიძლენით.

შასტ. მე?!

აღგანგ. დიახ, თქვენ. თქვენ მაიძულეთ დავმორჩილებოდი ჩემს ბედს, ჩემს მოვალეობას, თქვენ მიქებდით და მიღიდებდით იმას, რის წინააღმდეგიც ვიყავ სუ-

ლითა და გულით, რასაც კი მთელი ჩემი არსება
საზიზზრობათ: სთვლიდა, თქვენ სამართლიანობათა
და სწორე გზათ მიგანდათ, დაგემორჩილეთ, მაგ-
რამ აღშფოთებულმა ჩემმა გონებამ მოსიურვა დაპ-
კვირვებოდა თქვენ ქადაგებას, დავუკვირდი კიდეც
და რა კი ერთი ყალბი კვანძი ვუპოვე, მთელი
გორგალი სიყალბისა დაიტუშა და ბოლოს სულ
მტვრად იქცა. მივხვდი, რომ თქვენ ხელში მარტო
მანქანა ვყოფილებარ!

- პასტ.** (ჩმა-დაბლა შეწებებული). ვაი ჩემ თავს! დახე რა ჯილ-
დო მივიღე ჩემ თავთან უძლიერესის ბრძოლის შემ-
დეგ!
- ალექსანგ.** ისა სჯობია, რომ სახელად უმცირესი და უმდაბ-
ლესი დამარცხება უწოდოთ.
- პასტ.** არა, ელენე, ის იყო უძლიერესი გამარჯვება ჩემს
ცხოვრებაში... მე გავიმარჯვე ჩემს გულის-თქმაზე.
მე დავთრგუნე ჩემი სულთა-სწრაფვა.
- ალექსანგ.** და ამით დიდი დანაშაული ჩაიდინე ჩვენის, ჩემსა
და თქვენ წინაშე!
- პასტ.** ნუ თუ ის დანაშაულობა იყო, რომ მე გითხარი:
დაუბრუნდი შენ კანონიერს მეუღლესა მეთქი? ნუ
თუ ის დანაშაული იყო, როდესაც შენ მომეხვიე
და აღტაცებით შემომძახე: „აპა წამიყვანე; მე შენი
ვარო“. ჩემი გული დავიმონე და შენი მოვალეო-
ბანი ვაგახსენე, ნუ თუ ყველა ეს დანაშაულია ჩე-
მის მხრით?
- ალექსანგ.** დიახ. ასე მგონია!...
- პასტ.** ჩვენ ერთმანეთისა არა გვესმის-რა.
- ალექსანგ.** რასაკვირველია. დიდი ხანია ჩვენ ერთმანეთს დავ-
შორდით...
- პასტ.** ჩემს სიცოცხლეში ერთ წუთსაც არ დამვიწყებია,
რომ თქვენ ჩემი მეგობრის მეუღლე იყავით. ერთ-
ხელაც არ მითიქრია თქვენ შესახებ ტკბილ-მაცდუ-
რობით...

- ელენე. იქნება თავს იტყუებდით?
- ბასტ. ელენე!..
- ალგანგ. ან რა საკვირველია. წარსული ძლიერ მალე ავიწყდება ადამიანს.
- ბასტ. მე არაფერი დამვიწყებია-რა. ისევ ისეთი ვარ, რაც ვიყავ.
- ალგანგ. (ხმს გამოიცვლის). კარგი, კმარა! თავი დავანებოთ შორს—წარსულზე ლაპარაკს...თქვენ აღარათრისათვისა გცალიანთ. ათასმა კომისიებმა და მმართველობებმა გშთანთქეს. მე კი ვებრძვი და აჩრდილივით დავხეტიალებ როგორც შინაგან, ისე გარეგან მოჩვენებათა შორის...
- ბასტ. გარეგან მოჩვენებებთან ბრძოლაში კი მე დაგეხმარებით. მას შემდეგ, რაც მე აქ ძრწოლით მოვისმინე, ნებას არავის მივცემ, რომ უმანკო ქალი დაღუპონ!
- ალგანგ. თქვენის აზრით, უკეთესი იქნება, რომ რეგინას შესაფერი საქმრო ვუშოვნოთ?
- ბასტ. რასაკვირველია. რეგინა ამ უამათ ისეთ ხანშია, რომ...
- ალგანგ. დიახ, რეგინა ადრე მომწიფდა.
- ბასტ. მართლადაც ძალზე შეღებული მეჩვენა, როდესაც პირველ ზიარებისათვის მოვამზადე. ჯერ-ჯერობით რეგინა უნდა გავგზავნოთ თავისს მამის სახლში. მაგრამ რათ მავიწყდება, რომ ენგსტრანდი რეგინას მამა არ არის, ობ ის საზიზლარი, რისთვის მიმალავდა კეშმარიტებას!..
- (კარების ჭავჭავი მოისმის)
- ალგანგ. ვინ უნდა იყოს! მობრძანდით!...
- ენგსტრან. (სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწუთილი კარები გაჩერდება) მაპატივეთ... მაგრამ...
- ბასტ. ჰმ. ოპო!
- ალგანგ. თქვენა ხართ, ენგსტრანდ?

- ენგსტრ.** დერეფანში კაცი ვერავინა ვნახე, რისთვისაც გავ-
კადნიერდი და კარგი დავაკაკუნე.
- აღგინგ.** არა უშავს რა, მობრძანდით. მგონია, თქვენ ჩემთან
მოსალაპარაკებელი გქონდათ.
- ენგსტრ.** (შემთდის) არა, ბატონო ჩემო, მე მსურს ბ-ნ პა-
სტორს ორიოდე სიტყვა მოგახსენო.
- ჰასტ.** (ბოლოს სცემს) ვმ!... ჩემთან გსურთ მოლაპარა-
კება... თქვენ გინდათ მომელაპარაკოთ, თქვენა?
- ენგსტრ.** დიახ, ბატონო ჩემო. ძალიან მწყურიან თქვენთან
ლაპარაკი.
- ჰასტ.** (შის წინ გაჩერდება) მაშ აბა ბრძანეთ, რას მოელით
ჩემგან?
- ენგსტრ.** ის უნდა მოგახსენოთ, მოწყალენო ხელმწიფენო
ჩემნო, რომ საქმეს სულ მთლად მოვრჩით. რაც გასა-
კეთებელი იყო, ყოველივე დავამთავრეთ, ერთის სიტ-
ყვით, აღარაფერი საქმე აღარა გვაქვს რა, მაშასა-
დამე, მგონია, ურიგო არ იქნება და შესაფერიც
არის, რომ ჩვენის პატიოსანის შრომის დამთავრე-
ბის შემდეგ იქ, დაბლა, ახალ შენობაში, პარაკლი-
სი გადავიხადოთ.
- ჰასტ.** პარაკლისი? ახალ თავშესაფარში?
- ენგსტრ.** დიახ, ახალ თავშესაფარში, თუ, რასაკვირველია,
ბ-ნი პასტორიც საჭიროთა ხედავს.
- ჰასტ.** რასაკვირველია, საჭიროთა ვრაცხ, მაგრამ... ამ!
- ენგსტრ.** მე იქ ხშირათ შემიკრებია ხალხი სალოცავათ.
- აღგინგ.** შენა?
- ენგსტრ.** დიახ მე! ხანდისხან სულისთვინაც ვზრუნავდი.
მაგრამ ერთი საწყალი, უბირი კაცი გახლავართ,
იმოდენა ნიჭი არა მაქვს, რომ მღვდლობა გავსწიო,
ღმერთო შემიწყალე მე ცოდვილი! და ამიტომ ვი-
ვიფიქრე, არ-კი ბ-ნი პასტორი აქ არის მეთქი...
- ჰასტ.** იცი პირველთ რა უნდა გკითხო, დურგალო ენგს-
ტრანდ, მომართული კი ხართ სალოცავათ, გან-

წმენდილი კი გაქვთ გული და გონება და ან თქვენი ი სინიდისი დამშვიდებულია?

ენგსტრ. ღმერთო დამიფარე მე ცოდვილი.—განა სინიდისზე ლიპარაკი შეიძლება, ბ-ნო პასტორი?!.

ბასტ. სწორეთ სინიდისზე უნდა ვილაპარაკოთ... აბა რას მიპასუხებთ?

ალფინგ. (შეშეფერებელი). პასტორო მანდერს!

ბასტ. (დამაშევიდებელ კილოთი). მაცალეთ, მომითმინეთ.

ენგსტრ. რასა ფიქრობ რეგინას შესახებაო? მერე ვინ ჰყითხა, რომ იმეორებს? უფალო, იქსო ქრისტე... გული მიკანკალებს. უბედურება ხომ არა მოსვლია-რა. (ალფინგისას მიაჩერდება).

ბასტ. რა უნდა მოსვლოდეს, მხოლოდ თქვენ ეს მითხარით, რა დამოკიდებულება არსებობს თქვენსა და რეგინას შორის. თქვენ ხომ იმის მამათ ითვლებით?

ენგსტრ. (გაუბედავათ). დიახ... ვმ! ბ-ნ პასტორს კარგათ მოეხსენება, რომ მე და ცხონებულ იოპანნას შორის...

ბასტ. ნუღარა სცდილობთ სიმართლის დაფარვას. თქვენმა აწ გარდაცვალებულმა ცოლმა ყველაფერი უამბო ქ-ნ ალვინგისას, ვიდრე ამ სახლს მოშორდებოდა.

ენგსტრ. ნუ თუ? მაშ იმან ყველაფერი სთქვა?

ბასტ. ნახე, ენგსტრანდ, სიმართლე არ დაიმაღა!

ენგსტრ. ის კი ისე მეფიცებოდა... იწყევლებოდა... მთელი წმინდანები ძირს ჩამოიყვანა, რომ...

ბასტ. იწყევლებოდა?

ენგსტრ. არა, ის მხოლოდ მეფიცებოდა და ამასთანავე ისე გულწრფელათ, რომ...

ბასტ. და მერე შენ ამდენი ხნის განმავლობაში მიმართდი ჭეშმარიტებას, მიმაღავდი მე, რომელიც ყოველთვის ნდობით გეპურობოდი?!

ენგსტრ. დიახ, საუბედუროთ, გიმალავდი.

ბასტ. და განა მე შენგან ეგ დავიმსახურე, მე, რომელიც ყოველ საქმეში გეხმარებოდი და როგორც შემეძ-

ლო, ისე ვზრუნავდი შენთვის? მიპასუხე, განა ღიო-
სი ვიყავ შენის მოტყუებისა?

ენგსტრ. ბევრჯელ მოვიტეხდი კისერს, ბატონი პასტორი რომ
ჩემი შემწე-მშველელი არ ყოფილიყო!

ჰასტ. და მერე რითი დამაჯილდოვე? სიცრუვე ჩიმაწერი-
ნეთ საეკკლესიო წიგნებში და ჰთელი წლების გან-
მავლობაში მიმალავდით სიმართლეს, მატყუებ-
დით. თქვენი საქციელი, ენგსტრანდ, სამარტვი-
ნოა, განსაკიცხია, და ამიერიდგან ჩემსა და თქვენს
შორის საერთო აღარა არის.რა.

ენგსტრ. (ამთაოთხრების). ეჭ, ბ-ნო პასტორო, მეცა ვხედავ,
რომ ჩეენი კავშირი გაწყდა.

ჰასტ. იმიტომ, რომ თქვენ თავის გაფრთხილება აღარ
შევიძლიათ.

ენგსტრ. დამნაშავე ვარ, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ბ-ნო
პასტორო: განა იოპანნასათვის უფრო-დამამცირებე-
ლი, სამარტვინო არ იქნებოდა, რომ თქვენთვის
ყველაფერი დაწვრილებით მეამბნა. აბა დაფიქრ-
დით, ბ-ნო პასტორო, და წარმოიდგინეთ თქვენი
თავი ისეთ გარემოებაში, როგორ გარემოებაშიაც
იოპანნა იყო...

ჰასტ. ჩემი თავი?

ენგსტრ. მაცხოვარო ჩემო, შენ დამიფარე!!.. ოისთვის შეუ-
ფოთდით, მე ისე, შედარებისთვის მოგახსენებთ.
წარმოიდგინოთ, რომ თქვენ, ბ-ნო პასტორო, რაი-
მე ცოდვა გაქვთ დასამალი ხალხის ყბისაგან... ჩეენ,
მამაკაცებმა, სასტიკათ არ უნდა განვსაჯოთ საბ-
რალო დედაკაცი.

ჰასტ. მე არცა მსურს მისი განსჯა. მე თქვენ გისაყველუ-
რებთ, თქვენ.

ენგსტრ. ნება მიბოძეთ, ბ-ნო პასტორო, მცირედი რამ გკით-
ხოთ.

ჰასტ. მკითხეთ... ბრძანეთ.

ენგსტრ. სამართლიანად, პატიოსნად იქცევა თუ არა ის კაცი, რომელიც დაცემულ დედაკაცს ხელს მისცემს და გამოაბრუნებს?

შასტ. რასაკვირველია!

ენგსტრ. მოვალეა თუ არა ის კაცი თავისი სიტყვა არ გასტეხოს?

შასტ. რასაკვირველია, მოვალეა!

ენგსტრ. როდესაც იოპანნას იმ ინგლისელის მეოხებით უბე. დურება შეემთხვა,— შეიძლება ინგლისელი კი არა, ამერიკელი იყო ან რუსი— ეშმაკმა იცის იმისი თავი და კისერი— იოპანნა ქალაქში ჩამოვიდა. წინად, საკოდავმა რამდენჯერმე მითხრა უარი, რადგანაც იმას ლამაზები მოსწონდა და მე კი ეს უბადრუკი ფეხი მაშინაც ზედ მება... თქვენ ხომ გახსოვთ, ბ-ნო პასტორო, ჩემი ნაამბობი. ერთხელ საცეკვაო საღამოზე გიახელით. იქ სულ მთვრალი მეზღვაურები იყვნენ, რომლებიც, უკაცრაული პასუხია, ლოთობის მეტს არას აკეთებდნენ. მე დავუწყე მათ ქადაგება, ლოთობას თავი დაანებეთ, ჭკუა მოიკრიფეთ და ახალი ცხოვრება დაიწყეთ-მეთქი.

ალგონბ. (ფანჯარასთან) ვე!...

შასტ. მახსოვს, მახსოვს... იმ ბრიუვებმა დაგავლეს ხელი და კიბეზე კი დაგაგორეს. დიახ, კარგად მახსოვს, შენ რამდენჯერმე გიამბნია ჩემთვის. არა უშაგს-რა, ენგსტრანდ, პატიოსნებისათვის ეგ დიდი ნაკლი არ არის.

ენგსტრ. თავის საქებრად არ მოგახსენებთ... მხოლოდ ის უნდა მეთქვა, რომ საბრალო იოპანნა მოვიდა ჩემთან, ამ კოჭლ კაცთან, და თავისი საიდუმლო გამანდო. მერე როგორ იღვრებოდა ცრემლებად, რა საკოდავად აკრაჭუნებდა კბილებს. ვერ წარმოიდგენთ, მის მაყურალს სიბრალულით გული, როგორ მეღადრებოდა!

შასტ. გული გიკვდებოდათ, ენგსტრანდ? მერე? განაგრძეთ, განაგრძეთ.

ენგსტრ. დიახ, და მაშინვე ვუთხარი: იოპანა, ის ვიღაც ამერიკელი ყოფილა მეთქი, ახლა ვინ იცის რომელ ზღვაში დაცურავს, შენ კი შემცდარხარ, დაცემულხარ, შენ ახლა გახრწნილი არსება ხარ მეთქი, მაგრამ იაკობ ენგსტრანდი მაშ ორ ფეხზე რასთვინა დგას მეთქი, თუ რომ... ორი ფეხი ისე, ბედნიერებისათვის, ვახსენე, ბ-ნო პასტორო.

შასტ. ძალიან კარგად მესმის. განაგრძეთ.

ენგსტრ. დიახ, იმას ვამბობდი... მოვკიდე ხელი ამ წვირიან დედაკაცს, ამოვიყვანე იგი წუმპედან და ცოლად შევირთე, რომ ჩემს მეტს არავის სცოდნიდა, როგორ მოატყუა იგი გადამთიელმა.

შასტ. თქვენ ჩინებულიათ მოქცეულხართ; მხოლოდ ის კი არ მომწონს, რომ იმისი ფულები დაისაკუთრე.

ენგსტრ. ფულები? მე? ერთი გახვრეტილი ფარაც არ მინახავს თვალით!

შასტ. (ქ-ნ ადვინგისას გაჭირვებით შეხედავს) მერე!?

ენგსტრ. უკაცრავათ, ეხლა გამახსენდა, მართალია იოპანნას ცოტაოდენი ფული ჰქონდა, მაგრამ ხელიც არ მომიკიდნია. ფუ! ეს ფულები ეშმაკის ნაბოძარია, გარყვნილების სასყიდელია, მაშ თავში ვთხლიშოთ ი ვიღაც ამერიკელია, ეს საზიღლარი ოქრო მეთქი. ვუთხარი რეგინას. დიახ, ოქრო ვახსენე, თუმცა არ მახსოვს ოქროისა, თუ ქალალდის ფული იყო იოპანნას ფულები. მაგრამ, ბ-ნო პასტორო, ის ხომ წასული იყო და თვალითაც არ მინახავს!...

შასტ. აგრე კი სთქვი, ჩემო კეთილო, ენგსტრანდ?

ენგსტრ. რასაკვირველია!... ჰო, იმას ვამბობდი. ბევრი ფიქრის შემდეგ მე და იოპანნამ გადავწყვიტეთ ეს ფულები ბავშვის აღზრდაზე მოგვეხმარა. გნებავთ დაწვრილებით ანგარიშს ახლავე წარმოგიდგენთ.

შასტ. ჰმ!... მართლა?

ენგსტრ. ასე კი გახლდათ, ჩემო ბატონო, და ახლა თქვენი ნებაა. გარდა ამისა დაგარწმუნებთ, რომ, რაც კი შემეძლო, კეთილი მამობა არ დამიკლია რეგინასა-თვის... საუბედუროთ, ცოტა სუსტი კაცი გახლა-ვართ.

შასტ. კმარა, კმარა ჩემო ძვირფასო ენგსტრანდ.

ენგსტრ. ერთს კი მოგახსენებთ თამამათ. ბავშვი აღვზარდე, დედა-მისთან კეთილ-განწყობილებით ცუხოვრობდი და ოჯახშიაც, ვცდილობდი რიგიანათ მოვქცეული-ყავ. მხოლოდ ის კი დამავიწყდა, რომ მივსული-ყავ პასტორ მანდერსთან და მის წინაშე ბაქიაობა დამეწყო: „აი რა კეთილი საქმე ჩავიდინე, აი რა კეთილი საქმე ჩავიდინე, აი რა ყოჩალი ვარ მეთ-ქი“. არა, ბატონო, იაკობ ენგსტრანდი როცა კე-თილ საქმეს სჩაღის ხოლმე,—რაც, სამწუხაროთ, ძლიერ იშვიათად ხდება იმისცუხოვრებაში—ყოველ-თვის პირზე კლიტეს იდებს, სამაგიეროთ თავის შე-ცდომებს და სისუსტეს კი არასოდეს არ უმალავს ბ-ნ პასტორს. აი წელან რისთვის მოგახსენეთ, რომ ჩემი სინდისი ცოტათი მოიკოჭლებს მეთქი.

შასტ. მომეცით თქვენი ხელი, იაკობ ენგსტრანდ!

ენგსტრ. ახ, იესო მაცხვარო!... ბატონო პასტორო!...

შასტ. უარს ნუ ამბობთ. (ხელი ჩამოართმევა) აი ასე!

ენგსტრ. მაშ ნება მომეცით გულწრფელათ ბოდიში მოვი-ხადო.

შასტ. თქვენა? არა, ბოდიში მე უნდა მოვიხადო.

ენგსტრ. თქვენა? რას ბრძანებთ! თქვენ რა გაქვთ საბოდიშო!

შასტ. რასაკვირველია, მე უნდა მოვიხადო ბოდიში და ვცდილობ კიდეც გულსავსებით. მაპატიეთ, რომ ცუდ კაცად დაგსახეთ. ღმერთმა შეძლება მომცეს დამემტკიცებინოს, რომ სულით და გულით შენი მოკეთე და კეთილის მყოფელი ვარ!

ენგსტრ. მაშ გინდათ ჩემი კეთილის მყოფლობა?

პასტრ. სულით და გულით.

ენგსტრ. ჩინებული შემთხვევაც ახლა გეძლევათ... იმ ფულით, რომელიც აქ მუშაობის დროს გადავარჩინე. მე მსურს ქალაქში მეზღვაურთათვის სასტუმროს მაგვარი რამ გაეცნა.

პასტრ. მართლა?

ენგსტრ. დიახ. იგი თავშესაფარს უფრო ემსგავსება. ხომ მოგეხსენებათ, ათასი მაცდურება აეკვიატება ხოლმე ხმელეთზე გადმოსულ მეზღვაურთ. ხოლო ჩვენთან კი მამაშვილური ქერი დახვდებათ.

პასტრ. თქვენ რას იტყვით, ბატონო ელენე!

ენგსტრ. ღმერთმა ხომ იცის, ფულები ცოტა მაქვს, ხოლო თუ ვინშე დამეხმარება.—

პასტრ. კარგი, კარგი. მოვიფიქრებთ. თქვენი გეგმები მე ძლიერ მომწონს. ახლა კი წადი, ჩემო ენგსტრიანდ, და საპარაკლისოდ ყველაფერი მოამზადე, სანთლები ბლომათ დაათე, რომ შენობას სადღესასწაულო ელფერი მიეცეს; ჩვენც მალე მოვალთ და მე და თქვენ ერთათ გულ-მხურვალეთ ვილოცუოთ, მე მგონია, სწორეთ ახლა ხართ ლოცვის გუნებაზე.

ენგსტრ. მეც ასე მგონია. ნახვამდის, ქალბატონო, მადლობელი გახლავართ, ჩემი რეგინა კარგათ შემინახეთ (ცრემლებს იწმედავს), შვილი ჩემის ცხონებულის იმპანნასი. ვმ, საკეირველი კია, მაგრამ ვერ წარმოიდენთ, როგორი ფეხსვები გაიღგა ჩემ გულში რეგინას სიყვარულმა. ღმერთს ვფიცავ, მართალს მოგახსენებთ (თავს უქრავს და დერეფნში გადის).

პასტრ. თქვენ რა აზრისა ხართ ამ კაცზე? სულ სხვა საქმე გამოვიდა.

ადგანგ. დიახ, მართალია.

პასტრ. ხედავ, რამდენი სიფრთხილე ჰმართებს ადამიანს, როდესაც სხვას ასამართლებს! სამაგიეროთ რა სა-

- სიამოვნო გუნდებაზე დგება კაცი, როცა იგრძნობს, რომ იგი სცდებოდა, რა სასიხარულოა შეცდომის გასწორება. თქვენ რას იტყვით?
- ალგინგ.** მე იმას ვიტყვი, ბ-ნო მანდერს, რომ თქვენ იმ თავათ ამ თავამდის დიდი ბავშვი იყავით და სიკვდილამდის ბავშვათაც დარჩებით.
- პასტ.** მე?
- ალგინგ.** (ორივე ხელების მხრებზე დაწუთბს) ოხ, როგორ მინდი, რომ ორივე ხელებით კისერზე მოგეხვიოთ.
- პასტ.** (ხელიდგან გაუსჭლტება) არა, არა, ღმერთმა დაგვიფაროს მაგ გვარის სირცხვილისაგან.
- ალგინგ.** (იდიმება) ნუ, ნუ გეშინიათ ჩემი.
- პასტ.** (სტრატან) საკვირვილია, რომ ხანდისხან უცნაურ რასმეს იტყვია... ახლა კი ჩავალაგებ ქალალდებს პორტფელში (ქსერ იქცევა) აი ასე... ახლა კი ნახვამდის... ოსვალდს ყური კარგათ უგდე, როდესაც დაბრუნდეს... მე კიდევ შემოვივლი (იდებს ქუდს და გადის დერეფანში).
- ალგინგ.** (ამთაოსრებს, ერთ წელს ფანჯარაში გაიურება, მერე თთახს ცოტა მთალაგ-მთალაგებს, და სასტუმრო თთახში უნდა გასვლა, მაგრამ კარგებივე გინგათ გაჩერდება). ოსვალდ, შენ ისევ აქა ხარ?
- ოსგადა.** (სასადილო თთახიდან). დიახ, სიგარას ვწევ, უნდა სულ დავლიო.
- ალგინგ.** მე კი მეგონა სასეირნოთ წახვედი.
- ოსგადა.** ამ გვარ ამინდში? (ჭიქის წეარუნი მოისმის. ალგინგისა კარებს დიასა სტრებს, მიდის ფანჯარასთან, დიგაზე ჩამოჟღება და ქსოვს).
- ოსგადა.** (სასადილო თთახიდან. პასტორი არ იყო, რომ ახლა აქედან გავიდა?
- ალგინგ.** ჰო, ქვევით, თავშესაფარში ჩავიდა.
- ოსგადა.** ჰმ! (გიდევ მოისმის გრაფინისა და ჭიქის წეარუნი).

- აღგინგ.** (კარებისაკენ შზრუნველის თვალით გახედავს). ძვირფა-
სო ოსვალდ, ბევრს ნუ სვამ, გეთაყვა, ძრიელ მა-
გარი სასმელია.
- ასევალ.** სწორედ მაგარი სასმელია კარგი ამ სიცივეში.
- აღგინგ.** მოდი, შვილო, ჩემთანა.
- ასევალ.** მად ხომ სიგარის წევა არ შეიძლება.
- აღგინგ.** არა უშავს-რა, ერთი სიგარა შეგიძლია მოსწიო.
- ასევალ.** მაშ კარგი, მოვალ. ერთი კიდევ გადავკრა,.. აი
ასე... (გამოდის, ჰირში სიგარა უჭირავს. კარებს შაგრა
გამოიგერავს. მცირე დუმილი). ჰასტორი რა იქნა?
- აღგინგ.** აკი გითხარი, ქვევით წავიდა-მეთქი.
- ასევალ.** ჰო, მართლა!
- აღგინგ.** მაგდენხან როდი გარებს, შვილო, მაგიდასთან
ჯდომა.
- ასევალ.** (სიგარას ზურგს უკან დაიჭირს). მე კი ძლიერ მესია-
მოვნებოდა სასაღილო ოთახში ყოფნა. (მხარზე
სედს დაადებს, ეალერსება). ვერ წარმოიდგენ, დედა,
რა სასიამოვნოა სახლში დაბრუნება, დედის ახლოს
ყოფნა და დედისაგან მომზადებულ შშვენიერ საჭ-
მელების კამა.
- აღგინგ.** ჩემო ძეირფასო ბიჭუნა, ჩემო ძეირფასო ბიჭუნა!
- ასევალ.** (შოუთმენლად ბოლთასა სცემს და სწევს). და ან კი
სხვა რა საჭმე მაქვს!
- აღგინგ.** ნუ თუ არა შეგიძლიან-რა დახატო?
- ასევალ.** ამ ბურუსიან ამინდში, როდესაც მთელი დღე მზეს
ვერა ვხედავ? (ბოლთასა სცემს). ოხ, ეს მუშაობის
შეუძლებლობა!..
- აღგინგ.** მაშ ნეტი არ მოსულიყავ მაინც!
- ასევალ.** არა, დედილო, მე უმეველად უნდა მოვსულიყავ.
- აღგინგ.** თუ კი მუშაობის შეუძლებლობა აგრე შეგაწუხებ-
და, მერჩივნა, რომ ისევ მე დავტანჯულიყავ უშე-
ნობით.

- ასგალ.** (სტოლთან გაჩერდება) დედილო, მართლა ბეჭნიერი ხარ, რომ შენ გვერდითა მხედავ?
- ალგინგ.** განა ეგ საკითხავია?
- ასგალდ.** მე კი მგონია, რომ შენთვის სულ ერთი უნდა იყოს, აქ ვიქნები, თუ სხვაგან.
- ალგინგ.** გულში რომ ფიქრობ, შვილო, პირად როგორ-ლა ამბობ?
- ასგალდ.** აქამდის უჩემოდ ხომა სძლებდი?
- ალგინგ.** მართალია, შვილო, უშენოთაც ვცოცხლობდი. (სიუჟეტი. ბინდება. ასებადი კედავ ბოლთასა სცენეს. სიგარა გრავდებული აქვს).
- ასგალდ.** (დედის წინ გაჩერდება) დედა, ნებას მომცემ შენ გვერდით დივანზე ჩამოვჯდე?
- ალგინგ.** (ადგილს უსწორებს) ჩამოვჯექ, ჩემო ძვირფასო ბიჭუნია.
- ასგალდ** (ჩამოვჯდება). ახლა კი ერთი რამე უნდა გითხრა, დედილო.
- ალგინგ.** (დიდის უკრადდებით) სთქვი.
- ასგალდ.** (წინ გაშტერებით იუვრება) უნდა გითხრა იმიტომ, რომ მეტის ატანა აღარ შემიძლია.
- ალგინგ.** რის ატანა აღარ შეგიძლია, რისა?
- ასგალდ.** (გაშტერებულა) მე მოწერა ვერ მოვახერხე. მაგრამ ახლა, რა კი სახლში დავბრუნდი...
- ალგინგ.** (ხელზე ხელს წავლები) ოსვალდ, რა მოგდის?
- ასგალდ.** გუშინაც და დღესაც სულ იმსა ვსცდილობდი, რომ შავი ფიქრები თავიდან მომეშორებინა, მაგრამ მაინც ვერ და ვერ დავალწიე თავი...
- ალგინგ.** (წამოდგება) ყველაფერი გულ-ახდილად უნდა მითხრა, ოსვალდ!
- ასგალდ.** (დიგანზე ძალად დასვამს) დაჯექ, დაჯექ და მე კი ვეცდები ყველაფერი გითხრა, ყველაფერი გიამბო. აქ რომ მოვედი, ჩემ უგუნებობას გზაში დალალვას ვაბრალებდი.

- ადგინგ.** მერე რა!
- ასგადდ.** ისა, რომ მე უბრალო დაღლილობა კი არ მაწუ-
ხებს...
- ადგინგ.** (კიდევ წამოხტოშის აპირებს) ავად ხომ არ ხარ, ჩემთ
სიცოცხლევ!
- ასგადდ.** (ისევ დასვამს) დაჯექ, დაჯექ, დედილო, და დაშვი-
დებით მომისმინე. სწორე რომა ვსთქვა, ავად არა
ვარ, ესე იგი, ისე არა ვარ ავად, რასაც საზოგა-
დოლ ავადმყოფობას ეძახიან. (თავზე სეჭებს იტაცებს)
დედა, დედილო, მე სულიერათა ვარ დაძაბუნებუ-
ლი, განადგურებული. მე თავის დღეში მუშაობა
აღარ შემეძლება (სეჭებით სახეს დაითარავს, კაჭთაში
დედს თავს ჩაუდებს და აქვთინდება).
- ადგინგ.** (გათითოებული, ხმის ჭანვალით) შეილო, ოსვალდი,
დამენახვე, არა, არა! შენ მართალს არ ამბობ!
- ასგადდ.** (სასორის გამოხეტვებულის თვალებს მადლა ას-
წევს) ადამიანს მუშაობა აღარ შეეძლოს, თავის დღე-
ში აღარ, აღარ. ცოცხალი მძოვრი-ლა დახეტიალობ-
დეს ქვეყნად! დედილო, წარმოგიდგენია ამაზე უა-
რესი უბედურება?
- ადგინგ.** ჩემთ უბედურო შეილო, საიდან რა დაგვატუდა
თავზე.
- ასგად.** (ისევ დიანზე ჩამოჭდება). მეც რომ არ ვიცი! ღმერთ-
მა ხომ იცის, გარუცნილი და ფუქსავატი ცხოვრება
არ მიტარებია. არა, დედილო, გეთაყვა, ნურაფერს
ცუდს ნუ იფიქრებ ჩემზე, იმიტომ რომ თავისს
დღეში ცუდი საქმე არ ჩამიდენია.
- ადგინგ.** მჯერა, შეილო, შენი ყველაფერი მჯერა!
- ასგად.** მაინც კი ხედავ რა უბედურება მეწვია, რა დიდი
და გამოუთქმელი უბედურება?!...
- ადგინგ.** გულს ნუ გაიტე, შენ შემოგევლოს ჩემი თავი,
მორჩები, გეთაყვა, მორჩები. ყველაფერი მოქანცუ-
ლობის ბრალია.

- ასგად.** (შავბნელათ) მეც ასე მეგონა პირველათ, მაგრამ ას-
ლა კი ვიცი, რომ საქმე ასე არ არის.
- აღვიწ.** მიაშენ, შე დედა-მევლარო, ყველაფერი მიაშენ, და-
ლაგებით, თან-და-თანობით.
- ასგად.** ახლავე მოგიყვები.
- აღვიწ.** როდის შეატყე პირველად შენს თავს.
- ასგად.** ეს მოხდა მაშინ, როდესაც შინიდგან მეორეთ
დავბრუნდი პარიზში. თავის საშინელი ტკივილი
ამივარდა, უფრო კი კეფა მტკიოდა. ასე მეგონა
თავზე რკინის მარწუხებს მიკერენ მეთქი.
- აღვიწ.** მერე?
- ასგად.** პირველათ ასე მეგონა, სიბავშვის დროის თავის
ტკივილი მომიბრუნდა მეთქი. გახსოვს როგორ ვი-
ტანჯებოდი პატარაობისას?
- აღვიწ.** მახსოვს, მახსოვს.
- ასგად.** მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ სხვა დიდი უბე-
დურება მწვევია. მუშაობა ვეღარ შევძლ. ამ დროს
ერთი დიდი სურათის ხატვა დავიწყე, მაგრამ რა-
ლას დავხატავდი, როდესაც აზრებს ვეღარ ვიკრებ-
დი, ფიქრს ფიქრებს ვეღარ ვაბამდი; ასე მეგონა
მთელი ჩემი ნიჭი ამოქრა, ამოიფშუტა ჩემის თა-
ვიდან, სხეულის ძალებმა დამტოვეს-მეთქი. თავი
მიბუუოდა და აზრიც ტვინიდგან მისხლტებოდა.
ოჰ, რა საზარელი მდგომარეობა იყო!... ბოლოს
ექიმთან გავგზავნე კაცი... იმან ყველაფერი მი-
თხრა.
- აღვიწ.** რა გითხრა?
- ასგად.** ის ექიმი პარიზში განთქმული იყო და ყველაფერი,
რასაც ვგრძნობდი, დაწვრილებით გამომკითხა. რო-
გორც გაიგო ჩემის ავათმყოფობის თვისებანი...
მერე?
- ასგად.** მითხრა, შენ პატარაობითვე თითქოს მატლებისაგან
ყოფილხარ დახრულიო. დიახ სწორედ სიტყვა
„vermoulu“ ახსენა.

- ადგინგ. (დიდის უკრადღებით) მაგითი რის თქმა უნდოდა?
- ოსგად. მეც ვერ მივუხვდი და ვსთხოვე აეხსნა და მაშინ ბებერმა ბაიყუშმა მითხრა (სედებს იმტკრევს) ახ!...
- ადგინგ. რა გითხრა?
- ოსგად. მშობელთა ცოდვა შვილებს ეკითხებაო.
- ადგინგ. (წენად წამოდგება) მშობელთა ცოდვაო? —
- ოსგად. კინალამ სილა არ გავკარი.
- ადგინგ. (თაახში დადის) მშობელთა ცოდვაო?
- ოსგად. (ნადგულის დამიღით). როგორ მოგწონს! რასაკვირველია, დავიწყე რწმუნება, რომ ჩემი მშობელნი უცოდველნი არიან მეთქი. მერე შენ გვინია, დამიჯერა! შენც არ მომიკვდე. ის კიდევ თავისას გაიძახოდა. გაჯავრებულმა გადაუშალე შენი წერილები და ცველა ის ადგილები წავუკითხე და გადავუთარგმნე, სადაც მამიჩემის შესახებ იყო დაწერილა.
- ადგინგ. რა თქვა მაშინ?
- ოსგად. მერე კი იძულებული იყო დამთანხმებოდა და ელიარებინა, რომ შესცდა. სამაგიეროთ მე შევიგნე დაუჯერებელი ჰეშმარიტება. მე დავრწმუნდი, რომ ჩემის ავათმყოფობის მიზეზი მევე ვიყავი და ხელი ივიღე ჭაბუკურსა და ბედნიერ ცხოვრებაზე.
- ადგინგ. ოსეალდ, ნუ, გეთაყვა, ნუ გჯერა, ვითომც შენვე იყო დამნაშავე.
- ოსგად. სხვა გვარათ არ აიხსნება შენი ავათმყოფობაო, მითხრა ექიმმა. ოხ, დედა, რა საზარელია, როდესაც კაცი თავისის ფუქსავატობით ინადგურებს ჯანმრთელობას, სიცოცხლეს. ის, რის გაკეთებაც მინდოდა ამ ქვეყნათ, ჩემთვის სამუდამოთ დაკარგულია, ფიქრიც კი არ შემიძლიან ამაზე, ფიქრი! ოხ, ნეტა ხელმეორეთ ვიშვა, ნეტავ შემეძლოს ისევ თავიდან დავიწყო ცხოვრება (დიგანზე პირ-ქვე ემ-ხობა).

- ალგინგ.** (სელების მტკრევათ დადის წინ და უპან, თავისს თავს ეძრძვის).
- ოსგალ.** (წევთას სიჩუმის შემდეგ წამთისედავს და იდეუზე დაურდნობდა). ოხ, ნეტა შთამამავლობითი სენი მაინც იყოს. მაშინ მე ბრალი არ მექნება, მაგრამ ახლა რამ მომასვენოს, როდესაც ჩემის ქარაფშუტობით ასე სამარცხვინოთ, ასე სულელურათ გავანადგურე ჩემი ბეღნიერება, ჩემი მომავალი, ჩემი ცხოვრება, დედა, დედა!!..
- ალგინგ.** (დაიხრება). არა ჩემო, ძვირფასო, ჩემო ნუგეშო, სასოწარკვეთილებას ნუ ეძლევი, საშიშარი არა გჭირს-რა.
- ოსგალ.** ეს, შენ არ იცი, დედილო! (წამთხტება). მერე რამდენი ტანჯვა უნდა მოგაყენო შენ, დედა ჩემო! მეგონა, რომ შენ ძლიერ არ გიყვარდი და ერთით მიხაროდა კიდეც...
- ალგინგ.** შენა ხარ, ოსვალდ, ჩემი ერთათ ერთი შვილი, ჩემი ერთათ ერთი საუნჯე მთელს ქვეყანაზე და შენს მეტი არა მეყურადლებება-რა!
- ოსგალ.** (ორივე სელებს გამთხტაცებს და კთცნას დაუწევს). მეც ვიცი, რომ ეგრეა და ეს უფრო ყველაზე ძლიერ მტანჯვავს. მაგრამ გავათავოთ ამაზე ლაპარაკი. ახლა შენც ყველაფერი იცი და დღეს მეტი აღარ შემიღლიან, აღარ შემიღლიინ ამ საზარლობაზე ვიფიქრო. (ბოლოთას სცენებს) დედა, დამალევინე რამე.
- ალგინგ.** რა დაგალევინო?
- ოსგალ.** სულ ერთია, რაც უნდა იყოს. ციცი ფუნჯი ხომ გექნება.
- ალგინგ.** არის კი, მაგრამ... ნუ... ჩემო ძვირფასო ოსვალდ!
- ოსგალ.** ნუ დამიშლი, დედილო, უნდა ჩავაქრო თუ არა მწვავე და შავი ფიქრები, რომლებიც ასე უეუბრალებლად მლრლიან? (მიდის შემსანდისკენ) მერე როგორა ბნელა, როგორა ბნელა!...

- აღვიწ.** (ზარს არაწეულებს მარჯვის ჭენ).
ასეად. მერე ეს გამუდმებული წვიმები. მთელი კვირაობითა სწვიმს და მზეს ერთხელაც არ ჩამოუშეუქებია, როცა შინა ვარ ხოლმე, მზე თვალით არ მენახვება.
აღვიწ. იქნება, შეილო, კიდევ ჰუკირობ აქედან წასვლაზე! (სულ ძლიერი იბრუნებს). ვმ! მე არაფერსაც არ ვუიქრობ. მე არაფერზე არ შემიძლია ფიქრი (ხმა დაბლა) დედა, ამ გვარ ლაპარაკს თავი დავანებოთ.
რეპ. (სასტუმრო თათხიდან) თქვენ რეკვიტი, ქალბატონო?
აღვიწ. ჰო, მოგვიტა აქ სანთელი.
რეპ. ამ წუთში მოგარომევთ, ქალბატონო, უკვე ავანთე.
აღვიწ. (თხალდთან შიდის) ოსვალდ, ნურას დამიმალავ.
ასეად. მე არაფერს გიმალავ, დედა! (სტოლთან შიდის) მვონი, ისედაც ბეკრი რამ გითხარი.
რეპ. (შემთაქვს დამფა და სტოლზე დგამს).
აღვიწ. რეგინა! ერთი ბოთლი შამპანიური მოიტანე.
რეპ. ახლავე მოგარომევთ (გადის).
ასეად. (თრიეთ ხელებს თავზე შემთხვევს) მე ვიცოდი, რომ დედა თავისს შეილს წყურვილით არ მოჰკლავდა. ჩემო ძვირფასო ოსვალდ, განა შემიძლია გეწინააღმდეგო რამეში?
ასეად. (გმოცოცხლდება) ნუ თუ, დედილო, მართალს ამბობ?
აღვიწ. ნუ თუ გულ-წრფელობ?
ასეად. ვითომ მაგით რა გინდა სთქვა?
ასეად. მაშ უარს არაში მეტყვი?
აღვიწ. განა ეპვი გაქვს?
ასეად. სსუუ!..
რეპ. (შემთაქვს ხინჩით ნახევარი ბითლი შამპანიური და თრიჭიქი, სტოლზე აწეობს) გავხსნა?
ასეად. გმადლობთ. მე თითონ გავხსნი. (რეგინა გადის).
ასეად. (ბითლს ხსნას. თავსაცობი აზოვარდება. დაისხსმს თითონ, მერე უნდა დედას დაუსხას).
აღვიწ. (ჭიქის ხელს აფარებს) გმადლობ... მე არ მინდა.



- თსგად.** მაშ მე დავლევ. (გამოსცდის ერთ ჭიქას, დაისხამს შექმნას რეს, გამოსცდის და ჭიქას სტოლზე დასდგამს).
- ალგინგ.** (მოლოდინში) აბა?
- თსგად.** (დედას არ უუწესებს) იცი რა გითხრა, დედა, დღეს, სადილზე, შენ და პასტორ მანდერსი რათ იყავით ისე მოწყვენილები? რალაცას ინაზებოლით, სლუმ-დით.
- ალგინგ.** მერე როგორ შეგვატყე?
- თსგად.** ვე! (ცოტა ხნის სიჩემის შემდეგ) დედა, რა აზრისა ხარ რეგინას შესახებ?
- ალგინგ.** რა აზრისა ვარ?
- თსგად.** განა რომ მშვენიერი გოგონაა!
- ალგინგ.** ძეირფასო ოსვალდ, ჩემზე კარგათ შენ იმას ვერ იცნობ.
- თსგად.** მერე?
- ალგინგ.** სამწუხაროთ, თავისიანებთან იგი დიდხანს ცხოვრებდა. და...
- თსგად.** მაინც მშვენიერი ქმნილებაა, დედილო! (ჭიქას იგსებს)
- ალგინგ.** ბევრი დიდი ნაკლიცა აქვს.
- თსგად.** მერე რა?
- ალგინგ.** მაინც ძლიერ მიყვარს რეგინა და მისი უბედურება ძლიერ შემაწუხებს.
- თსგად.** (წამოხტება) ჩემი ერთად ერთი მხსნელი რეგინაა!
- ალგინგ.** (წამოდგება) რას ამბობ?
- თსგად.** უიმისოთ ვერ ავიტან ამ უღვთო ტანჯვას.
- ალგინგ.** განა დედა ალარა გყავს, რომ ტანჯვა შეგიმსუბუროს!
- თსგად.** მეც ამიტომ მოვედი აქ, რომ დედა მეგულებოდა, მაგრამ ასე ცხოვრება ალარ შემიძლია... აქ ვეღარა ვძლებ.
- ალგინგ.** ოსვალდ!
- თსგად.** უნდა სხვა გვარათ ვიცხოვრო. არ მინდა, რომ ყველა ჩემ ტანჯვას უმზერდეს. და ამიტომ აქედგან უნდა გადავიკარგო.

- აღგინგ.** ჩემი უბედურო შვილო, ვიდრე აგრე ავათა ხარ,
სად წაგესვლება?
- ოსგად.** ოს, ნერა მარტო ავათ ვიყო, მაშინ შენზე უკეთე-
სი მეგობარი რაღათ მინდოდა, მაგრამ... (შეშვი-
თებული დადის წინ და უქან) ეს წვალება, ქვეჯნა, სი-
ნანული და შერე ეს შემზარევი შიში; ოს, ეს სა-
ზარელი შიში!
- აღგუნგ.** (დასდევეს) შიში? რა შიში? მითხარ, გეთაყვა.
- ოსგად.** ნუღარას მკითხავ... მე არა ვიცი-რა. ვერ აგიშერ...
- აღგინგ.** (მიდის მარჯვნივ და რეპს).
- ოსგად.** რაღა გინდა?
- აღგინგ.** მინდა, რომ ჩემი შვილი მამხიარულებდეს. არა
მსურს, რომ იგი მოღრუბლული დადიოდეს და
ფიქრობდეს და ფიქრობდეს. (რეგინას, რომელიც გა-
რეში გამოჩნდება) კიდევ მოიტა შამპანიური, მთელი
ბოთლი! (რეგინა მადის).
- ოსგად.** დედილო!
- აღგინგ.** შენა გონია, რომ ჩვენ აქ ცხოვრება არ ვიცით?
- ოსგად.** განა რეგინა მშვენიერება არ არის? რა შეკრული
ტანი აქვს, რა ჯან-სალია!
- აღგინგ.** (დაჭდება სტოლთან) დაჯექ, ოსვალდ, და გულ დინ-
ჯათ ვისაუბროთ.
- ოსგად.** (ჭდება) შენ არ იცი, დედა, რომ მე რეგინას წინა-
შე დამნაშავე ვარ?
- აღგინგ.** შენა!
- ოსგად.** შეიძლება მოუფიქრებელი საქციელიკი იყო, ან
რაც გინდა დაუძახე, მაგრამ მე რომ ამაზე წინათ
პარიზიდან დავბრუნდი, რეგინამ ბევრი რამ გა-
მომკითხა პარიზისა, იქაურ ცხოვრებისა და ხალ-
ხის შესახებ. მეც ბევრი რამ ვუამბე, ბოლოს, წას-
ვლის დროს, ვკითხე, არ გინდა პარიზში წაგიყვანო
მეთქი?
- აღგინგ.** მერე?

- თსგად.** იგი სიხარულით წამოწითლდა და მითხრა, დიახ,
ძალიან მინდაო... კარგი, მაში მოვახერხებ მეთქი—
მგონი, ასე თუ რაღაც ამისთანა უთხარი.
- ალგინგ.** მერე?
- თსგად.** რასაკვირველია, მე გადამავიწყდა ჩემი დანაპირები,
მაგრამ გუშინწინ რომ მოვედი და ვკითხე, არ გი-
ხარიან, რომ შინ დიდ-ხანსა ვრჩები მეთქი, იმან
უცნაურათ შემომხედა და მკითხა, ჩემ პარიზში წა-
ყვანაზე რაღასა ფიქრობო.
- ალგინგ.** პარიზში წაყვანაზეო?
- თსგად.** მხოლოდ მაშინ მიეხედი, რომ ჩემი ნალაპარაკევი
გულში ჩავარდნია და დღევანდლამდე სულ ჩემზე
ფიქრობდა თურმე. ასე გასინჯე, ფრანგულის ენის
შესწავლაც კი დაუწყია.
- ალგინგ.** დახე თურმე...
- თსგად.** წინათ უურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ დღეს
რომ ჩემ წინ დავინახე კეკლუპი, ახალგაზდა, ჯან-
სალი გოგონა, რომელიც ჩემწინ ხელ გაშლილი
იდგა და მზად იყო მკერდზე მივეკარ...
- ალგინგ.** ოსვალდ!
- თსგად.** მხოლოდ მაშინ ვიგრძენ, რომ რეგინა უნდა იყოს
ჩემი მხარელი, იმიტომ რომ სიცოცხლითაა იგი
სავსე.
- ალგინგ.** სიცოცხლით სავსე!
- რებ.** (შემთდის ბოთლით ხელში). მაპატიეთ, რომ დავიგვია-
ნე. სარდაფში მომიხდა ჩასვლა. (ბოთლს სტოლზე
სდგამს).
- თსგად.** რეგინა, მოიტა კიდევ ჭიქი.
- რებ.** (გაჭვირვებით უმზენს). ბატონო, ქალბატონის ჭიქა
სტოლზე არა სდგას?
- თსგად.** მოიტა მესამე—შენთვის.
- რებ.** (შეკრთება და ქალბატონის ალმაცერათ შეხედავს).
- თსგად.** აბა, ჩეარა!

- რეპ.** (ხმა დაბლა, უფერანებს). თუ ქალბატონის ნებაც იქნება...
- ალგინგ.** რეგინა, მოიტა კიქა. (რეგინა მიდის სასადალო თახაში).
- ასეგად.** (თვალს გააუთლებს). ხედავ, როგორ დადის, რა თამამი, გაბედული ნაბიჯი აქვს?
- ალგინგ.** ცუდს ნურას ჰეჭიქრობ, ოსვალდ. მაგის ნებას არავინ მოგცემს.
- ასეგად.** საქმე უკვე გადაწყვეტილია და ნულარ ამიხირდები. (შემთღის ცარიელის ჭაქით ხელში).
- რეპ.** დაჯექ, რეგინა!
- ასეგად.** (ქალბატონს შექვერებს).
- ალგინგ.** რეგინა, დაჯექი.
- რეპ.** (სასადალო თახასის მასტობლათ სკაშზე ჩამოჭდება. ხელში ისევ ცარიელი ჭიქა უჭირავს). ასვალდ, წელან რა სთვი შენ სიცოცხლის გადაკარბებელ ძალთა შესახებ?
- ასეგად.** დიახ, მე აქ ვერა უხედავ სიცოცხლის ზედ-მეტ ძალთა და ვერც შრომაში ვპოულობ ბეღნიერებას. მაგრამ ეს ხომ თქვენთვის გაუგებარი ხილია.
- ალგინგ.** იქნება მართალიც ხარ, ოსვალდ, განაგრძე.
- ასეგად.** აქ, ჩვენში, ქალავებენ, რომ შრომა შედეგია იმ წყვევისა, რომელიც კაცს ცოდვების გამო ერგოვო, ქვეყანა კიდევ სავანეა მწუხარებისა და ამიტომ რაც ადრე მოკვდება კაცი, ის სჯობიაო.
- ალგინგ.** დიახ, წუთი-სოფელი სწორეთ რომ სავანეა მწუხარებისა და აკი, ამიტომაც ვცდილობთ ვიცხოვროთ რიგიანათ, პატიოსნურათ.
- ასეგად.** იქ, სამზღვარ-გარეთ კი, ამგვარ ზღაპრებს ყურს ალარავინ უგდებს. იქ მხიარულნი და ბეღნიერნი არიან მარტო იმ წარმოდგენითაც კი, რომ გრძნობენ სიცოცხლეს, რომ ამ ქვეყნათ არსებობენ! დედილო, თუ დაჰკვირვებიხარ ჩემ სურათებს,

სწორეთ ეს სიხარული, ბედნიერება და სიცოცხლის ძალთა ცხოველ-მყოფლობაა ოღვეჭდილი თითო-ეულ შათგანზე. მე იქ ყოველთვის ვხატავდი სი-ნათლესა და მზის ბრწყინვალებას, სადღესასწაულო მხიარულებას და სიხარულით ოღვრთოვანებულ სა-ხეო ადამიანებისას. აქ კი მეშინიან შინ დარჩო-მისა.

- აღგინგ.** მერე ჩემთან რისა გეშინიან?
- ასგად.** მეშინიან, ვაი თუ ცეცხლის ალიგით ჩემმა მწვავე ფიქრებმა ცუდი მიმართულება მიიღოს.
- აღგინგ.** (თვალს თვალში გაუყრის). ნუ თუ მართლა გგონია, რომ შენი ნათქვამი გამართლდება?
- ასგად.** დარწმუნებული ვარ. ხოლო ჩენებიაც რომ ისეთი ცხოვრება იყოს, როგორიც სამზღვარ-გარეთაა, მა-შინ კი—სხვა იქნებოდა
- აღგინგ.** (რომელიც დადას გულ-მოდგინებით უგდებდა უკრს შეი-დის სიტეგებს, ადგება ღრმად დაფიქრებულის გამომჟ-ოებებით) ახლა კი ყველაფერი მესმის.
- ასგად.** რა გესმის?
- აღგინგ.** ახლა პირველად მივხდი ყველას და შემიძლიან აღარაფერი დაგიმალო.
- ასგად.** (დგება) დედილო, მე შენი ვერა გამიგია-რა!
- რებ.** (დგება) წავიდე?
- აღგინგ.** არა, დარჩი აქ. ახლა კი შემიძლია ვილაპარაკო, რიდგანაც ახლა შენ ყველაფერი იცი, ოსვალდ! რეგინა!
- ასგად.** სუთ, პასტორი მოდის.
- შასტ.** (შემთდის დერჯინიდან) ესეც ასე! მშვენიერი წამები გავატარე ქვევით.
- ასგად.** აგრეთვე ჩვენც.
- შასტ.** ენგსტრანდს უნდა დავეხმაროთ სასტუმროს გახსნა-ში. რეგინაც უნდა გადასახლდეს მასთან და მისი თანაშემწე შეიქნეს.

- რეპ. დიახ, როგორ არა!... მადლობას მოგახსენებთ.
შასტ. (მხელოდ ახლა შენიშვნას) როგორ? ესეც აქ არის და
ისიც კიქით ხელში?
- რეპ. (ჭიქის სიჩქართდ სტოლზე სდგამს).
თასგად. რეგინა მე უნდა გამომყვეს, ბ-ნო პასტორო.
შასტ. უნდა გამოგყვეთ, თქვენ?
თასგად. როგორც ჩემი მეუღლე, თუ კი, რასაკვირველია,
მოისურვებს.
- შასტ. ღმერთო, კეთილ-მოწყალეო!
რეპ. ჩემი ბრალი არა არის-რა, ბ-ნო პასტორო.
თასგად. ხოლო თუ მე აქ დაერჩი, რეგინაც აქ დარჩები.
რეპ. (თავის უნებურად) აქ!
შასტ. თავზარი დამეცა. არც კი ვიცი, თქვენზე რა ვიფიქ-
რო, ქ-ნო ალვინგისავ.
ალგანგ. ის არ მოხდება, რაც მაგათა სურთ, რადგანაც ახლა
კი შემიძლია ყველაფერი გამოვამულავნო.
შასტ. თქვენ არ უნდა სთქათ. არა, არა და არა!
ალგანგ. უკაცრავად, მე მსურს და კიდეც ვიტყვი. ნუ გეში-
ნიათ „იდიალები“ იდეალები მაინც არ განადგუ-
რდებიან.
- თასგად. დედა, განა რას მიმალავ?
რეპ. (უკრს წაუგდებს) ქალბატონო! გესმით. ქვეით რა-
ლაცა ხმაურობაა (მიდის შეშაბანდთან და გაიხედავს).
თასგად. (მარცხნივ უანჯარასთან მიდის) განა რა მოხდა? ეს რა
სინათლეა?
- რეპ. (უვირის) თავშესაფარს ცეცხლი გასჩენია!
შასტ. ცეცხლი? შეუძლებელია. ახლა იქიდგან არ მოვდი-
ვარ?
თასგად. სად არის ჩემი ქუდი? სულ ერთია. მამიჩემის სახე-
ლობაზე დაარსებული თავშესაფარი (განდის იმ კა-
რებში, რომელიც ბაღში გადის).
ალგანგ. მომე მანდილი, რეგინა! ცეცხლი თან-და-თან ძლი-
ერდება.

- პასტ.** საკუირველია განგება ღვთისა! უზნეო სახლს სას-
ჯელი ღვთისა მოევლინა.
- ადგინგ.** ოლონდაც! წავიდეთ, რეგინა! (ისა და რეგინა გადიან
დერეფნის კარებში).
- პასტ.** (ხელებას გაშლით) თავშესაფარი კი დაუზღვეველია!
(გადის იმავე კარებში).

(ფარდა)

მომხმადება მასამი

წინანდელი სასტუმრო. უკეთა კარები დადებულია, სტოლზე
დამზა ისევ ანთია, გარეთ უკუნეთია, მხოლოდ მარტხნივ, სცე-
ნის სიღრმეში მოხსნის ცეცხლის ადი. ქალბატონი ალგინგისა
შექაბანდის კარებში დგას დიდ მანდილ წამოსხმული და გამ-
უერება, რეგინასაც დადი მანდაჭა აქვს წამოსხმული და ქალ-
ბატონის უქანა სდგას.)

- ადგინგ.** სულ ერთიანად გადაიწვა!
- რეგ.** სარდათში ჯერ ცეცხლი არ ჩამქრალა.
- ადგინგ.** რატომ არ მოდის ოსვალდი. სულ ერთია, რაღას
უშელის?
- რეგ.** მაშ მე წავალ და ქუდს წავულებ.
- ადგინგ.** განა უქუდოთ წავიდა?
- რეგ.** ღიას, აგერა იქ ჰყიდია!
- ადგინგ.** ისევ აქ ეკიდოს. ახლავე მოვა. მე თვითონ გავხე-
დავ. (გადის ბალის კარებით)
- პასტ.** (შემთდის დერეფნის კარებით) განა ქნი ალვინგისა
აქ არ არის?
- რეგ.** ეს არის ახლა ძირს ჩავიდა.
- პასტ.** ამისთანა უბედური ღამე ჩემს სიცოცხლეში არ გა-
მითენებია.

- რეპ.** მართლადაც, ღიღი უბედურება კი მოგვივიდა, ბ-ნო პასტორო!
- პასტ.** ნულარ გამახსენებთ.
- რეპ.** ნეტა ცეცხლი საიდან უნდა გაჩენილიყო?
- პასტ.** ნულარის მკითხავთ! განა საკმარისი არ არის, რომ მამათქვენი? ..
- რეპ.** რა მამაჩემი?
- პასტ.** იმან სულ მოლათ გადამრია.
- ენგსტრ.** (შემთდის დერეფნის კარებით) ბ-ნო პასტორო!
- პასტ.** (შეშინებული მიძრუნდება) აქაც მოხვედით?
- ენგსტრ.** დიახ! ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი... ოხ, იქსო მაცხოვარო! ცუდი საქმე კი მოგვივიდა, ბ-ნო პასტორო!
- პასტ.** (ბოლოთას სტემს) დიახ, საუბედუროთ, საუბედუროთ, დიახ!
- რეპ.** რა ამბავია?
- ენგსტრ.** რაღა რა ამბავია! ყველაფერის მიზეზი ის პარაკლისია. (ხმა დაბლა) ეგეც შენი სააღდგომო კვერცხი! (ხმა დაბლა) საშინლადა ვწუხვარ, რომ ბ-ნ პასტორს ასეთი უბედურება შეემოხვა.
- პასტ.** გარწმუნებ, ენგსტრანდ, რომ მე არაფერს შუაში ვარ.
- ენგსტრ.** რა ვქნა და თქვენს მეტს ხომ ხელში სანთელი არა სკერია.
- პასტ.** გარწმუნებთ, რომ არ მახსოვს, მართლა მეჭირა სანთელი, თუ არა!
- ენგსტრ.** მე ძრიელ კარგად მახსოვს, რომ ბატონშა პასტორმა სანთელს ცხვირი მოხოცა და ნამწვი ბურბულაში გადააგდო.
- პასტ.** განა თქვენ დაინახეთ?
- ენგსტრ.** დიახ, ძალიან კარგათ.
- პასტ.** რატომ მე არ მახსოვს, ჩემს დღეში სანთლისათვის ცხვირი არ შომიხოცნია.
- ენგსტრ.** დიახ, გეტუობოდათ, რომ გამოუცდელი იყავით, მაგრამ ან კი რა ღიღი საქმეა, ნუ თუ ის გააჩენდა ცეცხლს?

- შასტ.** (ადელეგებული დაღის) ნულარას მკითხავთ.
- ენგსტრ.** (უქან დასდევს) მგონი, არც დაზღვეული იყო!
- შასტ.** (დაღის) არა, არა და არა, ეგ ხომ თქვენც კარგად იცით.
- ენგსტრ.** (უქან დასდევს) არ დააზღვიეთ და ცეცხლი კი წაუკიდეთ? ოხ, იქსო მაცხოვარო, იქსო მაცხოვარო, რა დიდი უბედურებაა!
- შასტ.** (შებდიდან თფლს უწმენდავს) ოღონდაც, რომ უბედურებაა!
- ენგსტრ.** რაღა ის საქველმოქმედო სახლი დაიწვა, რომელსაც დიდი სარგებლობა უნდა მოეტანა. უყურე ახლა გაზიერები რა განგაშს ასტეხენ.
- შასტ.** მეც სწორედ ეგ მაღონებს. ვინ, ვინ უნდა გაუძლოს იმათ ყბად აღებას. რომ ვფიქრობ, სისხლი მემლვრევა.
- ალგინგ.** (შემოდის ბადიდგან) ვერაფრით ვერ მოვაშორე იმ ადგილს, საღაც ცეცხლს აქრობენ.
- შასტ.** ოხ, თქვენა ხართ?
- ალგინგ.** თქვენ კი გადარჩით საჯაროთ სიტყვის თქმასა, ბ-ნო პასტორო!
- შასტ.** ოხ, რომ იცოდეთ, როგორის სიხარულით ვიტყოდი სიტყვას, ოღონც კი...
- ალგინგ.** (ხმა დაბლა) ყველაფერი ჩინებულათ მოხდა. ის თავშესაფარი ბეღნიერებას არავის მიანიჭებდა.
- შასტ.** თქვენ აგრე გგონიათ?
- ალგინგ.** თქვენ კი არა გგონიათ?
- შასტ.** ასეა თუ ისე, მიინც დიდი უბედურება მოგვივიდა.
- ალგინგ.** გულ-დაშვიდებითა და დინჯათ ავწონ-დავწონოთ ეს მოვლენა.—თქვენ პასტორს უცდით, ენგსტრანდ?
- ენგსტრ.** (დერეფნის კარებთან) დიახ. მაგრამ მე შემიძლია მოვითმინო.
- ალგინგ.** მაშ ჩამოჯექით!
- ენგსტრ.** მაღლობას მოგახსენებთ. ფეხზედაც არა მიშავს-რა.

- ადგინგ.** თქვენ ახლავე გემზე წახვალთ?
- პასტ.** დიახ. გემი ერთ საათს შემდეგ გავა.
- ადგინგ.** მაში, თუ ღმერთი გწამთ, ყველა ქალალდებიც წაი-
ლეთ თანა. არ მინდა ვიფიქრო რამ ამ თავ შესაფარის
შესახებ. უამისოდაც ბევრი საფიქრებელი მაქვს.
- პასტ.** ბ-ნო ელენე!
- ადგინგ.** რწმუნების ქალალდესაც მალე გამოგიგზავნით...
როგორც თქვენ გსურდეთ, ისე მოაწყეთ საქმე.
- პასტ.** დიდის სიამონებით ვიკისრებ ყოველივე მონდობი-
ლობას, მაგრამ ანდრეძის ქალალდი ცოტა კი უნ-
და შეიცვალოს.
- ადგინგ.** რასა კვირველია.
- პასტ.** ისე უნდა მოვახერხოთ, რომ სოლვიკის მამული
აქაურ მრევლს დარჩეს, შემოსავლიანი მამულია.
შემნახველ კასსაში შენახულ ფულების სარგებლით
კი ყოველთვის შეგვიძლია დავხმაროთ ქალაქის
ამა თუ იმ კეთილ დაწესებულებას.
- ადგინგ.** ერთის სიტყვით, ისე მოიქეცით, როგორც თქვენ
გენებებოდეთ. ჩემთვის ახლა სულ ერთია.
- ენგსტრ.** ჩემი მეზღვაურთათვის მომავალი თავ შესაფარიც არ
დაგავიწყდეთ, ბატონო პასტორო!
- პასტ.** მართლა თქვენ რაღაცასა მთხოვდით. მოითმინეთ,
ჯერ კიდევ ვნახოთ.
- ენგსტრ.** რაღა უნდა ვნახოთ, თქვე დალოცვილო! ოხ, იე-
სო მაცხოვარო ჩემო!
- პასტ.** (ამთაქვრით) ან კი ვინ იცის, დიდხანს ვიქნები ამ
საქმეების გამგეთ თუ არა. შეიძლება საზოგადოებამ
სულ მთლად ხელი დამაბანინოს. ყველაფერი იმაზეა
დამოკიდებული, თუ გამოძიება რა გზას დაადგება.
- ადგინგ.** რა სთქვით?
- პასტ.** არ ვიტით მეთქი გამოძიება რას დასკვნის.
- ენგსტრ.** (მიუხდოდება) ძალიან აღვილი გასაგებია. იმიტომ
რომ აქ, თქვენ წინაშე სდგის იაკობ ენგსტრანდი!

- პატი.** დიახ, დიახ, მაგრამ...
- ენგერი.** მაგრამ ისა, რომ იაკობ ენგსტრანდი იმათგანი არ არის, რომლებიც თავისს კეთილის მყოფელთ ივი-წყებენ.
- პატი.** ვსოდვათ რომ აგრეთი ხარ, მაგრამ რა გზით ეშვე-ლება საქმეს?
- ენგერი.** იაკობ ენგსტრანდი მფარველი ანგელოზია, ბ-ნო პასტორი.
- პატი.** არა, არა, მაგაზე ვერ დაგეთანხმები.
- ენგერი.** მაინც, ვნახავთ თუ საქმე ჩემებურად არ დამთავრ-დეს. თუ საქმე გავირდა, დამნაშავედ ჩემ თავს ვა-ლიარებ.
- პატი.** იაკობ! (ხელს მაგრა ჩამთართშევს) დიდი საუნჯე ხარ... მეც მოგეშველები და მალე დაიარსებ თავშესაფარს. არხეინად ბრძანდებოდე.
- ენგერი.** (უნდა, რომ მაღლადა გადაუხადოს, მაგრამ ვერ :ხერხებს, ისეა ადელვებული).
- პატი.** (საგზაო ჩანთას შეარჩე გადაიგიდებს). ახლა კი გზას გაუუდეთ. ჩვენ ერთად კომგზავრებთ!
- ენგერი.** (სასადილო თთახის ქარებთან ხმა დაბლათ რეგინას) წა-მომყე, გოგონა, და შოშიასავით სულ შაქრით გა-მოგკვებამ.
- რებ.** (თავს გადააგდებს) გმადლობთ!.. (მიდის დერეფანში და ჰასტროს ჰალტოს ჩაცმას შევეღის).
- პატი.** მშვიდობით, ბატონო ელენე. ლმერთმა სული სიმ-შვიდისა და კანონიერებისა კვლავ დაამყაროს ამ სახლში!
- ალგინგ.** მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბ-ნო მანდერს! (მიდის შეშაბანა ისეენ).
- ენგერი.** (რეგინასთან ერთ დ ჰასტროს ჰალტოს ჩაცმას შევდის). მშვიდობით, შვილო ჩემო, ხოლო თუ გაგიქირდეს რამე, მიჰმართე მაშინ იაკობ ენგსტრანდს (ხმა დაბ-ლა) ნავთ-სადგურის ქუჩაზე... ჰმ! (აერ მიუბრუნდება

ადგინგისა და თხელდს) მეზღვეურთა თავშესაფარს კი
მე ვუწოდებ „კამერგერ“ ალვინგის სახელს, და თუ
ის თავშესაფარი ისე მოვაწყე, როგორც ვფიქრობ,
უცკველად ლირსიც იქნება ცხონებულის კამერგე-
რის სახელნებელისა.

- თასტატ.** მე! მე. წავიდეთ, წავიდეთ, ძვირფასო იაკობ. მშვი-
ლობით, მშვიდობით (იაკობთან ერთად გადის დერეზ-
ნის კარჯებში).
- თასტატ.** (მიდას სტოლთან). ის რომელი სახლის შესახებ ლაპა-
რაკობდა?
- ადგინგ.** რაღაც თავშესაფარის შესახებ, რომელიც იაკობმა
და პასტორმა უნდა დააარსონ.
- თასტატ.** ის ისევე გადაიბუგება, როგორც ეს.
- ადგინგ.** განა რამ გაფიქრებინა?
- თასტატ.** დაიწვის მეთქი. მამი ჩემის მოსაგონებელი არა უნ-
და დარჩეს რა ქვეყანაზე. თითონ მე წავუკიდებ
ცეცხლსა!
- რეპ.** (თავზარ დაცუმული შეჭერებს).
- ადგინგ.** ძალიან დიდხანს კი დარჩი ქვევით, ჩემო საბრალო
შვილო!
- თასტატ.** (სტოლთან ჩამოჯდება) თქვენ მართალი ხართ!
- ადგინგ.** დამაცა, შვილო, სახეს გაგიწმენდავ. რად დასვე-
ლებულხარ ასე? (ხელსახორცი სახეს უწმენდავს).
- თასტატ.** (ჟგუღრდ წინ იხედება) გმადლობ, დედილო!
- ადგინგ.** ალბად, ღაილალებოდი. არ გეძინება, შვილო?
- თასტატ.** არა, არა. მე სულაც არ მძინავს ხოლმე, მხოლოდ
თავს ვიმძინარებ. (ნადგინად) სხვა რამ ძილი კი
ძალიან ადრე მეწვევა.
- ადგინგ.** (შეწერებული) მართლა რომ ავათა ხარ, შე დედა
მკვდარო!
- რეპ.** (ცნობის მოუკარებით) განა ბატონი ოსვალდი ავად
არის?
- თასტატ.** (მოუმენდად) დახურეთ ყველა კარებები... მხ! ეს
მომაკვდინებელი შიში!

- ალგინგ. რეგინა, დახურე!
- რებ. (ჟველა ქარებს დახურავს და ღერეფის ქარებთან განერ-
დება, ქალბატონი ალგინგისა მანდილს იხდის, ასევე იქცე-
ვა რეგინაც).
- ალგინგ. (სკამს თსევალდთან ახლო მიიღებს და დაჭდება) ახლა
კი შენთან ახლო ვარ.
- ოსგალ. დაჯექ, დედა, რეგინაც ყოველთვის ჩემთან იქნება.
გაქირვების დროს ხომ მომეშველები, რეგინა, ხომ?
- რებ. მე ვერა გამიგია-რა.
- ალგინგ. მოგეხმარება?
- ოსგალ. დიახ, თუ საჭირო იქნება მეოქი.
- ალგინგ. ოსვალდ, შენ ხომ გყავს დედა, რომელიც ყოველ-
თვის დაგეხმარება!
- ოსგალ. შენა? (იძიმება) ვერა, დედა, შენ ისე ვერ დამეხმა-
რები, (ნადვლიანად იცინის) შენა? ხა, ხა, აა! (დანჯად
შესცემის, შერე უცბად) რეგინა, (მიგმართავს) რატომ
შენობით არ შელაპარაკები? რეგინა, რატომ სახელს
არ მიახი?
- რებ. (ხმა დაბლა) არ ვიცი მომცემს თუ არა მაგის ნებას
ჩემი ქალბატონი.
- ალგინგ. შენ მალე მოგეცემა მაგისი ნება. მოდი, დაჯექ ჩემ-
თან. (რეგინა მორიდებით სტოლის იქმო ჩამოჭდება).
- ალგინგ. ახლა კი, ჩემო საბრალო შვილო, მინდა ჯავრი გუ-
ლიდან მოგხსნა.
- ოსგალ. შენა, დედა?
- ალგინგ. ის, რასაც შენ სინიღისის ქენჯნას უძახი, რაც შენ
სანაცულო და საყვედურო გგონია...
- ოსგალ. ნუ თუ მართლა შევიძლიან მომარჩინო?
- ალგინგ. დიახ, შემიძლია. ამ ცოტა ხნის წინად შენ ახსენე
ზედ-მეტი ძალა სიცოცხლისა და ამ სიტყვებმა ბევ-
რი რამ ამიხსნა, ბევრი რამ გამახსენა ჩემის წარსუ-
ლიდან.
- ოსგალ. (თავს აქნევს) არაფრისგან არაფერი მესმის-რა.

- აღგინგ. აბა შენ მამა უნდა გენახა სიყმაწვილეში, როდე-
საც სულ ახალ-გაზდა ლეიტენანატი იყო. აი, ვისა
ჰქონდა გადაჭარბებული ძალა სიცოცხლისა.
- თხგ. მე ეგ ძლიერ კარგად ვიცი.
- აღგინგ. თითქოს მზემ შემოაშუქაო, ისე გაგინათლდებოდა
გული მის მნახველს. რამდენი სიცოცხლის ძალა და
თავდაუჭერლობა იხატებოდა მისს სახეზე.
- თხგალ. მერე—რა?
- აღგინგ. და აი ასეთი, სიცოცხლით სავსე ბალლი—იმ დროს
სწორედ რომ ბალლი იყო—იძულებული შეიქმნა
დასახლებულიყო პატარა მიყრუებულ ქალაქში, სა-
დაც არავითარი სასარგებლო თავ-გასართობი არ
მოიპოვებოდა, სადაც ცხოვრების ძარღვი ისე დუ-
ნეთა სცემდა, რომ სამსახურის გარეშე იმის ყურა-
დლებას არავითარი კეთილი მისწრაფება არ იპყრობ-
და, სადაც ვერ ეპოვნა რიგიანი მეგობარი და მარტო
ამშსონები და უსაქმურები დასტრიალებდნენ თავსა.
- თხგალ. დედა, დედა!
- აღგინგ. და აი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო...
- თხგალ. რა უნდა მომხდარიყო?
- აღგინგ. შენვე არა სთქვი გუშინ, ვინ იკის რა დამემართე-
ბა, ამ გამოყრუებულ ადგილის რომ დავრჩეო?
- თხგალ. ნუ თუ შენ გინდა სთქვა, რომ მამაჩემიც...
- აღგინგ. დიახ, უბედური მამაშენი ვერა პოულობდა ნიადაგს
გადაჭარბებულ სიცოცხლის ძალთა დასაკმაყოფ-
ლებლად, დასაოკებლად. მეც ვერ გავუნათე ცხოვ-
რების გზა...
- თხგალ. შენკა?
- აღგინგ. მე მასწავლეს დავმორჩილებოდი რაღაც მოვალეო-
ბათა მოთხოვნილებას, მე მჩქამდა ამ მოვალეობა-
თა აუცილებლობა და ისედაც ვიქცეოდი. მთელი
ჩვენი ცხოვრება შეზღუდული იყო ამ მოვალეობით,
ცალკე ჩემი მოვალეობანი და ცალკე იმისი. და მე

მგონია, რომ საბრალო მამიშენის სიცოცხლე ჩემ
ხელში აუტანელი უნდა ყოფილიყო.

თსგად. რატომ ერთხელ მაინც არ მომწერე ამის შესახებ.

ალგინგ. მე მაშინ ჩემს მოვალეობათა ვსოფლიდი ამ საკით-
ხის შესახებ შენთვის,—მისის შეილისათვის—არა
მეთქვა-რა.

თსგად. შენ როგორლა, ურიგდებოდი ავგვარ გარემოებას.

ალგინ. მე მრწამდა, რომ მამაშენი შენს დაბადებამდის უკვე
გახრწნილი იყო...

თსგად. (ერთ ხმით) ოხ! (წამოდგება და ფახვარასთან მიერა).

ალგინ. დღითი დღე მარტო ერთ რამეზე ვფიქრობდი. ვფიქ-
რობდი, რომ რეგინაც ისეთივე შეილია ჩემი სახ-
ლისა, როგორც შენ, ოსვალდ.

თსგად. (სწრაფად მთტრიალდება) რეგინა?

რეპ. (შეკრთვება და ხმა დაბლა ჭითხულობის) მე?!

ალგინგ. დიახ! ახლა კი ორივემ იცით თქვენი ვინაობა.

თსგად. რეგინა!

რეპ. (თავისეფვის) დახეთ თურმე როვორი ყოფილა დე-
და ჩემი!

ალგინგ. დედა შენი, ჩემო რეგინა, ბევრ შემოხვევაში დაუ-
ფასებელი დედა-კაცი იყო.

რეპ. კი, მაგრამ მაინც ისეთი ყოფილა. განა არა ხან-
დისხან ვიფიქრებდი ხოლმე... მაშ ნებას მიბოძებთ,
ქალბატონო, რომ ახლავე დავსტოვო თქვენი სახლი?

ალგინ. ნუ თუ მართლა ახლავე გინდა წასელა, რეგინა?

რეპ. დიახ, ამ წუთშივე.

თსგად. (მიერა რეგინასთან) ახლა მიღიხარ? აი, აქ არის შენი
ბინა!

რეპ. გმადლობთ, ბ-ნო ალვინგ! უკაცრავათ, შემიძლია
ახლა ოსვალდიც დეგიძახოთ, მაგრამ ჩემი ოცნება
მარტო ამას როდი ელამუნებოდა.

ალგინგ. მე, მე გიმალავდი ყველაფერს, რეგინა!

რეპ. აბა რა სასიამოენოა მწარე მოგონებათა ხშირი

გახსენება! რა კი გავიგე, რომ ოსვალდი ასე ავათ არის და ჩვენი შეუღლებაც შეუძლებელია—აღარ შემიძლია აქ, ამ მიყრუებულ აღილას დარჩენა. მე სრულებითაც არა მსურს თავი ამოვირჩიო, ან ავათმყოფებს ულოლიავო.

ასეად. თუნდაც ის ავათმყოფი ისეთი მახლობელი იყოს შენი, როგორც მე ვარ?

რეპ. დიახ, თუნდაც! ღარიბმა გასათხოვარმა ქალმა უნდა ისარგებლოს თავის სინორჩით, თორე? დამთქნა- რებასაც ვერ მოასწრობს, რომ უკვე გაირიყება. მეცა მფლობენ გადაჭარბებულნი ძალნი სიცო- ცხლისა, ჩემო ქალბატონო!

ალგინგ. დიახ, საუბედუროთ. ჭკვიანათ მაინც მოიქეცი, ჩე- მო რევინა!

რეპ. მოსახლომი უნდა მოხდეს! ოსვალდი თუ მამას და- ემსგავსა, მე კიდევ დედის თვისებანი გამომყოლია! ნება მიბოძეთ გვითხოთ, ქალბატონო, იცის თუ არა პასტორმა ჩემი ვინაობა?

ალგინგ. პასტორ მანდერსმა ყველაფერი იცის.

რეპ. (მანდილს საჩქაროდ ხელს წამოავლებს) მაშ გავეშურე- ბი გემზე. პასტორი კეთილი კაცია, იმას აღამიანი ყოველთვის დაიყოლიებს. გარდა ამისა მეც ისე- თივე უფლება მაქვს იმ ფულის მიღებისა, როგორც იმ უმსგავს დურგალს!

ალგინგ. ფულებს მეც მოცემ, რევინა.

რეპ. (ბოროტის თვალით უურებს) თქვენ, ქალბატონო, შეგეძლოთ მოცეცათ ჩემთვის ისეთი აღზრდა, რო- გორიც შეეფერება დიდებულის კაცის ქალს, და ის უფრო სესარგებლო იქნებოდა ჩემთვის. (თავს უქან გადაიგდებს) მაგრამ ახლა ჩემთვის სულ ერთია. (მერე სიძრაზით გადასედავს შემჩანიურის ბოთლებს) შეიძლება მეც ოდესმე დიდებულებთან ერთად მომიხდეს შამპანიურის სმა. დიახ, მომიხდება!..

- ალგინგ.** თუ ოდესმე მოგენატროს მშობლიური სახლი, ისევ ჩემთან დაბრუნდი, ჩემო რეგინა!
- რებ.** დიდ მადლობას მოგახსენებ, ჩემო ქალბატონი! მე უკან იღარ დაგბრუნდები. პასტორი მანდერსი შემიყრდომებს ფრთუთა ქვეშე თვისთა, ხოლო თუ გამიჭირდა, მე ვიცი ისეთი სახლი, რომელიც უფრო სიხარულით მიმიღებს.
- ალგინგ.** განა რომელი სახლია?
- რებ.** კამერგერ ალვინგის თავ-შესაფარი, ჩემი მამობილის სასტუმრო.
- ალგინგ.** ახლა კი ვერძნობ, რომ დაიღუპები.
- რებ.** თქვენ დარღი ნუ გაქვთ! (თავს უკრავს და დერჯინის ქარებით გადის).
- ასგალ.** (დაჯდება ფანჯარასთან და იხედება) წავიდა?
- ალგინგ.** ჰო.
- ასგალ.** (თავისთვის ბუტბუტებს) როგორც ვატყობ, ცუდი საქ- მე მოგვივიდა.
- ალგინგ.** (შივა შეიღთან, შხრებზე ხედს დაადებს) ნუ თუ აგრე ძრიელ შეგაწუხა ამ ამბავმა, ჩემო დამტირებელო!
- ასგალ.** (სახეს დედისებენ მოიპრუებს) რას მელაპარაკებოდი მამიჩემის შესახებ?
- ალგინგ.** იქნება ჩემმა სიტყვებმა შენზე ცუდათ იმოქმედეს?
- ასგალ.** რა სათქმელია! მართალია ცოტა კი გამაკვირვეს, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია!
- ალგინგ.** (ხედს შთაშორებს) როგორ? განა შენთვის სულ ერთია, რომ მამაშენი ენით აუწერელი უბედური იყო?
- ასგალ.** რასაკვირველია, მებრალება ისე, როგორც ყოველი უბედური ადამიანი.
- ალგინგ.** როგორ? ნუ თუ მამა მეტათ არ უნდა გიყვარდეს?
- ასგალ.** (მოუთმენდათ) მამა, მამა! მე ხომ იმას არც კი ვიცნობდი. მახსოვეს მხოლოდ, რომ ერთხელ ისე და- მათრო თუთუნით, რომ პირლებინებით კინაღამ მოვკვდი.

- ଅଭିନନ୍ଦ.** ତୁବନ୍ଦାପ ଯଗ୍ରେ ହନ୍ତ ଯଜ୍ଞା, ନୁ ତୁ ଶ୍ଵିଲ୍ପ ମାମା ଏଣୁ
ନୁହା ଯୁଗ୍ମାର୍ଥଦୟେ? ସାହାର୍ଯ୍ୟାଳୀବ, ସାହାର୍ଯ୍ୟାଲୀବ!
- ଅଭିନନ୍ଦ.** ତୁ କି ଡାଙ୍ଗଶ୍ଵେ ମାମା ତଥାଲୀନାପ ଏଣୁ ନୁହାଥୀବେ, ତୁ କି
ସିକ୍ଷାତ୍ମ ଏବା ବ୍ସେ-ରା, ହାଶାକ୍ଷେତ୍ର୍ୟାଲୀବ, ଏଣୁ ଯୁଗ୍ମାର୍ଥୀ
ବା. ମିକ୍ରିର୍ବେ, ହନ୍ତ ଶ୍ରେଣୀ, ଗାନାତଲ୍ଲେବ୍ୟୁଲ ଦା ମନ୍ତ୍ରିନା-
ବେ ଧେଇକାପ୍ରେ, ରାତ୍ରାପ୍ରେ ନୁହାପର୍ଯ୍ୟେବି ଗର୍ଭାମେ!
- ଅଭିନନ୍ଦ.** ନୁ ତୁ ଶ୍ରେଣୀ ଗଗନାବ, ହନ୍ତ ଏ ମାର୍ତ୍ତିମ ନୁହାପର୍ଯ୍ୟେବି,
ପ୍ରାତ୍ସନ୍ଧି-ମନ୍ତ୍ରିମହୁନ୍ଦେବା?
- ଅଭିନନ୍ଦ.** ଶ୍ରେଣ୍ଯେ ଦାଲୀବ କାର୍ଗାତ ପିପି, ଧେଇଲ୍ଲାମ, ହନ୍ତ ମହା-
ବ୍ୟେଲିତା ଦା ଶାନ୍ତିଲ୍ଲାମ ବାନ୍ଧାର୍ତ୍ତିପର୍ଯ୍ୟେରିତା ମନ୍ତ୍ରାଲ୍ୟମହାନି
ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତବ୍ୟେଲ୍ଲାମ, ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତବ୍ୟେଲ୍ଲାମ ହୃଦୟମହାନାମ, ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତ
ମି ହୃଦୟମହାନାମାତାଗାନି, ହନ୍ତମଲ୍ଲେବିପ ଏଣେ ଏବାମହାମହାନାମ
ହୃଦୟମାନାମ!
- ଅଭିନନ୍ଦ.** (ଶ୍ରେଣ୍ଯେବ୍ୟେଲ୍ଲାମ) ଏଣେବା ମନ୍ତ୍ରମହୁନ୍ଦେବାନିପ ଏବାନା?
- ଅଭିନନ୍ଦ.** (ମନ୍ତ୍ରମହୁନ୍ଦେବା ବ୍ୟେଷନ୍ତିବିନ୍ଦୁରେ) ଏଣେବା, ଶ୍ରେଣ୍ଯେ ମନ୍ତ୍ରମହୁନ୍ଦେବାନିପ ଏଣେବା
ଏବାକାମା.
- ଅଭିନନ୍ଦ.** (ଶାରୀରକମାତା) ଏବାଲ୍ଲାମ! ମାତ୍ର ଶ୍ରେଣ୍ଯେବା ମେପ ଏଣୁ
ଯୁଗ୍ମାର୍ଥ!
- ଅଭିନନ୍ଦ.** ଶ୍ରେଣ୍ଯେ ବ୍ୟୋମକ ମାନିପ୍ର.
- ଅଭିନନ୍ଦ.** ଏଣେବା, ମିକ୍ରିନାମ, ମାର୍ତ୍ତିମ ଗାନା ମାର୍ତ୍ତିମ ଯାମାରା?
- ଅଭିନନ୍ଦ.** ବ୍ୟୋମ ହନ୍ତ ଶ୍ରେଣ୍ଯେ ଯୁଗ୍ମାର୍ଥାର ଦା ମେପ ମାନ୍ଦିଲ୍ଲା-
ବା ନୁହା ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତବ୍ୟେଲାମ ଏମ ଶିଖ୍ୟାର୍ଥୁଲୀନିତ୍ୟାବିଶ. ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତ
ଏମିତା ବ୍ୟୋମ, ହନ୍ତମଲ୍ଲେବି ମେ ଆଗାତା ବାର, ଶ୍ରେଣ୍ଯେ
ମନ୍ତ୍ରିଲୀବ ଲାଦିଲାମ, ଦାଲୀବ ଲାଦିଲାମ ସାର୍ବଗ୍ୟବିଲ୍ଲାମ ମନମିତ୍ରାନାମ.
ହାଶାକ୍ଷେତ୍ର୍ୟାଲୀବ!
- ଅଭିନନ୍ଦ.** ଏଣୁମାନିଲ୍ଲାମ କିମେପ ମେମନ୍ତିମିମେଲ୍ଲାମ, ହନ୍ତ
ଶ୍ରେଣ୍ଯେ ଏଗାତା ବାର, ହିନ୍ଦ ଗାନମ ଶାବଲ୍ଲାମ ଦାମିଦର୍ଥୁ-
ଲ୍ଲାମ. ବ୍ୟୋମନାମ, ହନ୍ତ ଶ୍ରେଣ୍ଯେ ମେ ଏଣୁ ମେମନ୍ତିମିମେଲ୍ଲାମ, ମେ ଏଣୁ
ଯୁଗ୍ମାର୍ଥାର. ମେ ଜ୍ୟୋତିର୍ବ୍ୟୋମ ଶ୍ରେଣ୍ଯେ ଶିଖ୍ୟାର୍ଥୁଲୀବ ମାନ୍ଦିଲ୍ଲାମ
ଦାଶାମିଶାବ୍ଦୀର୍ଥେବ୍ୟୋମିଲ୍ଲାମ.
- ଅଭିନନ୍ଦ.** (ମନ୍ତ୍ରମହୁନ୍ଦେବାନାମ) କାର୍ଗାମ, କାର୍ଗାମ, କାର୍ଗାମ! ଏହି ମାର୍ତ୍ତିମ
ପାର୍ଶ୍ଵମହୁନ୍ଦେବା! ଶ୍ରେଣ୍ଯେ ନୁହା ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତବ୍ୟେଲ୍ଲାମ, ହନ୍ତ
ମେ ଆଗାତମହୁନ୍ଦେବା କାର୍ଗାମ ବାର ଦା ବ୍ୟୋମ ମାର୍ତ୍ତିମ ହୃଦ
ତାଙ୍କେ ନୁହା ବ୍ୟୋମିଲ୍ଲାମ.

- ადგინგ.** აღვიპურვები, შეილო, მოთმინებით და ოლარას მო-
გთხოვ.
- ასგალ.** ხომ იმხიარულებ კიდეც, დედილო!
- ადგინგ.** (მიუახლოვდება) ვიმხიარულებ კიდეც, ჩემო საყვა-
რელო ბიჭუნა. ხომ გადაგავიშუ ი რაღაც სინი-
დისის ქეჯნა იყო. ხომ ოლარ უსაყვედურებ შენ
თავს? მითხარ, გენაცეა!
- ასგალ.** მართალია, მაგრამ შიშისაგან ვინ დამიხსნის?
- ადგინგ.** შიშისაგან!?
- ასგალ.** (დადის) მარტო რეგინას შეეძლო ჩემი გამოხსნა.
- ადგინგ.** მე არ მესმის რა დამოკიდებულებაა რეგინასა და
შიშს შორის?
- ასგალ.** დიდი ხანი გავიდა, დედი!
- ადგინგ.** უცვე განთიალია. (შუშანქნდში გაიხედავს) აგერ ალი-
ონი მთის ოწვერგალებს დაადგა, მშვენიერი დღე
თენდება. მალე მზესაც ვიხილავთ, ჩემო ასვალდ.
ოხ, როგორი მოხარული ვარ! ოხ ჯერ რამდენი
რამ არის ქვეყნათ, რომლებიც მე მახაოებენ,
რომლის გულისათვისაც ლირს სიცოცხლე, დღე-
გრძელობა.
- ადგინგ.** ოლონდაც!
- ასგალ.** თუნდაც მუშაობა რომ ვეღარ შევსძლო, მაინც...
- ადგინგ.** გულს ნუ გაიტეხ, ჩემო სიცოცხლე, მუშაობასაც
მალე დაიწყებ, რადგანაც ამიერიდგან შავი ფიქ-
რები ოლარ შეგაწუხებენ.
- ასგალ.** მადლობელი ვარ, დედილო, რომ ფანტაზიები თა-
ვიდგან მომაშორე, თუ კი მეც შევძელ მათი და-
ძლევა. (დივანზე ჩიმოვდება) ახლა კი ტკბილათ ვი-
მუსაიფოთ, დედა ჩემო!
- ადგინგ.** ვიმუსაიფოთ (დაფანთან სავარძელს მიატანს და შეიძის
ახლო დაჭდება).
- ასგალ.** საცაა მზეც ამოვა და მაშინ კი ყველაფერს გაიგებ...
- მაშინ შიშიც თავს დამინებებს.

- ალგინგ. რას გავიგებ?
- თხებად. (უკუნს არ უგდებს) დედა, გუშინ სალაშოთი მითხარი, რომ ქვეყნათ ისეთი არა იქნება-რა, რომ შენის გულისათვის არ ჩავიდინოვო.
- ალგინგ. მართალია, გითხარი...
- თხებად. დღესაც მზათა ხარ გაიმეორო შენი სიტყვები?
- ალგინგ. განა ეჭვი გაქვს. შენ ხომ იცი, რომ მარტო შენით ვცოცხალვარ!
- თხებად. მაშ ახლა კი ყველაფერს გიამბობ. მე ვიცი, რომ მაგარი ხასიათის ადამიანი ხარ. შენ უნდა მშეიდათ იჯდე და რასაც გეტყვი, ყური დაუგდო.
- ალგინგ. განა ისეთი უცნაური რამ უნდა მითხრა!
- თხებად. გესმის, ყვირილი არ დაიწყო! სიტყვას მაძლევ, დედა, რომ მშეიდათ დამიგდებ ყურსა?
- ალგინგ. სიტყვას გაძლევ, მხოლოდ სოქვი მალე შენი სათქმელი.
- თხებად. მაშ, იცოდე, რომ ის დაღლილობ... ის, რომ მე შრომა და ფიქრი აღარ შემიძლია—ავადმყოფობა არ არის.
- ალგინგ. მაშ ჩითი ხარ ავად?
- თხებად. ავადმყოფობა, რომელიც მე შთამომავლობიდან გამომყვა (უჩვეუნებს შებდეზე და საიდუმლო ხმით უმატებს) აი, აქ არის დაბუდებული.
- ალგინგ. (თითქმიას ჩერჩელით). არა, ოსვალდ, ეგ შეუძლებელია! არა, არა!
- თხებად. ნუ ყვირი. ჩემთვის აუტანელია ყვირილი, დიახ, ეს ავადმყოფობა ჩემშივე ზის და სულ განაბული დროს უცდის. ყოველ საათში, ყოველ წუთში მოველი, რომ...
- ალგინგ. ვაიმე, უბედურსა!
- თხებად. იყუჩე!... დიახ, ასეთია ჩემი ყოფნა!
- ალგინგ. ... არა, ოსვალდ, ეგ წარმოუდგენელია, ეგ შეუძლებელია!

თსგად. ჰმ! სამზღვარ გარედ რომ ვიყავ, პირველად იქ შემიარა, მაგრამ მალე ისევ დავტკვიანდი, ხოლო როდესაც შევიტყე, როს მე სიგიურ ვყოფილვარ ავად, ისეთმა შიშის ზარმა ამიტანა, რომ მაშინვე სახლისკენ, შენკენ გამოვწიო.

ადგინგ. აი, თურმე რა ყოფილა შენი შიშის მიზეზი!...

თსგად. ოხ, რომ იცოდე რა საძაგელი, რა ამაღლვებელი მდგომარეობაა ნეტა სასიკვდილო ავადმყოფობა მაინც იყოს! მე სიკვდილისა არ მეშინიან, თუმცა კი სიცოცხლეც მწყურია!...

ადგინგ. შენ დიდ ხანს, დიდ-ხანს უნდა იცოცხლო, ჩემო ისვალდ!

თსგად. ოხ, რა საზიზლრობა, რა უკიდურესობა! უნდა ისევ ძუძუ მწოვარა ბავშვად გადაიქცე, სხვამ გაჭამოს, სხვამ გასვას. არა, არა მე ვერ აგიშერ იმ უბედურ მდგომარეობას!

ადგინგ. განა ძუძუ მწოვარა ბავშვს დედა არა ჰყავს, რომ მოუაროს?

თსგად. (წამთხსტება) არასოდეს! მე სწორეთ ეგ მაშინებს, რომ ოდესმე ჩავეგდები ლოგინათ და რამდენიმე წელიწადი საპყრათ ვიდები. იქნება ლოგინში დავბერდე კიდეც, რაღვანაც, როგორც ექიმმა სთქვა, ამგვარ ყოფაში კაცი თურმე ვვიანა კვდება. ვინ იცის შენ ჩემზე ადრე მოკვდე კიდეც (დედის საგარეულო ჯდება). იცი, რა უწოდა ექიმმა ამ ავათმყოფობას? ტვინის გალაყება, თუ რაღაც ამგვარი... (ნადგვიანის დიმილით) მე ეს სახელ-წოდება ძალიან მომწონს, როდესაც ვფიქრობ ხოლმე, რაღაც ალისფერი ხავერდის მინაგვარი სამოსელი მელანდება, რომლის ხელის გადასმაც კაცს იამება.

ადგინგ. (ეჭირის) ოსვალდ, ოსვალდ?

თსგად. (წამთხსტება და თათხში სიარულს დაიწევებს) შენ კი წამართვი რეგინა, ის რომ ჩემთან ყოფილიყო, უეჭველათ დამიხსნიდა.

- აღგინტ.** (მიუახლოდება) რა გინდა სთქვა მაგით, ჩემო თვალის ჩინო, განა დედაშენი კი გაექცევა შენ შველას; განა ისეთი რამ იქნება ქვეყანაზე, რომ დედაშენმა შენის გულისათვის არ იტვირთოს?
- ასგად.** როდესაც განვიკურნე პირველის სიგიუსავან, ექიმმა მოთხრა, თუ კიდევ გაგიმეორდა—ხოლო რომ გამეორდება ეს უეჭველიაო—შენი მორჩენა აღარ შეიძლებაო.
- აღგინტ.** პირიღგან როგორ ამოუშვა მაგისთანა სიტყვები.
- ასგად.** ძალათ ვათქმევინე. ვუთხარი ათასი საქმეები მაქვს, ათასგვარი განკარგულება უნდა მოვახდინო მეტქი. (ეშმაჭურათ იცინის) და არც თუ ტყუილი მითქვამს! (ჟალეტის ჭიდავდგნ ჰატარა კოდოფს ამიდებს) დედა, ამასა ხედავ?
- აღგანტ.** რა არის, შვილო?
- ასგად.** ბანგის ფხენილი.
- აღგინტ.** (ძრწოლით შემსურებს) ოსვალდ, ჩემო ოსვალდ!
- ასგად.** ამაში თორმეტი აბია!
- აღგანტ.** (კოდოფს მივარდება) მომეცი, მომეცი ეგ კოლოფი, ოსვალდ!
- ასგად.** ჯერ დრო არ არის, დედილო! (კოდოფს ისევ ჭაბეში იღებს).
- აღგინტ.** ჯავრით მოვკვდები.
- ასგად.** არა, დედილო, შენ უნდა იკოტხლო. რეგინა რომ ჩემთან ყოფილიყო, გაჭირვების დროს უაურო დამისნიდა.
- აღგანტ.** არასოდეს!
- ასგად.** თუ კი ის უბედურება დამატებოდა თავზე და დამინახავდა ძუძუმწოვარა ბავშვივით უმწეოს, უნუგეშოს, უიმედო ავათმყოფს, როგორ არ გამომიწვდიდა ხელს საშველიაღ?
- აღგინტ.** რეგინა თავისს დღეშიაც ვერ გაჭირდავდა...
- ასგად.** არა, რეგინა ისეთი ქარაფშუტა არსება იყო, რომ

ჩემისთანა ავათმყოფის მოვლა მაღლე მობეზრდებოდა და...

ალგინგ. მაშ მადლობა ღმერთს, რომ ის ჩემს სახლში აღარ არის!

ოსგალ. მაშ ახლა შენ, შენ, უნდა გამომიწოდო, დედა ჩემო, ხელი მოწყალებისა.

ალგინგ. მე?

ოსგალ. ეინ უფროა ჩემი გულის შემატეივარი?

ალგინგ. მე, დედა შენი!

ოსგალ. კიდეც იმიტომ უნდა დამიხსნა.

ალგინგ. მე, რომელმაც სიცოცხლე მოგანიჭე?

ოსგალ. როდისა გთხოვე სიცოცხლე მომანიჭე-მეთქი. ან როგორი სიცოცხლე მომეცი!? მე არა მსურს იგი... უკანვე ინებე!

ალგინგ. მიშველეთ, მიშველეთ! (დერჯანში გავრდება).

ოსგალ. (უკან დაედეგნება) ნუ მშორდები, სად მიხვალ?

ალგინგ. (დერჯანიდამ) მინდა ექიმს დავუძახო. გამიშვი, ოსვალდ.

ოსგალ. (დერჯანში) ვერც შენ წახვალ, და ვერც სხვა ვინ-მე შემოვა აქ! (ჭარებს დაჭვეტავს)

ალგინგ. (ისევ შემთდის) ოსვალდ, ოსვალდ, ჩემო უბედურო პირმშო!

ოსგალ. (შემთქვეუბა) განა შენ დედაშვილური გული გიდევს მკერდში? რატომ არ გსურს, დამიხსნა მომავალის საშინელებისაგან?

ალგინგ. აჰა ჩემი ხელი!

ოსგალ. მაშ თანახეა ხარ?

ალგინგ. როცა საკიროება მოითხოვს... მაგრამ არა. ეგ ყოვლად შეუძლებელია! შენ მორჩები...

ოსგალ. იმედიც კაოგი საქონელია. მაშ ვიცხოვროთ ჯერ-ჯერობით. მადლობელი ვარ, დედილო, მადლობელი! (ოსგალდა საკარძელში ჯდება, რამელიც ალგინგისამ დიგანთან მასწაა, თქნდება. დამივა, ისევ ანთა)

- აღგინგ. (ფრთხილათ შაჟახლოვდება) დამშვიდდი, შვილო?!
- ასგად. დიახ.
- აღგინგ. (დაიხრება სავარძელზე) ეს სულ შენი ოცნების ბრალია, ოსვალდ. შენი ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი! შენ ვეღარ გაუძელ იმ მღელვარებას, რომელიც ამ ბოლო ღროს განიცადე, და სისუსტემ მოგიარა. აი, დაისვერებ დედიშენის სახლში, ჩემო ძვირფასო ბიჭუნა, და მორჩები. ყოველივე შენ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებ, ისე როგორც პატარაობისას გილოლიავებდი ხოლმე. ხედავ, ჩემი სიცოცხლე, რა მალე დამშვიდდი? ავად-მყოფობამ რა მალე გაგიარა? მე კი არ ვიცოდი! მალე ლამაზი დღეც გამეფდება, ცხრა თვალა მზე უხვათ გამოგზავნის თავის სხივებს და შენი სამშობლოს სიტურცე-სიდიადე თვალწინ გაგეშლება! (შიდის სტოლთან და სანთეზს აქრთბს. შეინვარები და შთის მწვერფალები სცენის სიღრმეში მზის სხივებით იქარგებან).
- ასგად. (სცენის სიღრმისებინ ზურგ შექცეული გუნძრევლად ზის საგრძელებში, მერე მოუღოდნელათ წამოიძახებს) დედოლო, მომეცი მზე.
- აღგინგ. (სტოლთან სდგას და განცვითობით შეჰქერებს) რა სთქვი?
- ასგად. (ერთ, თითქმის ჩერნულით იმეორებს) მზე, მზე მინდა, მომეცი მზე.
- აღგინგ. (შიგარდება) ოსვალდ, რა მოგდის?
- ასგად. (სავარძელში იკრუნებება. თითოეული ქუნთი უსუსტდება. სასე შემია უთველგვარ გამოშეტეველებასა ჰეარგავს და თვალებით უაზროდ გაიცქირება სადღაც შორს).
- აღგინგ. (თავზარ დაცემული კანგალებს) რა ვქნა, რა მოსდის?
- (ეჭვირის) ოსვალდ, ოსვალდ, რა მოგდის? (დაეცემა მუხლებზე და ანჭდრევს) ოსვალდ, ოსვალდ, დამინახე, შვილო, ვეღარა მცნობა?

- თსგანდ.** (ლუდლუდებს წინანდებურად) მზე... მინდა მზე!
ალგანგ. (სასორისკეეთადებით წაშისტება, თრივე ხელებს თმაში
 იტაცებს და უვირის) ამის ატანა კი აღარ შეიძლება!
 (მერე გამოშტერებული ლუდლუდებს) არა, არ შეიძლება-
 მეთქი ამის ატანა. ოხ, ოხ! (უცის მოიგონებს) რა
 უყო საწამლავი? (მტერდზე ხელს აჩქრებით უფასურებს)
 აგერა! (ერთი ნაბიჭით უგან დადგება და უვირის) არა,
 არა, არასოდეს!.. ჰოო!!... არა, არა! (ერთი ნაბი-
 ჭით კიდევ უგან გრდადგება, თმებში ხელებს იტაცებს და
 გამოუთქმების ძრწალითა და შიშით შეჭერებს თავისის
 საუკარელ შვილს).
- ასვანდ.** (წინანდებურად მოგუნტულა საფარძელში და ლუდლუდებს).
 მომეცით მზე... მზეი!...

(ფარდა)

თა ეპალაზმე.



გლეხი პატი

გადასაცემ ფონ-ბოლენცისა

შიგნი მესამე

ii v

ჩამოსული მუშები მკას შეუდგნენ. ყანა, სადაც გალ-
 ბენაუელი გლეხები მუშაობდნენ, ყაზარმებზედ ძალიან და-
 შორებული იყო; გუსტავმა განკარგულება მოახდინა — სადილი
 ყანაში ეზიდნათ, რომ მუშები ბევრს არ მოცდენილიყვნენ. სა-
 დილის მოსატანად ჩვეულებრივ ერთ-ერთ გოგოსა ჰგზავნილნენ
 ხოლმე. დღეს სადილისთვის ერნესტინა უნდა წასულიყო.

მახლობელ კალანჩაზედ საათმა თორმეტი რომ ჩამოჰკრა,
 მუშებმა მკას თავი დაანებეს. ყველამ მახლობელ არხში
 ადგილი მოიძებნა და მოსვენებას მიეცა, — ვაუებს თავიანთი
 „კურტკები“ ამოედოთ თავ-ქვეშ და მარიამობისთვის მზის
 სხივებისაგან დასაფარათ სახეზედ ქუდები დაეწყოთ, ქალებს
 თავებზედ ფერად-ფერადი თავსახვევები მოეხვიათ და მკლავე-
 ბი და კანჭები კი დაეკარწახებინათ. ასე, ამგვარად, მუშები
 შუა დღის მზის სხივების ქვეშ იწვნენ და სადილს მოუთმენ-
 ლად ელოდნენ.

ლაპარაკი არავის არ უნდოდა. მეტის მეტი დალლილო-
 ბით ცველას ქანცი გასწყვეტოდა და ძილი ეპარებოდა. ადვილი
 ხომ არის გათენების ოთხი საათიდან შუა დღემდინ მკა, პურის
 ხელეურებად შეკვრა და მერე ძნებად დაწყობა?

გეშკე სხვებთან ერთად არხში არ იწვა; ის შეუმჩნევლად
 განშორდა ამხანაგებს და • სანამ მუშებს თვალიდან მიეფა-
 რებოდა, დინჯის ნაბიჯით მიდიოდა, მაგრამ, გაშორდა თუ

არა ცოტას, ფეხი აუჩქარა და დაბარებულსავით ყაზარშინა-
კენ მოუსვა.

ცოტა ხნის შემდეგ მომავალ ქალს მოჰკრა თვალი—ეს
ერნესტინა იყო, რომელსაც ორთავე ხელში ყურიანი კალა-
თები ეჭირა და ღინჯის ნაბიჯით მინდვრისკენ მიღიოდა. გე-
შეემ სიხარულით შეჭკივლა და ნაცნობი ბილიკით ერნესტი-
ნას მისაგებებლად გაიქცა.

ერნესტინამ მოჰკრა თუ არა მიმავალ წვეროსანს თვალი,
კალათები ძირს დაუშვა, ღოინჯი შემოიყარა და ლოდინი და-
უწყო. როგორც ეტყობოდა, ქალს სრულებით არ შეეშინდა
ვაჟისა. პირიქით, ისე გულიანათ უღიმოდა გეშკეს, რომ მშვე-
ნიერი ბროლის კბილები მთლათ უჩინდა. გეშკე მიუახლოვდა
თუ არა, ქალს ხელი დასტაცა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და
შიგ ტუჩებში ჩაჰვარდა; ერნესტინას არ გაუკერდა ამ გვარი
საქციელი.

ქალმა წითელი თავმოსახვევი გაისწორა თავზედ და გამო-
უცხადა—კალათები ეხლა შენ წიმოიღე მე დავიღოლე კიღე-
ცაო. რასაკვირველია, გეშკე ამის უარს ვერ ეტყოდა, თუმცა
ძვირად მისცემდა ოღონდ ხელები თავისუფალი დარჩომოდა.

ორთავენი დაიძრნენ, ერნესტინა ღინჯის ნაბიჯით წინ
მიღიოდა.

კარლი თვალითა სჭამდა ქალის სხეულს. იმას რა ენა-
ღვლებოდა, რომ ქალს შიშველა ფეხები მთლათ მტვერში
ჰქონდა მოსვრილი და კაბასაც მინდვრის მუშაობის ნიშნები
დასდებოდა? ამ ქერქ ქვეშ გეშკეს ქალი ელანდებიდა და რო-
გორიც იყო ეს ქალი. იმასაც სწორედ ისეთი უნდოდა. ქა-
რაფშუტა გეშკემ მბრძანებელი იპოვნა.

გალპენაუშიც ერნესტინასთვის დარჩა; საქსონიაშიც იმის
გულისთვის წამოეთრია; მარტო ამ გოგოს გულისთვის დაჭყო
ავდენს ხანს ერთგვარ სამუშაოზედ.

პატარა ერნესტინას ჩინებულად. ესმოდა რა ძალაცა ჰქონ-
და ამ კაცზედ. მიუხედავად ივისა, რომ ჯერ ჩვიდმეტი წლისა

იყო, მაინც ამოდენა ვაჟკაცის ხელში დაჭრას ახერხებდა. გეშკეს აქნობამდის ვერ მიეღწია თავის მიზნისთვის.

ერნესტინა გონებას არასოდეს არა ჰერიკვადა. ესეც რომ არა ყოფილიყო, გოგოს თავმოყვარეობა და საკუთარი თავის პატივისცემა არ აკლდა, რაც ყველა სოფლის გოგოს ღირსებას არ შეადგენს ხოლმე. ტონისავით პირველ შეხვედრილს რომ გადავარდნოდა კისერზედ, ამას არასოდეს არ იყადრებდა! მართალია გეშკე ძალიან მოსწონდა, მაგრამ ეს გრძნობა მარტო კეთილი, მეგობრული განწყობილებით იხატებოდა. იმას, სხვა თავის ხნის გოგოებსავით, ბიჭური ხასიათი შერჩენოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გეშკეს არც მუდარა და არც ხვეწნა არა სჭრიდა და ერნესტინა ჯერჯერობით მაინც კლდესავით მავრა იდგა.

ასე მიღიოდნენ მინდვრის ბილიკით. დრო გამოშვებით ერნესტინა სიცილით მიუბრუნდებოდა ხოლმე. ქალს ძალიან მოსწონდა, რომ უკან მძიმე კალათებით გეშკე ფეხებს ძლიეს მოაბიჯებდა.

ერნესტინამ ყანაში თავთავი მოჰველიჯა და იმდენი ული-ტინა საცოდავ გეშკეს ცხვირში, სანამ ხვითქ გადადენილმა კარლმა ცხვირი არ დააცემინა. სანამ ის კალათებს დაუშვებდა ძირსა, ერნესტინა ათს ნაბიჯზედ გაუჩრა კიდეც. საშინლათ ცხელლიდა და გეშკეს არ უნდოდა ფეხ მარდ გოგოს გამოს-დგომოდა.

გეშკეს თუმცა ეს არ მოსწონდა, ერნესტინას მაინც არა შეატყობინა-რა და სცდილობდა როგორმე ლაპარაკი გაება გოგოსთან; მაგრამ ყოველი სიტყვის პასუხად ქალი მხოლოდ იცინოდა. ნახე რა ეშმაკია! დაიგულებდა თუ არა გეშკე ქალს თავის ხელში, ის თევზსავით გაუსხლტებოდა ხოლმე ხელიდან. ეს მეტის მეტი იყო გამარჯვებებს მიჩვეულ გეშკესათვის!

გეშკე რამდენი ხანია ეხვეწებოდა — კვირა დღეს გადერბაშში წამომყე საცეკვეოთაო. ჩვენ რომ იქ ვიცეკვოთ, ვითომ რა იქნება ამაში საძრახისი?! გეშკე სცდილობდა ამ გვარი წინადაღებანი ვითომ და გულუბრიყვილოთ მიეცა ხოლმე.

მაგრამ ერნესტინას მოტყუილება აგრე ადვილი არ იყო. ცეკვა იმასაც უყვარდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ვაჟებს მარტო ეს ვერ დააკმაყოფილებდა.

დღესაც ტყუილათ ხარჯავდა ამდენ სიტყვებს, ტყუილათ აქებდა იქაურ იატაქს, მუსიკას, სასმელებს და ათას რაგინდარას. ქალი არც ჰოს და არც არას არ ეუბნებოდა; ის მხოლოდ ხითხითებდა ჩუმათ და რაღაცა სიმღერას ღილინებდა.

ბიჭის ბრაზი ყელში ეჩრებოდა. ის მზად იყო ცოცხლად გადაეყლაპა გოგო, მაგრამ რა ექნა, რომ ასე კარგი იყო ეს დასაქცევი?

იქვე მახლობლად ჩალის გრავა იდგა, რომელიც ამ ვაკე აღგილზედ შორიდანვე მოსხანდა. მოჰკრა თუ არა გეშკემ დაგროვებულ ჩალას თვალი, იმ წუთსვე ერთმა აზრშა გაუელვა თავში.

კარლი გაჩერდა, კალათები ძირს დაუშვა და ჩრდილში დასვენების სურვილი გამოაცხადა. სადილის მიტანა რა გვეჩერება—მუშები ხომ არ გაიქცევიან, იქ არ დაგვხელებიანო?

ქალი დასთანხმდა და მალე ორთავემ ჩალის ჩრდილს შეაფარეს თავი. გეშკემ კალათები ძირს დაუშვა და წამოიძახა:

— ოჰ, რა კარგია აქა, გოგო!

მერე მოჰხვია გოგოს ხელები და რამდენიც უნდოდა, იმდენი ჰქოცნა.

პირველად ქალი მარტო იცინდა და ადვილად ნებდებოდა, მაგრამ ბოლოს წინააღმდეგებობა დაუწყო. ეგ საძგელი წვერი უნდა მოიპარსო, რა არის სულ ერთიანად დამჩხვლიტე ლოკებიო.

— მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ეგ იგისრულო, ჩემო ერნესტინავ,—ეუბნებოდა კუცნითა და ლოშნით გეშკე,—მაგრამ ამის სანაცვლოთ შენც უნდა ამისრულო თხოვნა.

— რა გინდა?

— ეგ შენც კარგად იცი!...

— უუ! რა საძგელი კაცი ხარ!

-- თუ კი მიყვარხარ, მაშ, რა ვქნა?

-- დამანებე თავი!

-- აქ ხომ ვერავინ დაგვინახავს, ერნესტინა!

მაგრამ ქალი მკაცრი გადაწევით უფრო იგერებდა გეშ-კეს, ვიდრე ხელებით, და ეს ღონიერი ბიჭიც ამ პაწაწკინა გოგოს ვერაფეს იკლებდა. ვაჟი იძულებული იყო ქალის-თვის თავი დაენებებინა.

ერნესტინამ ვაჟი მასხარათ აიგდო. ამან ხომ ცივი წყალი გადასხა ვეშკეს ვნებათა ლელვას.

ბოლოს იმედ გადაწყვეტილსავით ვაჟი პირქვი დაეცა, თითქმ აღარაფრის დანახვა აღარ უნდაო.

გოგო გაშოთილ გეშკეს თავს დასდგომოდა და ეხვეწებოდა, სულელობას თავი დაანებე, ადე, წავიდეთ, მუშებს გაუკირდებათ ასე. რათ დაიგვიანება?

— მე იქ დაბრუნებას აღარ ვაპირებ! წავალ და შენ გულ-ცივობას სადმე გადავეკარგებიო, მიუკო გეშკემ — და ისე მოიკატუნა თავი, რომ ხმაშიც კი უზომო დარდისა და ვარამის ნიშნები გამოჰქმდა.

ქალმა თავით ჩაუჩიქა და თმაში თითები შეუყო. გეშკემ წითელი — მზე მოკიდებული სახე ქალისკენ მოიბრუნა, მაგრა ჩაიკრა ერნესტინა გულში და შეჭირა:

— თუ სურვილს არ ამისრულებ, ჩემ თავს უსათუოთ რამეს აუტეხო.

— რა გინდა ჩემგან? — ჩუმის ხმით დაეკითხა ქალი, როცა თითქმის ხელში ჰყავდა კიდეც გეშკეს.

— მაგისთანა სულელურ კითხვას კვლავ ნულარ მომცემ, ჩემო ძეირფასო! — ტკბილათ ჩასჩურჩულა გეშკემ ყურში.

ერნესტინამ თუმცა ცოტა კიდევ გაუწია წინააღმდეგობა, ბოლოს კი მაინც დაგროვილ ჩალის ჩრდილში წამოწვა...

* * *

ჩამოსულ მუშებ შორის ხშირათ ჩხუბი და უსიამოვნება ხდებოდა, მაგრამ სიყვარული და იქვნეულობაც ხშირათ იჩენ-



და ხოლმე მათში თავსა. გუსტავი, როგორც ზედამხელველის, ვერაფერს ვერ ამჩნევდა. თუ ვინმე შეიყვარებდა რომელსამე გოგოს, ან გოგო ვაჟსა, ყოველ ღონისა ხმარობდნენ, რომ გუსტავს ეს ამბავი არ გაეგო.

პოლონელის გაქცევის შემდეგ სამი ვაჟკაცი დარჩა მა- მულში და ეს სამი როგორლაც რიგდებოდნენ ერთმანეთში. გეშკე ისე გამოიჩინა იმათში თავი, რომ მეტოქეობას ვერა- ვინ უწევდა. მეჯინიბეთ ნამყოფი გეშკე კეთილი გულისა და პატიოსნი ბიჭი იყო. გოგოები მასხარით იგდებდნენ და ასისიანებდნენ. იმათ ძალიან მოსწონდათ, როცა გეშკე ჯვ- რობდა და სიბრაზისაგან ქარხლდებოდა ხოლმე. მეედლის ნა- შეგირდალი ფუმფაკი მაღალი ტანისა და დათვესავით ღონიერი, მაგრამ ჩუმი და უხერხული ბიჭი იყო. იმას შეეძლო მთელი დღე პირ მოკუმული მჯდარიყო და პირი მხოლოდ რამის საჭმელად გაელო ხოლმე; მაგრამ, სანაცვლოთ, ღამ-ღამიერით მარტო იმისი ხვრინვა-და ისმოდა. იმასაც ჰყავდა სულიკო. ეს რომანი ფუმფაკს გალბენაუშივე დაეშუო, აქ წამოსვლაც უსათუოთ იმის საყარაულოთ გადასწყვიტა, მაგრამ ეს ზომა მგონი მეტი იყო, რადგან იმის საყვარელი ისეთი საძაელი რამ იყო, რომ ვერავინ შესცდებოდა იმითი. ღვთის წინაშე, ამათ სი- ყვარელს კი ვერავინ ამჩნევდა. ქალი საცვლებს უკერებდა და საზრდოს უზიარებდა, რადგან ფუმფაკი გაუმაძღარი რამ იყო. კაცს ეგონებოდა მარტო ამითი თავდება ამათი სიყვარულით. კვირაობით სასეირნოთ წავიღოდნენ ხოლმე, მაგრამ ამისთანა ღრმოსაც კი ნალაპარაკევი არავის ენახა შეყვარებულნი. სა- სეირნოთ გასულნი რომელიმე მიჯნას დაადგებოდნენ — ქა- ლი წინ მიდიოდა და ვაჟი ხმა ამოუღებლივ უკან მისდევდა ხოლმე.

მუშებში გარეგნობით აღარავის ეტყობოდა შეყვარებუ- ლობა. მართალია ხანდახან ველკე ეცდებოდა ხოლმე რომე- ლიმე გოგოს გულის დაპყრობას, მაგრამ საცოდავს ყველა მას- ხარით იგდებდა. ქალები ველკეს ჯერ ისევ ბიჭითა სავლიდნენ, რადგან ულვაში ჯერ არა ჰქონდა ამოსული.

საუკეთესოთ და შესაშერ მოარშიყეთ ყველა გეშვენა
 სთვლიდა, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი სცდილობდა
 იმის გულის მოგებას, გეშვე უურადღებას არავის აქცევდა.

ზედამხედველს ეს ძალიან მოსწონდა. გუსტავი ჯერ ისევ
 სალდათობის დროიდანვე იცნობდა გეშვეს. იმაზედ დიდი გა-
 სვალი ქალებში ერთ ვაჟსაც არა ჰქონდა ხოლმე მთელ გარნი-
 ზონში. კიდევ კარგი, რომ ამ გოგოებში გიუმაჟ გეშვეს არა-
 ვინ მოსწონდა, თორემ ერთ ვაივაგლაბს ასტეხავდა.

აქ რომ ასე დინჯათ და ჭკვიანათ იქცეოდა, ალბათ, კუ-
 დი სხვაგან თუ ედო გეშვეს. ერთხელ, როგორდაც, საწოლ
 ოთახს რომ ათვალიერებდა ზედამხედველი, გეშვე თავის ქვე-
 შაგებში ვერა ნახა. გუსტავმა არავის შეატყობინა ეს ამბავი.
 ან რა უნდა ეთქვა? გუსტავს უნდა გახარებოდა კიდეც, რომ
 გეშვე სიყვარულის ქსელებს სხვაგან აბამდა და არა შინა.

ერთხელ ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეში გუსტავს რო-
 გორდაც ძილი გაუტყდა. ბავშვმა იკირვეულა და ქმარიც იძუ-
 ლებული იყო ცოლს მიხმარებოდა; ამან ისე დაუფრთხო გუს-
 ტავს ძილი, რომ თუმცა ბევრსა ცდილობდა, ძილს მაინც ვერ
 ახერხებდა.

ამ უძილობის დროს კედლის ძირში გუსტავს რაღაც
 ხმაურობა მოესმა, რამაც, ცოტა არ იყოს, გააკვირვა ზედამხედ-
 ველი. გუსტავი ლოგინში წამოჯდა და ყური წაუგდო. იმას
 ისე მოელანდა, თითქმ ვიღაც ეშვება ქვეითაო, მერე ძირსაც
 დაეცა რაღაცა. მაგრამ ყველა ეს ხმაურობა მეტად ფრთხილი
 კაცისგან იყო გამოწვეული, რაღაც გუსტავი თუმცა ყურს
 უგდებდა, მაინც ძლივს ესმოდა ხმაურობა.

გუსტავს იმ წუთსვე გეშვე მოაგონდა, უსათუოდ ის გა-
 დაძვრებოდა ფანჯარაშიო. იქნება თავი რომ მივანებო და არ
 გამოვეკიდო, ისა სჯობდესო, — გაიფიქრა გუსტავმა.

მაგრამ აგრე კადევ გაისმა რაღაც ხმაურობა, რაღაცამ გა-
 ილაწუნა და დაიჭრაკუნა! ეხლა ეს ხმაურობა სულ სხვა მხრი-
 დან მოისმა, უფრო რომ ქალების საწოლიდან.

ზედაშედველის ოთახი ქალებისა და ვაჟების საწოლ ოთა-
 ხებ შეა იყო მოკუეული. ქალებს, სხვა ოთახებში გასვლა რომ
 სდომებოდათ, ზედაშედველის ოთახი უნდა გაეძრათ უსათუოდ.
 ეს მეტად კევიანური ხერხი იყო შენობის ამშენებლის მხრივ.

გუსტავი წამოხტა და წაკუზული, ფრთხილად მიიპარა
 ფანჯარასთან. კარში გაბაღრულ მთვარეზე ყველაფერი აშკა-
 რად მოსჩანდა, მაგრამ გუსტავმა კი საეჭვო მაინც ვერა შე-
 ნიშნა-რა. მხოლოდ როცა სულ გადიზნიქა და სახლის ძირში
 ჩაიხედა, აქ ვიღაც კაცს მოჰკრა თვალი. ეს კაცი დაკუზუ-
 ლიყო და მიწაზედ თითქოს რაღაცას ამაგრებდა. მერე წელში
 გაიმართა და ზეით სახლის ფანჯრებისაკენ ამოიხედა.

მთვარის შუქწედ გუსტავმა გეშკე იცნო.

როგორც ეტყობოდა, გეშკე ვიღაცას, ზეითა სართულში
 შეკვეს, ელაპარაკებოდა და რაღაც ნიშნებს აძლევდა.

გუსტავი მოუთმენლად ელოდა საქმის გათვავებას და სულ-
 განაბული ქვეთ იყურებოდა. უცბად კედელზე რაღაც თოკი
 შენიშნა.

როგორ, თოკის კაბე? მაშ, როგორც ეტყობა, ფანჯარა-
 ში ამოძრომას აპირებს. გუსტავს სისხლი თავში მოაწვა. აღლუ-
 მების დროს გეშკესა და იმას რამდენჯერ ჩაუდენიათ ამგვარი
 საქციელი. იმას მაშინ სჩადიოდნენ, თუ მუშა ქალებს ბატონი
 გარედან დაჰკეტავდა, და გასაღებს თან წაიღებდა ხოლმე. ერთ-
 ხელ როგორლაც გუსტავი და გეშკე ვიღაც მებატონის მაჟულ-
 ში გააჩერეს. მოურავი მეტად სასტიკი იყო და გოგოებთან
 გაძრომა მეტად ძნელი იყო. მაგრამ ამ გაქირვებიდან თავის
 დაღწევა, როგორც ყოველთვის, ისევ გეშკემ მოახერხა: კარ-
 ლი ბოსელში შეიპარა და ყველა ძროხები აუშვა. რამდენიმე
 წუთს შემდეგ ძროხები ღმუილით ეზოს მოედენენ. მოურავი
 იძულებული შეიქმნა თითონ წასულიყო მოსამსახურე გოგოებ-
 თან და ძროხების დაბმა ებრძანებინა. გუსტავმა და გეშკემ ამ
 შემთხვევით ისარგებლეს, გოგოების ოთახებში შეძრნენ და
 დაიმალნენ. ასე კი შეიპარნენ გოგოების ოთახში მოხერხებუ-
 ლი ბიჭები.

ეს ხერხი კი მოიგონა გუსტავმა, მაგრამ გულში კი გეშ-კეზე ძალიან ჯავრობდა, რაღაც ამ უკანასკნელმა ეხლა იმის მოტყუილება და გაცურება მოინდობა უკაცრავად, შორს წა-ბრძნანებულხართ! გუსტავმა გადასწყვიტა, გეშკე უსათუოდ და-ეჭირა და დაესაჯა კიდეც, რასაკვირველია.

მაგრამ ჯერ უნდა უყარაულო და ვნახო რას იხამს გეშკე. მაშინ იქნება ისიც ვავიგო ვის აძლევს ამ ნიშნებსაო.

ამ დროს გუსტავმა კედევ ერთ ვიღაცას მოჰკრა თვალი. განათებულ კედელზე რაღაც ჩრდილი მოსჩანდა. პირველიდ გუსტავს ეგონა კედელზე ჰკიდია რაღაცაო, მაგრამ მალე შე-ნიშნა, რომ ვიღაცა თოკის კიბის შემწეობით ძირს ეშვებოდა.

ზედამხედველი თავის თვალებს არ უჯერებდა. ეს... ხომ იმისი და იყო!

გუსტავი ისე განცვიფრდა, რომ ადგილიდან ფეხი ვეღარ მოიცვალა. ერნესტინა და გეშკე! განა ვინმე დაიჯერებდა ამას? ერნესტინა, რომელსაც როგორც გოგოს ისე უყურებდა გუს-ტავი!..

ერნესტინა აჩქარებით ჩაეშვა ძირსა და თოკის კიბე ხე-ლიდან გაუშვა; ვაუმა გულში ჩაიკრა და სანამ ხელიდან გა-უშვებდა, რამდენიმე მანძილი ხელით გაარბეინა. გუსტავმა აშკა-რად გაიგონა იმათი სიცილი.

მმა უნძრევლივ იდგა და შეყვარებულებს დარეტიანებული დაჰყურებდა. რატომ წინდაწინვე არ შენიშნა! საკვირველი იყო, მაგრამ ეს უფრო აჯავრებდა გუსტავს. ეს საქმე უსათუოდ კაი ხნისა უნდა იყოს და იქნება გალბენაუშიც იყო დაწყებული. თურმე რას სჩადიან იმის ზურგს უკან და იმან კი ვერა შე-ნიშნა-რა! ეს უთურთქავდა გულსა და უწამლავდა. დამაცადეთ, მალე მოგიწამლავთ მაგ სიამოენებას!

მთვარით განათებულ დამეში გუსტავი აშკარათ ჰქედავდა ორთავეს. ერნესტინა გადახევია წვეროსან გეშკეს და მაგრა ჩაიკრა გულში. როგორცა სჩანდა, ერნესტინა პირველიდ არ ეალერსებოდა გეშკეს. მტრედებსავით არ კურკურებენ?.. ეშ-მაკმა წაიღოს თქვენი თავი!...

გუსტავი თავის თავს ანგარიშს ვეღარ აძლევდა — თავი სულ ერთიანათ გადაერია. გულში რაღაცამ — იჭვნეულობის გრძნობის მსგავსმა გაუელვა. მერე თავისი წარსული სიყვა-რულიც მოაგონდა. არა, გუსტავსაც კარგათ ესმის რასაც სჩა-დიან ქვეით!

მაგრამ შეურაცხყოფილ მმის გრძნობამაც გაულვიძა გუსტავს გულში. განა დას არ უნდა წაესარჩილოს? გოგო ჯერ თვრამეტი წლისაც არ არის და გეშკე კი მოღალულ-მოქანცუ-ლია ამგვარ არშიყობაში! დასწყვევლოს ღმერთმა! კარგა გაუ-ცურებივართ. იქნება ეხლა დამცინიან კიდეც!

გეშკემ და ერნესტინამ ხელი-ხელ ჩართულებმა ნელის ნაბიჯით მინვდრისკენ გასწიეს.

გუსტავს ჩქარა უნდა ეღონა რამე! ის გამოირკვა გარინ-დებულ მდგომარეობიდან, საჩქაროთ რაღაცა წამოისხა ზურგ-ზედ და ფიცხლავ წალები ჩაიცვა. ამ დროს პაულინასაც გაე-ლვიძა.

ცოლი დაეკითხა — ამ შუალამისას სად მიღიხარო! გუსტავმა გაბრაზებით მიუგო — ფანჯრიდან ვიღაცა გადაძრაო.

— ვინ უნდა გადამძრალიყო? — შეშინებულის ხმით დაეკითხა პაულინა. გუსტავს შერცხვა დის ხსნებისა და უპასუხა, ქალი ვერ გავარჩიე ვინ იყო, მაგრამ ვაჟი კი გეშკე იყოო.

პაულინამ სანაოს ცეცხლი წაუკიდა და ქმარს შეშინებული და დარცხვენალი შეჰყურებდა. პაულინა ეკედრებოდა არ გასულიყო და ხელიც კი მოჰკიდა, რომ ძალით დაეჭირა ქმარი, მაგრამ გუსტავმა ხელი ჰქონა და შეტევით უთხრა — მეზედამხედველი ვარ და ჩემ გვერდზედ ამგვარ სისაძაგლეს ვერ მოვითმენო. ამ სიტყვებით კარშიც გავიდა. პაულინა კარებამ-დინ გაჰყვა.

— ერნესტინას მაინც ნურას ერჩი! — გაიგონა გუსტავმა ცოლის სიტყვები.

ახალგაზდა ზედამხედველმა აჩქარებით ჩაირბინა კიბე. გა-სავალი დაუკეტავი დახვდა, თუმცა ამ კარების გასაღები მარტო გუსტავსა ჰქონდა და კარებს ყოველ საღამოს თავის ხელითა

ჰკეტავდა ხოლმე. დღესაც ნამდვილად ახსოვდა, რომ დაძინების წინ კარები ჩატყეცა. რასაკვირველია, გეშკეს სხვა გასაღები უშოვნია და იმითი უღია კარები. ყველა მატყუილებდა. ცოლსაც კი სცოდნია ამ კავშირის ამბავი და ქმრისთვის დაუმალია.

გუსტავი გაშმაგდა. ოჯ, თუ ჩაუვარდებიან ეხლა ართავენი ხელში!.. ამ ფიქრით იმ მხარისკენ მოუსვა, საითკენაც გეშკე და ერნესტინა წავიდნენ ამ რამდენიმე წუთის წინათ, მაგრამ გუსტავმა ცოტა დაიგვიანა და ქალვაჟი ეხლა აღარსად სჩანდნენ. მიუხედავათ იმისა, რომ ღამე დღესავით ნათელი იყო, მინდორზედ ჭაჭანებათ აღარავინ მოსჩანდა. გუსტავი ერთ-ერთ ბილიკს დაადგა და აჩქარებით წინ მიდიოდა, იმას რაღაც წინათგრძნობა ეუბნებოდა, რომ გეშკე და ერნესტინა სწორედ ამ გზით წავიდოდნენო.

რატომ ვერ შევნიშნე აქნობამდის? პაულინასაც კი სცოდნია ეს ამბავი და, როგორც ეტყობოდა, ისიც ამ საძაგლებს თანაუგრძნობდა. ეს იყო ყველაზედ საწყენი და! ვინ იცის, იქნება ყველამაც იცის ეს ამბავი! მარტო იმან არა იცოდა-რა და ყველაზედ ბრიყვი ის გამოდგა. კარგი ზედამხედველი ბრძნებულა! თვალები სადა ჰქონდა, სადა?

გუსტავი შეუსცენებლივ წინ გარბოდა, მაგრამ ჯვარედინ გზაზედ იძულებული იყო გაჩერებულიყო და გონება მოეკრიბა. ასე სიჩბილით არა მგონია ისინი დავიჭიროთ, გაითიქრა გუსტავმა. სად უნდაიყვნენ? აქ ისეთი ადგილი ხომ არსად არის, სადაც დამალვა და თავის შეფარება შეიძლებოდესო? დაიცა, დაიცა—არის! აქ მინდორზედ ერთი ძველი შენობაა და ისინიც უეპველად იქ იქნებიან! რატომ წინდაწინვე არ მივხედი ამას?

ამ შენობაში სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღს ინახავდნენ და ავდრის დროს მუშები თავს შეაფარებდნენ ხოლმე.

გუსტავი დარწმუნებული იყო, რომ ერნესტინა და გეშკე უსათუოთ იქ იქნებოდნენ და ამიტომ ფეხიც აუჩქარა. ის შენობაც მალე გამოჩნდა მთვარით განათლებული; შეუმჩნევ-

ლად მიპარვა ყოვლად შეუძლებელი იყო. რამდენიმე ნაბიჯი და აკლდა, რომ უცბათ კარები გაიღო, ვიღაც წვეროსანმა კაცმა გამოიხედა და იმ წუთშივე მოხურა კარები.

ზედამხედველი ერთ წუთს გაჩნდა კარებთან და კარის გაღება დააპირა, მაგრამ შიგნიდან ვიღაცა აწვებოდა. გუსტავი მხრითაც მიაწვა, მაგრამ ვერას გახდა. მერე მკაცრად და-უყვირა და კარების გაღება უბრაანა; შავ ვიღაცები ჩურჩულებდნენ და კარების გაღებას კი, როგორც ეტყობოდა, არ აპირებდნენ.

გააფთრებული გუსტავი გაქანდა და რაც ძალი და ლონე ჰქონდა, კარებს დაეტაკა. ფიცრის თხელი კედლიდან კოჭაკები ამოცვივდნენ, დამპალმა ფუკარმა დაიჭრაჭუნა და კარები სულ მთლიად დაიშალა. ზედამხედველი ერთ წუთს შიგ გაჩნდა.

სამი ადამიანი პირის-პირ იდკნენ; ვაჟები შზად იყვნენ შებრძოლებოდნენ ერთმანეთს და შეშინებული გოგო კი თავის საყვარელს ამოცკვროდა ვვერდში.

აქ ძალიან ცოტა რამ იყო საჭირო, რომ სისხლი დაღვრილიყო. გუსტავი გაცოფებული იდგა. საქმარისი იყო იმის მოწინააღმდეგეს ან ხელი მოექნია, ან სიტყვა რამე შეეკადრებინა, რომ გუსტავს ხელი აელო ამხანავზედ.

მაგრამ გეშკე მალე მიხვდა, რა მდგომარეობაშიც იყო, და გადასწყვიტა გუსტავი მოთმინებიდან არ გამოეყვანა. რაც უნდა მომხდარიყო, ერნესტინას ძმასთან ჩხუბს შერიგება ერჩივნა. თავ-ჩაქინდრული და ხელებ ჩამოშვებული გეშკე მომნანებელ ცოდვილსაერთ იდგა გუსტავის წინა.

გამოცდილმა და ჭკვიანმა გეშკემ კარგი ხერხი იხმარა: იმისმა თავდაბლობამ გუსტავი თითქმის დაამშვიდა.

მაგრამ გუსტავი ცხადათ ჰერმობდა, რომ ეს ამბავი რა-მეთი უნდა დაბოლოვებულიყო და მოჰყვა ლანდღვა-გინებას იმის გინება და წყევლა-კრულვა სეტყვასავით ეცემოდა გეშკე-სა და ერნესტინას. გუსტავში მოხუცმა ბიუტნერმა გაიღვიძა; ახალგაზდა ბიუტნერს რაც ლანდღვა-გინება და წყევლა-კრულ-ვაც კი გაეგონა სიყმაწვილეში, ყველაფერი ეხლა მოაგონდა.

გოგომ პირველმა მიუგო პასუხი.

ჩვენ სრულებითაც არა ვართ ისეთი საძაგლები, როგორც შენა გვინდიდა და ცუდი ჩვენ არა ჩავიღენია-რაო; „მართალია ჩვენ გვიყვარს ერთხანეთი, მაგრამ სიყვარული განა დასაძრა-ნისია?“ ეს პატარა ქმნილება ძალიან მჟევრმეტყველად ლაპა-რაკობდა. ეგშეს წასარჩელება საჭირო აღარ იყო; ის გაკვირ-ვებით ყურს უკდებდა თავისვე სიტყვებს, რომლებსაც ერნეს-ტინა ამ რამდენიმე დღის წინად თითქოს არ ეთანხმებოდა და ეხლა კი ძმის წინააღმდეგ იგივე სიტყვები მოჰყვდა. რა მალე ითვისებენ ქალები სხვის აზრებს!

გუსტავმა დაულრიალა — შენ ტუტუცი გომბიო ხარ და მე გადავჩვევ სიყვარულზე ფიქრსა და ლაპარაქსაო.

დამ ძმის თვალშინ გადიხარხარა. მთელ დედამიწის ზურგ-ზედ ერთი ადამიანიც ვერ აღგვიკრძალავს ჩვენ ერთმანეთის სიყვარულს და მით უმეტეს შენაო: შენ თითონ გვაჩვენე ამ-გვარი სიყვარულის მაგალითიო. ამ მყვანე ლაპარაკის გამვინი გუსტავი გაქვავდა, ველარა მოახერხა-რა და მალე მიხვდა, რომ ამ ასპიტ გოგოსთან ლაპარაკით ვერას გახდებოდა. პასუხის მაგიერ გუსტავმა დაულრიალა დას:

— წამოეთრიყ შინა, მე გიჩვენებ სეირსა! — ამ სიტყვებით მკლავში ხელი სტაცა და ტყვესავით კარებისაკენ წაიყვანა. გეშეც უკან გაჰყვა და ამ რიგთ სამთავემ ყაზარმისკენ გას-წიის.

— ხელი გამიშვი, გუსტავ, მე თითონ წამოგყვები, — ცოტა ხნის შემდეგ უთხრა ერნესტინამ გუსტავსა, რომელსაც მუხრუქებსავით მოეჭირა თითები და აღარ უშვებდა. — არ გა-გეძცივი. ცუდი ხომ არა ჩამიღენია-რა, რა გინდა!

ეხლა კი გუსტავმა გაანთავისუფლა და სამთავენი ერთ წყებად მიღიოდნენ გაჩურმებულნი.

გუსტავი თითქმის სულ დამშვიდდა. ეხლა ისევ იმისმა ბუ-ნებრივმა გულკეთილობამ გადააჭარბა. განა მართლა ისეთი ცო-დო ჩაიდინეს, რომ აღარ ეპატიებოდეთ?

გეშკეშ, მგონი, შეატყო გუსტავს გუნების გამოცვლა და პირველმა დაარღვია სიჩუმე. იმან გამოაცხადა — ერნესტინას საქმრო ვარ და მე და ერნესტინა ჯვრის წერას ვაპირებთო.

გუსტავმა მოკლედ მოუკრა: „ეგ გამიგონია!“ რამდენ სხვა გოგოს დაჭირებია გეშკე ჯვრის წერას! მავრამ მე ჯერ იმოდენად არ გავგიჟებულვარ, რომ ჩემი და შენისთანა უპირულ კაცს მიეთხოვო.

ამასობაში ყაზარმსაც მიუახლოვდნენ. კიბეზედ სამთავენი უხმაუროდ ავიდნენ, გეშკე თითის წვერებით ვაეების ოთახში შევიდა და ერნესტინა კი გუსტავმა თავის ოთახში დასტოვა. პაულინა ალშტოოთებული და ალელვებული ელოდა. ორთავეს.

ზედამხედველი გაჯავრებული იყო და არც ერთ კითხვა-ზედ პასუხს არ აძლევდა ცოლსა. ქალებმა, გუსტავის ჩუმათ, მრავალ მნიშვნელოვანად გადახედეს ერთმანეთს.

* * *

ამ ჩხერიმა რამდენსამე დღეს გასტანა! გუსტავი გეშკეს სრულიად არ ელაპარაკებოდა და დას კი როგორც უყანასკნელ მოსამსახურეს, ისე ექცეოდა. ღამ ღამობით ორჯერ-სამჯერ დგებოდა, ვაეების ოთახს დაათვალიერებდა, მერე ქალების ოთახს წაუგდებდა ყურსა და ისევ მიწვებოდა.

მავრამ გუსტავის ცუდმა გუნებამ ყველაზედ მეტად პაულინა დასტუჯა. გუსტავი ჯიუტად გაიძახოდა, შენც იმათი მხარე გიჭირავსო და პაულინას თავის მართლებას აღარ ისმენდა. როცა ეტყოდნენ, გეშკეს ცუდი განზრახვა არ უდევს გულში და უსათუოთ ჯვარს დაიწერს ერნესტინაზეო, გუსტავი ცხარობდა და პეტეროდა — მე კარგათ ვიცნობ გეშკეს, მაღლობა, ღმერთსა სამი წელიწადი ერთად ვიშახურეთ და ვიკი, რა ვაქბატონიცა ბრძანდებათ

ამ აურ-ზაურის დროს პაულინამ დის წერილი მიიღო.
კანკერის იქვრივი ნწერებოდა:

საყვარელო პაულინავ!

„პირველად ღმერთსა ვთხოვ შენს დიდხანს სიცოცხლესა
და კარგათ ყოფნასა, შენის ქმრითა და შვილითა. ახლა, ვიცი
ჩემ ამბავსაც იყითხავ. მე, მადლობა ღმერთსა, კარგათა ვარ,
მხოლოდ ეს არის, რომ უშენობით მომწყინდა ცხოვრება. ჩვენ-
ში ახალი ამბავი შემდეგია: მათი ბრწყინვალება, გრაფი დებით
თავის მამულში ჩამობრძანდა; მე ქალბ. ბუმილესთან ვიყავ სანა-
ხავათ, რომელმაც სიყვარულით მოგიკითხა. გრაფის ასული ვანდა
მართლა დანიშნული ყოფილა და ამას წინათ დანიშნულიც ჩა-
მოვიდა „სალონდში“. საქმრო ძალიან ტანმორჩილია და თუმცა
ქ. ბუმილეს არ მოსწონს ესა, ჩვენ მაინც გვიხარიან, რომ ჩვენი
ვანდას დანიშნული თავადი შვილია. ქორწინებას, რასა კვირველია,
დიდის ამბით გადიხდიან, ეს ქ. ბუმილემ მითხრა, — საჭმლ-სა-
სმელი მრავალზედ უმრავლესი იქნება და ბერლინიდან სასი-
ძოს ნათესაობა და ნაცნობები ჩამოვლენ — სულ დიდი ვინმეები.
აი, სეირი მაშინ იქნება, მთელი სოფელი მოუთმენლად მოე-
ლის ამ ამბავსა. ახლა სხვა ამბებსაც მოგწერ: ტრაუგოტტ ბიუ-
ტნერს რაც კი ებადა, იმ ვაჭარმა წაართვა, რომელმაც ამას
წინათ ფული ასესხა. მოხუცები სულ მარტოდ მარტონი და-
რჩნენ, რადგან ტონი, როგორც ამბობენ, ბერლინში წასულა;
მხოლოდ არავინ იცის, იქ რას აკეთებს და არც თითონ იწე-
რება წერილებსა. ათას რამეს გაიძახის ხალხი! თავისი ბავშვი
ტერეზას მიუგდო და თითონ კი სადღაც გადიკარგა, ეს განა
საყადრისია? მთელი სოფელი გაკვირვებულია! კარლი და ტე-
რეზა ეხლა ვერგსბახში ცხოვრებენ და ლუქმა პურს ვაი ვა-
გლახითა სქამენ. საწყალ მოხუცებს რამდენი უბედურება და-
ატყდათ თავზედ. ტრაუგოტტ ბიუტნერი ხმი ჩიკმენდილი დადის
და სულ რაღაცზედა ჰეთიქრობს; სოფელში გაიძახიან, ჰეთაზედ
შეიშალია. ან რა საკირველია, შეილო, რაც იმან ვაი-ვა-
კლახი გამოიარა და ნაღველი სქამა, რა ხეირს დააყრიდა? დე-
დაბერიც ძალიან სუსტათ არის. ამ კვირია ეკლესიაშიცა

ვსთქვი: საცოდავი სანთელსავით ღნება მეთქი. ფეხებში წყალ-მანკი გაუჩნდა და ერთი ლუქმა პური არა აქვთ საჭმელი, რადგან გარჩასოვიცა ყველაფერი გამოაცალა ხელიდან. ხა-რებიც კი წაიყვანა — ეს ყველაფერი გუსტავს უახარი. ღიღ გასაჭირში არიან და კეთილი ხალხი რომ არ ეხმარებოდეს, ვინ იცის, რითი გაათავებდნენ თავიანთ სიცოცხლეს. ბიუტნე-რები ყოველთვის ურომის მოყვარენი და დაუღალავი მუშაკნი იყვნენ, მაგრამ უყურე საღამდის მიაღწიეს. მთელი სოფელი კაშელერნსტა ლანძღავს, იმას მაინც შერცხვეს და შეიბრა-ლის საცოდავები, იმან გაყულითა ერთიანად. ამითი გავა-თავებ ჩემ წერილს და გისურვებთ ყოველ კეთილს.

დავშოები შენი მოსიყვარულე დედა,
კლემენტინა კაჩნერი. *

ამ წერილმა ღიღი შთაბეჭდილება მოახდინა წამკითხვე-ლებზედ. სამშობლოს ამბები იშვიათათ ესმოდათ ხოლმე. მო-ხუცი ბიუტნერი ისედაც ძნელად აიღებდა ხოლმე კალამს ხელში და წერილის დაწერისათვის ხომ წელი სწყდებოდა.

ამ გვარათ რაც უნდა მომხდარიყო გალბენაუში, გუსტა-ვი თავის მუშების წერილებიდან გაიგებდა ხოლმე.

გუსტავს მაის ჯავრი ძალიანა ჰქონდა, მაგრამ სცდი-ლობდა, ეს იდუმილი გულის ქენჯნა სხვებისაგან დაემალა. რაც მომხდარა იმათ თავსა, ყველა იმას გუსტავი წინდაზინვე მოელოდა. მაგრამ ყველა ამ უბედურებას რაღა დედას ლო-გინათ ჩაერდნა აკლდა?

მამას ეხლა აღარა გააჩინა-რა ქვეყნად! ამგვარ გაჭირვებაში მარტოთ მარტონი არიან მოხუცები. ამაზედ ღიღი უბედურე-ბა რაღა იქნებოდა?

შავბედითი წერილი ოჯახის ყველა წევრმა წაიკითხა. ლაპარაკობდნენ გალბენაუში მომხდარ ამბავზედ, თათბირობ-დნენ როგორ დახმარებოდნენ მოხუცებს და ახლად მომხდა-რი უსიამოვნება ყველას დაავიწყდა.

ყველა იმ დასკვნას დაადგა, რომ მოხუცებს ფულით უწინდეს დავეხმაროთ. ყველას თავისი წვლილი უნდა მოეტანა და რაც შეგროვდებოდა, მოხუცებისთვის გაეგზავნათ. გეშეკემ ითხოვა, ნება მომეცით მეც შემოვიტანო ჩემი წვლილიო და არც უარი მიიღო.

გუსტავს ერთი რამე კიდევ ესიამოვნა: გოგოებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, შეეკრიბათ ფული და ერთ მშვენიერ დღეს იმათაც მოუტანეს გუსტავს კაი თანხა და სთხოვეს, ესეც გაუგზავნეთ მოხუცებს გალბენაუშიო.

გუსტავი და გეშკე კი მაინც ვერ შერიგზნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კი ზედამხედველი მაინც გამოელაპარაკა თავის დის საყვარელსა.

V

დედაბერი ბიუტნერი გარდაიცვალა. უკანასკნელ დღეებში დედაბერი სულ სიცივეს უჩიოდა და ცოტათი მაინც რომ გაეთბო თავის დედაკაცის გაყინული სხეული, მოხუცი იძულებული იყო იმასთან დაწოლილიყო ხოლმე ლოგინში.

ერთხელ შეადრისას რომ დაბრუნდა ბიუტნერი შინა, ცოლი პირქვე დამხობილი და ხელებ გაპარჭყული დახვდა. მივიდა, ხელი შეახო, მაგრამ დედაკაცი სულ მთლათ გაციებულიყო. შეიძლება რამდენიმე საათიც ეგდო ას. დედაბერი სულ მთლათ გაქვავებულიყო და სიცოცხლის ნიშანი აღარ ედო. პირისახის ერთი მხარე გალურჯებოდა კიდეც.

გაქვავებულსავით იდგა მოხუცი თავის მეგობრის სხეულთან და მიუხედავათ იმისა, რომ ცოლი გულ-წრფელად და ძლიერ უყვარდა, მაინც არ მოეხვია იმის ნაშთს და არ მიალერსა. როგორც უწინ, მის სიცოცხლის დროს, ისე ეხლაც მოხუცმა გულ-ჩვილაბა არ გამოიჩინა. ბევრი ისეთი დღე დაღამებულა, რომ ცოლ-ქმარს ერთი სიტყვითაც არ მიუმართავთ ერთმანეთისთვის, ბევრ კვირასა და ბევრ თვეებს გაურბენიათ ისე. რომ ამათ არ უკოცნიათ ერთმანეთისთვის და

არ მოხვევნიან ერთი-მეორეს. უხეში სიტყვა-პასუხი ქმრის მხრივ და ცოლის ცრემლები კი ძალიან ხშირი მოვლენა იყო იმათ ცხოვრებაში. მაგრამ, ყველა ამის მიუხედავათ, წრფელი ერთგულება და სიყვარული უხილავათ აკავშირებდა იმათ ცხოვრებას. მათი სიყვარული ულამაზო და უხეშ ქერქ ქვეშ იყო დაფარული, როგორც ისეთი წმინდათა წმინდა და სუფ-თა რამე, რის ჩვენება აღამიანს არ უყვარს, რადგან ისედაც გასაგები და აშკარაა მათთვის.

გლეხი ბოლომდის იმათ დარჩა, რაც იყო და თავისი უბ-რალო დამოკიდებულობა ცოლთან ბოლომდის შეირჩინა. ეხ-ლაც, მიცვალებულს რომ დაჰყურებდა, არც მოსთვეამდა და არც თმასა და ტანთსაცმელს იგლეჯდა. იმას ღრმა ოხვრა ამო-სკდა მხოლოდ და თავისივე შეუმჩნევლად ორი მსხვილი ცრემ-ლი გადმოუგორდა ლოყებზედ, ეს იყო და ეს, მეტი არა-ფერი.

მერე ჭავდარიგსაც შეუდგა. მივიდა, თვალები დაუხუ-ჭა, გაპბანა და სუფთა პერანგი ჩააცვა. ყველა ეს უშიშრათ და შეუდრეკლად გააკეთა, შემდეგ სოფელში წავიდა, სოფ-ლის სამართველოში გამოაცხადა ცოლის სიკვდილის ამბავი, კუბო შეუკვეთა და მოძლვარსაც მოელაპარაკა დამარხვის შე-სახებ.

თუმცა არავინ მოელოდა, დედაბერი მაინც კაი ამბით დაიმარხა. მიცვალებული ბევრმა ახალგაზდებმაც და ხნიერმა ხალხმაც გააცილა საფლავამდინ; რამდენიმე გვირგვინი მიიტა-ნეს და საფლავზედ საკლესიო გუნდმაც უფასოთ იგალობა.

აი, აქ გამოჩნდა, რომ ბიუტნერიანთ ოჯახს კიდევ ბევრი მეგობარი შერჩენოდა გალბენაუში. ამ თანაგრძნობას რაღაც დემონისტრატიული ხსიათი და ელიფერი ედო. ბიუტნერიანთ მამულის სვე-ბედმა ყველას ყურადღება მიიპყრო და ბევრი დავალიანებული გლეხი დააფიქრა მწარედ—ვაი თუ ჩვენც ასეთი დღე დაგვადგესო. თუმცა ამ მამულის ნაწილ-ნაწი-ლად გაყიდვის დროს ბევრმა გალბენაუელმა გლეხმა მიიღო ამ ვაჭრობაში მონაწილეობა, ზოგიერთების გარდა, უმეტესი

ნაწილი მაინც ბიუტნერს თანაუკრძნობდა და გულში იმის გამძარცვავებს ლანძღვდა. ეს დაფარული გრძნობა სწორედ ბიუტნერის დედაცაცის დასაფლავების დროს გამოიხატა.

ყველას უნდოდა ენახა — კაშელერნსტი დასაფლავებას და- ესწრებოდა თუ არა. მაგრამ გაცემილი მიკრტანი უსათუოდ მიხედა, რომ მთელი სოფელი იმის წინააღმდეგი იქნებოდა და თავის მაგიერ ოტილია გამოეგზავნა და თან გვირგვინიც გამოე- ტანებინა.

კუბოს მხოლოდ მოხუცი ბიუტნერი, ტერეზა და კარლი მისდევდნენ. პატივცემულ მრავალრიცხვან ოჯახიდან მეტი ალარავინ დარჩენილიყო დღესა.

მოძღვარმა ისარგებლა შემთხვევით, რომ მსმენელთა გუ- ლი მოელონ და აეჩუყებინა. გლეხებში დიდი ხნის ცხოვრე- ბით მოძღვარმა ჩინებულად იცოდა; რომ მხოლოდ დიდი უბე- დურება თუ მოულობობს ხოლმე გლეხს სასტიკს და ცავგულსა.

კარლი როგორც ბავშვი, ისე გაჰკიოდა და ქვითონებდა. მოხუცს კი, მგონი, ცრემლი გამოლეოდა თვალებში. ქადაგე- ბაში მოძღვარმა მოხუცი მრავალტანჯულ იობს შეადარა და სთქა — თუ უზენაესშია ამდენი უბედურება არგუნა წილად და ბიუტნერმაც ასე უხმოდ მოიდრიკა მის წინ ქედი, ალბათ, ამასაც ოდესმე ისე აღამაღლებს, როგორც იობი აღამაღლა თდესლაცა.

უკანასკნელ დღეებში დედაბერმა ბიუტნერმა ცოტა კიდე ისიამოვნა: უცხო ქვეყნიდან შვილებმა ფული და წერილები გამოუგზავნეს. სწორედ ამავე დროს ტონისაც გამოეგზავნა წერილი და ფული.

მაგრამ ტონის წერილში ყველაფერს ვერ გაიგებდა ადა- მიანი: ამ გოგოს არც უწინა ჰქონდა წერის უნარი. იწერე- ბოდა, ეხლა ძიძად აღარა ვარო. მაგრამ ჩა თანამდებობას ასრუ- ლებდა, იმას კი აღარ იწერებოდა. როგორც ეტყობოდა, ჯა- მაგირი პატარა არ ექნებოდა, თორემ ამდენ ფულს როგორ გამოგზავნიდა? ბავშვისთვის კიდე, რომელიც ტერეზასთან იყო დატოვებული, ცალკე ჰგავნიდა ფულსა.

დასაფლავების შემდეგ ძალიან მაღე ჩიდგა ყველაფერი თავის დონეში, გარევნობით არც კა ეტყობოდა, თუ სახლში ერთი სული ადამიანი დააკლდა.

მოხუცი ყოველ დღე ჩვეულებრივ თავის სამუშაოზედ დიარებოდა. ეხლა ყველაფერი იმას დააწვა ზურგზედ: მინდონიში სამუშაოს გარდა ოჯახის წაძლოლაც იმისი თავის სახეთქი გახდა. ყინრათობით ცეცხლს ეხლა დღეში ერთხელ-ლა აჩენდა. საქონელზედ ცუდად საზრდოობდა — მოხუცი ბიუტნერი ცალიერ პურსა და ცივ კართოფილსა სჭამდა. ამაზედ კარგი სასალილოდ თუ საუზმოდ ბიუტნერს უკეთესი აღარა მოეძებნებოდა რა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოხუცი ეხლა უფრო მუყაითათ მუშაობდა, ვიდრე უწინ. ეტყობოდა, გულისა და დარდის ვადაყოლისა და რილაცის დავიწყებას სცდილობდა.

ხანდახან ღამე წამოდგებოდა და მიუხედავად საშინელ სიბნელისა ან ცელს, ან ნამგალს ან სხვა რამე იარაღს წამოიდებდა ზურგზედ და მინდონიში სამუშაოდ წავიდოდა ხოლმე.

სახლში ვეღარა სძლებდა; უადმიანოდ სახლი საფლავსა ჰგავდა. ბიუტნერი ბუნებით მშიშარა არ იყო, რასაკვირველია, და მოჩვენებებისა არ ეშინოდა, მაგრამ ამ ბოლოს დროს კი თითქოს რაღაც შიშის ურუანტელი დაურბენდა ხოლმე ხანდახან ჯანში. აქ ყოველი კუთხე და ყოველი საგანი უკეთეს წარსულს აგონებდა. იმ წარსულზე ფიქრი, რომელიც აღარისებზით აღარ დაბრუნდებოდა მისთვის, ის ფიქრი იყო მოჩვენება, რომელიც დაუყონებლივ დაძრებოდა ამ სახლში. მოხუცი თავის გონების შეთხულ და ნაშობს გაურბოდა — საყვედლურებს, გაცრუებულ იმედებს და თავის თავის გამტყუნებას. ის ცეცხლ-მოკიდებულსავით გარბოდა მინდონზედ და გატაცებული უწყებდა და დედამიწას ჩიჩქნას, თითქოს რაღაცა უნდა დაფლის მიწაში, რომ თავის საკუთარ თვალებსვე დაუმალოსო.

ამ ძალურ ცხოვრებით მოხუცი თან და თან უფრო ხდებოდა და ბოლოს ჩონჩხს დაემსგავსა. დაუვარცხნავი ჭალა

თმა მხრებამდის ეკიდა აწეწილ-დაწეწილი. ის იმ აზრისა იყო, რომ წვერს მოპარსვა აღარ უნდაო. ამის შედეგი კი ის იყო, რომ კვირაობით ეკლესიაში ფეხს აღარა სდგამდა, რადგან მოუპარსავი წვერით გალბენაუში როგორ დაინახვებოდა აღამიანი თავის მეზობლებს?

მალე განდეგილსავით დაიწყო ბიუტნერმა ცხოვრება. ორი ცოცხალი არსება-ლა შერჩა მოხუცს ამ გაჭირების დროს, მაგრამ ის ორნიც ხმას ვერ გასცემდნენ, რადგან ეს ორი არსება გარჩასოვიცის დატოვებული ძროხები იყვნენ. ხალხს მოხუცი განძრას ერიდებოდა. მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა მოხუცი, რომ ადამიანს ისევ ადამიანი თუ მიუყენებს მძიმე და მწარე შეურაცხებას, თორემ ქვეყნად სხვა ვერავინ შესძლებს ამას იმაზედ კარგათაო. ამიტომ ერიდებოდა მოხუცი ხალხსა და სცდილობდა საზიზლარ, მტრულად განწყობილ კაცობრიობასთან არავითარი საქმე არ დაეჭირა. თუ ვინმე მიესალმებოდა, ბიუტნერი სცდილობდა ყური მოეყრუებინა და პასუხი არ მიეცა. თუ ვინმე გაჭბედავდა და გამოელაპარაკებოდა, იმას უსათურო იმის იმედი უნდა ჰქონოდა, რომ პასუხის ნაცვლად ბიუტნერი ზურგს შეაბრუნებდა.

რა ხდებოდა მოხუცის გულში, ამას ვერავინ იტყოდა. დედაკაცის დამარხვის შემდეგ, ერთ კვირა დღეს მოძღვარი ესტუმრი სახლში. ბიუტნერი უბირის დღის ტანთსაცმელში რაღაცას ჩხირკედელაობდა, რასაც უწინ არას გზით არ ჩაიდენდა მოხუცი. მოძღვარმა კვირა დღის გატეხას აურადლება არ მიაკცია და ბიუტნერთან ერთათ სახლში შევიდა...

მოძღვარი მალე შეეხო სულიერ საქმეებს. ოდესალაც შეძლებულ ბიუტნერის მდგომარეობამ მოძღვარს მშვენიერი შემთხვევა მისცა, რომ მაწიერ ცხოვრების ფუქსავარობა დაემტკიცებინა მოხუცისთვის და საუკუნო ცხოვრებისკენ მიეთითნა. მოძღვარმა მომწიფება და ხანში შესვლა მოაგონა ბიუტნერს და უთხრა, ვინ იცის, იქნება დღეს არა ხვალ მოგიხდეს ღვთის პირის პირ წაღვომაო. მოძღვარმა ბევრი გულასაყუჩქებელი სიტყვა სთქვა.

მაგრამ მოხუცი არც „ჰო“-სა და არც „არა“-ს არ ეუძნებოდა, შეუძლებელი მიმჯღარიყო კუნცულში და თითქოს რომ ყურს უგდებდა. როგორც ეტყობოდა, მოძლვარის ცდას მოხუცი იმ მძიე უღლად სახავდა, რომელიც გინდა თუ არა უნდა ზიდო.

ბიუტნერის ლვთის მოყვარეობა და მსახურება უწინაც მარტო გარეგნულ წესების შესრულებაში იხატებოდა და ეხლა ხომ, როცა ეკლესიას ზურგი უჩვენა, მოხუცში უფრო მკაფიოდ გამოიხატა ის კერპთავანისმცემლობა, რომელსაც ასე მაგრათა აქვს გერმანელი გლეხის სულში ფესვები გადგმული. რა საქმე ჰქონდა მოხუცს იმ ზეციურ ცხოვრებისთან, რომელიც ჯერ არავის ქნახა და არც არავინ იცნობდა მას? ის სულ სხვაგანა ჰქედავდა ღმერთებს. იმისი ღმერთი ის მიწა იყო, რომელზედაც სცხოვრებდა, ის მცენარე, რომელსაც თითონვე აღმოაცენდა ხოლმე მიწიდან, ის პირუტყვი, რომელსაც აქმევდა, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა, თავისი ღრუბლებით, ქარით და ჰექა-ჟუხილით. აღმოსავლეთიდან მოსულ ღმერთებში კი უწინვე რაღაცა ეუცხოვებოდა.

მოძლვარი შინ მიღიოდა, მაგრამ თითონვე არ იცნდა, იქნია მოხუცის გულზედა და სულზედ რაიმე გავლენა იმის სიტყვებში თუ არა?

ერთმა ადამიანმაც მოინდომა მოხუცის ნუგეშის ცემა, მაგრამ ვერც ამან მიაღწია თავის მიზანს. ერთხელ როგორდაც „ბიუტნერიანთ“ მამულში კაჩნერის ქვრივი მოვიდა. ყველგან შეიხედა და, რადგან მოხუცი ვერსად ვერ შენიშნა, თავის თავსაც ასიამოვნა და ყველა ოთახი დაწვრილებით მიათვალ-მოათვალიერა. მერე მინდორშიც წავიდა და იქ მოხუცი ნახა, რომელიც იონჯას სთიბავდა.

კაცს ეგონებოდა ბიუტნერი ისეა საქმეში გართული, რომ ვერც ვერაფდება ხედავს და არც თუ ესმის რამეო. სანამ მიუახლოვდებოდა კაჩნერის ქვრივი, გაჩუმებული იყო და კაი ხანს ადევნებდა მოხუცს თვალსა; ამ ცეტერაში თანაგრძნობაც გამოიხატებოდა და კმაყოფილებაც.

— ოჲ, ეს საბრალო და საცოდავი! როგორ მალე შე-
 ეტყო დაქრივება. შარვალი ისე შემოძგლევია, რომ ტიტვე-
 ლა ხორცები უჩანს საცოდავს. უთუოდ დიდი უბედური უნ-
 და იყვეს. ვიღა მოუვლის ეხლა და თვალ-ყურს ვიღა ადე-
 ვნებს? აი, ახლა თითონაც გაიგებდა მარტოობის მნიშვნელო-
 ბას.

ქვრივმა ჩაახველა და მიესალმა:

— გამარჯობა, ბიუტნერ!

მისალმების დროს ქვრივი ეცადა, რომ ხმაში რაც შეი-
 ძლებოდა მეტი ალერსი და თანაგრძნობა გამოპატოდა, მაგრამ
 მოხუცმა პასუხათ თავიც კი არ იღო. ქვრივის გაფრთხობა
 აგრე ადვილი არ იყო: ის ხმა კარგათ იცოდა ქალმა, რომ
 აქ მოხლოდ კეთილმა განზრახვებ მოიყვანა; ამიტომ არც შე-
 ამჩნევინა მოხუცს, რომ იმისი უხეში ქცევა, ცოტა არ იყოს,
 არ მოეწონა ნათესავს.

ქვრივმა მისალმების შემდეგ აუწყა, რომ იმ ცოტა ხან-
 ში პასულინას წერილი მიეღო. მოხუცი ისეთის გატაცებით
 იქნევდა ცელსა, რომ კაცს ეგონებოდა, ამას ქვეყნად იონ-
 ჯაზედ ძრიელ სხვა არა ეკითხება რა და არც არა ეჭაშნი-
 კება რაო. ქვრივი კი, რომელსაც ამ შემთხვევისთვის ახა-
 ლი ბალდადიც კი მოხევია თავზედ და საუკეთესო წინსაფა-
 რი აეფარებინა, გაშტერდა და აღარ იცოდა რა ექნა. „ბიუტნე-
 რი მიუხედავათ თავის სამოცის წლისა ჯერ კიდევ მაგარი ვაჟ-
 კაცია, მაგრამ რასა ჰგავს? თმა აბურძევნილსა და წვერ მოუ-
 პარსავს საცოდავათ ჩასცინია თვალები“, — ჰფიქრობდა ქვრივი.
 უსათუოთ მარტოობას ვეღარ იტანს და ერთი ლვთისნიერ
 თანამერძნობი აღამიანის მონატრულია! მომხარშველიც არა
 ჰყავს და იქნება ნახევარზედ მშიერია, საცოდავი. აი, ეხლაა
 ამისთვის ვინმე დედაკაცის ხელი საჭირო.

მერე პასულინას წერილი ამოილო და დაეკითხა: არ გინ-
 და წაგიკითხო შენი შვილების ამბავით? ეხლა კი მოხუცმა
 თიბეას თავი გაანება. ქვრივმა ეს თანხმობის და ნებართვის
 ნიშნათ მიიღო.

წერილში საზოგადოთ საქსონიაში წარსულ მუშათა ყოფა-
ცხოვრება იყო აწერილი. ბოლოში პაულინა სწერდა, შემოდ-
გომაზედ ისევ დაბრუნდებით გალბენაუშით.

კაჩნერის ქვრივმა დიდის ამბით დაჰკეცა წერილი და ისევ
ჯიბეში ჩაიდო. მერე ამოიხსრა და წინსაფარის წვერით ცრემ-
ლები მოიწმინდა.

— ეგ კარგია, რომ მალე აპირებენ დაბრუნებას,— სთქვა
ქვრივმა.— მარტოობა მძიმეა.

აქ კი გაჩუმდა, ალბათ. იმიტომ, რომ მოფიქრების დრო
მიეცა ბიუტნერისათვის. მერე როგორლაც, არაჩვეულებრივ
გადახედა მოხუცს და განაგრძო:

— ვიფიქრე: მოსწყინდებოდა ბიუტნერს მარტოობა მეთ-
ქი. ერთი პატრონი არ გააჩნია და, რასაკვირველია, სიცოცხლე
გაუმწარდებოდა მეთქი. მართალს არ ვამბობ, ბიუტნერ?

პასუხის ნაცვლად მოხუცმა ისევ ნამგალს მოჰყიდა ხელი
და ისე შეუდგა იონჯის თიბგას, თითქოს აქ იმის მეტი არა-
ვინააო.

კაჩნერის ქვრივი იძულებული იყო შინ დაბრუნებულიყო,
რადგან მალე დარწმუნდა, რომ მის კეთილ განძრახვის უმაღუ-
რი ნიადაგი დახვდა.

* * *

ზაფხული იწურებოდა. მოსავალი ჩინებული იყო. ქვავშა
მძიმე და საესე თავთავი დაიყარა და ბზეც ბლომათ მისცა;
შერიასა და კართოფილსაც კი პირი უჩანდა.

წლევანდელ მოსავლის შემცერალ გლეხს მწარე გრძნო-
ბები ერეოდნენ გულში. იქ, სადაც თითონ დაჰლევარა ოფლი,
თითონ მოხნა და თითონ დასთესა, ჭირნახულით სხვას უნდა
ესარგებლნა. აგერ ეხლაც ყოველ დღე დადიოდნენ იმ მე-
ზობლების ურმები, რომელთაც მამულის პატარ-პატარა ნაწი-
ლები შეიძინეს ამას წინათ. ამ პატარა მამულების გზათ „ბიუტ-
ნერის“ ნასახლარის მიდამოები იყო ამორჩეული.

ცუდი მოსავალი არც იმ მინდვრებზედ იყო მოსული, რომლებიც გარჩასსოვიცმა თავისთვის დაიტოვა. ცხადი იყო, რომ ამოდენა მოსავალს მარტო ბიუტნერი ვერ მოუვლიდა. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს თანაშემწენაც ეწვივნენ.

ჰერის მოსამავალი სამულოს ხალხი დაექირავებინა სოფელში. მერე ურმებიც მოქრიალდნენ, რომლებსაც ეს ამოდენა ძნები, როგორც ამბობდნენ, ვერსმბაში უნდა წაელოთ, სადაც ვაჭარს დიდი მამული ჰქონდა და სალეჭი მანქანაც იქ ედგა. ხორბალს ქალაქში ეზიდებოდნენ ვაჭრის საწყობებში და პზეს კი მინდორში აგროვებდნენ ჯერ-ჯერობით.

შვრის მოსამკელათაც მუშები დაიქირავა სამუილმა, მაგრამ შვრის ქალაქში არ ეზიდებოდა და იქვე ხის ფარდულებში აკრებინებდა. ეს შვრია მოხუც ბიუტნერს ჯაჭვებით უნდა ელეჭა ზამთრის განმავლობაში—გარჩასსოვიცი ცდილობდა, რომ მოხუცს ზამთარშიც არ გამოლეოდა საქმე.

ბოსტნეული უფრო ადვილად მოიშორა ვაჭარმა. მისი მოგროვება, გადარჩევა და დახროვება სამუილს ტყუილად დროს დაკარგვათ მიჩნდა. ამიტომ ამ ვაი-ვაგლახის თავიდან ასაკილებლად ხორავეულობა ნარდათ გაჰყიდა. კომბოსტო, ქარხალი და კარტოფილი კი იმდენი დასტოვა, რაც საქონელს მოუნდებოდა ზამთრის განმავლობაში.

როგორც სჩანდა, ამ კაცმა ზარალი არ იცოდა რა იყო. რომელიმე გლეხი რომ მოქცეულიყო ასე, უსათუოთ იზარალებდა და ყველა მასხარათ აიგდებდა.

გამოაცხადებდა თუ არა გარჩასსოვიცი სამიკიტნოში ესა და ეს მინდა საჯაროთ გავყიდოო, მთელი სოფელი მოაწყდებოდა და თავის მტვრევით ერთმანეთს შეეცილებოდა ხოლმე. საკმარისი იყო სამუილი გაჩენილიყო სოფელში, რომ ყველას ფულის დასახარჯად ხელები აჭქავებოდა და ჯიბეში ფულებიც გასჩენდა.

ლეთის წინაშე ძალიან აღვილი კი იყო სოფლელებისთვის გარჩასსოვიცან საქმის დაჭრა.—სამუილი ადვილად დამყოლი ადამიანი იყო და არაფერს იწუნებდა, თუ არც ჭირნახუ-

ლი ჰქონდათ, შეეძლოთ წალებულის ან ნაყიდის მაგიერათ, როცა საჭირო იქნებოდა, ემუშავნათ. ხშირათ ფულის მაგიერ საქონელსაც გამოართმევდა ხოლმე მოვალეებსა და ცოტა ხნის შემდეგ ამავე საქონელს უურო ხელსაყრელად გააჰყოდა ხოლმე სოფელში. არც სასესხებლით დაუკერდა ხოლმე გლეხებს ფულსა, ამ ეს თვისება ყველაფერზედ ძრიელ მოსწონდა გლეხობას. ფულს ასესხებდა და იშვიათად თუ მიპართავდა სასამართლოს, ისიც მარტო იმ შემთხვევებში, თუ გლეხს რამე გამოაჩნდებოდა დასაცინცლი, რომელსაც სულს იქით არა გააჩნდა რა იმათ არასოდეს არ დაატანდა ძალის. იმათ მისთვის უნდა ემუშავნათ და სამუილი კი თავის მხრივ სცდილობდა ეს ვალი არასოდეს არ გამოლეულიყო.

მოხუც ბიუტნერსაც ეხლა როგორც დაქირავებულ მუშას, ისე ექცეოდა. ხან ლანძღვიდა, ზარმაცხა და სულელს უძახდა, ხან თუ კარგ გუნებაზედ შეხვდებოდა, აქებდა.

ყველა ამას მოხუცი იმ გულგრილობით ითმენდა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს თითქმის ბუნებრივ ხსიათით გადაჰქიცეოდა. იმას თითქოს რაღაც გასტეხოდა გულში თუ ჩასკრობოდა და ერთი ნამცეცი თავმოყვარეობა აღარ შერჩენოდა.

აბა უწინ გაებედნა ვისმეს და ასე მოჰყიდებოდ! იქნება ცოცხალიც არ გაეშვა ამისთანა კაცი. ახლა კი ამ უცხო კაცისაგან ყველაფერს ითმენდა.

მთლიათ იმის ცხოვრებაში თუ კერძო მოქმედებაში აზრის ნაცვლათ რაღაც წინააღმდეგობა სჩანდა: ის თავის მტარვალს ემსახურებოდა და თავისი შრომით და ოფლით იმ გარეულ მხეცს ასაზრდოებდა, რომელიც დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით სწოვდა იმისვე სისხლსა.

საშველი აღარსად სჩანდა! გარჩასსოვიცმა ერთსა და ორს ჯაჭვში არ გახლართა საცოდავი გლეხი. ის, მთლიათ თავის სარჩო-საძადებელის დაკარგვის შემდეგაც, მაინც მოვალე იყო ვაჭრისა და იმს შეჰყურებდა თვალებში. სამულის ახალმა პატრონმა ბიუტნერი თუ კიდევ დასტოვა მამულში, ისიც დიდი წყალობა და გულკეთილობა იყო იმის მხრივ. გაგდება

რომ დაეპირა, შეეძლო უწინვე არც კი შეეტყობინებინა შის-
 თვის და ხშირათ ამასაც ემუქრებოდა ხოლმე. ვაჭარი სა-
 მულმა ჩინებულათ იცოდა გერმანელი გლეხის ხასიათი. იმან
 კარგათ იცოდა, რომ გლეხი მაგრა ებლაუჭება მიწას და იმის
 წყალობით რომ სულ მიწას ჩისჩიჩინებს გონებაც, უწლუნ-
 გდება და სახეოროსა და სავნებელს ვეღარას არჩევს.

სამულმა მშვენიერას იცოდა, რომ ბიუტნერი უფრო
 ადვილად გულს ამოაგლეჯინებდა მკერდიდვან, ვიდრე იმ მი-
 წას მოჰშორდებოდა, რომელიც იმის მამა-პაპათა ოფლით იყო
 მორწყული და რომელსაც უკანასკნელ დრომდის თავის სა-
 კუთრებათ სთვლიდა. ამ მამულიდვან გავდების შიში კარგ
 ხელშეკრულობასაცით აერთებდა და აკავშირებდა ბიუტნერს
 ვაჭართან.

ეს დამოკიდიბულებაც მეორე ბატონ-ყმობა იყო. ამ მო-
 ნობასთან შედარებით ძველი, ბატონ-ყმობის დროის ბეგარა,
 სავალდებულო სამსახური და ათასგარი ხსეა მოვალეობა, რო-
 მელსაც ბიუტნერის მამა-პაპა ისე გულნატკენათ უჩიოდა,
 ბევრით უფრო მსუბუქი და უფრო ადვილათ ასატანი იყო.
 მაშინ ბატონი თუ კისერზედ აჯდა თავის ყმას და იმის ოფლით
 სცხოვრებდა, უფრთხილდებოდა მაინც თავის გლეხს, ისე რო-
 გორც ყოველი კეთილ გონიერი მესაკუთრე სასარგებლო პირ-
 უტყვეს უფრთხილდება ხოლმე; ბევრ საქმეში ჰქონდათ მაშინ
 ბატონსა და ყმას ერთგვარი სურვილი და მისწრაფების საგანი.
 მაგრამ ამ, ახალი ფერის და შეხედულების ბატონ-ყმობას კი
 სწორედ ეს ადამიანური კავშირი აკლდა. აქ არარაობიდან
 გამოსხლეტილის დაუდევები და უსინიდისო ძალა ბრძანებლო-
 ბდა და უგულო კაპიტალის ცივი ხელები იმონებდა ადა-
 მიანს.

ლვთის წინაშე, გარჩასსოვიცი შესანიშნავი მოხერხებული
 კაცი იყო და ყველა საქმეს არტისტიულად აბოლოვებდა.
 სხვის ნაშრომის მითვისება და სხვის ბუდეში დაბინავება ვაჭარ-
 მა ჩინებულად იცოდა, მაგრამ ეს თვისება ხომ მთლიათ მის ერსაც
 ახასიათებს. ბუნებას კიდევ ერთი ხასიათით დაეჯილდოვები-

ნა,—სხვის კვერცხების ბედ-იღბალი არც ეკითხებოდა და არც თავს იტკივებდა მათთვის.

სოფელში გამოიანგარიშეს, რომ სამუილმა მაჩულის პატარ-პატარა ნაჭრებით გასყიდვით მთელი მამულის ხარჯი ინაზღაურა. ერთხელ ზაფხულის თავში, გალბენაუში ვიღაც მუშები და მიწის მზომელი ჩამოვიდნენ და ტყისა და „ბიუტნერის“ მამულს შუა დატოვებულ ველისკენ წავიდნენ. აქ მიწას ზომვა დაუწყეს და მიწაში რაღაც პალოებს არჭობდნენ. მერე ნიადაგს ზეითა ნაწილი ასჭრეს, იმის ქვეშ დარჩომილი შავი მიწა ერთ ადგილას დააგროვეს და უფრო ღრმად მყოფ თიხას რომ მიუახლოვდნენ, ვებერთელა, ოთხკუთხი ორმო ამოსთხარეს.

ამ ადგილას გარჩასსოვიცი ორთქლით მომუშავე აგურ-ხანას ავებდა.

სამუილმა ვამოაცხადა — აქეთა მხარეს აგური ძალიან საჭიროა და აგურხანა კი არსად მოიპოვებათ; მახლობელ სოფლებში, და განდ ქალაქებშიც, ხეირიან აგურს კაცი ვერსად ვერ იშოვნისო. სამუილი თავის მოვალეობადა სთვლის აქეთური სოფლები მრეწველობის გავრცელებით ფეხზე წამოაყენოს. აბა ნახონ გალბენაუელმა გლეხებმა აქაური ხალხი რა ფულებს მოიგებს!

მოკლე ხანში აგურის გამოსაწვევლ თორნისთვის ჩაყრილმა საძირკველმა თავი წამოჰყო. მიწიდან, იქვე იმით გვერდით მათი გამოსაშრობი ჩარდახები აღიმართნენ, თიხის მოსაზელი ორმოები ამოსთხარეს და ვებერთელა ქარხანის სხვა და სხვა ნაწილები რეინის გზის ლიანდაგებით შეაერთეს. ამის შემდეგ ქარხნის საბოლეო დღითი დღე ზრდა დაიწყო და ბოლოს გალბენაუელი ხამი გლეხები განცვითრებაში მოიყვანა.

მუმულში ყოველ დღე რამე ცვლილება ხდებოდა. შემოდგომაზე „ბიუტნერის“ ტყეს გრაფის ტყის მოურავი და იმისი მუშები ეწვივნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში დამახინჯებული ფიჭვის ხეები, ტვიის ბუჩქები და სხვა უვარვისი ბუჩქნარი სულ ერთიანად გააჭკაფეს და იქაურობა მიწმინდ-მოწმინდეს.

ეხლა კი სალანდის პატრინშა ძლიერ-ძლიობისას ბიუტ-ნერისეული ტყე შეიძინა, მაგრამ იმდენი ფული კი დაუჯდა ეს ტყე, რომ ეს ფული დროზე რომ ჩავარდნოდა ბიუტნერს ხელში, სულ მთლად გამოიხსნიდა განსაცდელისაგან თავსა. ტყესთან ერთათ ტყის ის ნაპირიც გადავიდა გრაფის ხელში, რომელსაც ისეთი გულდადებით ხნავდა მოხუცი ბიუტნერი და რომელიც სულ მთლად მისი ოფლით იყო გაეღვინთილი. ეხლა კი გრაფის ტყე გაერთიანდა. გაზაფხულზე ამ ადგილებზე სულ ახლად აპირებდნენ ტყის გაშენებას.

ტრაუგორტ ბიუტნერიც ჰედავდა ამ ცვლილებებს, მაგრამ ერთხელაც არ შეუჩივლია ვისთვისმე და კრძნტიც კი არ დაუძრავს, თითქო, მუნჯობა შეუთქვაშს და ეხლა ეშინიან სიჩუმის დარღვევისათ. მაგრამ გულში რა ცეცხლი ეკიდა და რა გარამი ახრჩობდა, ამას ერთი აღამიანიც ვერ იტყოდა.

ბიუტნერი ცუდად გადარგულ ნერგსა ჰგავდა, რომელიც მოუკლელობისაგან დღითი-დღე ჰქნება და თუმცა ჯერ კიდევ სცოცხლობს, ძალა კი მანც ელევა და წუთი სოფელს ეთხვება. ის კიდევ იმ მანქანას ჰგავდა, რომელიც მმოძრავი ძალის შეჩერების შემდეგაც ცოტა ხანს კიდევ მოქმედობს ხოლმე, სანამ სულ მთლად არ გაჩერდება.

მოხუცს თითქოს სამუდამოდ დაჰკარგვოდა გრძნობიერობა და როგორც წყლით გაეღვინთილი ნიადაგი ცვარს ველარ შეისვამს, ისე ბიუტნერის ათასგარი უბედურებით დაბეჩავებული გული ახალ უბედურებას და ტანჯვას ველარა ჰგრძნობდა.

მაგრამ ვინც უგრძნობლად და გაუგებრად დასახავდა მოხუცს, ძალიან შესცდებოდა; ბიუტნერი მშვენივრადა ჰედავდა, რომ ადამიანი უსამართლოდ მოექცნებ მას. იობსავით ქედის მოდრეკა და უბედურებაშივე სიამოცნების პოვნა მის ჯიუტ გლეხურ ბუნებას არ შეჰქვერდა. ბიუტნერი ძველი აღთქმის ლვთის მონასავით ვერ იტყოდა:

„შეველი დავბადებულვარ დედიჩემის მუცლიდან და ში-შველივე ჩავალ მიწაში. ღმერთმა მომცა და მანვე წამართვა. იკურთხოს სახელი უფლისაო“.

თუ გარეგნობით პირუტყვულ მდგომარეობას მიაღწია და ბედის ლახტს გულგრილად ითმენდა, ნამდვილად კი იმისი ჯიუტი გული ჯერ კიდევ არ მოდრეკილიყო. მოხუცი ხალხის ზიზღით და მძულვარებით სულს ითქვამდა და ბრაზით საზრდოობდა; მარტო ეს და ასულდგმულებდა მოხუცს და ეს აძლევდა სიცოცხლის ძალას. მაგრამ რაც უფრო ნაკლებ იღებდა ხმასა და რასაც უფრო მეტს ითმენდა, მისი ნაღველი მით უფრო მწარე და გულის დამდაგი ხდებოდა.

დგ. შოლუმარდვინოვი.

(შემდეგი იქნება).

ცხოვრება და ღვაწლი

თაღის გრიგოლ ორბელიანისა

XVII

მეოთხმოცე წელიც მოახლოედა, ის დალოცვილი მე-
 ოთხმოცე წელი, რომელსაც წინასწარმეტყველი სდებს კაცის
 სიცოცხლის სამზღვრად. გარნა ორბელიანი ვაჟ-კაცურად გას-
 ცილდა ამ ფსალმუნისგან დადგენილს ვადასაც. გასცილდა არა
 მიხრწნილი, არა ხმა მიკნავებული, არამედ სრულის ძლიერე-
 ბით, მხიარულებით, სიცილ-ყიფინით: „დროების“ რედაქციაშ
 განიზრახა იმისი ოთხმოცი წლის დღეობის ვადახდა, მაგრავ
 პოეტმა არ ისურვა ეს დღეობა, არა იმიტომ, რომ იმას შექ-
 შინებოდეს ხვედრათან ნიზღაობისა, როგორც მოხუცთა წესია,
 არამედ უფრო იმიტომ, რომ ექვობდა „დროების“ მონაწილე
 თაობას კარგად, ღირსეულად, ღენერალ-ჩინოვნიკობის და სხვა-
 თა წოდებათა დასწრებით და შესაბამთა წესით ვადეხადა ეს
 დღეობა. და ძალიან კარგათაცა ჰქმნა: დღეობა კაცის სიმალ-
 ლეზე უნდა ჰყოფილიყო, ან არ უნდა ჰყოფილიყო!

პოეტი დაეშვა ოთხმოცდა პირველს წელში თავ-აწეულად,
 ქუდი-ჩაკეცილად. არა პირადი, არა ცერემონია, არა პანაშეიდი
 არ ხდებოდა თბილისში უიმისოდ, რომ ის არ ყოფილიყო
 პირველს ადგილზე მუდამ ნათელის პირის სახით, მუდავ ბრ-
 წყინვალის თვალებით, სრულის თავისის მუნდირ-ორბენებით
 აღჭურვილი. ამას გარდა რა საზოგადო კრება იქნებოდა, რომ
 ის არ ყოფილიყო დამსწრედ. თავად-აზნაურობის ყრილობაში,

საადგილ-მამულო ბანკში, წერა-კითხვის საზოგადოებაში — რო-
მლისა იგი იყო პირველ წევრად — სხვა და სხვა საქველმოქმე-
დო და სამეცნიერო საზოგადოებაში ორბელიანი პირველ მო-
მსვლელებთან იყო და უკანასკნელებთან სტოვებდა სხდომის
ზალის. იუბილეის სადილებზე და პიკნიკებში თავი მომლხენი
ის იყო. დოლზე იმისი ცხენი მიღიოდა პირველად. საუკეთესო
სანადირო მწევრები იმისი იყო. დრონი იცვალნენ და მუშტი-
კრივი მოისპოვა ქალაქში, მაგრამ ლოპიანას მოყვარეს გული
მანც კინტოებისაკენ ჰქონდა და ამათ ლაზითიანს ლხინს
არშიყობდა იგი სიკვდილის დრომდის... საჯარო მანიფესტა-
ციებისა იგი მონაწილეც იყო და თავი ორატორიც. როდე-
საც დიდი მთავარი კავკასიის მთავარ-მართებელი გადვიდა რუ-
სეთში, პოეტმა კავკასიის მხედრობის სახელით უთხრა მას
შევენიერებით აღსავსე გამოსასალმებელი სიტყვა. ამანვე და-
უტკბო სუფრა მშვენიერის სადღეგრძელოთი არხეოლოგიურ
კონგრესის წევრთა, როდესაც მთავრობამ ხადილი გაუკეთა
იმათ სასახლეში...

მის გარშემო კი ამ სახლში სიკვდილი სცელავდა და სცელავ-
და უწყვილოდ მის დროის კაცებთა: ნაცნობ-მეგობრებთა, მსახუ-
რების ამხანაგებთა. ოთხს წელში დაეხოცნენ იმას: ბარიათინსკი,
ლაზარევი, სოსიკო ორბელიანი, ისააკ თუმანოვი, აგლობეიო,
ტერ-გუკასოვი, დიმიტრი ორბელიანი, ერეკლე ბატონიშვილი,
დიმიტრი გურიელი, ეკატირინე დადიანისა... ამ ხანში მიიცვა-
ლა ხელმწიფე იმპერატორიც „შვიდთა იყლიმთა მშერობელი“,
„კეთილის-მომქმედი კაცთა-ნათესავისა“. თითოეულს ამათგანს
არკუნა პოეტმა თავისი ცარემლი, შენდობით მოხსენება, თი-
თოეული დააფასა იმან ღირსეულად.

ურიგო არ იქნება მოვიყვანთ აქ რამდენიმე ადგილები
მისი წერილებიდამ შესახებ ზოგიერთთა აქ სხენებულთა და
სხვათაც კავკასიაში მსახურთა და ნამსახურთა პირთა.

აი რას ამბობს პოეტი ბარიათინსკიზე:

„Глубоко, глубоко огорченъ я смертью кн. Барятинс-
каго, котораго любилъ искренно, какъ человѣка и какъ

правителя. Онъ и по характеру, и по привычкамъ, и по широкости взгляда принадлежалъ не нашему времени, а вѣку Екатерины Великой, олицетворяя собою и Потемкина, и Румянцева*).

«ՅԵՎԳՐԵՅՅԱ ԸՆ ՀԳՅԱՎՈՅ ՀԹ. ԹԻՅԵԼՈՅՆԵԱ ՏԱՅ. ՅԱԽՈՎՈՅՆԵԱՅՈՎԱ, ԻՌԵԼՈՅՆ ՑԱՄ-ՔԻՐՊԵԼՈՎ ՄՈՎԵՐՆԸ, ԻՌՎՈՒԿ ԿԱԿՈ ԸՆ ԻՌՎՈՒԿ ՄՄԱՐՄՎԵԼՈ ՋԵՎԵՆԵԱ. ԵԱՍՈՎՈՅ, ԻՎԵՄՎԵԲԵՈՎՈՎ ԸՆ ՉԻՎԵԼՈՎ ՏՎՈՎՈՎ ՑԵՎԵՇՎԵԼԵԲԵՈՎ ԵՎՄՈՎԲ-ԸՆ ՇՈՒՐՈ ԻՎԵՆ ԾԻՄ ՅՆ ԱԹԱ, ՏԱՄՎԵԲԵՅ ԵՎԱՌՈՒԿՈՎ ԾՈՑՈՎԵԱ ԸՆ ՄԵՎԱՎԵՅԸ ՈՎՈ ՄԵԼԱՎ ՅԵՐԵԲԱՆՈՎԵԱ ԸՆ ԻՌՄՈՎԱԲԱՎԵՎՈՎԵԱ.»*

ԸԱԽԵՐԵՎՅԵ:

„Еще одна печаль! Бѣдный Лазаревъ умеръ въ походѣ противу Теке-Туркменъ, въ то именно время, когда все было имъ подготовлено и началось наступательное движение нашего отряда для нанесенія пораженія непріятелю. Какое несчастіе! Лазаревъ принадлежитъ къ числу замѣчательныхъ людей. Сынъ бѣднаго портного въ Шушѣ, безъ воспитанія, безъ науки, стать въ числѣ лучшихъ генераловъ Кавказской арміи. Я взялъ его въ чинѣ капитана Ширв. полка въ Дагестанѣ, поручивъ ему управление Акущю въ самое смутное и опасное время для наасъ и тогда-же впервые раскрылись его необыкновенные умственныя способности. Спустя нѣсколько лѣтъ онъ уже былъ правителемъ Дагестанскихъ народовъ и потомъ начальникомъ дивизіи и, наконецъ, въ послѣдней войнѣ противъ Турокъ, его образцовое обходное движение на Алажинскія высоты и пораженіе Турецкой арміи подъ предводительствомъ Мухтара-Паши и, въ заключеніе всего, какъ финалъ, взятие Карса доставили ему Георгія 2-й степени и званіе генералъ-адъютанта. Смерть его въ настоящее время составляетъ великую потерю и для нашей арміи, и для нашего края***).

«ԵՎԳՐԵՅՅԱ ԸՆ ՀԳՅԱՎՈՅ ՀԹ. ԹԻՅԵԼՈՅՆԵԱ ՏԱՅ. ԸԱԽԵՐԵՎՅԵ, ՑՈՎՎՈՎ ՕՅԵ-ԾՈՒ- ՋՄԵՆԵԱ ՖՈՆԱՐԹՎԵՋ ԸԱՑԻՐՈՎԱՅՈ, ՍՄՈՒԿ ՈԹ ԳՌՈՎ, ԻՌՎԱ ԿՊՎԵԼՈՎԵ ՑՄԱՅԵՆԵԱ ԸՆ ԻՎԵՆ ԻՌՄՈՎԱԲԱՎԵՎՈՎ ԵՎԵՎՈՎՈՎ. ԻՆ

*) Վյուլով ծահերանց տիկելունեան 19 մարտ 1879

**) Վյուլով ծահերանց տիկելունեան 22 ազգ. 1879 թ.

უბედობაა იგი იყო შესანიშნავ კაცთაგანი. შეილი დარიბის მკერვალისა შეზღადამ, უსწავლელი და უკონტრელი მეცნიერებისა, კავკასიის მხედრობის საუკეთესო გენერლად შეიქმნა. შირვანის პოლკში იყო კაპიტანის ხარისხით, როდესაც დაღესტანში წავიყვანე და ჩვენთვის სრულიად საზიშვისა და შოუკვენარს დროს აკუშა ჩაგაძარე სამართველოდ. მაშინ გამოიყვა, აი, მისი არაჩეულებრივი ნიჭიერება. რამდენიმე წლის შემდგომ იგი უკვა დაღესტანის მმართველი შეიქმნა, შემდევ უფროსი დივიზიისა და ბოლოს-კი, რუს-ოსმალთა უკანასკნელის ომის დროს, სამაგალითო მტრის შემოვლამ ალაუინის სიმაღლეებზე და ომალთა მხედრობის დამარცხებამ, რომელსაც მუხთარ-უაშა სწინამდებოლობდა, და აგრეთვე ყარსის აღებამ მოუხვებეს მას წოდება გენერალ-ადისუდანტისა და გიორგი მე-2 ხარისხისა. სიკვდილი მისი ამ უამაღ როგორც მხედრობისა, ისე ჩვენის ქვეყნისათვის, შეადგენ ერთობ დიდს დანაკლისსა“.

კლუშინი:

„Познакомился я съ Клушинымъ —Баронисъ-пехи. Конечно, всякое теперь объ немъ сужденіе будетъ преждевременно, но мнѣ кажется, что онъ принадлежитъ къ числу тѣхъ людей старой школы, которые были проникнуты мыслию, что грубость есть твердость характера, необходимая нравственная сила въ начальникѣ, охраняющая служебный порядокъ, чинопочитаніе, дисциплину; а вѣжливое обращеніе есть непростительная въ начальникѣ слабость, неминуемо ведущая къ разнаго рода злоупотребленіямъ по службѣ. Таково, покрайней-мѣрѣ, первое впечатлѣніе, произведенное имъ здѣсь. Къ счастію, даже въ военной службѣ, давно уже вывелось это грубое, жестокое, нечеловѣческое, Набоковское обращеніе Начальника съ подчиненными; но какъ объяснить подобное явленіе въ гражданской службѣ теперь? Не думаю, чтобъ Клушинъ могъ остаться съ своими застарѣлыми понятіями здѣсь на долго, потому что измѣниться ему уже поздно“*)

„გავიცა კლუშინი—ბარონის-ფეხი, რასაკვირელია, ყოველივე მსჯელობა მის შესახებ ახლა ჯერ ადრეული იქნება, მაგრამ მაინც მგონია, რომ იყი გკუთვნის ძველის სკოლის ხალხს, რომელსაც სჯეროდა ღრმად, რამ სიბრიუკე და თავტეფობა არის სიმტკიცე ხასიათისა, მიუცალებელი ზნეობრივი ძალა ყოველის უფროსისა, ძალა, რომელიც იცავს სამსახურზე წესიერებასა, ხიზისხთა პატივისცემასა და დისციპლინასა; ხოლო

*) წერილი ბარბარე თრბელიანისადმი 17 მარტს 1876 წ.

ზრდილობიანი ქცევა უფროსისა მიუტევბელი სუსტი მხარე, რომელიც სხვა-და-სხვა გვარს ბოროტმოქმედებას იწვევს სამსახურში აუცილებლად. პირველად გაიცა ასეთი ზთაბეჭილება იქონია მან. საბედნიეროდ, თვით სამხედრო სამსახურშიც-კი დიდი ხანია გადავარდა ასეთი უდიერი, მდა-ცრი, არა ადამიანური, ბრიყული მაჟურობა უფროსისა უმცროსისადმი; მაგრამ როგორ უნდა აასწავ, ნერა, ასეთი მოვლენა სამოქალაქია სამსა-ხურში ახლა? არა მონია, ამ თავისის დახავსებულის შეხდულებით დიდ-ზანს იძოვინოს აქ კლებინმა, იმატომ, რომ გამოცვლა და გარდაქმნა მისთვის უკვე გვიან-ლა ახლა.“

მირსკიზე:

„Я любилъ его со всею искренностью и въ немъ его свѣтлый многосторонний умъ и благородство энергического характера. Служеніе его было по-истинѣ самопожертвованіемъ; прострѣленная въ двухъ мѣстахъ грудь его ясно свидѣтельствуетъ, что онъ шелъ какъ говорится, грудью впередъ противу непріятеля. Но немногіе знаютъ, какъ я, что лучшая сторона его энергически полезной дѣятельности на поприщѣ государственной службы скрыта пока въ канцелярскихъ перепискахъ и со временемъ, конечно, оцѣнятъ достойно его обширный умъ, его дальновидность и строгую справедливость при высокомъ чувствѣ человѣколюбія“^{*)}).

„მიუვარდა იგი მთლად ჩემის გულწრფელიბით, მასთან მისი ნათე-ლი და მრავალმხრივ განვითარებული გონება და კეთილშობილება ენერ-გიულის ხასიათისა. მსახურებდა ქეშმარიტად თავგანწირულად. ორს ად-გილს ტყვიით დატრილი მექრდი ნათლად ამტკიცებდა, რომ, როგორც იტყვიან ბოლმე, მტერზე გულ-და-გულ მისულა საბრძოლად. ბევრმა სრულიად არ იცის ისე, როგორც მე, რომ მისი ენერგიით საგსე სასარ-გებლო მოღვაწეობა სახელმწიფო სამსახურის ასპარეზშედ ჯერ-ჯერობით საკანცელარიი მიწერ-მოწერ. შეია მიჩქმალულ-მიმალული, მაგრამ თავის დროზედ, რასაკეირველია, ლირსეულად დააფასებენ მისს დიდს ჰკუასაცა, შორსგამჭვრეტელობასაცა და კაცთმოყვარეობის მაღალის გრძნობით აღ-საგსე სასტიქს სამართლიანობასაცა.“

^{*)} წერილი ბარბარე თბილისადმი 1879 წ.

ნიკო ჭავჭავაძეზე:

„Какой молодецъ Нико! Какъ широко развились его способности! Я радуюсь, не нарадуюсь: онъ мое созданіе! Недавно былъ въ Тифлісѣ, чтобы отдохнуть отъ трудной, скучной жизни и службы въ Дагестанѣ. Вдругъ получается депеша съ неожиданнымъ извѣстіемъ, что въ Уикратлѣ убили наiba Ажіова... и что всѣ жители этого общества взбунтовались. Нико въ два дни прискакалъ въ Ботлихъ, крикнулъ богатырскимъ голосомъ; на этотъ крикъ сбѣжалась болѣе 7 т. вооруженныхъ лезгинъ, пошли, разгромили укрѣпленную деревню взбунтовавшихся, переловили или перебили зачинщиковъ, переселили все общество въ Шуру, и тѣмъ кончилось возмущеніе въ нѣсколько дней! Нико чрезвычайно становится похожимъ на брата Илью широтою натуры, пылкостью страстей и силою характера. Онъ очень понравился Государю и Наслѣднику“ *).

„რა ყოჩალია ნიკო! რა ფიდი ნიკი გამოიჩინა! მიხარიან, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღარი არა აქვს: ის ხომ ჩემი ქმნილებაა! ამ წინაპერ ქალაქს ვიყავი, მინიოდა დადესტანში მოსაწყენ, მძიმე სამსახურისაგან ცოტა შემესვენა. უცბად დეპეშა მოვვივიდა მოულოდნელის ამბისა, რომ უიყრატლაში ნაიხი აეითვი მოპქლეს.. და ყველა მცხოვრებნი ამ საზოგადოებისანი აჯანყებულნი არიან. ორს დღის განმავლობაში ნიკო ბოტლაში მიიჭრა, რიხიანად შეუყვირა გმირულად; მაშინვე 7 ათასამდე შეიარაღებული ლეյი შემოკრბა, წავიდნენ, მიანგრიეს და მთანგრიეს გამაკრებული სოფელი აჯანყებულთა, მოთავენი ზოგი დაიკირეს, ზოგი დახოცეს, მთელი საზოგადოება შურაში გადაასხლეს და ამ რიგად აჯანყება სულ რამდენსამდ დღეში მოჰსნებს! თავისი ფართო ბუნებითა, ვნებათ სიციცხითა და ხასიათის სიმტკიცით ნიკო ძალიან წააგავს ძმას—ილიასა. ხელმწიფესაც და მექვიდრესაც ძალიან მოეშონათ იგი.“

გიორგი მუხრანსკიზე:

„14 Генв. въ гимназической церкви... Великий Князь сообщилъ мнѣ печальное извѣстіе о кончинѣ моего друга Георгія Мухранскаго въ Парижѣ. Можете вообразить**) всю

*) წერილი ბარბარე-ორბელიანთან 28 დეკ. 1871 წ.

**) იმავე 26 იან. 1877 წ.

тяжесть моей горести, потрясшей меня до глубины души. Я не находилъ словъ для отвѣта, молчалъ окаменѣлый, ожидая еще чего-то. Безсознательно поѣхалъ я къ Трубецкому, отъ него къ Григ. Дадіани и потомъ уже вмѣстѣ съ Паша Витгенштейнъ, поспѣшилъ къ Ивану Мухранскому, гдѣ я заплакалъ дѣйствительно горькими, горькими слезами. Да, Грузія лишилась лучшаго сына, наше общество—лучшаго члена; я лишился человѣка, котораго искренно любилъ за его чистую душу, за свѣтлый умъ“...

„14 იანვარს, გიმნაზიის კეკლესიაში... დიდია მთავარმა ჩემის მეგობრის გიორგი მუხრანსკის პარიუში გარდაცვალების სამწუხარო ამბავი მაცნება. ვერ წარმოიდგენ, როგორ შემიძყარ სულის სიღრმემდე ამ მძიმე მწუხარებამ. პირი შემყრა, პასუხი ვეღარ მივეცი და ვიდექ გაქვავებულივით, თითქოს კიდევ რასმეს ულადი. ცრობიერება-დაკარგულმა ტრუბეციონისკენ გავსწიე, აქედამ გრიგოლ დადიანთან და მთოლოდ-და შემდგომ გავეშურე პაზა-ვინტეგრებულინთან ერთად ივანე მუხრანსკისკენ, სადაც მწარედ მოვრთე ცხარე ტირილი. დიან, სამშობლომ დაკარგა საუკეთესო შვილი, ჩვენმა საზოგადოებამ—საუკეთესო წევრი და მე კიდევ—საყვარელი კაცი, რომლის წმინდა სულსა და ნათელს გონიერასაც გულწრფელად ვაფასებდი...“

და სხვა წერილებში ამავე მუხრანსკიზე: „ბევრი დრო გაიკლის, რომ საქართველომ ვეღარ იხილოს ვინმე ქართველთა გაიგონი ისული ამ პატივის სიმაღლეზე, რომელზედაც გიორგი იდგა ლირსებითა, გონებით, ჰერცოვინით, გულით, ხასიათით. ჩვენდა საუბედუროდ, ზოგიერთთა დაბრმავებულთა მიაჩნდათ იგი საქართველოს მტერად. ოპპკ, სიბოროტე და წყეული შური სადამდის აბნელებს კაცის გონებას! ნეტავი საქართველოს ჰყავდეს მაგისთანა ერთი კიდევ გიორგი...“ *); „... გიორგი იყო... დიდად მოყვარე თავის ქვეყნისა, თუმცა მისი გრძნობა ესე არა სჯეროდათ მრავალთა, დაბრმავებით უბადრუკთა! მე კი უზომოდ მოყვარდა იგი და მიხაროდა მისი საქართველოს შვილობა; და აწ მამული ჩვენი უიმისოდაც მეტად ლარიბი კაცობითა, უმეტესად შეიქნა გაგლახაკებულ. მეტად შე-

*) წერილი ნკ. ჭავჭავაძეს 17 თებერვ. 1877.

წუხებული ვარ ესრეთის საზოგადოდ სამტირალოს შემთხვევა-
ვითა, ვხედავ რა, რომ მისი ადგილი დაცალიერდა ჩვენთვის,
თითქმის სამარადისოდა.“*)

ღონდუკოვკარსაკოვზე:

„ქ. ღუნდუკოვი არის ისეთი კაცი, რომელსაც არ და-
ვიწყებია საქართველო და რომელმანცა იცის ზედ მიწევნით
არათუ მარტო მისი მდგომარეობა, არამედ მრთელის კავკასიის
მხარისა; იცის რაც არის და რისაგან მოხდა ავიცა და კარგიცა
ხალხის მოვლაში; იცის ჩვენის სუდების ნაკლულევანებაცა და
მის გამო დამცირება გუბერნატორობისა, ესე იგი აღმინისტრა-
ციისა და ამით გახშირება ავაზაკობისა, ქურდობისა, ხალხის
აკლებისა; ჰსურს ამის გასწორება, მაგრამ, მგონია, პეტერბურგ-
ში არ ეთანხმენ, რომ ღუბერნატორობამ მიიღოს მონაწილე-
ობა უგოლოვნის საქმის გადაწყვეტილებაში და ამით აღადგი-
ნოს გუბერნატორობის დაცემული ძალი და უფლება; იცის
ზედ მიწევნით ჩვენის თავად-აზნაურობის გაგლახაკება და ჰსცდი-
ლობს, რომ ეგების ეპატიოს პრიკაზის ვალი, ანუ გაუადვი-
ლოს ვალის გადაწყვეტა და ეს საქმე მომანდვა მე და ვნახოთ
ღმერთი და ბედი. და არის ჩაყურყმალებული ამდენს საქმეებ-
ში დილითვე შვიდ საათიდამ ოთხს საათამდე; არის ისეთივე
მხნე, ისეთივე მოლაპარაკე, თავ-მდაბალი, ისეთივე გულით,
სულით, სახითაც, მხოლოდ ჭალარი გამორევია.“**)

შემთხვევა მოგვცემს და პოეტის ჰაზრის ზოგიერთა სხვა
პირებზე ჩვენ დავტექდავთ ცოტა ქვემოდ, ეხლა კი მოვიგო-
ნოთ ის გარემოება, რომ თითქმის ყველა კავკასიის გამოჩე-
ნილნი მხედარნი მსახურებდნენ და წარმატებაში შედიოდნენ
ორბელიანის ხელ-ქვეით.

„გავტედავ და დავიკვეხებ—სწერს პოეტი სამეგრელოს
მთავრინას ეკატირინა დაღიანისას,—რომ ვინც გაიარეს ჩემს
შკოლაში, ყველანი გამოვიდნენ განსხვავებით გამოჩენილნი:

*) წერილი ნესტორ წერეთელს 21 იანვ. 1877.

**) წერილი ივანე ორბელიანს 20 მაისს 1882 წ.

რაღეცე, ტერლუქაზოვი, ლაზარევი, დიმიტრი ჯორჯაძე, ღენერ. ასტაჭივი, დიეიზის ნაჩალნიკი ალექსანდრე თუმანივი, უდროოდ მკვდარი ივანე ბაგრატიონი, ეგრეთვე სოსიქო თრბელიანი და ალექსანდრე თრბელიანი, ღენერ. ბრუსილოვი, დამბლად დაცემული, ღენერ. ლეიტ. ლოპა, აკოლნიჩი და თვით ცოტა თდენად ღრაჭ ლორის-მელიქოვიცა, რომელიცა პირველად მე დავნიშნე დერბენდის გრადონაჩალნიკად და სულ ბოლოს ჩემი საკუთარი ნიკო ჭავჭავაძე, ელისავეტოპოლის ღუბერნატორი, რომლისა მსგავსი არავინა გვყავს ღუბერნატორებში. ^(*))

ამას ისიც დაფუძნატოთ, რომ თათონ თ. დონდუკოვი-კარსაკვი, შემდეგ კავკასიის მთავარ-მართველი, მის ხელქვეთ მსახურებდა, როდესაც პოლკის კამანდირათ იყო დაღესტანს და ორბელიანი კაბინის მხრის ჯარების მთავარ-სარდლად. ამ დროებიდამ ჩვენამდის ჩამოუღწევია ერთს საანგდოტო ამბავს იმათ შესახებ. როდესაც პირველად დაღესტანში მოვიდა მთავარ-მართებლად დანიშნული თ. ბარიათინსკი, — რომელსაც არ უყვარდა დუნდუკოვი გარანცის დროიდმვე, — ერთს რომელდაც მოგზაურობაში დუნდუკოვი ცხენ და ცხენ შისდევდა მთავარ-მართებელს, რომელსაც ეკიპაჟში გრიგოლ დიმიტრიჩი უჯდა. კარგა მანძილი რომ გაიარეს და პოეტმა დუნდუკოვს დაღლა რომ შეატყო, ჩაულაპარაკა ბარიათინსკის:

— Ваше Сиятельство, князь Дондуковъ страшно утомился.

— Ничего, это поубавить у него спѣси! — უთხრა მთავარ-მართებელმა.

პოეტის მიწერ-მოწერიდან ვხედავთ, რომ თ. დუნდუკოვიც სცდილობდა მაგიერი გადაეხადა ბარიათინსკისათვის. 1859-ს, როცა ევდოკიმოვის ინგარებაზე ღალადებდა ქვეყანა, პოეტი სწერს თ. დიმიტრი ჯორჯაძეს:

„მთავარ-მართებელს მოუვიდა ხელმწიფისაგან წერილი, რომელშიაც სხვათა შორის პსწერს ევდაკიმოვზე, ესე იგი ამის

^(*) წერილი 24 აგვისტ. 1879 წ.

უზომოს ანგარებაზედ. ამასავე ვაენნის მინისტრიცა ჰსწერს და
ორივე ურჩევენ, რომ მედგრად თვალ-ყური ეჭიროს და თუ
მართალი იყოს ეს ხმები, გამოცვალოს კიდეცა. რასაკვირვე-
ლია, მთავარ-მართებელს ძალიან ჰსწყინს ამ გვარი ხმები ევდა-
კიმოვზე და ამას ყოველსავე აპრალებს კნიაზს დუნდუკოვის
ინტრიგება.**)

დიდი მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძის გადასვლა კავ-
კასიიდამ დიდად სწყენოდა გრიგოლ ღიმიტრის ძეს. ჯერ ეთ-
თი რომ ის შინაური კაცი იყო დიდ-მთავრის სახლში და მე-
ორე ხელმწიფის წევრისგან დატოვება კავკასიის მხრისა თავის-
თავად დასაკლისი იყო ქვეყნისთვის. თბილისს კარგად ახსოებ
ის მშვენიერი გაზაფხულის დღე, — 26 მაისი — როდესაც მთელი
ქალაქი ორ წყობად გამწერივებული სიონის სობოროდამ რკი-
ნის გზის სტანციიმდი მოუთმენელად ელოდა დიდის მთავრის
გამოვლის გამოსათხოვებლად. ეტლი გამოჩენდა და მასზე დი-
დი მთავარი და მის გვერდით გრიგოლ ღიმიტრიჩი. პოეტი
ჯერ სიტყვა უთხრა სასახლეში კავკასიის ჯარების მთავარ-
სარდალს კავკასიის მხედრობის სახელით და შემდეგ გააცილა
იგი ვაკზალამდი, (კორპუსის კამანდირი დეველი მეორე ეკი-
პაჟში იჯდა დიდი მთავრის შვილებთან.) აუწერს რა ამ გა-
ცილებას პოლკოვნიკს ერმოლოვს, პოეტი სწერს, სხვათა შო-
რის :

„... Да, братъ Клавдій, это были проводы истинно Им-
ператорского сына, а не генерала Муравьевса, которого со-
провождалъ—стыдно сказать—только Иванъ Минайчъ Мир-
зоевъ и то до Ананура. Вотъ съ какимъ благоговѣніемъ
здѣшній народъ относится къ величію Императорской фа-
милии **)!“!

„...დიახ, ძმათ კლავდი, ეს იყო ჭეშმარიტად იმპერატორის შვილის
ღირსი გაცილება და არა გაცილება გენერალის მურავიოვისა, რომელსაც
თან ახლდა—სათქმელადაც—კი სირცეგილია—მხოლოდ იგან მინაიჩ მიზ-

*) წერილი 6 იანვ. 1859 წ.

**) წერილი 20 ივნ. 1881 წ.

ზოგი, ისიც მხოლოდ ანანურაშდის. აი, როგორის მოწიწებითა და პა-
ტივით ეპყრობა აქაური ხალხი საიმპერატორო გვარეულობის დადებასა!

დიდი მთავრის წასვლის შემდეგ მეორე, თუ მესამე დღეს
ამ სტრიქონის მწერალს შეხვდა ყოფნა პოეტთან. ლაპარაკი,
რასაკვირველია, მთავარ-მართებელზე ჩამოვარდა. დიდი ხეის
მუსაიფის შემდეგ იმან ჩვეულებრივის თვისის მხიარულებით
სთქვა: ეჲ, რაც იყო, იყო! „იგი წავა და სხვა მოვა ტურფისა
საბალნაროსა!“

იმპერატორის ალექსანდრე II-ის მიცვალებამ თავს ზარი
დასცა მოხუცს მისს გენერალ-ადიუტანტს. ეს იყო უკანასკნე-
ლი დიდი სიმწარე, რომელიც შესვა პოეტმა. ჯერ, როცა
დამბახა ესროლებს ხელმწიფეს 1879 წელში, პოეტი სწერდა
ჯავრიანად ბარბარე რომელიანისას:

.... Каковы должны быть благотворны плоды, учений
того сельского учителя, который, самъ будучи воспитанъ
въ католической злобѣ противу человѣчества, желалъ убийс-
твомъ Царя произвестъ смуты по всей Россіи! Безумецъ, за-
былъ страшную силу топора русскаго мужика, которая кро-
ваво прошла-бы отъ Оренбурга до Петербурга, и первыя
головы, которыя слетѣли бы съ плечь, были бы головы та-
кихъ интеллигентныхъ учителей, проповѣдниковъ убийства,
и тогда установилось бы темное, кровавое царство мужи-
ковъ и закрылась бы Россія отъ просвѣщенной Европы,
для науки, для искусства, для всего того, что возвышаетъ
человѣка духовно и облеклась бы матушка Россія не про-
ниаемымъ мракомъ варварства на столѣтія.

„Представьте пошлую наглость преступника, сказав-
шаго: „я отдаю себя суду потомства“. Хорошо же будетъ
то потомство, которое станетъ рукоплескать гнуснымъ
убийцамъ. Да, въ теченіи 7 т. лѣтъ ни одинъ изъ убийцъ
не былъ благословляемъ потомствомъ“*).

.... რა საკეთოლო ნაყოფი უნდა ჰქონდეს იმ სოფლის მსწავლებე-
ლის სწავლებასა, რომელიც კაცობრიობისადმი სატანისებურს მტრობა-

*) წერილი 19 აპრ. 1879.

ბოროტებაში აღზრდილა და რომელსაც პსურს მეფის მოკვლით მთელი ჩუსეთი შეაშოთოს! უგუნურს, დაჰვიწყებია უთუთ საზარელი ძალა რესის გლეხის ცულისა, რომელიც სისხლით განვლიდა ორენბურგიდან პეტერბურგამდე და უპირველესად აკვლისა ასეთ, მკვლელობის მქადაგებელ ინტელიგენტ მასწავლებლებს დაჭრიდა თავებსა, და დამყარდებოდა მაშინ ბნელი, სისხლის სამეფო მუსიკებისა და ლაპშაბოდა რუსეთი განათლებულ კუროპარსა, მეცნიერებისა, ხელოვნებისა და კოველისავე იმისათვის, რაც-კი აღამიანს სულიერად აღამაღლებს, და მშობელ რუსეთს ბარბაროსობის განუშმევალი ბნელი მოიცავა მდგრად საუკუნოებით.

„წარმოიდგინეთ ბილწი თავხედუბა დამნაშავისა, რომელსაც უთქვაშ, „ჩემს თაქს განსასჯელად შთამომავლობას ვაძლევთ.“ კარგიც იქნება ის შთამომავლობა, თუ საზიზლარს მკვლელებს ტაშს დაუკრავს, წააქეზებს. დიახ, 7 ათასის წლის განმავლობაში არც ერთი მკვლელთავანი შთამომავლობას კურთხევით არ მოუსესნებია.“

ხელმწიფის მოკვლის შემდეგ ის სწერდა იმავე პირს:

„...“Зловѣщее, бѣдственное извѣстіе о кончинѣ Великаго, Великодушнаго изъ Государей, Императора нашего, мученически принявшаго смерть поразило меня до глубины души невыразимою скорбью. Не могу опомниться, не могу мыслить, не могу успокоиться до сихъ поръ! Грузія одѣлась въ трауръ; нѣтъ человека здѣсь, кто бы безъ благословенія произнесъ имя въ Бозѣ почившаго Императора, который, Боже мой, гдѣ-же? Въ своей столицѣ, посреди препанного ему народа, окруженнаго конвоемъ,—падаетъ подъ ударами гнусныхъ злодѣевъ, растерзанный, обезображеный! И за что? Не за дарованіе ли человѣческихъ правъ 30 милл. рабамъ? Не за благотворныя ли преобразованія по многообразнымъ отраслямъ Государственного управлѣнія? Не за освобожденіе ли Славянскихъ народовъ, попранныхъ подъ игомъ магометанства, изъ которыхъ возстановляются нынѣ Христіанскія царства? Не за возвеличеніе ли имени Росіи,—палъ безпомощнымъ Повелитель семи климатовъ, имя Котораго сіяло надъ Россіею лучезарною звѣздою славы! Палъ подъ ударами адской машины, изобрѣтенной гуманными сыновьями цивилизованной Европы! Между тѣмъ какъ этого-же Императора, благоговѣйно охраняя, сопровождали изувѣры, враги наши по религіи, бывшие наибы

Шамиля, во все время путешествия Его по Дагестанскимъ трушобамъ! Я уже не говорю о томъ энтузіазмѣ, съ какимъ былъ встрѣченъ въ Тифлисѣ Императоръ, нынѣ уже отошедший въ міръ святыхъ! Какими-же подвигами Россія можетъ смыть это позорное пятно въ своей исторіи^{**}!...

„... ბედითმა და საბწუხარო ცნობამ ხელმწიფეთა შორის დიდისა და დიდ-სულოვანის ჩენის იმპერატორის აღსრულებისა ზესახებ, რომელმაც მიიღო სიკვდილი მოწამებრივი, გამოუთქმელის მწუხარებით ამავსო სულის სიღრმემდე. გონი ვერ მოვსულვარ, ფიქრი აღარ ზემიძლიან, აქამდის ველარ დავმშეიდებულვარ! საქართველო ძარებშია, არ მოიძებნა აქ ადამიანი, რომელიც ღვთივ განსცენებულის იმპერატორის სახელს კურთხველი არ ისცნებდეს, მაგრამ, თვი ღმერთო ჩემთ, საღ-ლა იგი თავისსავე სატახტო ქალაქზე, თავის ერთგულს ხალხს ზორის, კანკის ხლებით,—კვდება საზიზღარ ბოროტ-მომქმედთაგან, ლუქმა-ლუკმად დაგლევილი, სანე-დამახინჯებულის მერე, რისთვის? ნუ თუ იმისათვის, რომ 30 მილიონს ყმას ადამიანის უფლებანი მიანიჭა? ნუ-თუ იმისათვის, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სხვა-და-სხვა დარგი საკეთოლოდ შესცვალა? ან იქნება იმისათვის, რომ მაქმადიანობის მძიმე უდელ ქვეშ განრთხმული სლავთა ერთი ანთავისუფლა, რომელთაგანაც დღეს საქრის-ტეან სამეფოები სდგებიან? ან იქნება იმისათვის, რომ რუსეთს დიდების სახელი მოუხვეჭა,—დაეცა უმწეოდ მბრძანებელი ზეიდთა ჰავათა, რომლის სახელიც სხიერინარე დიდების გარსკვლავივით უნათებდა მთელს რუსეთსა! მოკვდა განათლებულ ეკრანის ჰუმანიტურ ზეილთა მიერ გამოგონილ ჯოვონხეთურ მანქანის წყალობით! მაზინ, როდესაც დალესტნის ბუნაგებში მოვზაურობის დროს იმავე იმპერატორის მოწინებით ჰყარებიდნენ და ეახლებოდნენ ყველგან ჩენის სარწმუნოებისა მტრები, ზამილას ნაიბებათ მყოფნი! აღარას ვიტყვი იმ აღტაუებაზე, რომლითაც დღეს უკვე წმიდათა ზორის განსცენებულს იმპერატორს ზეგებნენ ტფილისში! არ ვიცი, რა ღვაწლითა და საქმით გადარჩეცს რუსეთი ამ სამარტვინო ჩირქეს თავისს ისტორიასა“!..

ჩვენ ძალას ვატანთ ჩევნს თავს, რომ შევსწყვიტოთ აქ პოეტის ჰაზრების გადმოწერა შესახებ სხვათა და სხვათა პირთა და გარემოებათა. მისი წერილების რიცხვი გამოულეველია და ამ წერილებში არის გამოულეველი სიმდიდრე გონებისა, გრძნობისა, დაკვირვებისა და კაცს ყოველთვინ გინდა იმათი

^{*)} წერილი 16 მარტ. 1881 წ.

კითხვა. მაგრამ, პოეტის თქმისა არ იყოს, ყველაფერსა ჲქვს თვისი დასასრული და ჩვენ უძმისოდაც უსისტემოდ მოლაპარაკენი შემდეგ პოეტის იუბილეისა, თავს ვანებებთ პოეტის-გან დაწერილი ნეკროლოგების ამოწერას, რომ ვაღვიდეთ თი-თონ პოეტის ნეკროლოგზე...

მაგრამ ჯერ კიდევ ერთი ვარემოება. პოეტის ბიოგრაფია არ იქნება სრული, თუ რომ იმის ბოლოს—სანამ კაცი ჯერ ისევ ცოცხალია—არ ვიღაპარაკეთ იმის ხასიათზე, ჩვეულებაზე, გემოვნებაზე, შინაურ ცხოვრებაზე, ესე იგი თუ რომ საზოგადო ასპარეზზე მოღვაწის აღწერის შემდეგ არ აღვწერეთ კერძო კაცი სრულის თვისის ღირსებითა და ნაკლულევანებით. ამ საგანს გვინდა შევწიროთ ორი შემდეგი თავი.

ი. მეუნარგა.

ახალი ზელანდია

იმპლიცის ახალშენი.

(თარგმანი)

XI

ხალხის სწავლა-განათლება და ღრმოგამოშვებითი
 ბეჭდებითი სიტუა ახალ-ზელანდიაში

ახალი ზელანდია, როგორც ჩვენი დროის უფრო ყველაზე დემოკრატიული საზოგადოება, ყოველ ღონისძიებას ხმარობ, ხალხის სწავლა-განათლება იმდენად განვითაროს, რამდენადაც კი შესაძლებელია პირველ-დაწყებით სწავლის განვითარება. ამ აზრს გვიმტკიცებს ის დანახარჯი, რომელსაც ახალი ზელანდია პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის სწევს. კოლონის მთავრობა ადგილობრივ სასკოლო კომიტეტებს პირველ-დაწყებით სკოლის თითო მოსწავლეზე აძლევს თითქმის 40 მანეთს; გარდა ზოგიერთ განსაკუთრებულ დახმარების (სუბსიდიისა), რამდენადაც ვიცით, ქვეყანაზე არც ერთი მთავრობა არ ხარჯავს სახალხო პარველ-დაწყებით სკოლებზე იმდენს, რამდენსაც ახალ ზელანდიის მთავრობა *).

*) საფრანგეთიც კი, რომელიც ცნობილია ამ მხრივ გულუხვობით, ხარჯავს ორჯერ ნაკლებს, ინგლისი საშუალოდ თითო მოსწავლეზე ხარჯავს 25 მან. წელიწადში.

მაგრამ როდი კმარა, რომ სკოლები მხოლოდ მატერიალურად უზრუნველ ყოფილი იყვნენ, არამედ, როგორც ამობს საერო განათლების მინისტრად ნამყოფი და ორგანიზატორი (მომწყობი) სახალხო განათლებისა ახალ ზელანდიაში ბ. ბოდენი, საჭიროა, რომ „მშობლებშიაც გაგველვიძოს სახალხო სკოლებისადმი მხურვალე ინტერესი“. ამისათვის ახალ ზელანდიაში მშობლებს ნება აქვთ ჩაერიცხნ სკოლის როგორც საოჯახო, ისე სწავლის საქმეებში. ამ მხრივადაც ახალი ზელანდია ბევრად დაწინაურებულია ავსტრიალიის სხვა კოლონიებზე, ევროპაზე რომ არა ესთქვათ-რა.

ი ნამდვილად როგორ არის მოწყობილი სახალხო (პირველ-დაწყებითი) სწავლა-განათლების საქმე ახალ ზელანდიაში. ყოველი სახლის პატრონი და აგრეთვე ყველა მშობელი პირველ-დაწყებით სკოლების დაარსების და მათ მართვისათვის ირჩევენ ესრედ წოდებულ „სასკოლო კომიტეტს“. ეს კომიტეტი შესდგება ხუთ-ექვს ან შვიდის პირისაგან, სკოლების რაოდენობის მიხედვით. ამ კომიტეტის ვალია, იზრუნოს და განაგოს სკოლის საქმეები, განსაკუთრებით საოჯახო. ის სკოლები, რომლებსაც განავებს ერთი კომიტეტი, შეაღგენენ ერთს სასკოლო უბანს (ნაწილს), სასკოლო უბნები შეაღგენენ სამოსწავლო ოლქებს, ამ ვვარი ოლქი ახალ ზელანდიაში ოცდა-ათია. სახალხო განათლების საქმეს განავებს ეგრედ წოდებული საოლქო კომიტეტი, რომელიც შესდგება სასკოლო კომიტეტების მიერ არჩეულ ცხრა წევრისაგან; ამ ვვარიდ, როგორც სასკოლო უბნებს, ისე სამოსწავლო ოლქებს მოთავეობენ ისეთი პირნი, რომელთაც თვით ხალხისაგან აქვთ მინიჭებული უფლება, რადგან იგინი პირდაპირ ან არა პირდაპირ ხალხისაგან ირჩევიან. (აქ აღნიშნავთ, რომ ქალთაც შეუძლიანთ ორთავ კომიტეტის წევრობა და ხანდისხან არიან კიდეც ნამდვილად).

უმთავრესი ადმინისტრატიული უფლებანი საოლქო კომიტეტების ხელშია, ამ მხრივ იგინი განავებენ როგორც პირველ-დაწყებით, ისე საშუალო სკოლების საქმეებს. საოლქო

კომიტეტები ფულს კოლონიის ხაზინიდან იღებენ და სასკო-
 ლო კომიტეტებს ურიგებენ სკოლაში მოსიარულე ბავშვთა
 რაოდენობის მიხედვით. იგივე კომიტეტები ნიშნავენ ინსპექ-
 ტორებს, რომლებიც (დრო-გამოშვებით) თვალ-ყურს ადევნე-
 ბენ სკოლების საქმეებს და ბავშვთა გამოცდას; აგრეთვე ეს
 კომიტეტები ნიშნავენ მასწავლებლებს პირველ-დაწყებით სკო-
 ლებში. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საოლქო კომი-
 ტეტები მოვალენი არიან ვიდრე მასწავლებელს დანიშნავდნენ,
 აცნობონ იმ სასკოლო კომიტეტს, რომლის სკოლაშიაც ინი-
 შნება მასწავლებელი; სასკოლო კომიტეტს ნება აქვს ურჩიოს
 ესა თუ ის პირი მასწავლებლის თავისუფალ ადგილზე და აგ-
 რეთვე სთხოვოს მასწავლებლის დათხოვნა, თუ ეს სასურვე-
 ლია. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლება მაინც საოლ-
 ქო კომიტეტს ეკუთვნის.

ამ გვარი დეცენტრალიზაცია სწავლის საქმეში სამაგალი-
 თოა. იყო დრო, რომ ეს დეცენტრალიზაცია უკიდურესობამ-
 დე აღწევდა. 1875 წელს ახალი ზელანდია წარმოადგენდა რამ-
 დენიმე პროვინციის ფედერაციას და ყველა მათგანს მინიჭე-
 ბული ჰქონდა ძალიან ფართო უფლებანი თვით-მმართველო-
 ბისა და, სხვათა შორის, სრულებით დამოუკიდებლად განაგებ-
 და სახალხო სწავლა-განათლების საქმეს. ამ გარემოებას შედე-
 გად მოჰყვა ის, რომ ზოგიერთ პროვინციაში სწავლა-განათ-
 ლება მაღლა იდგა, ზოგიერთში — დაბლა; ზოგიერთ პროვინ-
 ციაში სწავლის ფასს ბევრს ახდევინებდნენ, ზოგან — ცოტას;
 ზოგგან — საღვთო სჯულის სწავლება სრულებით მიღებული
 არ იყო, ზოგან კი ეს საგანი განისაზღვრებოდა. ერთის სი-
 ტყვით, არაეითარი საერთო საკანტროლო და ხელმძღვანელი
 მმართველობა არ არსებობდა: თვითეული პროვინცია სახალხო
 სწავლა-განათლების საქმეს თვითონვე მართავდა ისე, როგორც
 შეეძლო და სურდა და არ იყო ისეთი ძალა არც კოლონია-
 ში და არც შეტროპოლიაში, რომელსაც ჰქონდა უფლება
 ჩარეულიყო ამ საქმეში, ვიდრე ამას თვით კოლონიელებმა არ
 მოჰყიდეს ხელი.

ამის გამო 1877 წელს ახალ ზელანდიის პარლამენტის გამოსცა კანონი სახალხო სწავლა-განათლების შესახებ, რომელიც მთელ კოლონიას ეხებოდა და რომლის ძირითადი მუხლები დღევანდლამდე ძალაშია.

საერთო სწავლა-განათლების სათავეში ჩადგა მინისტრი, რომელიც, როგორც მისი სხვა მმხანაგები სამინისტროს კაბინეტისა, პასუხის მგებელია პარლამენტის წინაშე. მას ხელ-ქვეთად ჰყავს ერთი უმთავრესი ინსპექტორი (იგივე მდივანი მინისტრისა). ეს ინსპექტორი, რაკი პოლიტიკური ხასიათის თანამდებობა არ უჭირავს, არც იცვლება, როცა პოლიტიკური პარტიები ერთი-ერთმანეთს შესცვლიან ხოლმე. ამ გვარად ამ ინსპექტორს ადვილად შეუძლიან გააცნოს ყოველ ახალ მინისტრს მთელი სამინისტროს საქმეთა ვითარება. იგივე ინსპექტორი მინისტრის დავალებით ნახულობს ამა თუ იმ სკოლას, რომელთა მართვა-გამგეობა ადგილობრივ არჩეულს კომიტეტს აბარია.

1877 წლის კანონით პირველ-დაწყებითი სწავლა უნდა იყვეს მუქთი, სავალდებულო და სამოქალაქო. ახალ ზელანდიაში ამ მხრივადაც ბევრად წინ გაუსწრო თავისს მეტროპოლის, რომელმაც პირველ-დაწყებით სწავლა სავალდებულო გახადა მხოლოდ 1880 წ., მუქთი—1891 წლიდან, სრულებით სამოქალაქო კი ჯერ აქნიბამდისაც არ გაუხდია.

სასკოლო წლოვანებად ახალის კანონით (1877 წელს) 5—15 შეა წლებია იღიარებული. ამ წლოვანების ბავშვებმა უნდა იარონ საერთო სკოლაში, ადგილობრივ სასკოლო მმართველობამ კი უნდა იზრუნოს, ყველა მსურველი დააქმაყოფილოს. ამ გვარ სკოლების შესანახად კოლონიის მთავრობამ იკისრა აძლიოს წელიწადში თითო მოსწავლეზე 40 მანეთამდე, მხოლოდ მოსწავლეთა იმ რიცხვის მიხედვით კი არა, რამდენიც მოსწავლეთა სიით ითვლება, არამედ იმ ბავშვთა ორთაშუა რიცხვის მიხედვით, რამდენიც ნამდვილად დაიარება სკოლაში, რის გამო კანონი ავალებს, რომ სკოლაში ყოველ დღე მოსიარულე ბავშვთა ჩასაწერი დავთრები რაც შეიძლება გულ-

მოდგინედ სდგებოდეს, ეს გარემოებავე, რასაკვირველია, უნდა აიძულებდეს სკოლის მმართველობას, ყოველი ღონე იღონოს და ხელი შეუწყოს, რომ ბავშვი სკოლაში მუდმივ და უკლებლივ დაიარებოდეს.

ამავე კანონით დადგენილია, არ გამოერთვას არაფერი (წინად ახდევინებდნენ 5—10 მანეთამდე) საერთო პირველ-დაწყებით სკოლაში მოსწავლეთ; პირველ დაწყებითი სწავლა გამოცხადებული იქნა სავალდებულოდ ყველა შეიძილან კამეტის წლის ბავშვისათვის. ამ წლოვანების ბავშვმა აუკილებლად უნდა იაროს სახალხო პირველ-დაწყებით სკოლაში, გარდა იმ ბევშებისა, რომელსაც ასწავლიან სახლში ან სწავლობენ იმისთვის კერძო სკოლებში, რომელთა პროგრამა სახალხო სკოლების პროგრამის ეთანაბრება. სასკოლო კომიტეტი, რომელიც ანთავისუფლებს ბავშვებს ზემოდნაირ შემთხვევებში სახალხო სკოლებში საარაულისაგან, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ განთავისუფლებული ბავშვები ნამდვილად იმის-თანავე განათლებას ღებულობენ, როგორსაც სახალხო სკოლებში.

შინ მოსწავლე ბავშვების რიცხვი მცირეა (40%) და ისიც წლითი-წლობამდე კლებულობს; მიუხედავად იმისა, რომ ახალი ზელანდია ოხლად დასახლებულია და მაშასადამე მახლობელი სკოლა ზოგიერთებისათვის ფრიად დაშორებულია. ამ გვარ აუკილებელ დაბრკოლებას მთავრობა ორნაირად ებრძის (ანუ უკედ ვსთქვათ — ეხმარება მშობლებს ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ ბრძოლაში): ერთის მხრივ იმით, რომ საოლქო კომიტეტებს ნება აქვთ თხლად დასახლებულ ადგილებში მოგზაური (მწირი) მასწავლებლები ჰგზავნონ და მეორე მხრივ — სკოლაში მოსიარულე ბავშვების რეინის გზით უფასოდ გადაყვან-გაღმოყვანით, ამასთანავე ამ ხარჯს თვით საერთო განათლების სამინისტრო კისრაულობს. 1898—99 სამოსწავლო წელს ამ საგანზე სამინისტროს დახარჯვია 31500 მან.

შემდეგ კანონი ეხება იმ ზომებს, რითაც შეიძლება ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც სკოლაში წესიერად და მუდმივ

არ დაიარება. ამ საქმეში სასამართლოც ერევა და თუ ბავშვი მუდმივ და უკლებლივ არ დაიარება სკოლაში, მშობლები 20 მან. ჯარიმით ისჯებან. ამისთანა საჩივარი ახლდება ყოველ კვირა, ვიდრე კანონის მოთხოვნილებას სისრულეში არ მოიყვანენ. ამ კანონის ასრულების თვალ-ყურის საგდებლად 1894 წელს მთავრობამ დარიუნდა განსაკუთრებული პირები, რომელთა მოვალეობაა იმ ბავშვების ოჯახებში სიარული, რომელნიც სწავლას აკლდებიან, ეცავონ დაიყოლონ მშობლები და თუ ამას საჭიროება მოითხოვს, სასამართლოს გადასცენ. ამ გვარად დემოკრატიის გამარჯვებამ ახალ ზელანდიაში შეხსულა „თაგისუფლება“ იმ მშობლებისა, რომელთ სურვილია—შეიძლები უსწავლები დასტურონ.

მართალია, საფრანგეთი, ინგლისი, შვიიცარია და ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი შტატიც ამ გვარსავე ზომებს ხმარობს ხალხის უვიცობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ახალ ზელანდიამ აქაც წინ გაუსწრო ამ ქვეყნებს: 1885 წლიდან სწავლას სავალდებულოდ ხდის მაორთათვისაც, თითქმის იმავე პირობებით, როგორც ევროპიელებისათვის. დაუმართა რა მთავრობამ განსაკუთრებული სკოლები მაორებს, იმავე დროს მისცა მათ ბავშვებს საშუალება, თუ იმათთვის უფრო სახერხოდ იქნებოდა, თეორების სკოლებშიაც ევლოთ. ამ კანონს შედევად ის მოჰყეა, რომ 40,000 სულ მაორში ამ უამად 4200 მაორი სწავლობს (ეს იგი 10%-ზე მეტი), რომელთა ერთი მეოთხედი ევროპიელებთან ერთად სწავლობს. დანარჩენი თავიანთ განსაკუთრებულ სკოლებში დაიარებიან (მაგრამ მათი კურსიც იგივეა, რაც ევროპიულ ბავშვების სკოლებისა). რიცხვი ამ გვარ სკოლებისა 80-მდეა. ამ უამად ერთი ჭაბუკი — მაორი უნივერსიტეტშია და ლექციებს ყურს უგდებს, ორი კიდევ საექიმო ნაწილს სწავლობს.

ამ გვარად სკოლაში მოსიარულე მაორთა პროცენტი სამჯერ მეტია ევროპიულ რესენტის სკოლაში მოსიარულეთა პროცენტზე, იმისდა მიუხედავად, რომ რაღაცა 50 წლის წინათ ეს ხალხი ცნობილი იყო კაცის-მჭამელობით.

დაუუბრუნდეთ ისევ 1877 წლის კანონს. პირველ-დაწყებით სკოლებში გასავლელ სასწავლო საგნების ჩამოთვლის შემდეგ კანონის მე-84 მუხლი ამბობს; „საზოგადოებრივ სკოლებში სწავლას ნამდვილი სამოქალაქო ხასიათი უნდა ჰქონდეს“ ამით სრულებით განდევნილ იქნა სამღვთო სჯულის სწავლება სახალხო სკოლებიდან. მაგრამ უსამართობა იქნებოდა ამ მუხლში დაგვენახა ან საზოგადოებრივ მმართველობათა გულცივობა ან მათი მტრული განწყობილება სარწმუნოების და სასულიერო წოდების მიმართ. სრულიადაცარა. აი რა საფუძველი ედვა და უდევს ამ მუხლს. სარწმუნოების მხრივ ახალ ზელანდიის მცხოვრებნი ძალიან განიჩევიან ერთმანეთისაგან, ამის გამო ვერ შეთანხმდნენ იმაში, თუ რა უნდა ეს-წავლებინათ საერთო სკოლებში სამღვთო სჯულის გაკვეთილებზე და რაღაც სხვა სსწავლო საგნებში კი ერთის ხმით მორიგდნენ და შეთანხმდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს, საზოგადოებრივი ფული მხოლოდ საერთო საგნებზე იხარჯებოდეს (*). გარდა ამისა 1877 წლამდე, ესე იგი, როცა პირველ-დაწყებით სწავლა-განათლების კანონი გამოვიდა, ახალ ზელანდიაში სახელმწიფო ეკლესიისაგან უკვე განცალკევებული იყო. სხვაფრივ რომ ვსთქვათ, ეს იმას ნიშავს, რომ სარწმუნოებრივ მოვალობათა იღსრულებაში კერძო პირს სრული თავისუფლება მიენიჭა და ერთმორწმუნე პირთ მინიჭებული აქვთ უფლება შეადგინონ საზოგადოება იმავე პირობით, რა პირობითაც სდგება ხოლმე მოქალაქეთა ასსოციაციი საერთო ძალიონით მთავრობისაგან ამა თუ იმ აუკრძალველ მიზნის მისაღწევლად.

ერთის სიტყვით, სარწმუნოებრივი აღზრდა მინდობილია ეკლესიაზე და ოჯახზე, რისგამო ბავშვებს, გარდა კვირა-დღისა, კვირაში ეძლევათ კიდევ ერთი თავისუფალი დღე და აი ამ დღეს ანდობებენ მშობლები ბავშვების სარწმუნოებრივ აღზრდას. ეს აღზრდა ან სახლში, ან განსაკუთრებულ სასულიერო წოდებისა ან სხვა პირთაგან დაარსებულ სკოლებში

*) ჩ. დილკა.

ხდება. ეს თავისუფალი დღე — შაბათია. მაგრამ ამ დღეს მოსწავლე უფრო ჭიკი არას აკეთებს, რადგან ვისაც ჰქონდეთ საჯული ისწავლის, ის ესრედ წოდებულ საკეირაო სკოლებში დაიარება, სადაც სასულიერო ან საერო პირი ასწავლის ბავშვებს სარწმუნოების უზრუნველყოფის კეშმარიტებებსა. ამ გვარ სკოლებში მოსიარულე მოსწავლეთა რიცხვი 110,000, მასწავლებელთა კი — 12,000. ამ გვარად, იმისდა მიუხედავად, რომ ახალ ზელანდიაში ეკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევებულია და სკოლებს „სამოქალაქო“ ხასიათი აქვთ, მაინც ბავშვთა გაცილებით უფრო მეტი პროცენტი ღვიძებულობს ნისტემატიურ სარწმუნოებრივ აღზრდას, ვიდრე, მიგალ., ისპანიაში, სადაც სასულიერო წოდება ქონებით, უფლებებით და გავლენითაც ღონიერია.

პირველ დაწყებით სკოლების „მოქალაქობრივ“ ხასიათს ახალ ზელანდიაში უკვე კველანი მიეჩივნენ და ამით კმაყოფილნი არიან, — გარდა კათოლიკებისა, რომელნიც მომეტებულ ნაწილად თავიანთ შვილებს სასულიერო პირთა პირველ-დაწყებით სკოლებში ჰგავნიან. კერძო სასწავლებლებით, ამ ბობს რიგსი, „სარგებლობენ ან კათოლიკები, ან კიდევ ზოგიერთი მდიდარი ხალხი. სხვა დანარჩენი მცხოვრებნი კი თავიანთ ბავშვებს საერო სკოლებში ჰგავნიან. პოლიტიკური პარტიები არ თანაუგრძნობენ კერძო სასწავლებლებს და არავითარ მატერიალურ დახმარებას არ აძლევენ მას. მათდამი თანაგრძნობა ცოდვად მიაჩნიათ და უბრალო ეჭვისაც კი ეშინანთ“.

ორიოდე სიტყვა საზოგადოებრივ პირველ-დაწყებით სკოლების კურსის შესახებ. ყოველ საზოგადოებრივ სკოლაში ასწავლიან შემდეგს საგნებს: — წერა-კითხვას, ანგარიშს, ინგლისურს გრამატიკას და თხუზულებათა წერას, გადაკეთებას (перевожение) და სხვა, გეოგრაფიას, ისტორიას, საგნებზე სწავლას, ელემენტალურ ცნობებს ბუნების მეტყველებიდან, ხაზებისა, გალობისა, კერვას და ოჯახის მოვლის (ქალებისა-თვის). 1895 წლიდან ამის დაემატა ხელსაქმეც, მხოლოდ ჯერ

ახალი ტექნიკა

ყველასათვის არა სავალდებულოა. ხელსაჭმის მოსაწესრიგებლად ახალშენის მთავრობა იძლევა კიდევ დამატებით დახმარებას (სუბსიდიას). როგორც ვხედავთ, კურსის მხრივ ახალზელანდის პირველ-დაწყებითი სკოლა გაცილებით მაღლა სდგას არამც-თუ ჩვენ სახალხო სკოლის კურსებზე, არამედ ზოგიერთ დასავლეთ ევროპის მეზობელთა სახალხო სკოლების კურსებზედაც-კი. ამ ნათქვამის დასამტკიცებლად კარგი იქნებოდა, დაწვრილებით თუ არა, მოკლედ მანც გაგვეცნო ზემოდ ჩამოთვლილ საგნების პროგრამები, განსაკუთრებით კი ბუნების მეტყველების და ხატვა-ხაზებისა.

როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ახალ ზელანდიაში ბავშვები სკოლაში შეუძლიან სიარული 5-დან—15 წლამდე, 7-დან—13-წლამდე კი სავალდებულო ყველასათვის. პირველ-დაწყებით სკოლის კურსი ორია: მოსამზადებელი და ნორმალური; ეს უკანასკნელი შეიცავს 6 კლასს. ანგარიშის ანუ არითმეთიკის კურსის დასახასიათებლად საკმარისარ გავიხსენოთ, რომ მეოთხე კლასში გადიან (именованныя числа) და „დრობებს“, რომლის ხსენება პეტერბურგის და მოსკოვის სახალხო პირველ-დაწყებით სკოლებშიაც კი არაა... აქ არ შევუდებით იმ ამოცანების ჩამოთვლას, რომლების გამოცნობაც პროგრამით მეოთხე კლასის მოწაფემ უნდა იცოდეს, ვიტყვით მხოლოდ ისას, რომ აღნიშნული საგნები მხოლოდ მოხსენებული კი არაა პროგრამაში, არამედ ნამდებილი სწავლობენ მათ ბავშვები კურსის განმავლობაში. მაგალითად, ბუნების მეტყველების სწავლას ახალ ზელანდიაში შერგებ-დაწყებით სკოლაში შესვლისათანავე იწყებენ, ჩვენში კი ეს საგანი არამც თუ პირველ-დაწყებით სკოლების კურსში სრულებით არ შედის, არამედ საშეადგ სკოლების კურსშიაც მხოლოდ ამ უკანასკნელად შეიტანეს. თავდაპირველად ეს საგანი ისწავლება სისტემატიურად საგნებზე, შემდეგ აცნობებენ ძირითად კეშარიტებებს ბოტანიკისას, ზოოლოგიისას, ფიზიოლოგიისას, ფიზიკისას და სხვადასხვა. აი რაა ნათქვამი ამის შესახებ ახალზელანდის პირველ-დაწყებით სკოლების სამოსწავლო გეგმა-

ში: „პატია ბავშვებსაც კი შეუძლიანთ მიხვდნენ, თუ რატომ არ სთვლის მეცნიერება ვეზაპს თევზად ან კიდევ ობობას მწერად. მოხერხებულად აღებულ მაგალითებით შეიძლება მშვენიერად აეხსნას ბავშვებს თუ რა გარჩევაა ქიმიურ შეერთების და მექანიკურ ნარევს შორის... ამ გვარი სწავლა ბავშვისთვის სრულიად ადვილი გასაგებია და ამასთანავე საჭირო და სასარგებლო, რომ ბავშვში განავითაროთ ქვეყნიერობაზე წარმოდგენა და ამნაირად ავამოძრავოთ მათი გონება და ცნობის მოყვარეობა და შთანენერგოს ნორჩ ჰქონა მეცნიერებისადმი ლტოლვილება“.

ახალ ზელანდიაში სწავლობს 150,000 ბავშვი ორივე სქესისა, ესე იგი 20% მთელის მცხოვრებლებისა (მაორებითურთ). ამ მხრივ ახალ ზელანდიას აესტრალიის კოლონიებს შორის პირველი ადგილი უქირავს და ერთი პირველთაგანია მთელ ქვეყნიერებაზე. ყოველ დღე სკოლაში დაიარება სასკოლო სიებში მოთავსებულ ბავშვთა 82%, ასე რომ სიზარმაცესაც კაცი ვერ უკითხინებს.

1898 წელს ახალ ზელანდიაში 1624 საერო სკოლა და 3664 მასწავლებელი ითვლებოდა, აქედგან (ამათგან) ორი-მესამედი ქალი იყო. მათ რიცხვში ესრედ წოდებული მასწავლებელ-პრაქტიკა ტებიც ითვლებოდნენ. ასე ეძახიან ახალგაზღად ქალს და კაცს, რომელთაც მიუღიათ სწავლა-განათლება *) და ეხმარებიან მასწავლებლებს სწავლის დროს. იმავე დროს ეს ახალგაზღად ხალხი ემზადება საოსტატო სემინარიებში შესასვლელად, (ახალ ზელანდიაში ამ გვარი სემინარია ორია).

1898 წ. პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებლებს ჯამაგირად მიეცათ სულ 3.6 12,000 მანეთი, ესე იგი, თითქმის ათას-ათასი მან. თითოს. ეკვი არაა, ამ გვარი ჯამაგირი ჩენენ სახალხო სკოლების მასწავლებლებს სიზმარშიაც არ მოლანდებიათ! ახალ ზელანდიაში, როგორც მინისტრის უკანასკნელ

*) საუბედუროთ, არ შეკიძლიარ ესთქათ ნამდვილად—როგორი.

ანგარიშიდანა სჩანს, ოთხის პირველ-დაწყებით სკოლის მასწავლებელი ლებულობდა ოთხიდან-ხუთი ათასს მანეთამდე; 4 მასწავლებელი — 3-დან — 4 ათასამდე, 239 მასწავლებელი — 2-დან — 3 ათასამდე და 1292 მასწავლებელი — ერთიდან-ორ ათასამდე მანეთს. იმ გვარი ჯამაგირი არამც თუ სახალხო სკოლების მასწავლებლებს, არამედ ბევრს ჩვენ საშუალო სკოლის პედაგოგსაც შეშურდება, რადგან, როგორც ვიცით, რაც უნდა ბევრი იტეხოს თავი, იგი მაინც 2000 მანეთზე მეტს ვერ მიიღებს. იმ პირებთაგანი, რომელნიც ჯამაგირს ათას მანეთზე ნაკლებს იღებენ, მომეტებული ნაწილი ზემოდ მოხსენებული მასწავლებელი-პრაქტიკანტები და ხელსაქმის მასწავლებელი ქალები არიან, და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მომეტებულ ნაწილად მასწავლებლებს სკოლებთანვე ეძლევათ ბინაც, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქვეყნიერებაზე არც ერთი სახელმწიფო ისე კარგად არ აფასებს სახალხო სკოლის მასწავლებლის შრომას, როგორც ახალი ზელანდია.

უკანასკნელ წლებში სახალხო სწავლა-განათლებაზე გაწეული საერთო ხარჯი უდრიდა 5.000,000 მან. ესე იგი სულზე მოდის 6 მან. 50 კაპეიკამდე. რუსეთიც რომ სულზე ამდენსვე ხარჯავდეს, მაშინ იგი სახალხო სწავლა-განათლებას უნდა ანდომებდეს მილიოარდ მანეთამდე. 1896 წ. 100 კაცში (ყველა წლოვანების და მორებითურთ) წერა-კითხვის უცოდინარი მარტო 16, ნაზალმოჩნდა. უკანასკნელ ცნობებით ნუთის წლისაზე მეტ პირთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი 8% იყო; ათ-თხუთმეტ წლის პირთა შორის კი — 1%-ზე ნაკლები (0. 7%).

თუ რა სისწრაფით მიღის სხალხი სწავლა-განათლების საქმე, სჩანს შემდეგიდან. 1881 წ. 100 ნეფე-დელფალში ჯარის-წერისას 32 მამაკაცმა და 56 ქალმა არ იცოდა ხელის მოწერა, 1896 წელს კი წერის უცოდინარი გამოდგა მამა-კაცებს შორის — 5, ქალებს შორის კი — 7. მაშინ როდესაც საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის მთავრობის დიდ მეცადინეობის მიუ-

ხედავად 1892 წ. ნეფეთა 8%-მა და პატარძალთა — 12%-მა საქორწინო ხელშეკრულებას ხელი ვერ მოაწერა.

უადგილობა ნებას არ გვაძლევს დიდხანს შევწერდეთ საშუალო სკოლაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საშუალო სასწავლებელი დაბალ სახალხო სკოლასთან მტკიცედ დაკავშირებულია როგორც კურსით, ისე მოსწავლეთა სქესის და ქონების გაურჩევლობით. რადგან „სახელმწიფოსათვის სასარგებლოა, — ამობს ახალ ზელანდიის მინისტრად ნამყოფი ბოდენი, — რომ ყოველ განსაკუთრებულ ნიჭს ეძლეოდეს საშუალება განვითარებისათვის“. ამ მიზნისათვის ადგილობრივ კუმიტეტებს ეძლევათ სუბსიდია სტიპენდიების დასანიშნად, რომლითაც შეუძლიან ისარგებლოს როგორც ვაუმა, ისე ქალმაც.

იმისდა მიუხედავად, რომ ახალი ზელანდია არც დიდია და არც სქლად დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენს, მთავრობას მაინც არასოდეს არ განუძრახავს ერთგვარი საშუალო სკოლის შემოღება. სამოსწავლო ოლქებს კანონით მინიჭებული აქვთ უფლება თავიანთი საშუალო სკოლები და მოსწყონა, როგორც ადგილობრივი პირობანი და საჭიროებანი ამას მოითხოვენ. ამისთანა თავისუფლება ადგილობრივ სკოლების პართკა-გამგეობისა ქვეყანაზედ მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის შტატებს და შვეიცარიის კანტონებს აქვთ მინიჭებული. სწორედ ასეთი მრავალგვარობა საშუალო სკოლისა ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით რაიმე ვსთქვათ იმის შესახებ. ამიტომ მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობებს.

ახალ ზელანდიაში 20 საშუალო სასწავლებელია, რომელთაგანაც შვიდს დამოუკიდებელი განყოფილება აქვს ქალებისათვის, ისე რომ ნამდვილად 20-ზე მეტი ყოფილა. ზოგიერთ საშუალო სასწავლებელში შემოღებულია ორთავ სქესის ბავშვთა ერთად სწავლება. საშუალო სასწავლებლებში 2700-ზე მეტი მოსწავლე ითვლება, აქედან 1000 ქალია ამ გვარად 0,4% ახალ ზელანდიის მცხოვრებთა საშუალო სასწავლებელში სწავლობს, რუსეთშიაც რომ ამდენივე პროცენტი სწავლობდეს საშუალო სასწავლებელში, მოსწავლეთა რიცხვი

მ სკოლებში ნახევარ მილიონამდე ავიდოდა... სწავლის ფასი საშუალო სასწავლებლებში სხვა და სხვაა და სამოსწავლო ოლქება დამოკიდებული: 60 მანეთიდგან – 120 მანეთამდე უწევს.

მაგალითისთვის აქვთ ახალ ზერლანდიის ერთს საშუალო სასწავლებელს, რომელიც ქ. დიუნედინის მახლობლად იმყოფება. „სკოლა გაიხსნა 1885 წელს და გამართულია ერთს მშვენიერს აღვილას, ქალაქის მახლობლად. უმთავრეს დარბაზის სიგრძე—74 ფუტია, სიგანე—43 და სიმაღლე—30. სამეცადინო მოავსებულია ფართო, მაღალ და ვინტილიაცით საუკეთესოდ მოწყობილ ოთახებში, რომლებშიც ყაველგვარი სასწავლო ნიეთი მრავლად მოიპოვება. სახატავი ოთახი, ფიზიკის და ქიმიის ლაბორატორიები ისეა მოწყობილი, რომ ბავშვს უადვილებს როგორც ტეორიულ, ისე პრაქტიკულ შესწავლას ქიმიისას, ფიზიკისას, მექანიკისას და მეტალურგიისას; იქვეა ყველაფერი, რაც კი საჭიროა ფიზიოლოგიის შეს სასწავლად *). სავარჯიშო დარბაზი, როგორც სივრცით, ისე მოწყობილობით საუკეთესოდ ითვლება მთელ კოლონიაზი. სკოლის შენობა გაშენებულია ორ დესეტინაზედ. სკოლის გარშემო მოფენილია ასფალტით. სკოლას აქვს ხუთი ეზო, მოედანი „ლონ-ტენის“ სათამაშოდ და სხვა. სკოლის მახლობლებები თავისუფალი მინდორი კროკეტის სათამაშოდ.

„პანსიონერების საცხოვრებელი შენობა ხუთის წას სიარულოზედაა მოშორებული სკოლაზე და გამართულია დიუნედინის მიდამოების ერთ უულამაზეს აღვილში და მის ფართო ეზოებს და სათამაშო მოედანს ორ დესეტინაზე მეტი ადგილი უჭირავთ.

„სკოლას აქვს ორი განყოფილება: უმაღლესი და დაბალი. პირველი დანიშნულია იმისთვის, ვისაც ჰსურს განაგრძოს სწავლა-განათლება უნივერსიტეტში, მეორე კი იმისთვის, ვინც

*) როგორც აქსტრალიის კოლონიებში, ისე ჩრდილოეთ ამერ. შტატებში არ არსებობს ის დიადი განსხვავება რეალურ და გამნაზიის სასწავლებლებს ზორის, როგორც ჩვენი მიჩვეულნი გართ.

ჰფიქრობს სწავლის ამ სკოლით დამთავრებას... ლათინური ენა არაა სავალდებული; ვისაც ჰსურს ბერძნული ენის სწავლა, ამის შესახებ უცხადებს დირექტორს, რომელსაც საშუალება აქვს ასეთი სურვილი დააკმაყოფილოს... სწავლის ფასი წელიწადში 70 მანეთია. ამ გადასახადისაგან სკოლის მთავრობა ანთავისუფლებს ყველა კარგად მოცადინეს, თუ ისედაც არ ითვლება სტიპენდიანტად საოლქო კომიტეტში“ *). (1898 წ. სამინისტროს ანგარიშით სკოლაში სწავლობდა 177 ყმაწვილი, აქიდგან 40 სტიპენდია ჰქონდა დანიშნული).

ქ. დიუნედინში არსებობს აგრეთვე ამ გვარივე სკოლა ქალებისათვის. უადგილობის გამო ვერც ამ სასწავლებლის აღწერას და ვერც საშუალო სკოლის დაწერილებით დახასიათებას ვერ შევუდგებით. ვიტყვით ორიოდ სიტყვას უმაღლეს სასწავლებლის შესახებაც.

საზოგადოდ ინგლისის უმაღლეს სასწავლებლის ორგანიზაცია ბევრით განიჩევა სხვა განათლებულ ქვეყნების უნივერსიტეტების ორგანიზაციისაგან. ეს ორგანიზაცია მეტად რთული და თავისებურია, რომლის აღწერას დიდი დრო და სპეციალური წერილი დასკირდებოდა, მით უფრო, რომ ინგლისის თვითეულ უნივერსიტეტს აქვს თავისი საკუთარი „წედება“, რომლის შედგენა დამკუიდებული იყო როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროება-მოთხოვნილებაზე, ისე თვით უნივერსიტეტის დაფუძნების გარემოებებზე.

ახალ ზელანდიაში სიტყვა „უნივერსიტეტი“ ნიშნავს დაწესებულებას, რომელსაც სამეცნიერო ხარისხით დაჯილდოების უფლება აქვს მინიჭებული. სამეცნიერო ხარისხის მისაღებად კი ემზადებიან ესრედ წოდებულ „საუნივერსიტეტო კოლეჯიებში“, რომელთა რიცხვი კოლონიაში ოთხია. კოლეჯიებში რამდენიმე ფაკულტეტების მგზავრი განყოფილებაა. ამ კოლეჯიებში შესვლის ნება როგორც კაცს, ისე ქალსა აქვს. იქ

*) ეს ციტაცია ამოწერილია საერო განათლებას მინისტრად ნამყოფ რობ. სტაუტის წერილიდან.

შესასვლელად საჭიროა 14 საგნიდან 7 საგანში ეგზამენის და-
კერა, რომლებიდანაც ინგლისური ენა, მათემატიკა და ერთ-
ერთი სხვა ევროპიული ან ერთ-ერთი ძველი ენა საფალდებუ-
ლოა.

ამ საუნივერსიტეტო კოლეჯიებში 1900-დე ყურის
შედებელი იყო, რომლიდანაც ერთი მესამედი ქალია. და-
კეშმარიტებით შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ამ მხრივადაც
ახალ ზელანდიას წორს გაუსწრია სხვა ქვეყნებისათვის, რა-
დგან არც ერთს უნივერსიტეტში, სადაც ორთავ სქესის ერთად
სწავლა ნება დართულია, არაა იმდენი მოსწავლე ქალი იყოს,
მათაც ასთან რაოდენობასთან შედარებით, რმდენიც აქა. ქალს
ნება აქვს ყველანაირ სამეცნიერო ღირსებაზე დაიჭიროს ეგ-
ზამენი. ქალმა აქ პირველად სამეცნიერო ხარისხი ამ 25 წლის
წინად მოიღო და ეს იყო პირველი მაგალითი მთელ ბრიტა-
ნიის იმპერიაში. გარდა ავისა 1895 წ. საუნივერსიტეტო კოლ-
ლეჯის „სენატში“ *) საპატიო წევრად არჩეულ იქმნა ქალი.

ახალი ზელანდია ცდილობს ტეხნიკური ცოდნა თვით
ხალხშიაც გაავრცელოს. ჩვენ უკვე ვსოდებით, რომ ოლქის
კომიტეტებს მინდობილი აქვთ პირველ დაწყებით სკოლებში
ხელსაჭმის შემოლება, რაზედაც მათ სუბსიდები აღეთქვათ.
იმავე დროს ამნაირსავე პირობებზე ნება დართულია შემოიღონ
როგორც ტეხნიკური ცოდნა, ისე ხლასაჭმე არსებულ საშუა-
ლო სასწავლებლებშიაც, ან და დააარსონ განსაკუთრებული
ტეხნიკური სასწავლებლები. სამინისტროს უკანასკნელ ანგა-
რიშიდან სჩანს, რომ ახალ ზელანდიაში მშენივრად ესმით,
რომ ტეხნიკურ ცოდის განვითარებისათვის უწინარეს საჭი-
როა, არსებულ უმთავრეს საერო სასწავლებლებში სამე-
ცნიერო საგნების რიცხვი შეიცვალოს, „სიტყვიერ მეცნიერე-
ბათა“ (словесная наука) ნაცვლად ყურადღება უნდა მიექ-

*) ცნობილია, რომ ინგლისში და გის კოლონიებში საუნივერსი-
ტეტო კოლეჯებს მრნიჭებული აქთ ფართო თვითმართველობა და
„სიტყვიერ მეცნიერებას საუნივერსიტეტო კოლეჯისას
აუკრიცხი.

ცეს „საცდელ მეცნიერებათ“ (опытная науки) და განსაკუთრებით უნდა შეიცვალოს სწავლების მეთოდი, სახელდობრ, სკოლა უნდა ანვითარებდეს არამც-თუ მეხსიერებას (ენებით) ან განყენებითი აზროვნებას (მათემათიკათ), არამედ თვალსაც, ხელსაც და მშვენიერებისადმი გრძნობასაც...

ასეა თუ ისე ახალ ზელანდიას თავის სამ მეოთხედ მილ-ლიონ მცხოვრებთათვის გარდა (საინჟინერო) სამიწათ-მზომელო სასწავლებელისა, აქვს კიდევ სამეურნეო ინსიტუტი, 4 სამხატვრო-სამრეწველო და ორი სამთო-სამაღნო სკოლა. გარდა ამისა მრავალ საერთო სწავლა-განათლების სკოლებში მსურველო ასწავლიან ამათ თუ იმ ტეხნიკურ საგნებასა და ხელ-საქმეს.

ახალ ზელანდიას აქვს აგრეთვე რამდენიმე სკოლა მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის. ამ ფრიად სსარგებლო და პუ-მანიურ (კაც-მოყვარულ) საქმეზე კოლონია ხარჯავს 130,000 მანეთამდე წელიწადში. დაუმატეთ ამას კიდევ ერთი სკოლა ყრუ-მუნჯთათვის, სადაც ამ უამად თვით მთავრობის მეცადი-ნეობის მეოხებით 50 ნაპოვნი ყრუ-მუნჯი ბავშვი იმყოფება *). დაბოლოს ახალ ზელანდიას აქვს ბრმებისათვისაც სკოლა, რომლის შესანახად მთავრობა 4000 მან. აძლევს სუბ-სიდიად.

გარდა ამისა ახალ ზელანდიაში სახალხო განათლებას ხელს უწყობენ ბიბლიოთეკები, რომელთა რიცხვი 300-მდეა. ესე იგი 2,500 კაცზე თითო ბიბლიოთეკაა. ამ დაწესებულებებს მთავრობა ხელს უმართავს სუბსიდით, რომლის რაოდენობა სამინისტროს ანგარიშით საერთოდ 20.000 მანეთამდე უწევს.

უფრო საყურადღებო მნიშვნელობა აქვს კოლონიის განათლებისათვის მათ დრო-გამოშვებით ბეჭდვითი სიტყვის, რომლის ყოფა-კითარება ინგლისელებშიაც კი იწვევს აღტაცე-

*) ყველა ეს ცნობები მოყვანილი გვაქვს ახალ ზელანდიას საერთა განათლების სამინისტროს უკანაკუნელ ანგარიშიდან.

ბას, ეს კი ბევრს ნიშნავს, რადგან თვით ინგლისელებს ქვეყნი ინიერებაზედ ყველაზე უფრო გავლენიანი პრესსა აქვთ და უბრალოდ კაცი მათ ვერ გააკვირვებს. „და ვინც იცის ენტიკოლოგიური შინაარსი აქაურ უურნალ-გაზეთებისა, დამეთანხმება, რომ მათი ყურადღებით წაკითხება დიდად ხელს უწყობს (კაცის) სწავლა-განათლებას. ისიც ცნობილია, თუ რა დიდის ყურადღებით იკითხება გაზეთები სხვა-და-სხვა გამარტოებულ ფერმებში. კვირის განმავლობაში მძიმე შრომით დაღლილ-დაქანცულ ფერმებს ძალიან მცარე დრო აქვს კითხვისათვის. მაგრამ რომ არ დაივიწყოს მაინც ის პირველ-დაწყებითი ცოდნა, რომელიც მას კოლონიის სკოლაშ მისცა, სამაგიეროდ კვირა დღეს იგი სრულ მოსვენებას ეძლევა და უმთავრესად საკვირაო გაზეთის კითხვაში ატარებს მას. ეს გაზეთები შეიცავს მრავალ ცნობებს სხვა-და-სხვა პეტნიერებიდან, ლიტერატურიდან, მრეწველობიდან, პოლიტიკიდან, მეურნეობიდან, ხელოვნებიდან, მუზიკიდან და სხვა და სხვა“*).

ინგლისის კოლონიების დროგამოშვებითი გამოცემანი საყურადღებონი არიან არამც თუ მარტო თავიანთ თვისებებით, შინაარსის და მასალის მრავალგვარობით, არამედ თავიანთ რაოდენობითაც. ახალ ზელანდიაში ავ ემად 208 დროგამოშვებითი გამოცემა, ესე იგი 3600 სულზე (წლოვანების განურჩევლად) — თითო გამოცემა. ამისთანავე ანგარიშით რუსეთს უნდა ჰქონოდა 35,000 დროგამოშვებითი გამოცემა, მაგრამ, როგორც ვიცით, მას ორმოც-და-ათჯერ ნაკლები აქვს.

ახალ ზელანდიის 208 დროგამოშვებით გამოცემათი შორის — 50 ყოველდღიურია, 29 გამოდის კვირაში ორჯერ, 36 — სამჯერ, 61 — ყოველ კვარა, 3 — ორ კვირაში ერთჯერ და 27 — ყოველთვიურია. გარდა ამისა ახალ ზელანდიელები სხვა კოლონიების და კულტურულ ქვეყნების, განსაკუთრებით კი თავისს მეტროპოლიის უურნალ-გაზეთებსაც იწერენ. საფოსტო უწყების უკანასკნელ ცნობებით, 1898 წ. ფოსტას

*) Ch. Dilke, Problems of Greater Britain.

აქაურ მცხოვრებლებისათვის მოუტანია 15,000,000 ცალი ნო-
მერი დროგამოშვებით გამოცემებისა.

არა მცონია, საჭირო იყვეს იმისი თქმა, რომ დრო-
გამოშვებითი გამოცემანი ახალ ზელანდიაში, როგორც სხვა
კოლონიებში, ისევე თავისუფალნი არიან, როგორც ინგლის-
ში. ამ თავისუფლებას ახალ ზელანდიის პრესსა მთავრობის სა-
სტიკ და უღმობელ კრიტიკისათვის ხმარობს, ამ გვარი კრი-
ტიკა, რივსის თქმისა არ იყვეს, რასაკვირველია, უფრო საჭი-
რო იქნებოდა მაშინ, თუ რომ ახალ ზელანდიის წესწყობილე-
ბანი მოვაგონებდნენ პრესისის ავისნება ბიუროკრატიას, საფ-
რანგეთის ძველ წესწყობილების ფინანსიურ ცოდებს ან სას-
ტიკ ზნე-ჩვეულებებს „ახალ ქვეყნის“ ისპანიელ დამპურობელე-
ბისას... მაგრამ რა გაეწყობა, უთუოდ ასე ყოფილა ბედის-
წერისაგან კაცის მასხარად ავდება: პრესსაში ყველაზე ნაკლებ
უკმაყოფილებას იქ აცხადებნ, სადაც ამ უკმაყოფილებას უფრო
მეტი მიზეზიც და საბაბიც აქვს... გვევი არაა, მთელ ევროპა-
ში ყველაზე უფრო მოლხენილ კილოიანი პრესსა ოსმალეთ-
შია...

ერთი უტყუარ ნიშანთაგანი კულტურულ დაწინაურებისა
არის ფოსტის მდგომარეობა და სატელეგრაფო ურთიერთობა.
ახალ ზელანდიაში 1561 საფოსტო დაწესებულებაა, ესე იგი
500 კაცზე ერთი საფოსტო დაწესებულება მოდის. ამ გვარი-
ვე ანგარიშით რუსეთში უნდა ყოფილიყო 260,000 საფოსტო
დაწესებულება, ნამდვილად კი 1895 წ. მათი რიცხვი იყო
7000, ესე იგი თითქმის ორმოცჯერ ნაკლები. ახალ ზელან-
დიაში ფოსტით გადატანილ-გადმოტანილ უბრალო წერილთა
რიცხვი—35,000,000 ცუმ, ესე იგი თითო სულზე 45 ცალი
წერილი მოდის. ამ მხრივადაც, რამდენადაც ვიცით, ახალ
ზელანდიას ქვეყნიერობაზედ პირველი ადგილი უჭირავს*).

*) ცნობები რუსეთის შეხეხებ მოდებულია: „Систематический сборникъ
 очерковъ по отечествовѣдѣнію (разныхъ русскихъ ученыыхъ)“—გ. 1897 წ.
 გამოცემული იმპ. Александровскій Лицей”—ხიდან.

გადაცემულ დეპეშათა რიცხვითაც ახალი ზელანდია პირ-
ველია: თითო კაცზე—ოთხი დეპეშა მოდის. ინგლისში კი—
ორი.

ამ თავში მოყვანილ ცნობებიდან, ჯვეონია, კაცი დარ-
წმუნდეს, რომ ახალი ზელანდია საუკეთესო პირობებში იმ-
ყოფება, რომ სწრაფად გაიგოს ხოლმე ყოველისფერი, რაც
საზოგადოებრივ საკითხებს და საჭიროებებს შეეხება. ამას ხე-
ლს უწყობს, როგორც მისი სწავლა-განათლების ყოფა, ისე
მისი დროვამოშვებითი ბეჭდვითი სიტყვის სიმრავლ-თვისება
და სხვა სახსარი და საშუალებანი, რომელიც ნებას აძლევენ
სხვა ხალხთან კავშირი და ერთო-ერთმანერთშე გავლენა იქმ-
ნონ.

იმავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ახალ ზელანდიის მცხოვ-
რებლებთაგან არჩეული პარლამენტი ყველა საზოგადოებრივ
საჭიროების და კოლონიის ყველა საზოგადოებრივ მოთხოვ-
ნილების დაკმაყოფილებისათვის სრულიად თავისუფლად მოქ-
მედებს (მეტროპოლიის მთავრობისაგან დამოუკიდებლივ). ახალ
ზელანდიის მცხოვრებთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი
პარლამენტისათვის მტკიცე მცნება და აუცილებელი რამაა,
რაკი ფრიად ვრცელი საარჩევნო უფლებანი აქვთ მინიჭე-
ბული.

ამ ორ გარემოებით, ესე იგი, პირველად იმით, რომ სა-
ზოგადოებამ ცხადად იცის თავისი საკუთარი გაჭირვებანი და
მეორედ იმით, რომ ამ საზოგადოებას საშუალება აქვს გაუ-
წყვეტლივ იქნიოს კეშმარიტი გავლენა ყველა გაარ საზო-
გადოებრივ მმართველობის წარმომადგენელზე—ამ ორ გარე-
მოებით, ვიმეორებთ, აიხსნება ის გასაოცარი მოვლენა, რომ
საზოგადოებრივი საკითხის გადაწყვეტა და საზოგადოებრივ
საჭიროების დაკმაყოფილება ისე გაბედულად და გადაჭრით
ჩდება, რომ ამ მხრივ ახალ ზელანდიამ გადააჭარბა არამც თუ
ევროპის ხალხებს, თითქმის ამერიკასაც. სწორედ მის გამოა,
რომ ახალ ზელანდიას შეეფერება „სოციალურ შეცნიერებათა
ლაბორატორიის“ სახელი, როგორც დაახსიათა ივსტრალიის

ნორჩი საზოგადოებანი ინგლისის საზოგადო მოღვაწემ ჩარ.
 დილქმა—და ესევე გაიმეორა ფრანგმა პუბლიცისტმა—პ. ბო-
 ლიემ.

მკითხველი ქვეით გაეცნობა ზოგიერთ საინტერესო
 „ცდას“, რომელსაც ამ ორიგინალურ „ლაბორატორიაში“
 ახდენენ.

ნ. აღნიაშვილი.

გიგლიოზრავია

Народная медицина въ Закавказскомъ Краѣ. А. О. Яшвили. Медицинскія средства, народные способы лечения, народные врачи и грузинскій народный лечебникъ „Карабади-ви“. Съ 5-го рисунка. Тифлісъ 1904 г.

I

ორი ათასი წელიწადი მეტი არსებობდა საქართველოს სახელმწიფო. ამ ოცი საუკუნის განმავლობაში, ეჭვი არ არის, ქართველ ერს უნდა შეექმნა საკუთარი, თავისებური კულტურა. პოლიტიკური თვით-არსებობა მოგვესპო თუ არა, ფარდაც ჩამოეშვა—ყოველივე უფრსკულმა მოიცვა და ყოველივე გამოსარკვევი, გამოსამზევებელი გაგვიხდა.

ამ მხრივ პოლიტიკურ და საეკლესიო ისტორიას უფრო მეტი მუშაკი აღმოუჩნდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. უწინ რომელიმე ერის მემატიანე და მაშასადამე ჩვენიც, მხოლოდ რჯულზედ, მეუკებზედ და მათს ომში გამარჯვება-დამარცხებაზე სწერდენ. ამიტომაც მასალა მეტი დაგვიტოვეს.

დღეს კი ქართველნი სწავლულნიც დაადგნენ ახალ მიმართულებას—ხალხი ქმნის ისტორიას და არა მეტენიო, მარტო იმითი აღარ კმაყოფილდებიან ვინ მეფობდა და რა ომებში გაიმარჯვეა. დიდის დაკვირვებით და შრომის დაუზოგველად შეუდგნენ საქართველოს წარსულ კულტურის კვლევა-ძიებას. ქართული ლიტერატურის ისტორია და საზოგადოდ ქართულ სტამბისა და მწერლობის საქმე უკვე საქმიოდ გა-

მოირკვა; სახელმწიფო წეს-წყობილება, ბატონ-ყმობის ისტორია, მართლ-მსაჯულება, არხეოლოგია დიდიხანია იზიდავს უცხო და ჩვენის მწერლების ყურადღებას, ცოტათი შუქი მიადგა ქართულ არხიტეკტურა-ხელოვნებას, მხატრობის და მუსიკის ისტორიასაც. არც ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადო ცაკრობა-მრეწველობა დარჩენილია უყურადღებოდ...

აქ ჩამოთვლილი თვითვეული დარგი კულტურისა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრს მუშაქს და ერთგულ შრომას თხოულობს. ხოლო დღევანდელი ჩვენი ბაასის საგანი არის: რა მდგომარეობაში იყო სამჭურნალო მეცნიერების საქმე საქართველოში.

მართლაც და საინტერესო როგორ არ არი ვიცოდეთ მთელი ოცი საუკუნე მეფედან მოკიდებული ბატონსა და ცმამდე როგორ და რა საშუალებით იკურნებდენ თავს?!.

სიმართლე თხოულობს აღნიშნოთ, ამ კითხვასაც დიდიხანია შეეხნენ რუსეთის სწავლული ექიმები. ჯერ 1834 წ. დოკტორებმა რეინგარდმა და გოლიცინსკიმ საქართველოში ყოფნის დროს ბევრი რამ საგულისხმიერო მასალა შეკრიბეს და იღწერეს. (დაბეჭდილია სამხედრო-საექიმო უურნალში), მთელმა ოცდა-ხუთმეტმა წელმა გაიარა მას აქეთ და მხოლოდ 1869 წ. მიაქცია ყურადღება ამ საინტერესო საგანს ჯერ დოკტორმა პანტიუხოვმა და მერე თითქმის 17 წლის შემდეგ (1886 წ.) შაბლოვსკიმ, შურიგინმა 1889 წ., მინკევიჩმა 1893—1897 წ., კვლავ პანტიუხოვმა 1899 წ. და სხვა.

ეს უცხო პირნი კარგა საფუძვლიანათაც მუშაობდენ; დოქტორმა შაბლოვსკიმ მირიმანვის პრემიაც კი მიიღო. დოქტორებს მინკევიჩს და პანტიუხოვსაც ბლომად აქვთ ნაწერი. მაგრამ ამ უცხო ხალხს ქართულის უცოდინარობა ძლიერ უძნელებდა ნამდვილის გამორკვევას; ზოგჯერ სასაცილო შეცდომებშიაც-კი ვარდებოდნენ, მაგალ. პანტიუხოვი შეხვედრია ტერმინს სირაჭეულის კბერწედისა და რუსულად აქლემის კვერცხად უთარგმნია და სხვ. (იმაზედ ის. ჩემი სტატია—„კვალი“ 1899 წ. №).—

ქართველთაგანს ამ საგანზე აქამდე საფუძველიანად არა-
 ვის უმუშავნია. პირველად ბერძნებმა 1857 წ. „კავკასიის
 კალენდარში“ მოკლედ გააცნო რუსის საზოგადოებას ქართუ-
 ლი კარაბაღინი. ექიმი ვირსალაძეც 1898 წ. რუსულ საექი-
 მო უურნალში შეეხო დაღესტნელ ჯარა ექიმებს და დოქ-
 ტორმა ვაწაძემაც გააცნო კავკასიის ექიმთა საზოგადოებას
 ჩვენებური „ბურანი“ (საოფლე) კარაბაღინიდან ამოწერილი.
 ამაზედ მეტი, რამდენადაც გვახსოვს, ჩვენებს ამ ახა-წლის
 განმავლობაში არა გაუტიგებიათ-რა. მცირეოდები შრომა,
 გსთქვათ, მეც მიმიძღვის ამ სათაურით: „Браткий исторический
 очеркъ врачаебнаго дѣла въ грузіи“ (იხ. „Кавказскій Вѣст-
 никъ № 1901 г.).

დღეს-კი სიამოვნებით უნდა ალვნიშნოთ ჩვენი მამული-
 შეილის იშვიათი შრომა, რომლის სათაურიც ამ წერილის
 დასაწყისში აღმოვწერეთ. დოქტორმა იაშვილმა, როგორც
 თვითონ მოგვითხრობს, 18 წლის შრომა მოანდომა მასალის
 შეგროვებას. ამდენს ხანში ერევნის, თბილისის და ქუთაისის
 გუბერნიებში სოფლად მსახურებდა ქსენონების ექიმ-გამგეთ.
 აქ მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა ადგილობრივ ხალხში
 და „ექიმებში“ საგნის გულდასმით შესწავლას, მეცნიერუ-
 ლიდ კვლევა-ძიებას.

რაღა თქმა უნდა, რო დოქტორის იაშვილის კვლევა-
 ძიებამ სრულებით სხვა შუქი მოჰყინა საგანს.

მართლაც და თუ კი ხალხის ენა არ იცით, ხალხს არ
 იცნობთ, როგორ უნდა შეისწავლოდ თუ არ ზერაქვერად
 მისი ზე, ჩვეულება, ხასიათი, მისი მისწრაფებანი—სული და
 გული, სრული მისი ფსიხოლოგია? მაგალითად, განსვენე-
 ბულმა დოქტორმა მინკევიჩმა მეცნიერებას აუწყა, რომ
 ქართველთა ერი ხეებს, ქვებს და ზოგიერთა საგნებს ცხო-
 ველთაგან წარმომდგარს თაყვანსა სცემენ, აღმერთებენ (იხ.
 დოქტორ მინკევიჩის მოხსენება: „Камни и растения какъ
 предметъ Обожанія на Кавказѣ“ Протоколы засѣданія Импе-
 раторскаго Кавк. Медиц. Об-ва № 13, 1893 г. и № 13, 1895 г.)

ამაზედ საფუძვლიან შენიშვნას იძლევა დოქტორი იაშვილი (იხ. გვ. 36 და 43). ჩვენი მამულიშვილისთვის, რასაკვირველია, ძნელი არ იყო მიხვდებოდა ქართველი კაცის განყენებულ იდეას, მის ფსიქოლოგიას ამა თუ იმ ცრუ-მორწმუნოებაში ანუ მართლ-მორწმუნოებაში. ამიტომაც მშვენივრად უხსნის მეცნიერებს საქმე რაშიაც მდგომარეობს და აშკარად უჩვენებს დოქტორ მინკევიჩის უნებლიერ შეცდომას.

დოქტორის იაშვილის წიგნი თუმცა რუსულად არის დაწერილი და სათაურად აქვს: „ხალხური მედიცინა (ექიმობა) ამიერ კავკასიაში“, მაგრამ წიგნში მეათედი ნაწილი თუ ექნება და დათმობილი თათრულ წამლებს და წამლობას, თორემ დანარჩენი სულ ქართველ ხალხის გულიდან არის ამოღებული. ამიტომაც მიგვაჩნია ჩვენ ეს შრომა ქართულ საქმედ. პატივ-ცემულმა მოლვაშემ ეს თავისი უანგარო შრომა ჯერ სრულიად კავკასიის ექიმთა მეორე კრებაზე (Второй съездъ Кавказскихъ врачей) წაიკითხა 1901 წელს, საფუძვლიანად გაცნო ექიმთა კრება ქართულ სამკურნალო მეცნიერების ისტორიას და ახლა ცალკე წიგნად გამოსცა თავის საფასით.

თუ არ მეცნიერულად, თუ არ სპეციალისტი, პრაქტიკული და ამ წიგნს დიდი საზოგადოება ვერ გამოიყენებს და, მაშასადამე ცალკე წიგნად გამოცემის აზრიც კიდევ ის უანგარო სურვილია ავტორისა—რაც შეიძლება უფრო მეტად გაავრცელოს ნარკევი და ნამდვილი ცნობები არჩეულ საგნის შესახებ. ამ ჩვენს უკურმართ დროში, ამ ზომადე მამულიშვილურის თვით-ცნობიერებით აღჭურვილი ქართველი სწავლული ქვეშარიტად რო პატივისცემის და მაღლობის ღირსია.

წიგნი 140 გვერდს შეიცავს და ჩვეულებრივ ფორმატზედ ორჯერ დიდია; მოლად მასალა ოთხ-ნაწილად არის გაყოფილი: I. ხალხური სამკურნალო წამლები, II. ხალხური ექიმობა, III. ხალხური ექიმები და IV ქართული ხალხური საექიმო წიგნი „კარაბანინი“.

წიგნის მთელი ნახევარი დათმობილი აქვს I ნაწილს, ხალხურ სამკურნალო წამლებს. აწერილია 569 წამალი ბუნების სამივე სამეცნილი აღტული—მცენარეული, ლითონეული და ცხოველთა ნაწილები.

II ნაწილში მეტად საინტერესოდ არის აწერილი ხალხური სხვა და სხვა საშუალებანი ავადმყოფის სამკურნალოდ:

1) ავგაროზი—თილისმობა, 2) სიმპატიური და ესტეტიური საშუალებანი (მუზიკა, ცეკვა, სიმღერა, გალობა და სხვ.), 3) შელოცვა და ჯადო (ჰიპნოზი), 4) სამკურნალო წესი და რიგი „ანგელოზების“ „ბატონების“ და სახადის დროს, აგრეთვე ხატის მიზეზი და ოლტემა. აქვეა იღწერილი რითი სწამლობს და როგორ ექცევა ხალხი სხვა და სხვა გადამდები სენით ავადმყოფებს: კეთროვანებს, ათაშანგიანებს (სიფილისი), ჭლერქიანებს და ამასთანავე სულით ავადმყოფებს.

ამავე II ნაწილში მოყვანილია ხალხური დოსტაქრობა ანუ ჯარა ექიმობა (ხირურგია): 1) როგორ და რა საშუალებით არჩენენ: წყლულს და იარებს, დაკოდილ ადგილს, ამოვარდნილ ანუ მოტეხილ ძვლებს. აქვე არის აწერილი 2) თვალის აპერაცია ყიზილბაშების მიერ. 3)* განქელებულ შობიერობის დროს როგორ შველიან მეცხვარები და როგორ აამოსკრიან ხოლმე ბავშვს (ემბრიოტომია), 4) ქვის გამოლება. 5) თავის ქალის ახდა (ტრეპანაცია), 6) მუცლის (კუჭის) აწევა, 7) ყელის აწევა და სხვ.

მესამე ნაწილში მეტად საინტერესო ცნობები მოჰყავს დოქტორს იაშვილს ხალხურ ექიმების შესახებ. თურმე მთელი ორგანიზაცია ყოფილა ამ ექიმებისა—სტატისტიკური ცნობებიც კი არის მოყვანილი თვითვეულ გუბერნიაში მცხოვრებთა რიცხვზე რამდენი ხალხური ექიმი მოდის.

მე-IV ნაწილში დოქტორი იაშვილი ცნობებს გვაძლევს კართულ კარაბადინების შესახებ. 14 კარაბადინი გადაუთვალიერებია და ამათგან საუკეთესოდ უცვნია პლატინ იოსელიანისეული კარაბადინი „მუნთახაბი—შააბა (მუნთანაფისია?), ამ კარაბადინს არჩევს და საქმაოდ დაწვრილებით მოჰყავს

მისი შინაარსი, რომლისთვისაც დათმობილი აქვს წიგნის 40 გვერდი.

ამის შემდეგ დოქტორი იაშვილი მკითხველისადმია ცალკე წერილით აფთხილებს ხალხს და თანაც არწმუნებს, რომ ის, რაც ხალხის „ექიმებმა“ იციან, სულაც არ არის საიდუმლო ჩვენთვის, დიპლომიან დოქტორებისთვისაო, შეტადრე ხალხს ძრიელ სწამს და ჩვენი ინტელიგენციაც უარს არ ჰყოფს ჯარა ექიმებსაო—მოტეხილის, მჭამელის (კოსტონდა) და ამოვარდნილ ძვლის ექიმობა იმათ უფრო იციანო და სხვ. დოქტორი იაშვილი ამტკიცებს, რომ ესეც შემცდარი აზრიაო.

ბოლოს ბ-ნი იაშვილი თავის შრომას ათავებს შემდეგის დასკვნით და დებულებით:

„1) თუ გვსურს ვებრძოლოთ ცრუ-ექიმობას, საჭიროა შევისწავლოთ თვით ეს საგანი.

2) ქართული ხალხური ექიმობა შესდგება წერილებითი და ზეპირ გაღმონაცემითი, წერილები მოთავსებულ არიან ძველ კარაბადინებში.

3) კარაბადინი არის სახალხოდ დაწერილი საექიმო კრებული, რომელიც შექმნავს ჰალენის სწავლის და აგრეთვე ურევია არაბთა და აღმოსავლეთის სხვა და სხვა ხალხთა სამეცნიერება, ამათ შორის ქართველებისაც.

4) კარაბადინები იწერებოდენ არაბულ ენაზე საშუალო საუკუნოების პირველ ნახევარში (VI საუკ.) ქართულად უთარგმნიათ სხვა და სხვა დროს —მე XII და XVI საუკუნოებთა შორის,

5) ქართველებს აქვს თავის საკუთარი ზეპირ-გაღმონაცემი თავისებური საექიმო მეცნიერება, რომელშიაც შერეულია კარაბადინიდამ ამოღებული ცნობებიც.

6) თუ გვინდა, რომ ხალხი გადავჩიოთ ცრუ მორწმუნებას, უნდა ხალხს გაუადვილოთ სწავლულ ექიმებთან მისვლა, ნდობით მიმართვა და რჩევის მიღება. უნდა ჩვენვე (ექიმებმა) ვეცადნეთ ხალხი დავიახლოვოთ, შევიჩიოთ და ნდობა დავიმსახუროთ.“

II

რაკი წიგნი სტამბიდამ გამოვა, იგი საზოგადოების კუთხით გამოვა, შეადგენს — ზნეობრივად იმდენათვე ეკუთვნის საზოგადოებას რამდენათაც თვით ავტორს. მეტადრე იმისთანა წიგნი, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და მეცნიერების დარღვეულის შეადგენს, სასურველია ყოვლად უნაკლულო იყოს, რამდენათაც კი ეს შესაძლებელია.

სწორეთ ამ აზრით ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ დოქტორიაშვილის შრომის სუსტი მხარეც. თვითონ ავტორიც მეტად ზღილობიანად, კრძალვით აღიარებს წინასიტყველობაში და, სხვათა, შორის ამბობს: „Но и въ опредѣленіяхъ тѣхъ средствъ, которыя я дѣлалъ по словарямъ, могутъ быть неизбѣжныя ошибки.“ — სამწუხაროდ, ჩვენ ქართველ მწერლებში იშვიათი მოვლენაა ასეთი თავმდაბლობა და კრძალული აზრი თავის თავზე.

პატივცემულ ავტორს ამ წიგნში უნებლიერ სამგვარი შეცდომა შეჰქმდარვია: 1) ტერმინებში. 2) ლათინურ ტერმინების მართლ წერაში და 3) ვერც ჩვენი ახალი ლიტერატურის ახალი სენი აუცილებია თავიდან.

1) ტერმინთაღოდაში (წამლების სახელებში) შემდეგ შეცდომებზე მივაჭცევთ ავტორის ყურადღებას:

№ 2. ავაჯვა უნდა იყოს უვაჯუა.

№ 9. ჩვენში ჯავზს იცნობდენ როგორც კაკალს. თუ ჯოუზის ქოქზეა ლაპარაკი, მაშ ქართულათაც უნდა აღვენიშნად ჯავზის ძარი.

№ 10. Rad. Zinge(i)barris ქართულად ჭანჭაფიდა, ხოლო ზარდანჩი და ყვითელი კოქა ერთი და იგივე Rad. Circumae არის. — თქვენ ერთსოდის ლექსიკონის შეცდომა გაგმეორებით (იხ. ლექსიკ. № 435).

№ 13) ის ძარი, კორენი დუშისტოი ფიალი ლათინურად Rad. Violae არის. წარმოსდგება *Viola odorata*-საგან. თქვენს

ნათქვაში Rad. Iridis Florentinae'-ს ქართულად ფლორენციური ზამბაზის ძირი ჰქვიან, კორნევიჟე ფლორენტინსკაგი კასატიკა.

№ 14) ტარხუნას ძირი და ოდუნყარი ერთი და იგივე არ არის—ოდუნყარი წარმოსდგება *Anacyclus Pyrethri* სავან.

№ 18 და 19) ერთი და იგივე — ჩუბიჩინი ქინაქინის ხის ძირია (*Rhizoma Chineae*) და არა *Rad. Sarsaparillae* რომელსაც ქართულად საფარდა ჰქვიან და თათრულად საფარნა. აქაც ერისთავის შეცდომაა გამეორებული (იხ. ლექსიკ. № 1010).

№ 22) Rab. (Rhiz.) Filicis maris არ წარმოსდგება *Pteris aquilina*' სავან. თქვენი ნათქვაში პაპოროთნიკები, რომელზედაც ამობთ, რომ დასავლეთ საქართველოში ბლობად იზღება მინდორ-ჭალებშით და მიწას რო ხნამენ, საქმეს უჭირებს გუნი-დედასაო, ეგ უსათუოდ უბრალო ჩაღუნაა და ძირსაც უბრალოს იკეთებს. ხოლო სამკურნალოდ ხმარებულს, როგორც მოგეხსენებათ, ძირი მკლავის სისხო აქვს და ნიორივით კბილებს იკეთებს. ამას ქართულად ეწოდება გვიმრუჭა ანუ ჩადეგოვან. დანაოჩენი ქართული სახელები უბრალო ჩაღუნას სინონიმებია გარდა გვამრა და დათვის საგებელასი, რომლებსაც ნამდვილს *Filicis maris* ეძიხიან საქართველოს ზოგს პროვინციებში. ამ მეტად სასარგებლო წამლის ნამდვილი ტერმინი სასურველია ერთხელ და სამუდამოდ დაკანონდეს.

№ 25) როგორ შეიძლება, რომ ღოლო და მეაუნა ერთი და იგივე იყოს? უთუოდ რუსულს თუპოლისტნის შაველ'-ს შეუყვანისართ შეცდომაში.

№ 43) *Atropa Belladonna*— მეტად სასარგებლო და სარგებლიანი, მცენარე სამწუხაროდ ჩვენში არ იზრდება, იელი *Azalea Pontica* არის.

№ 68) ალ. ერისთავის ლექსიკონში ნამდვილად არის ნაჩვენები წარმომშობი მცენარე *Aloexylon Agallochum* ფარმაცევტთა საზოგადოებას შეცდომა მოსვლია *Lignum Guajaci* ფენამბარ აღაჯია.

№ 72) კორჩიოტა უნდა იყოს ქორჩიოტა.

№ 83) ღოთური ნამდვილად *Cortex Vinteranus'* არის—
Винтерова или Магеланова кора.

№ 109) ღანძლი უნდა იყოს დანძილი.

№ 116) მეურნა და ღოლო კიდევ ერთად არის არეული.
გარდა ამისა ლიკი შაველ და ჩისტოტელი ნუ თუ ერთი და
იგივეა!?

№ 129) კაპუეტი (օრჯанецъ) და ღანდური (პორტულაკъ)
ერთი და იგივე არ არის.

№ 136) შადადანთზი სომხურია, ოხრახუში ქართული. თუ
არა და ჯერ ოხრახუში უნდა დაწერილიყო და მერე მაღა-
დანოზი სინონიმად გეხმარათ.

№ 190) ქათანაცარი უნდა იყოს ნაცარქათაშა.

№ 197) *Flores iridis florentinae* უნდა იყოს *Flores Violarum*.

№ 207) ანაგვირილა არის *Flor. Chamom Rom.* მიასწარა
Flor. Chamom. vulg.

№ 209) ჯერ ბარცმანუშები მერე მეღისკუდა.

№ 220) ძირ-წითელი ყოვლად წარმოუდგენელია, რომ
Flores Verbasci იყოს!... ძირ-წითელი არის იიბარი იაზეკъ,
Cynoglossum officinal.

№ 223) ბალასანი ანუ ბალასანის ზეთი *Bals. Copaii*. არის
ხალხის ნომენკლატურით. საზოგადოთ ამ სტატიის გამოკვლე-
ვი სჭირია.

№ 224) ვარდკაჭაჭას ხილი ვინ მისცა და ისიც ლო-
ბიოს პარკის მსგავსი და შიგ თესლები? საზოგადოთ ეს სტა-
ტიიც მთლიად არეულია.

№ 238) ღოქტორ შაბლოვსკის მამალი ჯავზი შირქბალა-
ნის კაჭდად (*Myrobalanus Chebula*) შეცდომით მიუღია. ჩვე-
ნი ხალხის ექიმები ნამდვილი ჯავზის კაკლებიდან არჩევენ
დედალსაც და მამალსაც.

№ 240) ინდის ხერმა (ფინики, *Dactyli*) სამკურნალო წი-
გნებში იხსენება როგორათაც ხველის წამალი და უველა წი-
გნებში წარმომშობი მცენარე ნაჩერებია *Phoenix Dactyli-*



fera, თქვენ კი საიდგანლაც გამოგიძებნიათ *Hyospyros lotus* ვით წარმომშობი მცენარე. რაც ოფიციალურად არის მიღებული იმას უნდა სჯეროდეთ.

№ 241) თაფლჭინდი (Fruct. Tamarind.) და დანაკისკუდი ერთი და იგივე არ არის. დანაკისკუდი იგივე ინდის ხურმაა (ფინики).

№ 262) გოგრა ანუ კვახი სხვა არის და აუთთ გოგრა სხვაა.

№ 280) ფიჭვის დღვილი არის ახალი ფისი ფიჭვის ხილან გამონაქონი, თათრულად ყათრანი ჰქენიან. მაშასადამე X во II (ხიწვი) აქ არაფრის შეუშია.

№ 289) ზირიშვი არც მაჟალოა და არც პანტა. მაჟალო ტყის ვაშლია და პანტა ტყის მსხალი. ხოლო ზირიშვა თათრული და სპარსული სიტყვაა — შავ ქოწახურს ჰქვაან — შავად გამხმარი კოწახურის ხილია.

№ 305) ხელშავი სინონიმია, ნამდვილი სახელია სელმაქი ერუნიკა, *Vaccinium vitis jdaea* (ნამდვილია).

№ 306) გუნჯუთი უნდა იყოს ქუნჯუთი.

№ 308) *Nigella Sativa* ერისოვის ლექსიკ. ორგან არის მოხსენებული: № 769 სურიჯა და № 967 შავქაჭა. რადგან მცენარე სურიჯა ტიმონ් ჩერნიშ და ტყვიიდან მომზადებული სურინჯი (ცურიკ) ადვილად შეაცდენენ კაცს სახელების მსგავსების გამო, ამიტომ ჩემის აზრით, მცენარის აღსანიშნად საჭიროა უპირატესობა მივცეთ ტერმინს შავქაჭა-ს ხოლო სურიჯი სამუდამოდ უკუვაგდოთ. ეს მით უფრო საჭიროა, უვნებელ მცენარის სურიჯის მაგიერ შეიძლება დაალევინონ წითელი მძიმე მტვერი გადამწვარ ტყვიისა (სურინჯი), რომელიც საკმაოდ შხამიანი არის და ადვილად შეიძლება კაცი მოიწამლოს. მაშ მცენარეს უწოდოთ შავქაჭა და ლითონ ტყვიისაგან მომზადებულ წითელ წამალს ისევ თავის სახელი დარჩეს სურიჯი.

№ 352) ზამხარაბი ნამდვილად *Gummi Arabic.* (გომიზი არაბეთისა) არის და არა ალუბლის და ქლიავის წებო. ამას-

თანავე ალუბლის და ქლიავის გამონაჟონი გომიზია (gummi) და არა ფისი. მაში Resina (ფისი) არ ეთქმის. მეორეც ესა ამ ფილაქტებს სად გამონახამთ ხოლმე?...

№ 355) ამის ნამდვილი სახელი ქართულად დევის სისხლი არის.

№ 360) რუბირევანდი ნამდაილად (*Gummi Resina Guttae* არის. ხოლო წარმოიშობის მცენარეთაგან: *Garcinia Morella seu Garcinia Hanburgi* და სხვ. ოქვენი ნათქვამი *Cu(a)mbogia* სინთნიმია და არა წარმომშობი მცენარე, რა უყოთ რო ერისთავს აქვს. ოქვენ, როგორც ექიმს, უნდა აველოთ ის, რაც ოფიციალურად არის მიღებული. ერისთავი მართლ წერაშიც კი სცდება: აქვს *Garcinta Cumbogia* უნდა იყოს *Garcinia Cambogia*. ოქვენ კი გასწორების მაგიერ მართლწერის შეცდომასაც კი არ ერიდებით.

№ 363) ქათირი ნამდვილად *Gummi Tragacanthae* არის.

№ 365) უნდა იყოს გუნდრუები.

№ 370) ქართულადაც თანაქურია.

№ 377 და 378) ჟანგარო თრნაირია. გაბროლებულს, წმინდას (*crystallisata*) ჟალაშ ჟანგართ ჰქვიან და სამკურნალოდ იხმარება—მალამოებში და საცხებლებში ურევენ. მეორე ნაირი კი უბრალო და პირდაპირ ჟანგართ ჰქვიან. ამას ხმარობენ უბრალო მხატვრები რკინის სახურიავების შესალებად (Ярь—მედянка).

№ 380) უნდა იყოს სულეამანი.

№ 381) *Arsenicum album* ($As_2 O_3$) არის მარგიშუშები ანუ თაგვის შაქარი. ხოლო ზირნიხი (და არა ზირნისი № 382) და დარიშხანა *Arsenium sulfuratum Citrinum* ($As_2 O_3$) (და არა *Arsenicum sulfuretum*) ერთი და ივივეა. ჩვენში იტყვიან ხოლმე ავადმყოფზე: ისეთი ყვითელია, როგორც დარიშხანაო. რაც შეეხება წითელ ზირნიხის (*As S*) იგი, იშვიათად იხმარება.

№ 388) ცარცი და 389) თაბაშური ერთი და ივივეა. ცარცი მქას, *Creta alba* ქართულია, ხოლო თაბაშური არაბული, ჩინურ და აზიის სხვა ხალხის ენაზეა.



№ 390) პრჯასპი ანუ აფასპი (რაიც უკეთესია) ნიშნავს საზოგადოდ კუპარის მაშასადამე არის: 1) აფასპი სპილენძისა ანუ შაბიამანი (Cupr. Sulfuric). 2) აფასპი რეინისა ანუ ძაღა (Ferr. Sulfur). 3) აფასპი თუთასი (Zinc. Sulfur.) და სხვ. მაწალები კი აქ არ შეეფერება. ხოლო ტერმინი მიწალები ანუ მაწალი საჭიროა შევინახოთ საზოგადოთ მინერალის აღსანიშნად, ესე იგი იმ სხეულთა აღსანიშნად, რომელიც მოიპოვდიან მიწის გულში, მაგალითად გოგირდი, მარილი (საქმელი), ტალკი, კირი, ცარცი და სხვა გვარი არა ლითონები და შეუმუშავებელი ლითონები.

№ 395) უნდა იყოს ჭალის უმარილი. მეორეც ესა უმარილი და არა უმარული ნების ჩვენში უფრო ტყვიის უმარილია გავრცელებული. ნეტავ მაგრე რო მარტოდ მხოლოდ კალის უმარილს ხმარობდენ.

№ 412) უნდა იყოს იასპი.

№ 414) სარდათნი რუსულად Рубинъ.

№ 415) უნდა იყოს საფირთნი.

№ 414) უნდა იყოს პაზითნი.

№ 417) უნდა იყოს ხეთო და არა ღვითო „იმისთანას მკურნალს ვაქებ მილესავდეს ფაზარს ხეთოს; არა თუ მასა უწამლობით პირში სული ამომხუთოს“ (დ. გურამიშვილი).

№ 420) ზღვისფერული კი არა, უნდა იყოს ზღვისპირულა (სეპიას ძვალი).

№ 422) სტრ. მეოთხე ავა არის საბრი, ცაბურъ.

№ 446) ულითხა არის ლოკოკინა.

№ 457) „მური“ არის მირა.

№ 475) გივზაბანი, სპარსულად გეზენგებინი, არის მანანა (Манана). Alkana tinctoria (ავაჯუა) ამისი არც ძირი და არც ფოთლები დასალევ წამლებში არ იხმარება. უფრო ჭიუაზე ახლოა, რო თქვენი ნათქვამი რთული წამალი (ზრგბარატი) შესდგება მანანასა და მიამბალისაგან (ლაკრიცა). მით უფრო რო თქვენ სწერთ ფილტვების ანთების და ქოშინის დროს ხმარობენ.

№ 480) თათლიაბია არაბული სახელია ძირტკბილისი ე. ი. სიტყვა თათლი ანუ ტატლი ტკბილს ნიშავს და ბან ძირია. ხოლო ძირტკბილს ძირის ნაქენჯს (Succus Liquirit.) მიამბალი ჰქვიან. სხვაფრივ ამ ტერმინების გადანაცვლა, გადაღვმა შეცდომათ ჩაითვლება, მიუხედავათ იმისა რო იმერეთში ქაკრიცა-ს თათლიბიას უძახიან.

№ 490) უნდა იყოს შამშაქარი.

№ 495) ქანი (სპარსულია) არის Gummi—Resina Galbanum ე. ი. ქაჭანა. თქვენ ამობთ მგონი pasta liquirit. არისო. გამოცნობა ძნელი არ იყო, პასტა კამფეტია, ტკბილია, თუმცა ალვახაზივით ძარღვიანია, მაგრამ წყალში ადვილად გაიხსნება, ქალბანა კი გომ-ფისია და ფისი, რასაკვირველია წყალში არ იხსნება. აქვე ამობთ ქანი მალამოებში იხმარებათ. ეს სრული კეშარიტებაა, ხოლო pasta liquirit. კი აბა მალამოებში რა საქმე აქვს. მაშინ-ხო მასხარიდ ასაგდები იქნებიან კარაბადინები.

№ 496) იახო. ჯერ რო იზენ ლიპკი მლასტირ არ არის ე. ი. კი არ ეწებება ეკვრის (ე. ი. თხლი მლასტირი სტაგივათ) მაგალითად კარსეტი კი არ ეწებება ტანს, არამედ მჭიდროდ ეკვრის. იახოსაც ასეთივე დანიშნულება აქვს—იახოთი წელი შეუკრესო. არც ისე ამზადებენ, როგორც თქვენ სწერთ. იახოს მომზადება ასე უნდა: ამოავლეთ შაქრის ლურჯი სქელი ქალალი არაუში ანუ სპირტში და წააყარეთ ზედ დანაყილი საკმელი ანუ დანამასტიკი და სხვა რა წამალიც გნებავთ. ზოგჯერ კირსაც კი უმატებენ.

და № 541) ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებულია, რომ აფიონი ქართული სახელია Opium' ისა (Opium). თუმცა სიტყვა აფიონი სპარსული ენიდან არის შემოტანილი, მაგრამ ეს მოსაზრება არაფრის შეუაშია. ბანგი (სპარსულია) უფრო არ შეეფერების, რაღაც ყოველივე, რაც იძინებს ბანგია. არც თრიაქი, თრიაქ-ფარუხი (სპარს.) შეეფერება, რაღაც ეს რთული წამალია, პრეპარატია (Elect. Theriac.).

2) მეორე გვარ შეცდომის ეკუთვნის ლათინური მართლ-
 წერა. ეს, რასაკვირველია, კორრეკტორის ბალია, მაგრამ
 მეტად უსიამოენოდ ეჩირება კაცს თვალში. წამლების სახე-
 ლები ლათინურად დოქტორებსა და ფარმაცევტებს ისე აქვთ
 გაზეპირებული, როგორც დიაკვანს „უფალო შეგვიწყალე“.
 მაშასადამე, სასაცილო იქნება იმის თქმა, რო დოქტორმა ია-
 შვილმა ლათინური ტერმინები არ უცოდა და იმიტომ მოუხ-
 და ასეთი მარცხი.

ჩეენ ის გვწყინს, რო ამისთანა საფუძვლიან სამეცნიერო
 შრომაში სამასხარო შეცდომებია ჩვეულებრივ ქართულ დაუ-
 დევრობის გამო.

ლათინურ ტერმინოლოგიაში შეცდომები შევნიშნეთ
 შემდეგ № №-ში:

- 28. 33. 43. 54. 58. 68. 77. 96 და 100. 122. 200.
- 223. 230. 238. 263. 281. 305. 315. 322. 323. 336. 337.
- 344. 345. 346. 348. 350 (ორგან). 360. 363. 379. 381.
- 384. 395. 400. 421. 438. 445—ოთხ სტრიქონში შეიძი
 შეცდომაა: 2 ქართული 3 ლათინური და 2 რუსული. 492.
- 493. 497 (ორგან). 499 და 521. გვერდი 96, სტრიქ. 5 ზე-
 მოდან. და გვერდი 97, სტრიქ. 11 ქვემოდან.

ღვთის წინაშე, დოქტორი იაშვილიც ბევრსა ცდილა
 ორფოგრაფიული შეცდომები აცცდინა თავიდან. თითოვე
 შეუმცნევია და გაუსწორებია 71 შეცდომა (იხ. წიგნის ბოლოში
 სია). მაგრამ მაინც კი ბევრი გამოკვარვია. სჩანს, თბილის-
 ში ამგვარი წიგნების გამოცემა მოუხერხებელია.

3) მესამე გვარი შეცდომა ის ახალი სენია, რომელიც
 აგერ რამდენიმე წელიწადია შეეპარა ქართულ ლიტერატუ-
 რა-მწერლობას. ეს სენი გახლავთ პროექტის ცატრი-
 ტიზმის ნაყოფი. ცველა ცდილობს იმ ენაზე წეროს, რა ენა-
 ზედაც მისი სამშობლო მაზრის და სოფლის ხალხი ლაპარა-
 კობს. თქვენ მიპასუხებთ რო კიდეც ეგ არის კარგი, მაგით
 ენა გაგვიძიდრდება, განვითარდება, ახალი ტერმინები შემო-
 ვაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რაიც საუკუნოებით აქვს

შეთვისებული, შესისხლ-ხორცებული ჩვენს საეკლესიო და საერო ლიტერატურას, იმ ტერმინების დამახინჯება ნუთუ ენის ევოლუციის მოაწავებს?

მეტადრე სამეცნიერო ტერმინოლოგია ჩვენთვის ისეთი წმიდათა წმიდაა, რომ არავის უფლება არა გვაქვს ჩვენს ქეიფზე ვაცეკვაოთ.

დოქტორი იაშვილი რაჭის შვილია და რაც იქითური რამ ტერმინი უპოვია (რომლებიც რაფ. ერისთავს სინონიმებად აქვს თავის ლექსიკონში), აულია და იგინი გაუმეფებია, ნამდვილი ტერმინები კი სინონიმებად გადაუქცევია.

როგორც სახარებიდან ვერც ერთი სიტყვა ვერც გამოაკლდება და ვერც შეიცვლება, იმ გვარათვე სამეცნიერო ტერმინებს არ ეღალატება.

ასე რო ვიაროთ და ყველამ თავის ქეიფზე ტერმინებს სიმპიტია ვურიგოთ, ბაბილონზე უარესი დღე დაგვადგება. ორმოცი წელიწადი ვიცი რო რევნდა რევანდია, თქვენ ეხლა მეყბნებით: არა რევანდს თავი დაანებე, ევ სინონიმია, ხოლო მაგის ნამდვილი სახელი უშენია არისო! (იხ. № 15)

ავრეთვე № 55) რა საჭირო იყო ტერმინი უნაბი, როცა გვაქვს დაკანონებული სიტყვა უნაბი.

№ 423) უნდა იყოს კუ და არა რკუ. გვ. 61 № 1 უნდა იყოს ავგაროზი და არა ანგაროზი.

№ 391) გოგირდი და არა გორგინდი

№ 398) რკინის წიდა და არა წინდა.

№ 395) ჯერ უმარიდი და თუ არ დაგიშლათ მერე უმარედი.

№ 202) მოლოქის უავილი. მოლოქი ლიტერატურაში არ არის ხმარებული, უნდა იყოს ბალბის უავილი, ან ჯერ ბალბა უნდა დაგეწერათ, მერე მოლოქი.

№ 105) სურა თუ იმერეთში მეფობს, ფათალო ამერეთში. მაშასადამე ფათალოც უნდა გხესენებინათ სინონიმად მაინც.

ამ იცი წლის წინად განსვენებულმა რაფ. ერისთავმა ისეთი ლვაწლი დასდო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას

და ისეთი ლექსიკონი დაგვიტოვა ბუნების სამიცე სამეცნიერო, რომ ჩვენ მხოლოდ მაღლობა-ლა გვეთქმის და მითი ხელ-მძღვანელობა. არც ერთი კუთხე საქართველოს მას არ გა-მოჰკარება: მთავარ სახელთან სინონიმებად მოჰყავს ყველა ის სახელები, რომელსაც პროვინციებში უძახიან.

ახლა ჩვენ რომ ეს ლექსიკონი ავიღოთ და სინონიმები თავში მოვაჭიოთ და ახალი ლექსიკონი ვუწოდოთ, განა ეს საკადრისი საქმე იქნება?

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ანიდამ ჰოქტორ ერთსათავის ლე-ქსიკონი უცოდველია, მაგრამ თუ კი ნამდვილსაც დავამა-ხინჯებთ, როდის-ლა რას მოვეწევით.

ყველა ვიცნობთ ბავშუბიდანვე ერთ გვარ მცენარეს, რო-მელსაც მოვწყვეტით თუ არა, რეგ გამოდის. ამ ბალახს რძანა ჰქვიან. ოქვენ აგილიათ მისი სინონიმი ფარფიონი და მთავარ სახელად გაგიღდიათ (№ 166). მოდი ახლა თავი ვიმტვრიო თუ ეს ფარფიონი რასა ჰქვიან.

№ 92) ფუთფუთა: ფოთოლი. მოდი ახლა შენ გამოუან რა არის ფუთფუთას ფოთოლი. ჩვენ ეს სახელი პირველად გვესმის. თუ ეს ტერმინი საღმე გიპოვიათ, კეთილი და პა-ტოსანი, მარამ ჯერ ნამდვილი სახელი სინმაქი უნდა დაგე-სახელებინათ და შემდეგ თქვენ მიერ ნაპოვნი სინონიმად გა-გხეადათ. ასეთი წესია შემოღებული მეცნიერებაში.

მაგრამ შეიძლება დოქტორი იაშვილი ამ გვარად მუშა-ობდა: სადაც რა სიტყვა ტერმინი, გაიგონა ის ტერმინი ჩა-წერა და ასხნა ქართულად, ლათინურად, რუსულად და თან ისიც მიუწერა, რა სატკიცრებში და როგორ ხმარობს ხალხი. თუ ეს ასეა, მაშინ ბოდიშს ვიხდით და უკანვე მიგვაჭვს ჩვენი უკანასკნელი შენიშვნა. მხოლოდ-კი, მაინც ცოდვად ჩაეთვ-ლება პატივცემულ ავტორს, რომ ორიოდე სიტყვით არ აგვიხ-სნა ამ თავის შრომის გეგმა.

ბოლოს და ბოლოს ჩვენი საკითხი მაინც საკითხად რჩე-ბა: „რა შდგომარებაში იქ, ძველად, სამჭურნალო შეცნიერების საქმე საქართველოში?“

დოქტორ იაშვილის წიგნმა დიდ-ძალი მასალა მოგვა-
 წოდა, მაგრამ საკითხი საბოლოოდ ჯერ, რასაკვირველია,
 არ არის გადაწყვეტილი. თითოებ ავტორიც ამასვე ამობს:
 „Я долженъ оговориться, что этотъ трудъ не состав-
 ляетъ полнаго обзора всей Закавказской народной медицины;
 постепенное знакомство съ ней въ этомъ меня убѣдило“... ამი-
 ტომაც სასურველია განაგრძოს მუშაობა ბ. იაშვილმა და აგ-
 რეთვე ვინატრით ახალი მუშაკი აღმოჩნდეს საგნის მეცნიე-
 რულიდ გამოსარკვევად. ჩემის აზრით, შემცდარნი ვართ როდე-
 საც, რაც კი რამ საექიმო წიგნები და ცნობები გვაბადია, ცვე-
 ლის „Народная медицина“-ს ვეძახით.—მე კი მგონია, რო ჩვე-
 ნი კარაბადინებით ხელმძღვანელობდნენ მეფის პალატებშიაც
 და უბრალო ხალხის ქოხშიაც. შესანიშნავ კარაბადინებს ან
 მეფეთა ბანებით თარგმნიდენ ან თვით მეცნი და ბატონი-
 შვილები.—მაშასადამე ოთხეურებს ტყუილად ვედებით; ჩვენი
 „Научная медицина“ და „Народная медицина“-ც იგივე კარა-
 ბადინები არიან. ხალხურ მედიცინად ის უნდა ჩაითვალოთ
 რაც კარაბადინებიღან არ არის ამოკითხული, ხოლო სამეც-
 ნიერო მედიცინად უკეთესობად კარაბადინები უნდა ვაღვიაროთ.
 როცა საგანს ასე შევხედავთ, მაშინ ადვილად გამოვარკვევთ
 რა მოგვაწოდა ხალხმა და რა მოგვცა მეცნიერებამ.

ან კი რათ უნდა გვეჩოთიროს და ვოუკაღრისოთ ეს გა-
 რემოება! რუსეთშიაც სამკურნალო მეცნიერების საქმე წესიერ
 გზას მხოლოდ განვლილ საუკუნის დასაწყისში დაადგა. ამ
 დროს (1803 წ.) ესრედ წოდებული „მედიცინსკი სოვეტი“
 დაარსდა და პირველი სამეცნიერო წიგნი (რუსულ ენაზე),
 რუსეთის ფარმაკოპეა, უმაღლესის ბრძანებით ხსენებულმა „სა-
 მედიცინო რჩევამ“ 1865—66 წ. გამოსცა. მანამდის კი სულ
 ნემეცურ და ლათინურ თხუზულებით ხელმძღვანელობდნენ
 და აწარმოებდნენ მთელ სამკურნალო საქმეს. ბევრსაც ყოვ-
 ლად შეუძლებლად მიაჩნდათ რუსულის ენით რაიმე მეცნიე-
 რების გამოთქმა (პროფესორებიც ან ნემეცურად ან ლათი-



ნურად კითხულობდნენ ლექციებს სამედიცინო ფაკულტეტზე,
მიზეზად იმას იდებდნენ, რომ სამეცნიერო ტერმინები სრუ-
ლებით არ მოიპოვება რუსულს ენაზე.

იღ. ადგეზიშვილი.



ნ ა რ ე ვ ი

1. ახალი თხზულება სენკევიჩისა,—2. ზოლას ხელნაწერები.—3. უკანასკნელი დრამა შნიცლერისა. — 4. ებრაელების თეატრი.—5. ბურთი და გიმნასტიკა.—6. ლუდისა და სიღრის გავლენა ადამიანზედ.—7. შესაყარია თუ არა კუ.—8. ადამიანის სისხლი.—9. ბარგის მხიდავი ცხვარი.—10. ჭანჭველის მიერ გაჩენილი სოკო.—11. მწირი მიწის გაპატივება.—12. ბამბის მცველი ჭიანჭველა.—13. ლამბროზოს და მოებაუსის აზრი დედაკაცის შესახებ.—14. იაპონელის ტფინი.

ახალი თხზულება სენკევიჩისა. 3. სენკევიჩი სწერს ამ ფამად ისტორიულ ტრილოგიას პოლონელთა ცხოვრებიდგან „დიდების ველზედ“. უმთავრესი გმირი ტრილოგიისა არის მეფე სობიექტი. პირველ ნაწილში აწერილი იქნება პოლონეთის წარსული დიდება; მეორეში პოლონეთის და ურჯულოთა—ოსმალთა ბრძოლა; მესამეში—გამარჯვებულის მეფის დაბრუნება და დასავლეთ ევროპიელთა სიხარული, რომ ისმალთა შემოსევას გადარჩნენ.

**

ზოდას ხელნაწერები. ემილ ზოლას ქვრივმა მოაგროვა განსვენებულის მწერლის ხელნაწერები და „საერო ბიბლიოთეკას“ უძლვნა. ხელნაწერებს ორი თხზულება აკლია მხოლოდ—ნანა და კეშმარიტება.

**

უკანასკნელი დრამა შნიცლერისა „მარტო გზით“ ჩვენი დროის დრამატიული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებად

მიიღო კრიტიკამ. ცოცხალი სურათია დახატული წარმავალის, უკვე მომაკვდავის არისტოკრატიისა, რომელიც თავის ცხოვრების იდეალს მომავალში კი არა, წარსულში ეძებს. დრამაში მოქმედებენ მხატვარი, დრამატიული მწერალი, ექიმი, პროფესიონი; ყველანი დიდად განათლებულნი არაან, მაგრამ ცხოვრების მიზანი არა აქვთ, სიცოცხლე მეტ ბარგად მიაჩინათ და დიდის ძალის პატრიონი კომლივით უსარგებლოდ გაივლიან ცხოვრების ასპარეზზედ.

**

ებრაელების თეატრი. ლონდონში ებრაელთ დრამატიული საზოგადოება შეადგინეს 250,000 მანეთის თანხით, საკუთარი თეატრი აიშენეს და გადასწყვიტეს—მხოლოდ ებრაელთა მიერ დაწერილი პიესები ითამაშონ. სათამაშოდ მიიჩვიეს შეერთებულ შტატებში და ინგლისში გამოჩენილი და სახელგანთქმული აქტიორები.

**

ბურთი და გამნასტიკა. გიმნასტიკით გატაცებული ეპროპა გონებაზედ მოდის და აქა-იქ უკვე გიმნასტიკის წინააღმდეგი სიტყვაც იმის. უმთავრესად ევროპიულ გიმნასტიკას იმ წენსა სდებენ, რომ გიმნასტიკური ვარჯიში ბავშვის ზრდას აჩერებსო. საუკეთესო სავარჯიშოდ მოხსრდ თაობიასთვის ბურთის თამაშს აღიარებენ ამ საგანში ავტორიტეტად მიჩნეულნი პირნი.

**

დუდისა და სიდრის გაფლენა ადამიანზედ. დოქტორი ვოლტი ამტკიცებს, ეგრეთ წოდებული კუ ლუდისა და სიდრის სმის შედეგიაო. ევროპაშიც და ამერიკაშიც კუ მით უფრო მძინვარებს, რამდენად მიღებულია ამ სასმელების ხმარებაო. გერმანიაში კუ უპირველეს ყოვლისა ბავარიაში არის გავრცელებული, ლუდის ქვეყანაში, და საფრანგეთში — იმ მაზრებში, რომელნიც ღვინის უქონლობისა გამო სიდრსა სმენ (ვაშლის ღვინო). ლუდის შესახებ წინადაც არა ერთხელ თქმულა მავნებელიაო, მაგრამ არც წინად, და არც ეხლა

დანამდვილებით არავის დაუღვენია საბუთები მის მავნე-ბლობისა.

**

შესაფარაა, თუ არა კუ? ლონდონში კომისია არსებობს ამ საშინელ სწეულების შესასწავლელად. კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზედ დაადგინა, რომ კუ მარტო განათლებულ ადამიანს კი არა, ველურსაც ადვილად უჩნდება და არა მარტო ადამიანს, არამედ ყველა ხერხემლიან ცხოველს. კუს გაჩენა ადამიანის, თუ სხვა ცხოველის სტეულში, დამოკიდებულია ამ ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობაზედ. ერთი გვარის ცხოველისაგან მეორე გვარისას კუ არ შეეყრება. ერთობ კუ გადამდები არ არის და მის გადადება ბაცილლებზედ არ არის დამოკიდებული. მაგრამ თუ ჩირქი სალის გაჭრილს მოხვდა, მსწრავლ გაიზრდება და კუდ იქცევა. აქედაც დასკვნა: ავადმყოფმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ექიმს და ექიმმაც დაუყოვნებლივვე უნდა ამოსკრას დაზიანებული ადგილი. რადიო წამლობა ამ სწეულებისა კომისიას არა სწამს, მაგრამ ჯერ ეს საკითხი გადასაწყვეტია და ამიტომ კომისიის აზრი ამ ახალი საშუალების შესახებ იქნება შემცდარიც გამოდგეს.

**

ადამიანის სისხლი. ვეიმარელმა პროფესიონალმა როლმანმა ეგრედ წოდებულ ულტრამიკროსკოპით სინჯა ადამიანის სისხლი და წითელ მარცვლებში აქამდინ უცნობი წვრილი სტეულები აღმოაჩინა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა უნდა ქონდეს ნივთიერებათა გარდაქმნაში და ადამიანის საზრდოებაში. ეს წვრილი სტეულები ცილის-ბუნებისანი არიან და საკვირველი სისწრაფით იძვრიან. აქამდინ მეცნიერებაში იმ აზრს აღვნენ, რომ უმთავრესი მსაზრდოებელი მასალა-ცილა სისხლში გახსნილი იმყოფება და სისხლიდგან ქიმიურად ითვრებს მას სხვა და სხვა ნაწილი ცხოველისათ. როლმანის გამოკვლევა ძირიანად სცვლის ამ შეხედულებას და შეიძლება დამტკიცდეს კიდეც, რომ საზრდოება ცხოველისა დამოკიდე-

ბულია სისხლის მიერ სხეულში დატოვებულ ცილის წვრილ
მარცვლებზედ.

**

ბარგას მზიდავი ცხვარი. გიმალის და ტიბეტის მთებში
ხშირად იმისთანა სიმაღლეზედ არის გზა გაყვანილი, რომ იქ
გავლა არც ცხენს შეუძლიან, არც ხარს. ამისთანა საშიშ გზა-
ზედ ტვირთის საზიდავად ცხვარს ხმარობენ და იშვიათად თხას,
რაღაც დაღმართზედ სიარული თხას მეტად ეძნელება. ბარ-
გის მზიდავი ცხვარი ძალიანა ჰვავს ჩვენებურს ცხვარს და შე-
სანიშნავი იმით არის, რომ მის გარდა არავის შეუძლიან „სო-
კოლ ჩოქსუმთან“ გაყვანილ გზაზედ გაიაროს. ეს გზა რკინის
კეტებზედ დადებულ ქვებს წარმოადგენს, სიგძით 755 ნა-
ბიჯია, სიგანით ცხრა ვერშოკი და ზოგან 7. თითო ცხვარს
7—25 გირვანქა ტვირთს აპკიდებენ—მატყლს, ყველს, პურს,
გარგარის ჩირს და სხ. და ისე გაივლის ხოლმე ამ გზაზედ
5—6 ათასი ცხვარი, რომ ერთი არ დაიჩეხება. ტიბეტს გარდა
მხოლოდ დაჭიაში (ამერიკაში) იციან კიდევ ცხვრით ზიდვა
ტვირთისა.

**

ჭიანჭველის მიერ გაჩენილი სოფთ. ამერიკაში, ტეხასში
ერთგვარი ჭიანჭველი არსებობს, რომელიც თავის ბინასთან
უძლიერი სისხლის სოკოს აჩენს თავის საკვებად. ამერიკე-
ლი მსწავლული ჭირგიუსსონი შეუდგა ამ სოკოს შესწავლის
და იმის სიტყვით—ეს სოკო წარმოადგენს მოკლე ძაფებს
მომსხო თავებით, რომელსაც სიამოვნებით სჭამს ჭიანჭველა.
ადამიანის ხელში მეტად ნელა იზრდება ეს სოკო, მაგრამ
ჭიანჭველი თავისებურად უვლის და მეტად სასწრაფოდ ზრდის
შეგნებით, აუ შეუგნებლად. საკირველი კიდევ ის არის, რომ
თუ ძალიან დაშეული არ არის ჭიანჭველა, სხვის ბალში სო-
კოს არ შესჭამს.

**

მწირი შიწის გაძაცივება. პასტერის სისტემით წამლობაშ
თითქმის გაათავისუფლა კაცობრიობა იმისთანა უკურნებელ
სენისაგან, როგორიც ცოფი იყო, ხუნაგი და სხ. ამ უამად

იმავე სისტემის წყალობით მიწის განყივრება სცადეს და ცდას საკვირველი შედეგიც მოჰყავა: პურის ცომივით შედედებულ (ხაში) გამაპატივებელ მასალას წმინდა წყალში გასნიან და შიგ დაალბობენ თესლს, რომელიც მას შეძეგ უცნაური ჩალით ამოდის და იზრდება, რაც უნდა მწირ და უღონონ ნია-დაგზედ იყოს დათესილი.

**

ბამბის მცგველი ჭავანჭაველა. ამ რამდენიმე ხნის წინად ამერიკაში რაღაც მატლი დაეხვა ბამბის ნათესებს და ისე დააზიანა, რომ შიშის ზარი დასცა პლანტატორებს. ამ შიშმა მართებლობაც გაიტაცა, მეცნიერებაც და ყვე-ლანი მატლის გასანადგურებელ წამლის პოვნას ცდილობდნენ. წამლად ერთნაირი ჭიანჭველა გამოდგა, რომე-ლიც გვატემალაში ცხოვრობს და პირის ჩასაგემრიელებლად უყვარს ბამბის მტერი მატლი. ტეხასელმა პლანტატორებმა მაშინადვე გადმოიყვანეს გვატემალიდგან ეს ჭიანჭველა, დი-დი ზრუნვით და ხელ-შეწყობით მოუარეს და მატლიან ბამ-ბის ნათესებში დაამკვიდრეს. შედეგი საუკეთესო მოჰყავა ამ ცდას: ჭიანჭველამ დედა-ბუდიანად ამოწყვიტა მატლი და გა-დაარჩინა პლანტატორები. უმრავლესობას პლანტატორებისას ჯერ მაინც არ სჯერა ჭიანჭველის ამგვარი სარგებლობა და თანაც ეშინიანთ — ვაი თუ ჯერ მატლი შექამოს და მერჩე დამშეულმა ბამბას მიჰყოს პირით. ამათ დასარწმუნებლად შეერთებული შტატების მართებლობამ დაბრივება დაბეჭდა ამ ჭიანჭველის ზნე-ჩვეულების და მოვლის შესახებ და ასი-ათასობით არიგებს უფასოდ. დარიგებაში უმთავრესი ყურად-ღება იმის დამტკიცებას აქვს მიქცეული, რომ ბამბის მცველი ჭიანჭველა ხორცის მჭამელი მწერია და არა ბალახის მჭამელი.

**

ლამბრთზოს და მოებიუსის აზრი დედაქაცის შესახებ. ლამბრთზოს მოჰყავს მოებიუსის აზრი, რომელიც ამტკიცებს დედაკაცი მამაკაცთან შედარებით უმდაბლესს ხარისხზედ სდ-გასო. დედაკაცი თავი უფრო პატარა აქვს. ხელსაქმეშიც კი ყო-ველთვის მამაკაცი სჯობნის, რადგან ჭრა-კერვაში, თუ სხვა

საოჯახო საქმეში მამაკაცის შრომა ყოველთვის სჯობიან დედა-
 კაცისასაო. დედაკაცის ზნეობრივი ცხოვრება შედეგია არა
 დაფიქრებისა, არამედ გრძნობისა. სიყვარულით გატაცებული
 დედაკაცი სასწაულო მოქმედია, მაგრამ სიმართლისა კი ძა-
 ლიან ცოტა რამ იცის. კარგი მეხსიერება აქვს; გაგონიოს
 ჩეარა ითვისებს და ამიტომ არის, რომ მოსწავლე ქალები
 ასე კარგად იქცერებ ეგზამენტებს; მაგრამ ეს გარემოება დამო-
 კიდებულია მარტო ოდენ მეხსიერებაზედ და საკუთარს ვერას
 შეაქმნევინებს. შეიძლება მსწავლული გახდეს ქალი, მაგრამ
 მეცნიერებას კი ვერაფერს შესძლვნის. გონებრივ მამაკაცი
 უფრო გვიან განვითარდება, ვიდრე დედაკაცი, მაგრამ დედა-
 კაცი უფრო ჩეარა ჰკარგავს გონებრივ თავის ძალას. დედა-
 კაცის სიცოცხლე ოცდა ათი წელს არ აღემატება, ამობს
 ლამბრიოზო. ბუნებრივ დედაკაცი გრძნობით ცხოვრობს და
 ამიტომ სასჯელიც ნაკლები უნდა მიიღოს, ვიდრე გონებით
 მცხოვრებმა მამაკაცმა. დედაკაცის და მამაკაცის ტვინი რომ
 შევადაროთ, დიდ განსხვავებას ვპოვებთ:

| | | |
|--------------|------------|------------|
| წონა ტვინისა | მამაკაცისა | დედაკაცისა |
| უმაღლესი | 1925 გრ. | 1565 გრ. |
| უმდაბლესი | 1018 | 720 |
| საშუალო | 1362 | 1219. |

მამაკაცის ტვინი უმაღლესს წერტილს განვითარებისას
 მიაღწევს 20 და 30 წელს შუა; შემცირებას დაიწყობს 60—
 70 წლებში. დედაკაცის ტვინი 20 წლამდე იზრდება და 50—
 60 წლებ შუა იწყებს შესუსტებას.

**

იაპონელის ტვინი. ედვ. სპიჩას მოჰყავს ტოკიოელ პრო-
 ფესორის გამოკვლევანი იაპონელთა ტვინის რაოდენობაზედ,
 ბიშოტისა და მარზანისა — გერმანელებისაზედ, უილჩენ კისი —
 რუსებისაზედ, რეციუსისა — სვედელებისაზედ და ამტკიცებს, —
 იაპონელს უფრო ნელ-ხელ ეზრდება ტვინი, ვიდრე საზოგა-
 დოდ ევროპიელსაო. 9—14 წლის ბავშვის ტვინის წონა ია-
 პონელისათვის 1235 გრ. შეადგენს, ევროპიელისათვის კი
 1300—1350 გრ. იაპონელი მამაკაცი სრულს განვითარებას
 40—50 წლებში მიაღწევს. მაგრამ აგებულებასთან შეწონვით
 იაპონელს უფრო მეტი ტვინი აქვს, ვიდრე ევროპიელს და
 იქნება ამით იახსნებოდეს იაპონიის გონებრივი, ეკონომიკური
 და პოლიტიკური პროგრესსის სისწრაფეთ, დასძენს სპიჩა.

შინაური მიმოხილვა

ახალი კანონი სამრეწველო ზარმოხაზი

დაზიანებულ მუშათა შესახებ

მახსოვეს, ამ ათიოდე წლის წინად ჩვენს მწერლობაში კა-
 მათობდნენ შემდეგ საგანზე: არის თუ არა ჩვენში პროლეტარი
 და სამრეწველო მუშა ხალხი და არსებობს თუ არა საქართვე-
 ლოში „მუშათა საკითხით“. იყვნენ ისეთი მწერლები, რომელ-
 ნიც ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ჯერაც სრულად ნატურალურ
 მეურნეობის ხანაში ვართ და სამრეწველო მუშა, როგორც ეს
 ტასავლეთ ეკონომიკა, ჩვენს ცხოვრებას ჯერ არ წარმო-
 უშვიათ.

შეიძლება, ასეთი აზრი, თუ სწორი და შესაწყნარებელი
 არა, გასაგები და ასე თუ ისე გასამართლებელი იყო ამ ათის
 წლის წინად. მაშინ საზოგადოებრივი დიფერენციაცია ჩვენში
 ისე გაზრდილი და შესამჩნევი არ იყო, როგორც დღეს არის.
 მიტომ არც ნამეტნავად დასაძრახია, თუ ვინმე წინად ახალ
 ცვლილების პროცესს, მაშინ კიდევ სუსტს და განუვითარებელს,
 ვერ ამჩნევდა და ქართველ სამრეწველო მუშის არსებობას საე-
 ჭვოდ სთვლიდა. დღეს კი ასეთი ექვი, რომ ვინმემ გამო-
 სთქვას, უსაფუძლოც იქნება და შეუწყნარებელიც. ამ უკანას-
 კნელ წლებში ჩვენში მოქალაქობრივობა იმდენად განვითარდა
 და კერძოდ სოფლის ეკონომიკი ცხოვრება იმდენად შეიცვა-
 ლა, რომ დღეს არსებობა მუშა ხალხისა, რომელიც მრეწვე-
 ლობის სხვა-და-სხვა დარგებში დღიურად მუშაობს და დღიუ-

რის ქირით ცხოვრობს, ყველასთვის შესამჩნევი და დასანახი ფაქტია. მართალია, დღესაც ქართველ მუშათა რიცხვი, მიწათმომქმედთა რიცხვთან შედარებით, ძალიან მცირე პროცენტს შეადგენს. მაგრამ სიმცირე და სრულიად არ არსებობა ერთი და ეგრივ არაა. რაც უნდა მცირე იყოს ჩვენში სამრეწველო მუშათა რიცხვი, ქართული დამოუკიდებელი პრესა და საერთოდ მწერლობა ვალდებულია მიაქციოს მათ განსაკუთრებული ყურადღება და მათ ინტერესებსა და მოთხოვნილებათ გაუწიოს გულწრფელი ქომაგობა და ენერგიული მფარველობა.

მუშა ხალხი, როცა მასში ფეხს იკიდებს თავის ინტერესების შევნება და იზრდება თვით-ცნობიერება, დიდს ძალას წარმოადგენს ყოველ სახელმწიფოში. როგორც მწერლობა, ისე „საზოგადოება“ და მთავრობა იძულებული ჰქონდებიან მეტის ყურადღებით მოეპყრან მას,—ეცადონ რეფორმების შემოღებას და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ვისაც თვალ-ყური უდევნებია დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობისათვის, ეცადინება, რომ იქ ყოველი რეფორმა და გაუმჯობესება, დაკანონებული და დაწესებული მუშა ხალხის სასარგებლოდ, მტკიცედ შეკავშირებულია ოვით მუშათა პოლიტიკურს განვითარებასა და ენერგიულს კლასიურ მოძრაობასთან...

ამ წლის იანვრიდან მთელ რუსეთის იმპერიაში და, მაშასადამე, ჩვენშიაც მოქმედობს ერთი ახალი კანონი, რომელიც ფაბრიკა-ქარხნებისა და მთა-მადნების მუშებს შეეხება და, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრულ დადგენილებას შეიცავს. საზოგადოდ შრომისა და კაპიტალის შესახებს კანონმდებლობას დიდი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი იდამიანთა ურთიერთობის ისეთ სფერის ჰქონდება, სადაც ძალმომრეობასა და უსამართლობას მეტად ფართო ადგილი უკავია... კერძოდ სხენებული კანონი ცოტად თუ ბევრად უზრუნველ ჰყოფს სამრეწველო წარმოებაში სხვა და სხვა გვარ ხითათ დაზიანებულ მუშებს და ამი-

ტომ, უკველია, ჩვენს მკითხველებში ბევრისთვის ამ კანონის შინაარსის გაცნობა ძალიან საინტერესო და სასარგებლოა.

მუშისთვის ცხოვრების ერთად ერთ სახსარს საკუთარი სამუშაო ძალა შეადგენს. მას შეუძლია ორსეპობა და ცხოვრებაში ასე თუ ისე თავის გატანა მხოლოდ მაშინ, როცა მუშაობს და დღიურ ქირას იღებს. მისი ქირა განსაზღვრულ ეკონომიურ კანონს ემორჩილება და იმდენად დიდი არ არის, რომ შრომელს შეეძლოს მონარჩენება და მერმისში როდისმე უშრომლად თავის შენახვა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა აუტანელ მდგომარეობაში ვარდება მუშა, როცა მას სამუშაო არა აქვს ან სხვა და სხვა მიზეზის გამო შრომა არ შეუძლია. და ასეთი შემთხვევები კი თანამედროვე წარმოების ვითარებაში ძალიან ხშირია. კაპიტალისტურ წარმოების წყობილებაში უსაქმოდ და უსამუშაოდ დარჩენა მრავალ მუშებისა ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენს. მუშა ხელი და სამუშაოს მძებნელი ბევრად მეტია, ვიდრე საქმე და ალაგი კერძო კაპიტალისტთა საწარმოვო დაწესებულებებში. გარდა ამისა მუშის სხეული, როგორც ყოველი ადამიანის ორგანიზმი, მუდმივს მუშაობაში თან და თან სუსტდება და უდროვოდ უძლური, ინვალიდი და, გამასადამე, შრომისთვის გამოუსადევი ჰქონდება. როგორც ყოველი ადამიანი, მუშაც ჰქონდება და მაშინ მას აღარ შეუძლია მუშაობა და თავის თფლით თავის რჩენა. უფრო ხშირად, ვიდრე სხვა უფრო ჰიგიენურს პირობებში მცხოვრები ადამიანი, მუშა ავად ჰქონდება, ლოგინად ვარდება და ამიტომ მას დღიური ქირა და საზრდო ეკარგება. დასასრულ, თანამედროვე წარმოებაში, რომელიც საკვირვლად რთულია და უთვალის მაშინებსა და სხვა და სხვა გვარ დიად ტეხნიკურ მოწყობილობას ხმარობს, ხშირია მარცხი ანუ ხიფათი და მუშათა უდროვო სიკვდილი ანუ დასახირება. ოჯახის მამის დაშავებას ან უდროვო სიკვდილს შედეგად მოსდევს, რასაკვირველია, წვრილ-შვილის შიმშილი და დასახირებულ მუშის მათხოვრად გახდომა. ცხადია, მოწინავე ქვეყნებში, სადაც მრეწველობა უმაღლეს საფეხურამდის არის განვითარებული და მუშა ხალ-

ხის რიცხვი დღითი-დღე მრავლდება, მთავრობა ვერ დასტურ ვებდა უყურადღებოდ ასეთ ვითარებას. და მართლაც იქ კარგა ხანია შეუდგნენ ამგვარ შემთხვევებში მუშათა უზრუნველყოფის მოწყობას და მოგვარებას. გერმანიაში, მაგალითად, მუშა დაზღვეულია ავადმყოფობისა, ინვალიდობისა, მოსუცებულობისა და უბედურ შემთხვევებისაგან. ავადმყოფობის დროს მას ეძლევა „საავადმყოფო კასიდან“ ფული თავის შოსავლელად და განსაკურნებლად; ინვალიდობასა და მოსუცებულობაში იღებს პენსიას; თუ წარმოებაში დაშავდა, ეძლევა განსაზღვრული პენსია; თუ გარდაიცვალა, მის ცოლშვილს დახმარება ეძლევა და იმედი აქვს, რომ შიმშილით არ დაიხოცება. მხოლოდ არ არის იქ ჯერ უსაქმოდ დარჩენილ მუშათა ბეჭ-ილბალი მოწესრიგებული და ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიის მწერლობა და საზოგადოებრივი აზრი იმის ზრუნვაშია, რომ როგორმე ეს საგანიც მოაწყოს და უსაქმოდ მყოფ მუშებს ცხოვრება გაუადვილოს.

რუსეთში ჯერ კანონმდებლობა არ შესდგომია ასეთის სისრულით მუშათა უზრუნველ-ყოფას. აქ არ არის დაწესებული მუშების სავალდებულო დაზღვევა და ამიტომ ავადმყოფობისა და ინვალიდობა-მოსუცების დროს მუშა მთელ რუსეთის იმპერიაში სრულიად უმწეოდაა დატოვებული. მხოლოდ ის ახალი კანონი, რომელიც შარშან ივნისში გამოიცა და წელს იანვრიდან ძალაში შევიდა, ცდილობს ცოტათი შეუძლებულის მდგომარეობა და გაუადვილოს ცხოვრება იმ მუშებს, რომელთაც სამრეწველო წარმოებაში მარცხი მოუვათ,—ან გარდაიცვლებიან და ან ცოტად თუ ბევრად დაპკარვენ ძალინებს და მუშაობისთვის გამოუსადეგნი გახდებიან.

როგორც ესთქვით, თანამედროვე სამრეწველო წარმოების ტეხნიკა დიდად განვითარებული და როგორია. აქ იხმარება ისეთი უზარმახარი მაშინები და ტეხნიკური მოწყობილობანი, რომელთანაც ადამიანის ფიზიკური ღონე ჭიანჭველის ოდენადაც კი არ გამოჩნდება. საკმარისია სულ მცირედი უყურადღებობა, რომ რომელიმე თასმამ ან ბორბალმა მუშა მოი-

ტაცოს და ერთი თვალის დახმხამებაზე წუთი-სოფელს გამოა-
სალმოს ან სამუდამოდ დაასახიროს. ვისაც უნახავს ახალის
ტექნიკის თანახმად მოწყობილი დიდი ფაბრიკა ან მაღნის მა-
ღარო, იმას თავის ნერვებით ნაგრძობი და გამონაცადი ექნე-
ბა, რომ დღევანდელ სამრეწველო წარმოებაში მომქმედი მუ-
შა მუდამ სიკედილს უცემრის თავის თვალით. სტატისტიკა
ცხადად ამტკიცებს, რომ მრეწველობისაგან მსხვერპლად შე-
წირულ მუშათა რიცხვი ძალიან დიდია და რომ ეს რიცხვი,
რაც დრო მიღის და მრეწველობა ვითარდება, მით უფრო იზრ-
დება და დიდი ხდება. ამასთან მრეწველობის მრავალს დარ-
გვებული ისეთ მასალებს იდნობენ და ამუშავებენ, რომლებიც
დიდად მავნებლად მოქმედობს მუშის ორგანიზმები. თითოეუ-
ლი ამგვარი დარგი მრეწველობისა აჩენს მუშებში განსაზღვ-
რულ სენს და ავადმყოფობას, რომელსაც პროფესიონალურს
ან ხელობით გამოწვეულ ავადმყოფობას ეძახიან.

„იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა განვითარებულია,
ზიანი, რომელიც ეძლევა მუშებს დაშავებითა და პროფესიო-
ნალურ ავადმყოფობათა გაჩენით, ძალიან დიდია, და ეს გა-
რემოება იწვევს ამ ქვეყნების მთავრობათაგან სხვა-და-სხვა
გვარს ღონისძიებათ. ასეთია: დაშავების შემთხვევათა სტატის-
ტიკის დაარსება, წესდებათა გამოცემა მუშების სიცოცხლისა და
ჯან-მრთელობის დასაცავად, სპეციალურ კანონების გამოცემა,
რომ მუშათა დამქირავებლებმა დაშავებულ მუშებს უზღვნ
ზიანი და მისცენ საზღაური. მაგრამ რაც უნდა ნაყოფიერი
იყოს ამგვარი მეცადინება, რომელსაც მიზნად აქვს შრომის
პირობების გაუმჯობესება მრეწველობაში, მარცხი და უბედუ-
რი შეითხვევები მაინც ამით არ მოისპობა. მუშების სიცოც-
ხლისა და ჯან-მრთელობის დასაცავად შემოლებულ აქა თუ იმ
ღონის-ძიებას შეუძლია შეამციროს უბედურ შემთხვევათა რი-
ცხვი და ზიანის როდენობა, რომელიც ეძლევა მუშებს წარ-
მოებაში, მაგრამ იმდენად კი მაინც ვერ შეამცირებს, რომ
დაზიანებულ მუშათა უზრუნველ ყოფის საკითხს სრულიად
დაეკარგოს მნიშვნელობა. წარმოების დიდის ზრდისა გამო



უბედურ შემთხვევათა რიცხვი, რაც დრო მიღის, თან-და-თან დიდდება. სამრეწველო შრომის პირობების გაუმჯობესების ზედ-გავლენით უბედურ ბათა რიცხვი შედარებით მცირდება, მაგრამ აბსოლუტურად, მუშათა რიცხვის ზრდის თანახმად, მაინც თან-და-თან დიდდება. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა ვითარდება, დაშავებულ მუშათა უზრუნველ ყოფის საკითხს უფრო-და-უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა“ (В. Литвиновъ-Фалинскій, Отвѣтственность предпринимателей за увѣчья и смерть рабочихъ).

თუ როგორ ხშირია უბედური შემთხვევები და რამდენად დიდია დაშავებულ მუშათა რიცხვი თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში, ამას მკითხველი შემდეგი ციფრებიდანაც დაინახავს. ეს ციფრები მხოლოდ ორ სახელმწიფოს—გერმანიის და ავსტრიის—შეეხება.

დაშავდა:

| | | | | |
|---------|--------|------------------|-------|----------------|
| 1890 წ. | 198706 | მუშა გერმანიაში, | 16041 | მუშა ავსტრიაში |
| 1891 | 223057 | " | 21316 | " |
| 1892 | 234726 | " | 26298 | " |
| 1893 | 262339 | " | 32917 | " |
| 1894 | 280842 | " | 40259 | " |
| 1895 | 307833 | " | 54562 | " |
| 1896 | 349388 | " | 64655 | " |
| 1897 | 379367 | " | 69283 | " |
| 1898 | 404826 | " | 75146 | " |
| 1899 | 440632 | " | ? | " |

როგორც ხდავთ, ძალიან მსხვილი ციფრებია. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ავსტრიის შესახებს ციფრებში არაა შერიცხული ის უბედური შემთხვევები, რომლებიც სასოფლო მეურნეობაში მომხდარა.

„რუსეთში, სადაც მრეწველობა ნაკლებადაა განვითარებული და უბედურ შემთხვევათა სტატისტიკა ამ უკანასკნელ ხანამდის თითქმის არ ინიშნებოდა, მსხვერპლთა საერთო რიცხვი ბევრად ნაკლებია, ვიდრე გერმანიაში, მაგრამ იგი მაინც

აქაც შესამჩნევად დიდია. ოფიციალურ ცნობებით, საფაპრიკა
 ბრეწველობაში, რომელიც საფაპრიკო ინსპექციის ზედამხე-
 დველობას ექვემდებარება, მომხდარია უბედური შემთხვევა
 (1901 წ.) 27135, მთა-მაღნის მრეწველობაში (1899 წ.) —
 13321; აქ მითვლილი არაა ზოგიერთი ქარხნები, რომლე-
 ბიც ფინანსთა სამინისტროს ხელში გადავიდა და რომელთა-
 განაც მარტო ორში (1898 წ.) 7693 უბედური შემთხვევა
 მოხდა. მეორე ოფიციალურ წყაროს თანახმად, მთა-მაღნის
 მრეწველობაში ადგილი ჰქონია (1901 წ.) 12457 უბედურ
 შემთხვევას. აქ საოვალავში არაა ჩაგდებული სახაზინო ქარხ-
 ნები, რომელთა შესახებ „ანგარიშში“ სრულებით არ მოი-
 პოვება ცნობები. მაგრამ არც ერთი და არც მეორე სტა-
 ტისტიკა, რომელიც 50,000-ამდე უბედურ შემთხვევებით ჯამს
 იძლევა საფაპრიკო და სამთო-მაღნის მრეწველობისათვის, არ
 ჰარავს სავსებით მოვლენის ნამდვილს სისხლ-სიდიდეს, რადგან
 რუსეთში ყველა შემთხვევები არ ინიშნება ხოლმე, როგორც
 ამას თვით ოფიციალური გამოცემანი აღიარებენ. ნამდვილად
 უბედურ შემთხვევათა რიცხვი, სულ ცოტა, სამჯერ და ოთხ-
 ჯერაც მეტი უნდა იყოს იმაზე, რაც არის აღნიშნული, ესე
 იგი უნდა აღწევდეს 150-დან 200 ათას-მდის წელიწადში“
 (M. ლუშე, რანიულ ვიკი სახის მიერაცხოველი)

ომი საშინელ მოვლენად ითვლება, რადგან იგი აუარე-
 ბელ მსხვერპლს იწირავს და ათი ათასობით თვალებს იცის
 პატრიონს და მარჩენალს. ომშე უფრო საშინელ და საზარელ
 სურათს წარმოვგიდგენს სტატისტიკა, რომელიც მრეწველობა-
 ში ულროვოდ გარდაცვლილთა და დასახიჩრებულთა რაო-
 დენობას აღნიშნავს. აქ ესალმებიან წუთისოფელს ან სა-
 მუდამოდ ჰკარგავენ ჯანმრთელობას და მუშაობის შეძლე-
 ბას ისეთი ადამიანები, რომელთაც, გარდა თავის ძალ-
 ლობისა, არავითარი ქონება და საშუალება არ მოვახ-
 ბათ თავის სარჩენად და ცოლშვილის გამოსაკვებად. ცხა
 დია, თუ დაშვებულთა ლაშქარს სახელმწიფომ ყურადღება არ
 მიაქცია და მათი სვე-ბედი ასე თუ ისე უზრუნველ არ ჰყო,
 V

ეს ამოდენა ხალხი ქუჩებში უნდა გამოვიდეს და მათხოვორობას დაადგინ.

დაწინაურებულ ქვეყნებში ეს საკითხი მუშებისთვის სა-
 სარგებლოდ არის გადაწყვეტილი და მათი მდგომარეობა ასეთ
 უბედურ შემთხვევებში უზრუნველყოფილია. ყველგან გამო-
 ცემულია სპეციალური კანონები, რომელებითაც მუშის დამჭი-
 რავებელთ დავალებული აქვთ, რომ დაშავებულ მუშებს და-
 მათ ოჯახებს უზღლონ ზიანი და გაუწიონ ნივთიერი დახმარება.
 კანონი ავალებს წარმოების პატრონს უმწერდ და უპატრონოდ
 არ დასტოვოს მუშა, რომელმაც მას წარმოებას თავისი ჯან-
 მრთელობა ან მთლად სიცოცხლე შესწირა. გერმანიაში, ავსტ-
 რიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, ფინლიანდიაში დაწესებულია
 სავალდებულო დაზღვევა მუშებისა, რომლის ხარჯებსაც სრუ-
 ლად ან უუდიდეს წილად მუშის დამჭირავებელნი იხდიან. სხვა
 ქვეყნებში სპეციალური კანონებია გამოცემული და წარმოე-
 ბის პატრონთ უბედურ შემთხვევებში პასუხის მგებლობა აქვთ
 მუშების მიმართ დაკისრებული. გერმანიაში, მაგალითად, მუ-
 შათა დაზღვევის მიზნით, წარმოების პატრონი შეადგენენ
 ამხანაგობებს; თითოეული მწარმოებელი იხდის წლიურად მუ-
 შის თავზე განსაზღვრულ გადასახადს და შეაქვს დაზღვევის კა-
 საში. ყოველი მუშა, რომელსაც 3000 მარკაზე მეტი შემო-
 სავალი არა აქვს წლიურად, დაზღვეულია და დაშავების შემ-
 დეგ დაწესებული საზღაური ეძლევა. წამლობა და მოვლა არის
 მუქთი; თუ გარდაიცვალა, ეძლევა სამარხად არა ნაკლებ 50
 მარკისა, და მის ოჯახს $60\% / 0$ -დის მისი წლიური შემოსავლისა.
 თუ ისე დასახიჩრდა, რომ მუშაობა აღარ შეეძლება, — ინვალი-
 დი გახდა, — კასიდან ეძლევა პენსიად ორი მესამედი მისი წლიუ-
 რი შემოსავლისა. თუ დაშავებაშ სრული დაუძლეურება არ გა-
 მოიწვია და დაშავებულს მორჩენის შემდეგ ასე თუ ისე მუ-
 შაობა შეეძლება, დაკლებულს პენსიას აძლევენ, თანამდებ
 კარგულის ძალ-ღონისა. ერთად ერთი მთავარი ნაკლი რო-
 გორც გერმანის, ისე სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობისა
 ის არის, რომ დაშავების შემდეგ ინვალიდად გამხდარ მუშას

მთელი წლიური შემოსავალი არ ეძლევა პენსიად. (იხ. Gewerbe-Unfallversicherungsgesetz).

რესეტში დღემდის წარმოებაში დაზიანებულ მუშათა სასარგებლოდ არავითარი სპეციალური კანონი არ იყო გამოცემული. ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ვითომ დღემდის დაშავებულ მუშას არ ჰქონდეს უფლება თავის „ალისათვის“ ეჩივლა და ზარალი ეზღვვევინებია. არსებულ სამოქალაქო კანონის ძალით მუშას შეეძლო სასამართლოში ჩივილი, მაგრამ, როგორც კანონი ამბობს, მას უნდა დაემტკიცებია, რომ უბედური შემთხვევა წარმოების პატრონის დაუდევრობით ან სხვა გვარ გასამტკუნარ მოქმედებით იყო წარმომდგარი. და ამის დამტკიცება კი ბევრ შემთხვევაში ძნელი და შეუძლებელიც იყო. ვთქვათ, თასმამ მოიტაცა მუშა და ბორბალმა დაასახირა. დაშავებული მუშა ვერას გზით ვერ დაამტკიცებდა, რომ აქ ფაბრიკის პატრონს პირადად ჩაიმე ბრალი ედო. როგორც თასმა, ისე სატრიალებელი ბორბალი ფაბრიკის მოწყობილებას ეკუთვნის და ფაბრიკანტს თამაბად შეეძლო მუშისთვის ეთქვა—და ეს სავსებით კანონის თანახმად იქნებოდა:—თვითონ შენი ბრალია, რომ ბორბალს თავი დაასახირებინეთ.

„სამრეწველო ცხოვრების მიუდგომელ დაკვირვებას იმ დასკვნამდის მივყევართ,—სწერს სამართლიანად ბ. ლუნცი,— რომ დიდხალი უმრავლესობა უბედურ შემთხვევათა თვით წარმოების ტეხნიკურ პროცესისა, მისი მოწყობილებისა და პირობებისაგან გამომდინარეობს. საკითხს,—დამნაშავეა თუ არა წარმოების პატრონი, აქ თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უბედური შემთხვევები წარმოებაში განუშორებლად შეკავშირებულია ტეხნიკურს პროგრესთან. და თუ ზოგიერთ შემოხვევებში უბედურება მუშისავე ბრალით ან გაუფრთხილებლობით წარმოსდგება ხოლმე, უნდა გვახსოვდეს, თუ რა პირობებში სწარმოებს მუშაობა საფუძრიკო და საქართველო შენობებში. სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რომ მუშას, 12 საათს მყრალსა და მაშინების ღრიანცელით მოცულს სა-

ხელოსნოში დამწყვდეულს, გრძნობა გაფრთხილებისა, რომელიც აქვს ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, უჩლუნგდება. სტატისტიკაც ამტკიცებს, რომ უბედურ შემთხვევათა უმრავლესობა მუშაობის უკანასკნელ საათებში ჰქონდება და არა დასაწყისში. თუ „ბრალიანობაზე“ წავა საქმე, მხოლოდ „წარმოების ბრალიანობაზე“ შეიძლება ლაპარაკი, ე. ი. პროფესიონალურს ხიფათზე, რომელსაც სამრეწველო წარმოება წარმოადგენს მუშისათვის. ამიტომ მუშის დამჭირავებელთა პასუხის მგებლობის შემცველი კანონმდებლობა სულ სხვა, სამრეწველო ცხოვრებასთან დაახლოვებულს. საფუძველზე უნდა იყოს აგებული: მუშას არ უნდა სჭირდებოდეს იმის მტკიცება, რომ წარმოების პატრონის მოქადებისა და უბედურ შემთხვევას შუა რაიმე კავშირი არსებობს. პირიქით, მწარმოებელი პასუხს უნდა აგებდეს ყოველ უბედურ შემთხვევისათვის, რომელიც მუშას შეემთხვევა წარმოებაში ან წარმოების მიზეზით. ამ პასუხის მგებლობისაგან იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება განთავისუფლებულ იქმნეს, როცა დაამტკიცებს, რომ უბედური შემთხვევა ბუნების სტიხიური ძალით ან დაშავებულის ბოროტი განზრახვით იქმნა გამოწვეული“.

მეოთხმოცე წლებიდან, მრეწველობის განვითარების მიხედვით, რუსეთში ძალიან ხშირი მოვლენა გახდა მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგებში მუშების დაშავება და დასახიჩრება. გახშირდა საჩივრები და მუშების ზარალისა და ფაბრიკანტების პასუხის მგებლობის გამოსარკვევად გამართული პროცესები. თუმცა სამოქალაქო კანონი ვერაფერ ქომაგობას უწევდა მუშებს, მაგრამ მუშათა დასახიჩრების სურათები ისეთი შესაზღი იყო, რომ სასამართლოებმა მუშების საჩივრებს განსაკუთრებული კურადღება მიაქციეს და საქმეების გადაწყვეტა მუშების სასარგებლოდ იწყებს. ამ გარემოებამ გამოიწვია რუსეთში ახალი მოვლენა, რომელიც წინად თითქმის სრულებით არ არსებობდა. ეს არის: წარმოების პატრონთაგან მუშების დაზღვევა კერძო დაზღვევ საზოგადოებებში. დაზღვევის საჭიროება ცხადი და ნათელი შეიქნა თვით მწარმოებელთათვის. ისინი ჰქონდა ვდნენ,

რომ წარმოებაში ხშირი უბედურება აუცილებელი იყო. ჰედავ-
ლენენ აგრეთვე, რომ სასამართლოები ხშირად მუშების სა-
ჩივრებს აქმაყოფილებდნენ და მათ მოუღოდნელად საგრძნო-
ბელ ხარჯების გაღება უწევდათ. ამ ხარჯების წინდაწინვე გა-
მოთვლა ძნელი იყო და, მაშასადამე, ძნელი იყო მოსალოდ-
ნელ გასავალის გათვალისწინება და კომერციულ ვარაუდისა
და ანგარიშის გაწევა. იმათ საუმჯობესოდ დაინახეს, კერძო
საზოგადოებებში მუშის თავზე განსაზღვრული გადასახადი
შეეტანათ, მუშები იქ დაზღვიათ და უბედურ შემთხვევის
დროს მოსალოდნელი ფულის გადახდის შიში თავიდან აეცი-
ლებიათ. მე-1890 წლიდის მუშების დაზღვევის ოპერაციები
ძალიან მცირედ იყო რუსეთში განვითარებული. მაგრამ ამ
წლიდან დაზღვევის პრაქტიკა თანდათან გავრცელდა. 1901
წელს ფაბრიკებისა და ქარხნების პატრონებისაგან აქციონერულ
საზოგადოებებში მუშების დაზღვევის პრემიებად შეტანილ
ფულის ჯამი ავიდა 3,438,000 მანეთამდის და დაზღვეულ მუ-
შათა რიცხვი 1,200,000 კაცამდის.

მაგრამ მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ვითომ ამ
გვარ პრაქტიკის გავრცელებით მუშათა მდგომარეობა შესამჩნე-
ვად გაუმჯობესებულიყოს. დამზღვევი საზოგადოებანი კო-
მერციულის მიზნით და თავის სასარგებლოდ მოქმედებენ. იმა-
თი მისწრაფებაა, რაც შეიძლება, მეტი დაზღვევის პრემიები
აიღონ, ხოლო დაშავებულ მუშებს ნაკლები საზღაური მისცენ.
თავის წესდებებში ისეთი მუხლები აქვთ ამ საზოგადოებათ
შეტანილი, რომ პრემიების დიდალი ნაწილი მათვე რჩება
მოგებად და მუშებს მხოლოდ გროშების აღება შეეძლოთ
იმათვან.

„დაზღვევა აქციონერულს საზოგადოებებში, — სწერს
ბ. ლუნცი, — ბევრის მხრით მოუხერხებელი და საზარალო იყო
მუშებისათვის. ჯერ ერთი, თვით იდეა პროფესიონალური
რისკის ანუ ხიფათისა ბევრ ნაირად არის აქ შეზღუდული.
მაგალითად, ვთქვათ, ფეიქარი ფაბრიკის მეორე განყოფილე-
ბაში, სადაც იგი გაპგზავნეს, თასმამ მოიტაცა და დაშავა.

დამზღვევ საზოგადოებას შეეძლო მისთვის უარი ეთქვა, რა-
 დგან მუშა იმ განცოფილებაში არ დაშავებული, რომელშიაც
 საქსოვი მაშინებია დადგმული და, გაშასადამე, მარცხი იმ სა-
 ქმეზე არ მოსვლია, რომელიც დაზღვევის პოლისში გვაქვს
 აღნიშნულიო. იგრეთვე დამზღვევი საზოგადოება აღთქმულ
 ფულს არ აძლევდა დაშავებულ მუშას, თუ მარცხი წარმოე-
 ბის პატრონის მოქმედებით ან ბოროტი განზრახვით იყო გა-
 მოწვეული, ესე იგი უარი ეუბნებოდა ისეთ შემთხვევაშიც-კა,
 როცა მუშას შეეძლო საზღაურის მიღება არსებულ სამოქალა-
 ქო კანონის საფუძვლით. გარდა ამისა თვით საზღაური ისე
 მცირე იყო დაწესებული, რომ დაზღვევას მუშებისთვის ფრიად
 უმნიშვნელო სარგებლობა მოჰქმნდა. საზოგადო წესით, და-
 მზღვევ საზოგადოებისაგან მისაღები პრემია შეადგენს სიკვდი-
 ლის დროს დღიურ ქირაზე 1000-ჯერ მეტს და დაუძლებურე-
 ბისა ანუ ინვალიდობის დროს—1500-ჯერ მეტს. სხვა სი-
 ტყვებით რომ ვსოდეთ, დაშავებულ მუშის გარდაცვლის შე-
 მდეგ ოჯახი იღებდა მიცვალებულის $3\frac{1}{2}$ წლის შემოსავალს.
 ამ ციფრის სიმცირეს ყველა აღვილად მიხვდება, თუ გავიხსე-
 ნებთ, რომ სასამართლოში 10 წლის შემოსავლის თანასწორ
 საზღაურს უწყვეტდნენ დაშავებულ მუშას. სრული ინვალი-
 დობის დროს „საზოგადოება“ აძლევდა პენსიად დაშავებულს
 54—90 მან. წელიწადში. როც ინვალიდობა სრული არ იყო
 და დაშავებულს ცოტათი მუშაობა კიდევ შეეძლო, პენსია შე-
 სამჩნევად მცირდებოდა. ცხადია, თუ რა მცირე სარგებლობა
 ეძლეოდა მუშებს დამზღვევ საზოგადოებათაგან. და არც შეი-
 ძლებოდა, რომ ეს სხვა გვარად ყოფილიყო. დაზღვევა არ
 იყო კანონით დაწესებული და სავალდებულოდ გამოცხადე-
 ბული დაშავებულ მუშების უზრუნველ საყოფელად. იგი პედე-
 ბოდა წარმოების პატრონთა ნება-ყოფლობით, რომლებსაც
 უნდოდათ თავიდან მოეშორებიათ მარცხის „რიცხვი“. ის თან-
 ხა, რომელშიაც აზღვევდნენ ისინი მუშებს, ბევრად ნაკლები
 იყო იმ საზღაურზე, რომელიც, კანონის თანახმად, დაშავე-
 ბულ მუშას უნდა მიეღო. მხოლოდ ასეთ პირობით იყო ხელ-

საყრელი წარმოების პატრონთათვის შუშების დაზღვევა აქციონერულ საზოგადოებებში... დასასრულ, ფაბრიკანტები სარგებლობდნენ მუშების უვიცობით და დაზღვევის პრემიებს მუშებს ახდევინებდნენ, თუმცა კანონით მარტო სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს აწევს ვალად წარმოებაში დაშავებულ მუშების ნიერიერად დაკმაყოფილება ..

„მაგრამ მთავარი ნაკლულევანება კერძო დაზღვევისა იმაში მდგომარეობდა, რომ დამზღვევი საზოგადოებანი ყოველის გზით ცდილობდნენ მოექრათ და შეემცირებინათ და შავებულ მუშებისთვის მისაცემი დახმარება. ეს დასავამობი მხარე საზოგადოებათა მოქმედებისა ისე გადიდა და თვალსაჩინო შეიქნა, რომ უკანასკნელ ხანებში ყველას ყურადღება მიიპყრო. მუშების მოტუუბისა და გაცარცვის წესი ყველგან ერთი და იგივე იყო. ვთქვათ, დაშავდა დაზღვეული მუშა და დარჩა ოჯახი უსახსროდ და უარაհაოდ. მოდის დამზღვევი აგენტი, მთავარი გმირი ფარულის დრამისა და, იმის მაგივრად რომ უმწეოდ დარჩენილთ კუთვნილი საზღაური შეაძლოს, იწყებს ვაჭრობას და ჰპირდება უმნიშვნელო საგლახაკო მოწყალებას. ისინი არ თანხმდებიან და აგენტი ისევ უკან ბრუნდება. და, აი, ღატაკი რჩებიან ულუქმა-პუროდ, დღეებს აღამებენ ქარხნისა და ფაბრიკის კანტონის წინ და თხოულობენ დახმარებას. მაგრამ ფული არ არის და—არა. აგენტი ჰლალავს შიმშილით თავის კლიენტებს და ბოლოს ესენიც ყველაფერზე თანხმდებიან. რასაკვირველია, დაზარალებულ მუშებს უფლება აქვთ სასამართლოს მიმართონ, მაგრამ პროცესი, როგორც ყველამ იცის, შეიძლება გაგრძელდეს და ნამდვილადაც გრძელდება რამდენ-სამე წელიწადს, ხოლო მუშებს ეხლავე ესაკიროებათ დახმარება. ამიტომ მათ მეტი გზა არა ჰქონდათ, თავი უნდა მოედრიკათ და ყველაფერზე დათანხმებულიყვნენ. თითქოს წარმოების პატრონთ შეეძლოთ გამოსულიყვნენ თავის მუშების მოსარჩლეებად, მაგრმ ესეც არ მოხდა. იმათ რომ მოეთხოვათ დაზღვეულ მუშებისათვის სრული დაკმაყოფილების მიცემა, მაშინ დამზღვევი აგენტები დაზღვევის პრემიების გადიდებას დაემუქ-

რებოდნენ და ამიტომ პირველი რჩეობდნენ სრულიად წელი
 დაებანათ ამ საქმეში. 1902 წელს მიწათ-მოქმედების სამინისტრ-
 რომ ღ. ბერტენსონი გაცვალა სამხრეთ-აღმოსავლეთის მთა-
 მადნის რაიონში ცნობების შესაგროვებლად და ამ მოხელემ
 მართლა შეჰქრიბა მრავალი მასალა, რომელმაც ის იმ დასკვნამ-
 დის მიყვანა, რომ „მთავრობის ინსპექციის მოხსენება და ზექ-
 დეითი სიტყვით გამოთქმული აზრი ამ სფერიში არა ნორმარულ
 მდგომარეობისა და კერძო დაზღვევის გაუმჯობესების შესახებ
 სრულიადაც გადაჭარბებული არაა და ლირსია მთავრობის მხრივ
 განსაკუთრებული იურიადლებისა“. „დამზღვევი საზოგადოებანი,
 სწერს ოფიციალურს მოხსენებაში ოლქის ინჟენერი ბ. აბრა-
 მი, —ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მუშებს მისაცემი პრე-
 მიები მოუკლონ; მაშინაც კი, როცა მუშა დაშავების შემდეგ
 ჰკვდება ან სრულიად ინვალიდი ჰქვდება, მაშინადამე, ისეთ
 შემთხვევაში, როდესაც მისაცემი პრემია მტკიცედ განსაზღვრუ-
 ლია, დამზღვევი საზოგადოებანი სულ მცირე თანხიდან იწ-
 ყებენ მუშებთან ვაკრობას“. ოლქის ინჟენერის ხოვანსკის
 მოხსენების თანახმად, „დამზღვევი საზოგადოებანი, თუ მუშამ
 უკმაყოფილება გამოიცხადა, აშინებენ მას, —პრემიას სულ მო-
 გისპომოლ, და მუშას სხვა გზა აღარ რჩება, —უნდა მიმართოს
 სასამართლოს, სადაც, როგორც მრავალი მაგალითები გვიმ-
 ტკიცებენ, საზოგადოებანი განგებ აქიანურებენ საქმეს 5 წლამ-
 დის; ამით იტანჯება და ზარალობს მხოლოდ დაშავებული მუ-
 შა, რადგან დამზღვევ საზოგადოებას, რომელსაც მუდმივი და-
 ქირავებული იურისკონსულტები და აგენტები ჰყავს, შეუძლია
 დაუსრულებლად გააგრძელოს საჩივარი“. საზღაურის დანიშვნა-
 ში აგენტები სრულს თვითნებობას იჩენდნენ და მიუხედავად
 იმისა, რომ ექიმი მტკიცედ განსაზღვრავდა სხეულის ზიანის
 მნიშვნელობას, დაშავებულ მუშებს „შეუფერებლად მცირე
 საზღაურს აძლევენ“. ზოგიერთ მაღნებში სამკურნალო ექს-
 პერტინას სრულებით არ ახდენდნენ და ყველაფერს „აგენტი
 სწყვეტდა თავის თვითნებურ შეხედულების თანახმად“. იყო
 ისეთი მაღნებიც, სადაც „ექიმები დამზღვევ საზოგადოებათაგან

იყვნენ დაქირავებულნი და, მაშასადამე, ნამდვილად ამ საზოგადოებათა აგენტების როლს ასრულებდნენ“. ვაკრობა, დაშინება, საქმის გაქიანურება პრემიების მიცემის დროს,—ი ის ხერხი, რომელთაც ხმარობდნენ ხოლმე იგენტები და მიზანსაც იღწევდნენ მუშების უვიცობისა და გამოუცდელობის წყალობით. აგენტების ამგვარ ხრიკების შეოხებით დაზღვეულ მუშებისაგან მიღებული პრემიები იმ ზომაზე დაფიდა, რომ ადამიანის ღირსების ნამდვილ სასაცილოდ აგდებას მოასწავებდა. პ. კულეშოვმა გამოაქვეყნა ფაქტები, რომელნიც ზიზძს მოჰკვრიან ადამიანს. დამზღვევმა საზოგადოებამ, „ხანგრძლივის ვაკრობის შემდევ“, დაშავებისაგან გარდაცვლილ მუშების ოჯახებს მისცა ერთ შემთხვევაში 30 მან., ხოლო მეორე შემთხვევაში 30 მან. და გზის ფული მიცვალებულის ცოლისა და 2 მცირე-წლოვან ბავშვის სოფელში გასაგზავნად; მესამე შემთხვევაში გაიღო 100 მან., „ასეთი დაფასება მუშაობისაგან დაღუპულ მშრომელთა ბევრად ნაკლებია იმ ფასზე, რა ფასადაც იყიდება ოთხფეხი საქონელი მაზანდიან წლებში ჩვენს იარმარკებზეო“, დასტენს ამ მოხსენების შემდგენი.

ასეთ მდგომარეობაში იყო დაზღვეულ და დაზღვეველ მუშების სვე-ბედი, სანამ ეხლანდელი (ახალი) კანონი წარმოებაში დაზიანებულ მუშათა შესახებ გამოიცემოდა და ძალაში შევიდოდა. ამ კანონის მთავარმა აზრმა დიდი და გრძელი ჭაპან-წყვეტა გამოიარა, სანამ განხორციელდებოდა და სავალდებულო კანონის სახეს მიიღებდა. ამ კანონის სათავე იწყება მეოთხმოცე წლებში მინისტრის ვიზნეგრადსკის დროიდან. ამ მინისტრის ხელიდან პროექტი ახალ მინისტრს ვიტოეს გადაეცა, რომელმაც ვიზნეგრადსკის აზრი ბევრის მხრით შესცვალა და მუშების სასარგებლოდ გააუმჯობესა. ვიტოეს პროექტი სახელმწიფო საბჭომაც მოიწონა, მაგრამ დაკანონება მაინც ვერ ეღირსა: სასულიერო უწყების ერთ უმაღლეს წარმომადგენლის გავლენის წყალობით, 1893 წელს ფინანსთა მინისტრის პროექტი დაწუნებულ იქმნა და ხელახლა დაუბრუნდა სამინისტროს შესასწორებლად. პროექტი 10 წლით დაიმარ-

ხა სამინისტროს კანცელარიაში და მხოლოდ შარშან, ზე-
 ცვლილი და „შესწორებული“, დამტკიცებულ იქმნა ხელ-
 შწიფისაგან.

მართალია, ეს კანონი ბევრის მხრით ბდარეა და ჩამორ-
 ჩება დასავლეთ ევროპის ამგვარსავე კანონმდებლობას, მაგრამ
 თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქამდის რუსეთში სკეცია-
 ლური კანონი დაშავებულ მუშების უზრუნველსაყოფელად
 სრულებით არ არსებობდა, და თუ ახალი კანონის შინაარსს
 შევადარებთ წინად მომქმედ სამოქალაქო კანონებს, დავრჩმუნ-
 დებით, რომ ეხლანდელ კანონის გამოცემა ერთ თვალსაჩინო
 ნაბიჯის წინ გადადგმას მოასწავებს რუსეთის სოციალურ კანონ-
 მდებლობაში.

ამიერიდან, ამ კანონის თანახმად (იხ. В. Литвиновъ—
 Фалинскій, Новый законъ о вознагражденіи увѣчныхъ рабочихъ,
 Спб. 1904), წარმოების პატრონნი საფაბრიკო და სამთა-მაღნო
 მრეწველობაში ვალდებული არიან უზღონ ზიანი და ნივთიე-
 რი დაკმაყოფილება მისცენ მუშას, განურჩევლად სქესისა და
 ასაკისა, რომელიც წარმოებაში დაშავდება და, ამ დაშავების
 გამო, სამს დღეზე მეტის ხნით საქმეს მოსცდება. მაშასადამე,
 საზღაური უნდა მიეცეს დაშავებისაგან გარდაცვლილის ოჯახს,
 დაშავებითვე დაავადმყოფებულს (მორჩენამდის) და ინვალიდად
 გამხდარს. სანამ დაშავებული მუშა მორჩებოდეს ან დამტკიცდე-
 ბოდეს, რომ მისი დასახტრება სამუდამოდ უსპობს მას სრუ-
 ლიად ან ნაწილ მუშაობის შეძლებას, მას უნდა მიეცეს დღი-
 დან დაშავებისა იმ ქირის ნაცვარი, რომელსაც დაშავებამდის
 იღებდა. როცა გამოირკვევა, რომ უბედურ შემთხვევის გამო
 მუშა სამუდამოდ სრული ინვალიდი გახდა, მას ენიშნება წლიუ-
 რი პენსია, რომელიც მისი წლიური ქირის ორ მესამედს ეთა-
 ნასწორება. თუ ინვალიდობა სრული არა და დაშავებულს
 მერმისში ცოტათი მუშაობა შეეძლება, პენსიაც შესაფერად
 ნაკლები ენიშნება. გარდა ამისა კაპიტალისტი ვალდებულია
 უზღონს მუშას წამლობაზე გაწეულა ხარჯი. თუ დაშავებას მუ-
 შის სიკვდილი მოჰყვა შედეგად, წარმოების პატრონმა უნდა

მისცეს 1) სამარხად: 30 მან. სრულწლოვანს და 15 მან. მცირე წლოვანს და 2) პენსია მიცვალებულის ოჯახს: ქვრივს ერთი მესამედი, შვილებს, სანამ 15 წლის გახდებოდნენ, თითოს ერთი მეექვსედი (თუ ერთ-ერთი მშობელი კიდევ ცოცხალი ჰყავო) ან ერთი მეოთხედი (თუ სრული ობლები არიან), ობოლ ძმებსა და დებს, სანამ 15 წლის გახდებოდნენ, თითოს ერთი მეექვსედი გარდაცვლილის წლიური ქირისა და სხვ. ყველა ამ პირთ პენსია ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმათ დაშავებისაგან გარდაცვლილი მუშა ინახავდა. თუ ქვრივი გათხოვდა, სამუდამო პენსიის მაგივრად ერთდროებით ეძლევა 3 წლის დახმარება. მთელი ოჯახის სხვადასხვა წევრთათვის დანიშნული წლიური პენსია საერთოდ არ უნდა აღემატებოდეს გარდაცვლილის წლიურ ქირის ორ მესამედს. თუ ორივე მხარე თანახმა იქნება, მუშის შეირავებულს შეუძლია, წლიური პენსიის მაგივრად, ერთდროებითი გადასახადით გაუსწორდეს მუშას. თითოეულ კერძო შემთხვევაში საზღაურის რაოდენობა განისაზღვრება იმ წესით, როგორც კანონშია ნაჩვენები. საფაბრიკო ინსპექტორი მოსაშუალე პირია მუშებსა და ფაბრიკანტებს შორის. იგი უთავებს მორიგებით ორივე მხარეს საქმეს, ხოლო თუ შეთანხმება არ მოხდა, აღენს ოქმს, რომელშიაც აღნიშნავს, თუ რა გვირი საზღაური ერგება დაშავებულ მუშას. ამ შემთხვევაში მუშამ სასამართლოს უნდა მიმართოს და სასამართლოს წესით უნდა მიიღოს წარმოების პატრონისაგან დაკმაყოფილება. საჩივრის დაწყება მას შეუძლია დაშავების დღიდან არა უვითარეს ორის წლისა. ეს კანონი ეხება არა მარტო მუშებს, არამედ იმ მოსამახურებებსაც, რომელნიც წარმოებაში მოქმედებენ და წლიურ ჯამაგირად 1500 მანეთზე მეტს არ იღებენ. მრეწველი ვალდებული არაა მისჯეს რამ დაშავებულ მუშას, თუ დაამტკიცებს, რომ „უბედურ შემთხვევის მიზეზი იყო ბოროტი განზრახვა თვით დაშავებულისა ან მასის მხრით ცხადი გაუფრთხილებლობა (გრუნაა ნეისტორიზმისა), რომელსაც არ ამართლებს წარმოების პირობები და მოწყობილობა.“

ეს არის მთავარი აზრი ახლად გამოცემულ კანონისა. მკითხველი თუ დაუკირდება, უეჭველია, თითონ შეამჩნევს

ამ კანონის ჩამდენსამე ნაკლულევანების. პირველი ამისი ნაკლი ისეთია, როგორიც ახლავს დასავლეთ ევროპის ამგვარ-სავე კანონმდებლობას. დაშავების გამო სრულ ინვალიდად გამხდარ მუშას და გარდაცვლილის ოჯახს ეძლევა არა სრული ქირის თანასწორი პენსია, არამედ მარტო ორი მესამედი. ჯანმრთელობის დაკარგვა თავის თავად აღუდგენელი დანაკლისია. დასახიჩრებულ მუშას ისიც ეყოფა, რომ იგი ჰქარ-გავს წარმოებაში ჯანს, მხედველობას, სხეულის სხვა და სხვა ორგანოებს. ამისი აღდგენა არავითარ კანონს არ შეუძლია. სამაგიეროდ კანონს შეეძლო ის შემოსავალი მაინც სრულად მიეცა მუშასთვის როგორებული დაშავებული უბედურ შემთხვე-ვამდის იღებდა. ვინ იცის, იქნება ამ კაცს თავისი საქმე ისე წა-ეყვანა, რომ თავისი წლიური შემოსავალი ერთი ორად გაე-დიდებია. კანონი-კი არა თუ უდიდებს შემოსავალს, იმასაც კი უკლებს, რაც აქამდის ჰქონდა. ეტყობა, ამ „პუნკტში“ კაპიტა-ლისტა ინტერესებს უფრო გაუმარჯვნია, ვიდრე კაცობრივა-რეობას და სამართლიანობას.

კაპიტალისტის შებრალება და შეცოდება სჩანს აგრეთვე კა-ნონის იმ ალაგას, სადაც მუშის „ცხადი გაუფრთხილებლობაა“ ნახსენები. ადვილი გასაგებია, რომ ამ მუხლის ძალით მრეწვე-ლებს საშუალება ეძლევა ბევრ შემთხვევაში სრულიად უარი უთხრან და მშრალზე დასტოვონ დაშავეშული მუშები. ძნელი არ არის იმის დამტკიცება, რომ ხშირად მუშა მაშინას „გაუ-ფრთხილებლად“ ექცევა. ყოველი ადამიანი, რომელიც შეე-ჩევეა რაიმე იარაღს, სიფრთხილეს ჰქარგავს და იარაღთან ცო-ტად თუ ბევრად გაუფრთხილებელი ჰქდება. განზრას ხელ-ფეხს არავინ მოაკვეთინებს მაშინას, და თუ მუშა წარმოებაში ზიანდება და სახიჩრდება, არა იმის გამო, რომ ვითომ ეს მას უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი უბედური შემთხვევები აუცილებელია თანამედროვე აბობოქრებულ წარმოებაში და ყველა ადამიანი ვერ ასცდება მოსალოდნელ უბედურებას.

კანონის ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ის გარე-მოებაც, რომ დაშავებულ მუშების დაკმაყოფილების საქმეში

საფაბრიკო ინსპექტორებს ძალიან ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული. ეს ისეთი რთული საქმეა და ამ მოხელეებს უა-მისოდაც იმდენი სხვა სამუშაო აქვთ, რომ ახლად დაკისრე-ბულ მოვალეობის მიუღომლად და პირნათლად ასრულება მათთვის მეტად ძნელი იქნება... არ უნდა დავივიწყოთ, რომ საფაბრიკო ინსპექტორს დამოუკიდებლად მოქმედების უფლე-ბა აღარ აქვს,—იგი, უკანასკნელ ხანებში გამოცემულ განკა-რგულების თანაბმად, ადგილობრივ პოლიციის ხელქვეოთია და აღმინიტრაციის ორგანოებს ემორჩილება...

სისრულე აკლია კანონს აგრეთვე ამ მხრივაც: იგი არა-ვითარ გარანტია არ აღლეს დაშავებულ მუშას, რომ ეს უკა-ნასკნელი ყოველთვის მიიღებს იმ საზღაურს, რომელიც ერ-გება. ადვილი შესაძლებელია, რომ მრეწველს კომერციული საქმეები ცუდად წაუვიდეს და გაკოტრების გზაზე დადგეს. კანონი ასეთ შემთხვევაში უზრუნველ არ ჰყოფს მუშას და კანონმდებლისაგან დაწესებული საზღაური მუშისთვის ნამდვი-ლად ყინულზე დაწერილ დაპირებად რჩება...

დასასრულ, მთავარი ნაკლია კანონისა იმაში მდგომარეო-ბს, რომ იგი ყველა მუშებს არ ეხება და ყოველ დაშავებულ მუშას არ შეუძლია ამ კანონით სარგებლობა. კანონის მოქ-მედების სფერა მარტო საფაბრიკო და სამთა-მადნო მრეწვე-ლობის მუშებს შეეხება, ე. ი. ისეთ წარმოებათ, რომელიც საფაბრიკო ინსპექციას ექვემდებარებიან. ახალ კანონის მოქ-მედების სფერიდან გამორიცხულია ხელოსნური წარმოება. და ამ გარემოებას კი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლებ არის მსხვილი მრეწველობა განვითარებუ-ლი. კპიტალსტურ წესით წარმართულ წარმოებათა უმრავ-ლესობა, მათში მოქმედ მუშებს რიცხვის რაოდენობით, უფ-რო ხელოსნურს უახლოვდება. 1899 წლის ცნობების თანა-ხმად, ტფილის-ქუთაისის გუბერნიაში იყო სულ 1782 „კა-პიტალისტური“ საწარმოებო დაწესებულება, რომელშიაც 13006 მუშა მუშაობდა. მათგან 10 მუშაზე ნაკლები ჰყავდა 1706 წარმოებას და ანუ 95,7%-ს, ხოლო 10 მუშაზე მეტი—და-

ნარჩენ 4,3% -ს. იმ წვრილ საწარმავო დაწესებულებებში მომქმედ მუშათა რიცხვი იყო 6694 ანუ მუშათა საერთო რიცხვის 51,4% ცხადია, ჩვენებურ მუშების დიდი ნაწილი ვერ ისარგებლებს ახალი კანონით, რადგან ისინი ხელოსნურ წარმოების კატეგორიაზე მიკუთვნებულ სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობენ. გარდა ამისა კანონი არ ეხება იგრეთვე სასოფლო მეურნეობაში მომქმედ მუშებს და შენობების აგებაზე მომუშავეებს. ეს უკანასკნელი გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ შენობებზე მუშების დაშავება ძალიან ხშირ მოვლენას შეადგენს ჩვენში.

მიუხედავად ყველა აქ ნახსენებ და არ ნახსენებ ნაკლისა, ახალი კანონი მაინც, როგორც ვთქვით, რუსეთის სოციალურ კანონმდებლობის წინმსვლელობის მაჩვენებელია. წინანდელ წესთან შედარებით იგი შესაჩინევად აუმჯობესებს დაშავებულ მუშების ნივთიერ მდგრამარეობას. იმის შემდეგ წარმოების პატრონები და დამზღვევი საზოგადოებანი წინანდებურად ვეღარ მოსდებენ მუშებს სხვა და სხვა გვარს ხრიკებს და ფულის მიცემის დროს ვეღარ დაუწყებენ ისე ვაჭრობასა და ჯანჯლობას, როგორც აქამდის შვრებოდნენ. ისინი ვალდებული არიან, კანონის თანახმად გაუსწორდნენ კაპიტალისტის მოგებისათვის მსხვერპლად შეწირულ მუშებს და მუშების დაობლებულ ოჯახებს...

ფ. გაგიჩაშვილი.

უცხოეთის მიმოხილვა

1. ლიაოიანის ბრძოლა („Русь“ და „Гражданинъ“); იაპონელი ქალი.—2. ამსტერდამის კონგრესი

მერვე თვეა, რაც შორე აღმოსავლეთში ზარბაზანი ჰქონდა
 და ადამიანის სისხლის ნიაღვარია. რუსის ჯარი თავგანწირული
 იცავს თავს, იაპონელი მედგრად და უეუჩერებლად მი-
 დის წინ... უდიდესი, უმნიშვნელოვანესი ბრძოლა ამ შვიდის
 თვის ომიანობისა ლიაოიანთან მოხდა. ნახევარი მილიონი
 ჯარის-კაცი იბრძოდა, ათას ორასზე მეტი ზარბაზანი ჰქონდა;
 სამოც ათასამდე კაცი დააკლდათ მებრძოლ ჯარებს. ლიაოია-
 ნი იაპონელების ხელშია და ეხლა მუკდნისაკენ მიღიან...

ლიაოიანის ბრძოლას გულის ფრცქალით მოელოდნენ
 ყველგან, რაღან აქ უნდა გადაწყვეტილიყო ამ წლის მთელ
 ლაშქრობის ბედი... პრესა სულ ამ ბრძოლის იღწერითა და
 დაფასებით არის სავსე. გაზეთი „რუს“-ი*) სწერს თავის მე-
 თაურში:

„კუროპატკინშა ლიაოიანის დაცლა და ჩრდილოეთისა-
 კენ წასვლა ბრძანა.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ვაჟაპობა და სამხედრო
 ნიჭი კუროპატკინისა, კარგად ვიცით აგრეთვე ჩვენის ჯარის
 სიმამაცეც. ამიტომ ჩვენთვის ეჭვს გარეშეა ის გარემობა,
 რომ მთავარ-სარდალმა ბრძანა ლიაოიანის დაცლა, რაღან
 შეუძლებელი იყო ამ მნიშვნელოვან პუნქტის შენარჩუნება.
 იაპონელების ძალა ამ შემთხვევაშიაც იმდენად დიდი აღმოჩნ-

და, რომ საბოლოოდ შეგმა მათთან, ცხადია, გონიერების წინააღმდეგი იქნებოდა.

ლიაოიანთან მომხდარ ცხრა დღის ოპერაციების დაწვრილებითი შესწავლა სამხედრო კრიტიკოსების საქმეა. მაგრამ თვით ფაქტს ლიაოიანის მიტოვებისას აქვს არა მარტო სამხედრო მნიშვნელობა, არამედ საზოგადო პოლიტიკური, რომელსაც უეჭველად გავლენა ექნება საქმეთა მომავალ მიმდინარეობაზე.

არ უნდა დავფაროთ, რომ რუსის საზოგადოება არ მოელოდა ლიაოიანის მიტოვებას. ყველას ეკონა, რომ დადგა დრო, როცა ჩვენი ჯარი საბოლოო ბრძოლის გადაუხდიდა აქ მტერს. ასე ესმოდათ კუროპატკინის დეპეშაც, სადაც მთავარ-სარდალი ამბობდა, რომ ჯარი ელის მტერთან შეტაკებასო. ეს იმედები არ გამართლდა და ამის აუცილებელი შედეგი იქნება უფრო ხანგრძლივი ომიანობა. ის დრო, როცა ჩვენი ჯარი მოგერებიდან იყრიშე უნდა გადასულიყო, ჯერ კიდევ შორს არის. ამ გარემოებას კი არ შეიძლება გავლენა არ ექნეს პორტ-არტურის ბედ-ილბალზე და იაპონელ ჯარების ოპერაციების განვითარებაზე.

ლიაოიანის მიტოვება უკვალოდ არ ჩაივლის ჩინეთის-თვისაც, რომელიც იაპონიის ავიტაციის ზედგავლენით ისე-დაც შლელვარე მდგომარეობაშია. იაპონელებიც თავის მხრივ, რასაკვირველია, ყოველ ღონეს იღონებენ, რომ რაც შეიძლება მიართვან ჩინელებს მუკდენი და თან დანახარჯი მოითხოვონ, რომელსაც მაშინვე მიიღებენ.

აი ყველა ეს არა სასიკეთო გარემოებანი ნებას არ გვაძლევს თავი ვინუგეშოთ იმით, რომ ვითომც ყველაფერი სასურველად მიღიოდეს, რაღაც უკან-უკან დახევით დროს ვიგებთ და, მაშასადამე, ჩვენი ჯარების რიცხვი იზრდება, მაშინ როდესაც იაპონელები თანდათან შორდებიან თავიანთ ბაზას და მით ძალა აკლდებათ. ასეთ მოსაზრებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა საფუძველი, თუ რომ იაპონიას არ შეეძლებოდა ჯარების გამრავლება სამხედრო მოქმედების ასპარეზზე.

უცხოეთის მიმდინარეობა

გაშინ, რასაკვირველია, რაც უფრო დაშორდებიან იაპონელები თავიანთ ბაზას, მით უფრო სუსტები იქნებიან. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც ჩვენ, ისე იაპონელებსაც შეუძლიანთ გააძლიერონ თავიანთი ჯარები. ის სტატისტიკური ცნობები უქსახებ იაპონიის ჯარებისა, რომელიც ჩვენ წინად გვქონდა ხელში, მართალი არ გამოდგა, როგორც ფაქტებმა დაგვიმტკიცეს. ჩვენგან წარმოდგენილი მაქსიმუმი იაპონიის ძალებისა სიმართლეზე ბევრად ნაკლები აღმოჩნდა. საფიქრებელია, ამის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ იაპონიის მთავრობა მეტ ხალხს იწვევს ჯარში, ვიდრე ოფიციალურ შტატებშია გამოქვეყნებული. იაპონიის ერთს სამხედრო ენტუსიასმი უმაღლეს ხარისხს არის მიღწეული, ხალხის ყოველი ელემენტი მხურვალედ არის გატაცებული ომიანობით; ასეთ პირობებში „ოპოლენციციურ“ კი შვიდის თვის ვარჯიშობის შემდეგ (რაც ომი დაიწყო) ნამდვილ ჯარის კაცად გადაიქცა და იმისი საომარი ლირსებანი დღითი დღე იზრდება. ამ გვარად იაპონიის მთავრობას ჰყავს მეომრები სამხედრო მოქმედების ასპარეზზე გასაგზავნი, ჯერ თუნდ ზურგის ჯარად, და შემდეგ კი ბრძოლის ველისთვისაც.

რასაკვირველია, იაპონიის ჯარი თავის ძალ-ღონით, რაც არ უნდა მოინდომონ, დაახლოვებითაც ვერ შეედრება რუსეთის მთელ მხედრობას. ჩვენი ჯარი შეუდარებლად ძლიერია იაპონიისაზე. მაგრამ ჩვენ მტერს ერთი დადი უპირატესობა აქვს: ადვილი მისვლა მოსვლა მეტროპოლიიდან (იაპონიიდან) სამხედრო მოქმედების ასპარეზზე. რაკი ზღვაზე გაბატონდა, იაპონიას შეუძლია რამდენსამე დღეში ათასობით გადაისროლოს ჯარის კაცი თავის შუაგულიდან მოწინავე პოზიციებზე. ჩვენ კი, მიუხედავათ ციმბირის რკინის გზის უეპველ ლირსებათა, არ შეგვიძლია ათი ათასი ვერსტი გადავლახოთ და ჩქარა გავაძლიეროთ ჩვენი ჯარები. ასეთ პირობებში ბრძოლა ჩვენთვის არ შეიძლება მძიმე არ იქნეს.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ბოლოს უთუოდ გავიმარჯვებთ. მაგრამ ამ გამარჯვების მიღწევა მოითხოვს

ჩვენგან სერიოზულ ძალასა და მსხვერპლს. და ჩვენც უნდა მოვემზადოთ ამისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოს არაებითი ინტერესები.

ეს დღეები იყო დღეები ისეთ ამბებისა, რომელიც სულიერ წამებას აყენებდა რუსეთის საზოგადოებას, და არც აღმოიფხვრება თვითეულის მახსოვრობიდან. სურვილი, შინაგანი მოთხოვნა ერთის მხრით და სინამდვილე, მეორეს მხრივ, იბრძოდნენ და აზრს სტანჯავდნენ. მარტოობა აუტანელი იყო. ერთად იკრიბებოდნენ არჩევდნენ მოსულ ცნობებს და მასში ეძებდნენ ახალ რწმენა-იმედს მომავლისას, სახელმწიფოსას, ხალხისას... და სიმშვიდეს სულისას აღწევდნენ, რადგან იმედი სჩნდებოდა. უტყვობა—აი ის ბურუსი, რომელშიაც ერთობ ვრცელდება შიში. ვისურვოთ, რომ რუსულ შეწერლობაში უტყვობის მაგიერ სიტყვა გამეფებულიყოს, უაზრობის მაგიერ აზრი და ისიც სინიდისიერად, მიუკერძებლად დაეხმარება საზოგადოებასა და სახელმწიფოს მიმდინარე მოვლენათა განხილვაში და საიმედო, მტკიცე გზის მოძღვნაში.«

იმავ ლიაოიანის ბრძოლის გამო „გრაუდანინ“-ში *) სწერს „სერენკი“:

„... ადამიანის ბუნება შესდგება წინააღმდეგობათაგან: უბედურებაში ბედნიერებაზე ოცნებობ, ავათმყოფობაში ჯანსალობაზე და ბრძოლის დროს მშეიდობიანობაზე, დასვენებაზე...“

მაგრამ მშეიდობიანობაზე ოცნება ეხლა იგივეა, რაც ქარიშხალში გზა-დაკარგულისათვის ძილზე ოცნება; ძილი ისეთ უბედურისათვის სიკვდილია. მშეიდობიანობის ჩამოგდება ჩვენ დამარცხებათთა შემდეგ იქნება ჩვენი პოლიტიკური სიკვდილი. ამას გვეუბნება შინაგანი ხმა, და რამდენ მეტს ჰქონიერობ ამაზედ, მით უფრო ღრმად ეფლები ეჭვის მორევში. როცა მიჰმართავ მაღალ გონებისა და ნების ძალის პირებს, სახელმწიფო კაცებს და ჰქითხავ: „რა იქ-

*) 68. №

ნება, რა მოხდება?“—ო,—მხრებს იჩეჩნ და დალვრემილად გიპასუხებენ: „არ ვიცით“—ო. რუსეთს კი დღევანდელსაცით არასოდეს არ დასჭირებია მხნე და მტკიცე ცოდნა. მაგრამ სად არის იგი? წინადვე როგორ უნდა მოვისაზროთ მოვლენანი, რომელიც თავბრუ დამხვევ სიჩქარით მოსდევენ ერთი მეორეს? გუშინ კიდევ იყვნენ ჩვენ შორის ოპტიმისტები: დღეს კი თითქმის სრულიად აღარ მოიპოვებიან. სანამ ჩვენი ჯარები ლიაონის სამხრეთით იდგნენ, ჩვენი დამარცხებანი გვეჩვენობოდა კანონიერად, ლაშქრობის გეგმაში წინადვე მოსაზრებულად. და როცა ეს ჯარები ჩრდილოეთისაკენ წამოვიდნენ, კველაფრის აზრი შეიცვალა. „გეგმაზე“ აღარ ლაპარაკობენ. მხოლოდ ტანჯვით ეყიოხებიან ერთმანერთს: მთასწრობენ კი უკან დახევას? ან გზას ხომ არ მოუჭრიან? ის მყირალა პატრიოტები, რომელიც ომის დაწყებისას დამარცხებას და დამცირებას უქადონენ იაპონელებს, დღეს თავმდაბლად გაიძახიან, რომ ფაქტს უნდა შევურივდეთო: იაპონის ჯარს აქვს ჩვენი ჯარის ცველა ლირებულებანი და კიდევ მეტიც—განათლება და უაღრესად განვითარებული მამულის-შვილობა. ასეთ ჯარის იერიშის მოსაგერებლად აუკილებელია, რომ იმდენივე ჯარი მაინც გვყავდეს; ჩვენის გამარჯვებისათვის კი საჭიროა, რომ ორჯელ, სამჯერ მეტი ჯარი გვყავდეს, ვიდრე იაპონელებს ჰყავთ. თანდათან იჩკვევა, რომ ჩვენი ცნობანი შესახებ იაპონის ჯარის რაოდენობისა ნამდვილი არ იყო. იაპონისა უნდა შეეძლოს 400 ათას¹⁾ კარგად შეიარაღებულ და გაშვრონილ ჯარის-კაცის გამოყვანა. ასეთ ჯარის მოსასპობად (სხვაფრივ კი ჩვენი გამარჯვება გამარჯვება არ იქნება) ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სულ უკანასკნელი ერთი მილიონი ჯარი. მაგრამ მტრის ჯარის მოსპობის შემდეგაც ჩვენი გამარჯვება სრული არ იქნება: ამისთვის აუცილებელია მტრის ფლოტის მოსპობაც. ამ მიზნისათვის ჩვენ უნდა გავგზავნოთ წყნარ ოკეანეში ისეთი ფლო-

1) „რუსები ინგალიდი“—კი ამტკიცებს, მილიონამდე ჯარის გამოყვანა შეუძლია იაპონიასათ.

ტი, რომელიც ერთ-ნახევარზედ მეტი უნდა იყოს იაპონიაზე. ამ ესკადრას უზრუნველ ყოფილი უნდა ჰქონდეს ნააშირი და სამოქმედო ბაზა. და თუ (ღმერთმა ნუ ჰქნას) პორტ-არტური დაეცა, სახალინი აიღეს და ვლადივოსტოკს ალყა შემოარტყეს, ასეთი ესკადრაც ვერას გახდება: ისიც ისე იქნება მსხვერპლად შეწირული, როგორც პირველი“...

შემდეგ ავტორი ეხება სამხედრო ველიდან მოსულ ამბებს და, სხვათა შორის, მოჰყავს ნემიროვიჩ-დანჩენკოს კორეს-პონდენციებიდან რამდენიმე აღილი, სადაც, აწერილია დაშიცაოდან უკან დახევა რუსის ჯარისა. სურათი დანჩენკოს მიერ დახატული, საშინელი და შემზარევია, თან ბრალი ედება ჯარის უფროსებსაც და „სერენკის“ არ სჯერა სრული სინამდვილე აღწერილობისა: „დალლილი სული და აშლილი ნერვები ისეთ რასმე დაგანახვებენ, რასაც შემდეგ სიამოვნებით დაივიწყებდი. ასეთ ხასიათისა ხომ არ არის ნიჭიერ სამხედრო კორესპონდენტის ნაწერებიც? ჩვენთვის ახალი არ არის სამხედრო ორგანიზაციის აღმაშფოთებელი უწესობებანი. რუსოსმალოს ომიანობა თავის განთქმულ პროცესებით ჯერ კიდევ ბევრს ახსოეს. მაგრამ აქაც კი არ დაუწვევთ სურათი დამშეულ ჯარის-კაცების თვალწინ... თუ ნაწილიც კი იმისა, რასაც ნემიროვიჩ-დანჩენკო იწერება, მართალია, მაშინ ამ ომიანობის საშინელებათა სურათი ეპიური გამოდის და მისი გარემოცვა ადამიანის გონებისათვის ძნელია.

მიუხედავად ყველა ამისა მაინც უნდა ვიბრძოლოთ! არა თუ ვიომრთ, უნდა გავიმარჯვოთ! ასეთია შეუბრალებელი ლოლიკა საქმისა! ასეთია, ბევრის აზრით, ჩვენი ბედის-წერა!“

* * *

ნეკრისოვს ერთი ლექსი აქვს, სახელად „დედა“ ჰქვია. აულელვებლად, სევდიან გრძნობათა აუშლელად არავის შეუძლია ამ ლექსის წაკითხვა, თუ წამკითხველი ადამიანობას არ არის მოკლებული სრულიად. ომის საშინელებანი და ახალა მსხვერპლის ამბავი რომ გესმისო, ამბობს პოეტი, მე არ მებრალება არც მეგობარი მეომრისა, არც მისი ცოლი, არც

თვით ომის ველზე მოკლული გმირით; მეგობარი ახალ მეგობარს შეიძენს, ქვრივი მცორე ქმარს, მაგრამ არის ერთი სული, რომელიც სიკვდილამდე ვერ დაივიწყებს მოკლულსათ. ქვეყანა პირმოთნე და გულწრფელობას მოკლებულია; წრფელი მარტო დედის სიხარული და მწუხარებაა; „მე ერთი წრფელი ცრემლი მინახავს და ეს ცრემლი დედის არისო“.

მაგრამ არის თურმე ისეთი მომენტები ხალხის ცხოვრების ისტორიაში, როცა დედა შვილს სიხარულით სწირავს. და ასეთი მომენტი დამდგარი იაპონელ ქალისათვის დღეს...

„დედები სიხარულით გზავნიდნენ თავიათ შეილებს ომის ველზე,—სწერს ჯონ ფოქსი, რომელიც იმ დროს იაპონიაში ყოფილა;—არც ერთს არ ეტყობოდა არც სისუსტე, არც მწუხარება. ერთმა დედამ, რომელიც თავის უკანასკნელ შვილს აცილებდა ბრძოლის ველზე, წამოიძახა: „რა ბელნიერებაა, როცა ოთხი შეილი გყავს და ოთხივეს სამშობლოს აძლევ!“—თა ასეთი სიტყვები არა ერთხელ გაუგონია ავტორს და იგი დარწმუნებულია, რომ, რაც გაიგონა, გულის სილრმიდან იყო ნათქვამი და არა იმისათვის, რომ სხვებისათვის თავი მოეწონებინა. იმ სახლების კარებზე, საიდანაც თუნდ ერთი წევრია წასული ბრძოლის ველზე, წითელი ფიცარია მიკრული წარწერით: „ჯარში წავიდა“. თუ ოში წასული მოკლულია, წითელ ფიცრის მაგიერ შავია და ზედ აწერია: „საუკუნო მამაკანა“.

იაპონელი ქალები ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ, სწირავდნენ ეროვნულ საქმეს, შეამოკლეს ხარჯები და ეკონომიას ომის საჭიროებას ახმარებენ. ხელზე მოსამსახურე ქალებმა ჯამაგირის ერთი წილი გადასდეს ამ საქმისათვის ყოველ თვე და რამდენიმე ასი ათასშით ოჯახმა მოიკლეს ერთი თავი საჭმელი, რომ შესძლებოდათ მეტის გადადება სამხედრო საჭიროებისათვის. როცა ავტორს მოუსურვებდა მოსამსახურის მაგიერ ფულის გადახდა, ქალი არ დასთანხმებულია: „ეს არ შეიძლება, ბატონი! ომის საჭიროებისათვის ფულის გადადება ხომ საპატიო საქმეა, და თუ თქვენ გადაიხდით ჩემ მაგიერ, თქვენვე ასრულებთ იმ მოვალეობას, რომელიც მე მაწევს.“



საზოგადოთ, ავტორის აზრით, ომის წინ წამოაყენებოდა პონელი ქალი და გამოიყვანა დამცირებულ მდგომარეობიდან. იგი დედა, რომელიც თავის შვილებს ზეავნის ომის ველზე, და ამაყობს ამითი. იგი ამხნევებს და აქეზებს მამაკაცს და, თუ შეუძლია, ტანისამოსს იცვლის, მიჰყება მას ომში და ასრულებს, რაც კი შეუძლია. იაპონელი ქალი სულია ომისა, მას აწევს მისი მძიმე ტვირთი, რომელსაც ხმის ამოუღებლივ, უჩივლელად ატარებს. („მირ ბოე“, 7).

ომის ამბებმა შთანთქეს მთელი ინტერესი დღევანდელ მკითხველისა, მაგრამ იქ, სადაც ხალხის ცხოვრების განვითარებას ხელოვნურად შექმნილი შემაფერხებელი გარემოებანი არ გადაღობებია გზაზე, ბევრი რამ საგულისხმიერო ხდება და აქაური მოქალაქე ჩვეულებრივის ინტერესით ეკიდება საქმეს, შორე აღმოსავლეთის ომს და ომის ამბებს ევროპაშიაც დიდი ადგილი უკავია, რადგან ყველას კარგად ესმის მისი დიალი მნიშვნელობა მთელის კაცობრიობისათვის: ყველა ხედავს, რომ თეთრ-კანიანის პრივილეგიურ, უპირატესობიან მდგომარეობას ქვეყანაზე ბოლო ეღება. ძირს თეთრ-კანიანის ბატონობა და გაუმარჯოს ყველა რასებისა და ტომების თანასწორობასათ, აწერია იაპონიის დროშაზე და ამ დევიზის მრავალმხრივი, დიდებულ მომავლიანი აზრი ევროპიელს არ გამოპარვია. მაგრამ მისი ცხოვრება იმდენად რთული და მრავალნაირია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საქმეც კი, როგორიც შორე აღმოსავლეთის ომია, ვერ იპყრობს მთელს მის ყურადღებას...

ამ რთულ და მრავალნაირ ცხოვრების ფრიად საყურადღებო ფაქტი იყო ამ მოკლე ხანში ამსტერდამის კონგრესი ეკრობის მუშათა პარტიების წარმომადგენლებისა. თუ დრეზდენის კონგრესს გერმანიის დემოკრატიის პარლამენტი დაარქვეს, ამსტერდამის კონგრესი სრულიად ევროპის დემოკრატიის პარლამენტი იყო.

მთავარი ინტერესი ამსტერდამის კონგრესისა იგივე იყო, რაც დრეზდენის კონგრესისა, აქვს რამე საერთო მუშათა

პარტიას სხვა პარტიებთან თუ არა? შესაძლებელია თუ არა, რომ მუშათა პარტია შეუთანხმდეს რომელსამე ან რამდენსამე პარტიას და მათთან ერთად იმოქმედოს? ერთის სიტყვით, შეურიგებელი პოლიტიკა გედისა და ვალიანისა, თუ ეორესის პრაკტიკული ტაკტიკა? როგორც ვიცით, დრეზდენის კონგრესზე ფორმალურად შეურიგებელ პოლიტიკის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. ეგვევ მოხდა ამსტერდამის საერთაშორისო კონგრესზედაც. დრეზდენში მომხდარ ამბების გამო ვსწერდით, რომ ბებელის გამარჯვება წმინდა ფორმალურ ხასიათისათვის, რაღაც თვით ბებელი პრაკტიკულ თავის მოღვაწეობაში და ხანდახან თეორეტიულ მსჯელობაშიც იგივე „რევიზიონისტი“ და „ოპორტუიუნისტი“-ა. მოიგონეთ რა სთვა ბებელმა გერმანიის დემოკრატიის პატრიოტიზმზე მოელის პარტიის სახელით: თუ რომელიმე გარეშე მტერი გერმანიის წინააღმდეგ გამოილა შეჩებს და მოინდომებს მცირედიც არის ნაწილი წამგლიჯოს მას, ყოველი ჩვენგანი თოფს მხარზე გაიდებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებსო. ამ სიტყვებით ბებელმა ისა სთვა, რომ მასა და მის პარტიას საერთ + სამშობლო ჰქონია დანარჩენ გერმანელებთან და, როცა ამ სამშობლოს განსაკლელი მოადგება, სხვებთან ერთად ესენიც იბრძოლებენ საერთო მტრის წინააღმდეგ. როცა გერმანიის რეიხსტაგში სადამოქნო ტარიფი იყო დეპუტატების განხილვის საგანი, ბებელი, სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, და ბარტი, თავისუფალ მოაზრეთა მეთაური, მხარი-მხარ ებრძოლენ მთავრობასა და მის მომხრე პარტიებს: ბებელისა და ბარტს გაუჩნდათ საერთო საქმე და შეერთებულის ძალებით ერთად იბრძოლენ ენ. საფრანგეთში კლერიკალები და კონსერვატორები ძირის გათხრას უპირებდნენ და უპირებენ რესპუბლიკას, თავისუფალ სახელმწიფო წესწყობილებას, რომ ხალხს უფლებანი ჩამოართვას, იმპერია ან მეფობა აღადგინოს, სკოლაში კატოლიკისმი გაამფოს. როგორ უნდა მოიქცეს ნამდვილი დემოკრატი, ხალხის ინტერესების შემგნებელი და დამცველი? არის ისეთი მომენტებით, სთვა ერთხელ განსვენებულმა ვალ-

დეკ-რუსომ, როცა უნდა დაივიწყო, თუ რა პარტიას ეკუთვნი, და მხოლოდ ის გახსოვდეს, რომ რესპუბლიკელი ხარო. ვალდეკი თანახმად თქმულისა მოიქცა — ზურგი შეაქცია თავის პარტიას, ხელი გაუწოდა ქორესს და შეერთებულის ძალით რესპუბლიკა განსაცდელისაგან იხსნეს. გედი კი გვერდზე გადგა: ვალდეკი ბურუუა არის და მასთან საერთო არა მაქვს ჩაო. (საინტერესოა, როგორ მოიქცევა იგივე გედი, საფრანგეთს რომ გარეშე მტერი მოადგეს? ზოგიერთ ბრძა დოლმატიკოსებისაგან არც მაშინ იქნება გასაკვირველი სთქვას — რა მაქვს საერთო სხვა პარტიებთან, რომ მათთან ერთად გარეშე მტერს შევებრძოლოთ!). დემოკრატიის საბედნიეროდ, უორესი ბრძა დოლმატიკოსი არ გამოდგა: იგი ხედავდა, რომ თავისუფალი სახელმწიფო წესწყობილება, უფლება ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებისა, სამღვდელოების მზრუნველობისა და ბატონობისაგან თავისუფალი სკოლა მუშისთვისაც ისევე საჭირო, როგორც სხვა კლასების წარმომადგენელთათვის, და ამათთან ერთად გაუმკლავდა საერთო მტერს.

ათასი კონგრესი რომ შესდგეს, ათასი გადაწყვეტილება რომ დაადგინონ, უორესის პოლიტიკა და ტაკტიკა ყოველთვის გამარჯვებული და ნაყოფიერი იქნება და გედისა კი უძლური და უნაყოფო.